

თამარ ზარანდია, ევგენია კურზინსკი-სინგერ (რედ.)

Tamar Zarandia, Eugenia Kurzynsky-Singer (Hrsg.)

კერძო ავტონომია, როგორც კერძო
სამართლის ფუძემდებლური პრინციპი

PRIVATAUTONOMIE ALS GRUNDLEGENDES
PRINZIP DES ZIVILRECHTS

ЧАСТНАЯ АВТОНОМИЯ КАК ОСНОВОПОЛАГАЮЩИЙ
ПРИНЦИП ЧАСТНОГО ПРАВА

PRIVATE AUTONOMY AS A FUNDAMENTAL
PRINCIPLE OF CIVIL LAW



თამარ ზარანდია, ევგენია კურზინსკი-სინგერ (რედ.)

Tamar Zarandia, Eugenia Kurzynsky-Singer (Hrsg.)

კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის
ფუნდამენტური პრინციპი

Privatautonomie als grundlegendes
Prinzip des Zivilrechts

Частная автономия как основополагающий
принцип частного права

Private Autonomy as a Fundamental
Principle of Civil Law

კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის
ფუძემდებლური პრინციპი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თსუ)

და

მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო
სამართლის ინსტიტუტის

ერთობლივი კონფერენცია

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ევროპულ
სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამის
(GIZ) მხარდაჭერით

1-2 ნოემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

Privatautonomie als grundlegendes Prinzip des Zivilrechts

Gemeinsame Konferenz

der Staatlichen Ivane-Javakhishvili-Universität Tbilisi (TSU)

und

des Max-Planck-Instituts für ausländisches und internationales Privatrecht

mit Unterstützung

des Vorhabens „Support to the Development of Private and Administrative Law

System in Georgia“, durchgeführt durch

die Deutschen Gesellschaft für internationale Zusammenarbeit (GIZ)

1. und 2. November, 2018

Tbilisi, Georgien

**Частная автономия как основополагающий
принцип частного права**

Совместная конференция

Тбилисского Государственного университета им. Иванэ Джавахишвили (ТГУ)

и

Института зарубежного и международного частного права

им. Макса Планка

при поддержке

программы «Развитие систем частного и административного права в Грузии»,
проводимой Немецким обществом международного сотрудничества (GIZ)

1-2 ноября, 2018

Тбилиси, Грузия

**Private Autonomy as a Fundamental
Principle of Civil Law**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU)

and

Max Planck Institute for Comparative and International Private Law

Joint conference

Supported by

**Program “Support to the Development of Private and Administrative Law
System in Georgia” carried out by German Corporation for International
Cooperation (GIZ)**

1-2 November, 2018

Tbilisi, Georgia

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 2018 წელს თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენციის - „კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი“ მასალების კრებულს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა როგორც საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ისე გერმანიიდან.

კონფერენცია კონცეპტუალურად მომზადდა და გაიმართა თსუ იურიდიული ფაკულტეტის, ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით.

კრებულში მოცემული მოსაზრებები არ უნდა გავიგოთ, როგორც თსუ იურიდიული ფაკულტეტის, მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პოზიცია.

სამეცნიერო რედაქტორები: თამარ ზარანდია
ეგენია კურზინსკი-სინგერი
ლია შატბერაშვილი

მთარგმნელები: რამაზ ვადაჭკორია
ქეთევან ფხაკაძე

Scientific editors: Tamar Zarandia
Eugenia Kurzynsky-Singer
Lia Shatberashvili

Translators: Ramaz Vadachkoria
Ketevan Pkhakadze



Max-Planck-Institut für
ausländisches und internationales
Privatrecht | Hamburg



Ivane Javakhishvili
Tbilisi State University



giz
Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN 978-9941-13-969-7

შინაარსი Inhaltsverzeichnis Содержание

წინასიტყვაობა (თამარ ზარანდია, ევგენია კურზინსკი-სინგერი).....	9
Vorwort (Tamar Zarandia, Eugenia Kurzynsky-Singer).....	10
Предисловие (Тамар Зарандия, Евгения Курзински-Сингер).....	11
I. ავტონომია, როგორც ევროპული კერძო სამართლის პრინციპი	
I. Privatautonomie als Prinzip des europäischen Privatrechts	
I. Частная автономия как принцип европейского частного права	
პროფ. დოქ. იურგენ ზაზედოვი, კერძო ავტონომია ევროპის სამოქალაქო სამართალში.....	15
Prof. Dr. Jürgen Basedow , Privatautonomie als Prinzip des Europäischen Privatrechts.....	25
პროფ. დოქ. როლფ კნიპერი, კერძო ავტონომია და თავისუფლება: მსჯელობა რთული ცნების ირგვლივ.....	33
Prof. Dr. Rolf Knieper , Privatautonomie und Freiheit: Gedanken zu einem schwierigen Begriff.....	43
II. კერძო ავტონომიის პრინციპი თანამედროვე სამართალწარმოებაში	
II. Privatautonomie in der Rechtsanwendung	
II. Частная автономия в современном правоприменении	
დოქ. მაქს გუტბროდი, კერძო ავტონომია ეგრეთწოდებული ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტების რეალობაში.....	53
Dr. Max Gutbrod , Privatautonomie im Lichte sogenannter künstlicher Intelligenz, Blockchain und Kryptowährungen.....	64
პროფ. დოქ. ჰანს იოახიმ შრამი, ხელშეკრულებების სასამართლო კონტროლი ბიზნეს-სამეწარმეო სამართლებრივ ურთიერთობებში.....	73
Prof. Dr. Hans-Joachim Schramm , Die gerichtliche Kontrolle von Verträgen im unternehmerischen Rechtsverkehr – einige rechtsvergleichende Betrachtungen	83

III. კერძო ავტონომიის საზღვრები (მოსხენებები ქვეყნებიდან)

III. Grenzen der Privatautonomie (Länderberichte)

III. Границы частной автономии (доклады по странам)

<i>საქართველო: პროფ. ბესარიონ ზოიძე</i> , ძირითადი უფლებების გავლენა კერძო ავტონომიაზე: კერძო ავტონომიის გაფართოება თუ შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა).....	93
<i>ესტონეთი: დოქ. ტომას ჰოფმანი</i> , კერძო ავტონომიის დაცვა ან შეზღუდვა დიგიტალურ სახელმწიფოში: განხილვები ესტონური მაგალითის საფუძველზე.....	111
<i>Estland: Dr. Thomas Hoffmann</i> , Schutz oder Beschränkung der Privatautonomie durch den digitalen Staat: Eine Untersuchung am estnischen Beispiel.....	116
<i>მოლდოვა: პროფ. დოქ. სერჯიუ ბეშუ, დოქ. გეორგე მიცუ</i> , ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენება მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში.....	120
<i>Молдова: Проф. д-р Серджиу Бэшу, д-р Георге Мыцу</i> , Применение принципа автономии воли в Гражданском кодексе Республики Молдова.....	139
<i>ყაზახეთი: დოქ. სერგეი სკრიაბინი</i> , კერძო ავტონომიის შეზღუდვა ყაზახეთის კერძო სამართალში: რამდენიმე საკითხი თეორიიდან და პრაქტიკიდან.....	156
<i>Казахстан: Д-р Сергей Скрыбин</i> , Ограничения автономии воли в гражданском праве Казахстана: некоторые теоретические и практические вопросы.....	166
<i>სომხეთი: დოქ. არსენ თავადიანი</i> , კერძო ავტონომია და სასარჩელო უფლება.....	174
<i>Армения: Д-р Арсен Тавадян</i> , Автономия воли и материальное право на иск.....	179
<i>აზერბაიჯანი: დოქ. თურგაი ჰუსეინოვი</i> , კერძო ავტონომია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში.....	183
<i>Азербайджан: Д-р Тургай Гусейнов</i> , Автономия воли в законодательстве Азербайджанской Республики.....	186
<i>უკრაინა: პროფ. რომან მაიდანიკი</i> , გამოსაყენებელი სამართლის არჩევა ხელშეკრულებებში უკრაინისა და ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით.....	188
<i>Украина: Проф. д-р Роман Майданик</i> , Выбор применимого права к договору по законодательству Украины и Европейского Союза.....	211

IV. სახელშეკრულებო თავისუფლების ცალკეული პრობლემები

IV. Einzelne Probleme der Vertragsfreiheit in der grenzüberschreitenden Perspektive

IV. Отдельные вопросы свободы договора в межграничной перспективе

დოქ. ფარჰად კარაგუსოვი , დაფუძნების და სამართლის არჩევის თავისუფლების შესახებ უცხოელთა მონაწილეობით იურიდიული პირების შექმნისას ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.....	233
Д-р Фархад Карагузов , О свободе учреждения и выборе применимого права при создании юридических лиц с иностранным участием по законодательству Республики Казахстан.....	240
დოქ. გიორგი რუსიაშვილი , გარიგების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება სანივთო გარიგების მეშვეობით.....	247
Dr. Giorgi Rusiashvili , Gestaltungsfreiheit durch dingliches Geschäft.....	261

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ 2018 წლის 1-2 ნოემბერს გამართული საერთაშორისო კონფერენციის - „კერძო ავტონომია, როგორც კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპი“ მასალების კრებულს. ეს კონფერენცია რიგით მესამე იყო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობით გაიმართა: 2012 წელს გამართული პირველი კონფერენცია ეხებოდა სამართლებრივი ტრანსფორმაციისა და რეცეფციის საკითხებს (კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა გერმანიაში), მეორე კონფერენცია, რომელიც 2015 წელს გაიმართა თბილისში, შეეხებოდა საკუთრებასა და სამართლებრივ სტაბილურობას: საკუთრების ცნების ტრანსფორმაციის თემას (კონფერენციის მასალები გამოიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთხენოვანი კრებულის სახით).

რიგით მესამე კონფერენციისათვის, რომლის მასალებიც წარმოადგენილია წინამდებარე კრებულში, კერძო ავტონომიის საკითხი შეირჩა. კერძო ავტონომია კერძო სამართლის საფუძველთა საფუძველია. საბჭოთა აკრძალვების სამართლის სფეროდან კლასიკური ცივილისტიკის ქვეყნად ტრანსფორმაციის კვალდაკვალ სამართალში იზრდება ადამიანის პიროვნული, ინდივიდუალური თავისუფლების მნიშვნელობა. საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი სახელმწიფოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. კერძო ავტონომიის პრინციპი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპია, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს საორგანიზაციო პრინციპი, ის, პროფესორ როლფ კნიპერის აზრით, მაინც რჩება „შავ ყუთად“, რომელიც ყველას მოსწონს, მაგრამ მისი შინაარსი არ არის თავისთავად ცხადი. ეს გაურკვეველობა გამოწვეულია თანამედროვე სამართლის განვითარების დინამიკით, დიგიტალიზაციით ხელშეკრულების დადების პროცესში, „სმარტ“ კონტრაქტებისა და „თვითაღსრულებადი“ შეთანხმებების შემოტანით. სამართლისათვის ადრე უცნობი ეს კატეგორიები ქმნის იმ განუსაზღვრელობას, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი პირობების ეთიკურ-ფილოსოფიურ საფუძვლებთან. ამასთან ერთად, უფრო ძლიერდება ამ სამართლებრივ კატეგორიასთან დაკავშირებული კითხვები, როდესაც საქმე ეხება კერძო ავტონომიის პრინციპს სხვადასხვა მართლწესრიგის კონტექსტში. როდესაც იურისდიქციები იყენებენ კერძო ავტონომიის ცნებას, მასში ხშირად განსხვავებულ შინაარსს მოიაზრებენ.

სწორედ აღნიშნული გახდა წინამდებარე კვლევების შთაგონების წყარო. კრებული მოიცავს მოხსენებებს კერძო ავტონომიის შესახებ როგორც ევროპულ პერსპექტივაში, ისე სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით.

გისურვებთ, სიამოვნებით წაიკითხოთ მოცემული მასალა.

თამარ ზარანდია

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

ევგენია კურზინსკი-სინგერი

სამართლის დოქტორი, პოსტსაბჭოური სამართლის ექსპერტი

Vorwort

Der vorliegende Band stellt eine Sammlung der Materialien der am 1. und 2. November 2018 von der Juristischen Fakultät der Ivane Javakhishvili Staatlichen Universität Tbilisi gemeinsam mit dem Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht (Hamburg) ausgerichteten internationalen Konferenz „Privatautonomie als grundlegendes Prinzip des Zivilrechts“ dar. Die Konferenz war bereits die dritte in der Reihe gemeinsamer Konferenzen, die von der Ivane Javakhishvili Staatlichen Universität Tbilisi und dem Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht mit der Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) geplant und durchgeführt werden. Die erste, im Jahre 2012 veranstaltete Konferenz, widmete sich dem Thema „Entwicklung des Privatrechts im Kaukasus und in Zentralasien. Transformation mittels legal transplants?“ (der Konferenzband ist 2014 in Deutschland erschienen). Die zweite Konferenz, welche 2015 in Tbilisi stattfand, behandelte unter dem Titel „Eigentum und Rechtssicherheit: Wandel des Eigentumsbegriffs“ Fragen des Eigentums (die Materialien der Konferenz wurden von der Staatlichen Universität Tbilisi in einem viersprachigen Band veröffentlicht).

Im Zuge der Transformation der Länder in Richtung der klassischen Zivilistik wächst das Recht aus dem sowjetischen „Recht der Verbote“ heraus und baut immer stärker auf individuelle Freiheit des Einzelnen. Insbesondere in Anbetracht der wirtschaftlichen und sozialen Entwicklung einer Transformationsgesellschaft gewinnt dies umso mehr an Bedeutung.

Die Privatautonomie stellt zudem ein Grundprinzip der freien Marktwirtschaft dar und bleibt trotzdem, wie es Rolf Knieper in seinem Vortrag auf der Konferenz ausgedrückt hat, wie eine *„black box‘, die jedem gefällt, deren Inhalt aber keineswegs selbstverständlich, klar und gut definiert erscheint“*. Diese Unbestimmtheit wird von einer wachsenden Dynamik der Rechtsentwicklung, beispielsweise durch die Einführung der Digitalisierung des Vertragsabschlusses, „smart contracts“, „selbsterfüllende“ Vereinbarungen usw. geprägt. Diese den Rechtsordnungen zuvor unbekanntes Kategorien tragen zu der Unbestimmtheit bei, deren Ursprung bereits in den ethisch-philosophischen Grundsätzen des Rechts zu finden ist. Darüber hinaus stellen sich weitere Fragen, wenn man sich mit der Privatautonomie im Kontext verschiedener Rechtskulturen beschäftigt, denn regelmäßig werden diesem Begriff in den jeweiligen Rechtsordnungen verschiedene Bedeutungen beigemessen.

Diese Überlegungen lagen den Forschungen, die in diesem Band vorgestellt werden, zugrunde. Die Beiträge betrachten den Begriff der Privatautonomie sowohl aus der europäischen Perspektive als auch am Beispiel anderer Länder.

Wir wünschen eine angenehme Lektüre.

Prof. Dr. Tamar Zarandia

Dekanin der juristischen Fakultät der Ivane Javakhishvili Universität Tbilisi

Dr. Eugenia Kurzynsky-Singer

Freiberufliche Expertin zum Recht im postsowjetischen Raum

Предисловие

Данный сборник является собранием материалов международной конференции, проведенной юридическим факультетом Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили 1-2 ноября 2018 года. Эта конференция является третьей по последовательности, которая была проведена в рамках сотрудничества между Гамбургским институтом зарубежного и международного частного права имени Макса Планка и Тбилисским государственным университетом имени Ив. Джавахишвили. Первая конференция, проведенная в 2012 году, была посвящена вопросам правовой трансформации и рецепции (материалы конференции были опубликованы в Германии). Вторая конференция была проведена в 2015 году в Тбилиси на тему собственности и правовой стабильности (материалы конференции были опубликованы Тбилисским государственным университетом в форме четырехязычного сборника).

Для третьей по счету конференции, материалы которой представлены в данном сборнике, была выбрана тема частной автономии. Частная автономия является основой частного права. После советских запретов в области права в стране, формирующейся по стопам классической цивилистики, растет важность человеческой личности и индивидуальной свободы. Вопрос имеет особое значение для экономического и социального развития государств в переходном состоянии. Принцип частной автономии является основным принципом свободной рыночной экономики, но каким бы ни был этот организационный принцип, по словам профессора Рольфа Книпера он остается „черным ящиком“, который всем нравится, но его содержание не является до конца выясненным. Эта неопределенность обусловлена динамикой развития современного права, процессом дигитализации заключения контракта, введения «смайт»-контрактов и «самоисполняющихся» соглашений. Эти категории, ранее неизвестные закону, создают неопределенности, которые связаны с этико-философическими основами права. В то же время возникает все больше вопросов, связанных с данной правовой категорией, когда дело доходит до принципа частной автономии в контексте различных правопорядков. Различные юрисдикции, при применении понятия частной автономии, часто вкладывают в него различное содержание.

Данные соображения и послужили основанием проведенных исследований. Сборник содержит доклады о частной автономии как в европейской перспективе, так и из опыта различных стран.

Приятного чтения!

Тамар Зарандия

*д.ю.н., ассоциированный профессор, декан юридического факультета
Тбилисского государственного Университета им. И. Джавахишвили*

Евгения Курзински-Сингер

д.ю.н., эксперт постсоветского права

I. კერძო ავტონომია, როგორც ევროპული კერძო
სამართლის პრინციპი

I. Privatautonomie als Prinzip des europäischen Privatrechts

I. Частная автономия как принцип европейского
частного права

კერძო ავტონომია ევროპის სამოქალაქო სამართალში

I. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება

კერძო (კერძო) ავტონომია წარმოადგენს ადამიანის სამართლებრივად აღიარებულ უნარს, დამოუკიდებლად მოაწიოს საკუთარი ცხოვრება.¹ ტერმინი სათავეს იღებს მეცნიერული წრებიდან და გარკვეულწილად აბუნდოვანებს ადამიანის კერძო ავტონომიის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. საქმე ეხება თვითგანსაზღვრას – გაცილებით უფრო პლასტიკურ ცნებას. კერძო ავტონომია ადამიანს მინიჭებული აქვს არა სახელმწიფოს ან სამართლის, არამედ ბუნების მიერ და იგი შემდგომ აღიარებულია სამართლის მიერ, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის საფუძველზე დადგენილ განსხვავებულ ჩარჩოებსა და საზღვრებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კერძო ავტონომია გულისხმობს ცხოვრების ისეთ გაგებას, რომლის თანახმადაც, ყველაფერი დაშვებულია, რაც არ არის აკრძალული. ეს განსაზღვრება უპირისპირდება იმ მდგომარეობასა და წესრიგს, რომლის თანახმადაც მხოლოდ ის ქმედებაა მართლზომიერი, რომელიც მკაფიოდ ნებადართულია. ერთი კონკრეტული ინდივიდის კერძო ავტონომია მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი კერძო ავტონომია, რომლის შეზღუდვის უფლება, ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, არავის აქვს.

ინდივიდის კერძო ავტონომია იურისტების მიერ ხშირადაა გაიგივებული ხელშეკრულების თავისუფლებასთან, სინამდვილეში კი ის გაცილებით ფართო მნიშვნელობის ტერმინს წარმოადგენს. საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობის უფლება ვრცელდება არა მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობებზე/გარიგებებზე, არამედ ყველაფერზე, მათ შორის, სამართლის სფეროს მიღმა მდგომ ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შერჩევა, დღეების სურვილისამებრ დაგეგმვა, რელიგიური ორიენტაცია ან მეგობრებისა და პარტნიორის არჩევა. სამართლებრივი ურთიერთობებისა და გარიგებების სფეროში საქმე ეხება არა მხოლოდ ვალდებულებითი ხელშეკრულებების დადებას, არამედ, სხვა ისეთ მოქმედებებსაც, როგორებიცაა ტესტირება, მამობის უფლება, სამუშაო ხელშეკრულების შეწყვეტა ან საერთო საზოგადოებრივი მიზნებისათვის გაერთიანებებში განწევრიანება.

კერძო ავტონომიის მნიშვნელობა, მიუხედავად ამ უკანასკნელის დასახელებისა, არავითარ შემთხვევაში არაა შეზღუდული მხოლოდ სამოქალაქო სამართლით. ამ ტერმინის მნიშვნელობა მოიცავს ადამიანის (ინდივიდის) ფუნდამენტური უფლებებით აღჭურვას, რომელსაც დაცვა სჭირდება ყველა მხრიდან ჩარევისაგან, მათ შორის სახელმწიფოსა და კერძო აქტორების ჩარევისაგანაც. როგორც კერძო ავტონომიის მრავალმხრივი მნიშვნელობა ცხადყოფს, ეს უკანასკნელი განეკუთვნება ფუნდამენტური უფლებების კატეგორიას, რომელიც დღესდღეობით სხვადასხვა კონსტიტუციაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში², ადამიანის

* Prof. Dr. Dr. h.c. mult., Dr. h.c. TSU Jürgen Basedow (ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრი), მაქს პლანკის საზღვარგარეთული და საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი და ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი; Institute de Droit International-ის წევრი; ჰამბურგი, გერმანია

¹ Werner Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. 2 – Das Rechtsgeschäft, Berlin 1965, S. 1 .

² იხ. Immanuel Kant, Metaphysik der Sitten, 1797/98, S. 237 – 238, აქ ციტირებულია Hans Ebeling-ის გამოცემის მიხედვით, შტუტგარტი, 1990, გვ. 76: „თანდაყოლილი, ბუნებით მინიჭებული უფლება ხელშეუხებელია. თავისუფლება (სხვაზე თვითნებობის გარეშე), რამდენადაც ის საყოველთაო პრინციპის თანახმად, ყოველ სხვის თავისუფლებასთან უკონფლიქტოდ თანაარსებობს, არის ადამიანის ხელშეუხებელი, თანდაყოლილი, ადამიანური ყოფის ძალით მინიჭებული უფლება – თანდაყოლილი თანასწორობა, ანუ დამოუკიდებლობა, იყო სხვებთან ორმხრივ თანაარსებობაში ჩართული; ... უფლება, რომლის ფარგლებში მოქმედებისას სხვა/სხვისი ნება არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი... ყველა ეს უფლება გამომდინარეობს ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებით მინიჭებული თავისუფლებიდან და არაფრითაა ამ უკანასკნელისაგან განსასხვავებელი.“

უფლებათა ევროპულ კონვენციასა³ და ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიაშია განმტკიცებული.⁴

კერძო ავტონომია არ ნიშნავს წესებისა და ნორმების არარსებობას. როდესაც ადამიანები სამართლებრივ ჩარჩოებში მოქმედებენ და ამ უკანასკნელის ფარგლებში საკუთარ კერძო ავტონომიას ახორციელებენ, მათ მთელი რიგი მორალური და ზნეობრივი ნორმების დაცვა უწევთ. ის, ვინც ხსენებულ ნორმებს არ ითვალისწინებს, არ არის აუცილებელი, სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცეს, მაგრამ საზოგადოების რეაქცია ამა თუ იმ ქმედებაზე შეიძლება იყოს განსაკუთრებით მკაცრი და გარკვეულ შემთხვევებში ინდივიდის რაიმე სოციალური ჯგუფიდან განდევნაც კი გამოიწვიოს.

იმ ადამიანების ერთად მყოფობა და თანაარსებობა, რომლებიც თანაბრად არიან კერძო ავტონომიის უფლებით აღჭურვილნი, საჭიროებს ქმედების მოზომვასა და შეთანხმებულობას, რათა ერთმა ადამიანმა საკუთარი კერძო ავტონომიის განხორციელებისას სხვისი კერძო ავტონომია არ ხელყოს. ასეთი შეთანხმებულობის მიღწევის უმთავრეს ინსტრუმენტად კანტმა, ერთი მხრივ, საყოველთაო კანონი და, მეორე მხრივ, ხელშეკრულება დაასახელა. ხელშეკრულებას შეიძლება, პრეტენზია ჰქონდეს სისწორეზე - ან თუ ეკონომიკური კატეგორიებით ვისარგებლებთ - რესურსების ეფექტურ განაწილებაზე, და თუ მხარეები არ დაეთანხმებიან ხელშეკრულებას, მდგომარეობა შეთანხმების არსებობისას არ იქნებოდა უკეთესი ვიდრე შეთანხმების გარეშე.⁵ ასეთი სახის კონსენსუსი აჩვენებს ადამიანთა ფართო წრეების კმაყოფილებას. ამ ლოგიკაზე დაყრდნობით, ხელშეკრულების თავისუფლება, ერთი მხრივ, გამომდინარეობს კერძო ავტონომიიდან და, მეორე მხრივ, წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთშეთანხმებული ქმედებისა და ამ გზით კერძო ავტონომიის დაცვის საფუძველს.

II. კერძო ძალაუფლება, კონკურენცია და რეგულირება

ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის წმინდა კერძო-სამართლებრივი კონცეფცია, ამავე დროს, გარკვეულ სისუსტეებსაც ავლენს. ავტონომია გულისხმობს კერძო ნების ძალაუფლებას. მხარეების მიერ კერძო ნების თანაბარი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებენ, რა სახის შეთანხმებაც ხშირად მოცემული არ არის. მეტწილად ჩვენ ვხვდებით უთანასწორობებს, რაც გარკვეულ გარემოებებში კერძო ავტონომიის გავლენით კიდევ უფრო მძაფრდება და მრავლდება. ასეთი უთანასწორობების არდაშეება, უმთავრესად, წარმოადგენს კონკურენციის ფუნქციას, რაც „ნების დამთრგუნველ და განმაიარალებელ“ ეფექტს აყენებს.⁶ უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების თავისუფლების, კერძო ნების ძალაუფლებისა და კონკურენციის დამთრგუნველი ზეგავლენის ურთიერთკავშირით წარმოდგება სისწორის (თანასწორობის) გარანტია ან, ეკონომიკურ ენაზე რომ ვთქვათ, რესურსების ალოკაციის (განაწილების) ოპტიმაცია, რასაც, ასევე, იმ საზოგადოებისათვის მოაქვს სარგებელი, რომელშიც არსებობს ძალთა ასიმეტრია. ძლიერი საბაზრო პოზიციის მქონე კომპანიასაც კი არ შეუძლია საკუთარი კლიენტების ექსპლუატაცია იქამდე, სანამ ის სხვა კომპანიების მიერ განეული კონკურენციითაა დისციპლინირებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია ხელშეკრულების თავისუფლების არეალს კიდევ უფრო აფართოებს.

³ გერმანიაში, გერმანიის ძირითადი კანონის მეორე თავის პირველი აბზაცის თანახმად, კერძო ავტონომიის საფუძველად მოქმედებს ქმედების საყოველთაო თავისუფლება, იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო 12.11.1958, გადაწყვეტილება 8, 274; იხ. *Claus-Wilhelm Canaris, Verfassungs- und europarechtliche Fragen der Vertragsfreiheit*, in: *Peter Badura/Rupert Scholz (Hrsg.), Wege und Verfahren des Verfassungslebens – Festschrift für Peter Lerche*, München 1993, S. 873, 881, 889.

⁴ Universal Declaration of Human Rights, 10 December 1948, General Assembly, Official Records, III, Resolutions, UN Doc. A/810, p. 71.

⁵ იხ. ასევე: *Michael Bothe, Privatautonomie und EMRK*, in Marco Haase, Hrsg., *Privatautonomie – Aufgaben und Grenzen*, Baden-Baden 2015, S. 89 – 96.

⁶ *Charta der Grundrechte der Europäischen Union*, ABl. 2016 C 202/389, ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, დოკუმენტი 2016, C 202/389.

მართალია, რომ კონკურენციაც აწყდება სირთულეებს, როდესაც კონკურენციის პროცესები ბაზრის არასრულყოფილებისა და ნაკლოვანების გამოა შეზღუდული. ამის მიზეზია მონოპოლიების არსებობა – მონოპოლიები ელექტროენერჯისა და გაზის ბაზარზე – ინდუსტრიული ინვესტიციებისას გარემოს დაბინძურებით გამონვეული ეფექტი და სხვა გარეშე გარემოებების ზეგავლენა, ისეთი სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებების დეფიციტი, როგორებიცაა საგარეო და საშინაო უსაფრთხოება ან ფინანსური ბაზრის სტაბილურობა, რომელიც საკმარისი სტიმულის არარსებობის ფონზე მხოლოდ და მხოლოდ კერძო ხელშეკრულების მექანიზმით ვერ რეგულირდება. აქ საბოლოოდ ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს მხარეთა შორის ინფორმირებულობისა და მოტივირებულობის ასიმეტრიული დონეც, მაგალითად, ხელშეკრულების გარკვეული ასპექტების მიმართ სამომხმარებლო ბაზარზე.

ბაზრის ასეთი ნაკლოვანებების შედეგი ისაა, რომ ხელშეკრულებათა გაფორმება ან/და საბაზრო პროცესების მსვლელობა გარკვეულ სეგმენტებში ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური რესურსების ოპტიმალურ ალოკაციას (განაწილებას) და შესაბამისად, ეფექტურობის ზრდას. რამდენადაც ბაზრის ნაკლოვანებების კომპენსაცია ამას მოითხოვს, ლეგიტიმურია სახელმწიფო ჩარევა ხელშეკრულების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის სფეროში.⁷ ასეთ დროს სახელმწიფო რეგულირება უნდა ვრცელდებოდეს ტრანზაქციების იმ ასპექტებზე, რომლებშიც გამოვლენილია ბაზრის ნაკლოვანებები. როდესაც ფუნქციონირებს ფასის კონკურენცია, მაგრამ არ ფუნქციონირებს პირობების კონკურენცია (იგულისხმება საკონტრაქტო პირობების კონკურენცია), ასეთ დროს სახელმწიფო რეგულაცია უნდა ვრცელდებოდეს საკონტრაქტო პირობებზე. მართალია, რომ ამ კონტექსტში არსებობს ასეთი რეგულაციების შინაარსობრივი სისწორის შეფასების კრიტერიუმის დეფიციტი. თუ რა ხასიათს უნდა ატარებდეს ასეთი რეგულაციები, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანია.

ევროკავშირში კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების რეგულატორულ ურთიერთკავშირს (ჰარმონიას) უზრუნველყოფს შიდა ევროპულ ბაზარზე მოქმედი უზენაესი სამართლებრივი ნორმები, კერძოდ, კონკურენცია და ბაზრებზე პროდუქციის თავისუფალი გადაადგილება. ბაზრების გაღება და კონკურენციის დაცვა უნდა უზრუნველყოფდეს და აფართოებდეს კერძო აქტორების არჩევანის შესაძლებლობებს. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს წინაპირობას და უნდა იქნეს მატერიალურად გამდიდრებული. ამ კონტექსტში ასევე მოქმედებს ევროკავშირის დამატებითი სამართლებრივი ნორმები შეზღუდვების დაწესებისა და რეგულაციების სახით.

III. ხელშეკრულების თავისუფლების ფორმები

კერძო ავტონომია გამოიხატება სხვადასხვა ფორმით. ის ხორციელდება ხელშეკრულების თავისუფლებით მოქმედი რამდენიმე პირის მიერ. უპირველესად, ეს არის ნებისმიერი ცალკეული პირის გადაწყვეტილება, საკუთარი პროდუქცია გამოიყენოს არა მხოლოდ თავადვე, არამედ გაიტანოს ეს უკანასკნელი ბაზარზე გასაყიდად. ამას პასუხობს სხვისი გადაწყვეტილება, დაფაროს საკუთარი მოთხოვნილება არასაკუთარი პროდუქციით, არამედ ბაზარზე მოპოვებული შენაძენით. ეს პირველი ნაბიჯი ხელშეკრულებისაკენ ემყარება ხელშეკრულების შერჩევისა და დადების თავისუფლებას. ეს თავისუფლება, ერთი მხრივ, შეზღუდულია კონტრაპირების იძულებით და, მეორე მხრივ, ისეთი პროდუქტებით ვაჭრობის აკრძალვით, როგორებიცაა ნარკოტიკი და კულტურული ღირებულების მქონე ნივთები.

შემდეგი ნაბიჯი სასურველი სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევაა. კერძო ავტონომია, ასე ვთქვათ, გულისხმობს უფლებასაც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არიდებულ იქნას სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთ კონკრეტულ პირთან ან რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან დაახლოებულ პირთან. სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევის თავისუფლება უკანასკნელ ნლებში მზარდად პროგრესირებს და ევროკავშირის სამართალში მასში შეტანილია ანტიდისკრიმინაციული ნორმები.

⁷ იხ. *Gerhard Wagner*, *Mandatory Contract Law: Functions and Principles in Light of the Proposal for a Directive on Consumer Rights*, in: *Anthony Ogus/Willem van Boom*, eds., *Juxtaposing Autonomy and Paternalism in Private Law*, Oxford and Portland 2011, S. 9 – 42 (15 ff.).

ზემოსხენებულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების შინაარსისა და ტიპის თავისუფალი შერჩევა მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეჯერდნენ მათთვის სასურველ ურთიერთგაცვლაზე და განსაზღვრონ სახელშეკრულებო ურთიერთობა კანონით დადგენილი ხელშეკრულებების ტიპების მიღმა გასვლით. მათ შეუძლიათ, რომ ფასი და რაოდენობა ისევე თავისუფლად განსაზღვრონ, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის ხარისხი და გაცვლის პირობები. მათ ასევე შეუძლიათ, შექმნან ანგარიშსწორების ახალი ფორმები ეგრეთ წოდებული ინომინატ (Innominatverträge) ხელშეკრულებების დადებით.

შემდგომ მხარეები ასევე თავისუფალნი არიან ორმხრივი დანაპირების დადებაში. მაშინ, როდესაც ასეთ დანაპირებს გააჩნია სამართლებრივი ძალა ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტის გარეშე, როგორც კონსენსუალური ხელშეკრულების დროს, მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ მკაცრი ფორმალობების დაცვაზე, მაგალითად, წერილობით ფორმაზე. ეს არის ფორმის თავისუფალი შერჩევის უფლება – *ფორმის თავისუფლება*. საბოლოოდ მხარეებს ასევე აქვთ უფლება, არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ორმხრივი ნების საფუძველზე შეცვალონ ან გააუქმონ – *შეცვლისა და გაუქმების თავისუფლება*.

ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების თავისუფლებას საფუძველად უდევს კერძო რეგულირების უფლება, რომელიც თავის საფუძველითა და სხვადასხვა გამოვლინებით აღიარებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში. ის წარმოადგენდა ევროკავშირის შექმნის სასტარტო ფასეულობას. შემდეგ თავებში განსახილველი დარჩა მხოლოდ ის, თუ რა მასშტაბით შეითვისა ევროკავშირის სამართალმა ეს პრინციპები.

IV. ხელშეკრულების თავისუფლება ევროკავშირის უზენაეს სამართალში

ევროკავშირის უზენაესი სამართალი პირდაპირი გზით არ შეიცავს ხელშეკრულების თავისუფლების დაცვის გარანტიებს, თუმცა გულისხმობს ამას. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union, AEUV) 101-ე თავი და პროდუქციის თავისუფალი გადაადგილების პრინციპი შიდა ევროპულ ბაზარზე კონკურენციას იცავს, აუცილებელ წინაპირობადაა განსაზღვრული ისეთი ეკონომიკური წესრიგი, რომლის ფარგლებშიც პროდუქცია არაცენტრალური მმართველობითი სტრუქტურების მიერ იქნება განაწილებული, არამედ რომლის პირობებშიც თავად მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი სხვადასხვა ორგანიზაციის სხვადასხვა შემოთავაზებას შორის მათთვის სასურველ და შეთანხმებით პირობებში. არჩევანის გაკეთების სამართლებრივი მექანიზმი არის ხელშეკრულება, რომლის დადებაშიც საბაზრო პროცესების მონაწილენი სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ. რამდენადაც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე თავის მეორე აბზაცი კონკურენციის შეზღუდვის გამომწვევ ხელშეკრულებებს სამართლებრივი ძალის არმქონედ ცნობს, ეს ნორმა ასევე ითვალისწინებს, რომ ასეთ ხელშეკრულებებს ზემოსხენებული აკრძალვის გარეშე სამართლებრივი ძალა ექნებოდა. ეს აგრეთვე ამყარებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპულ აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის უზენაესი სამართალი ხელშეკრულების თავის უფლების საყოველთაო – ფუნდამენტურ პოსტულატს აყალიბებს, ამ უკანასკნელის დაცვის გარანტია მოცემულია ცალკეული წევრი სახელმწიფოების ცალკეულ სამართლებრივ სისტემებში.⁸

2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულების დადებიდან ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია ასევე შევიდა ევროკავშირის უზენაეს სამართალში.⁹ ესეც არ შეიცავს ხელშეკრულების თავისუფლებას პირდაპირი გზით. თავისუფლების ზოგადი უფლება, როგორც ეს მეექვსე თავშია მოცემული, გულისხმობს, დამაჯერებელ ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით, ფიზიკური გადაა-

⁸ Fritz Rittner, Die wirtschaftsrechtliche Ordnung der EG und das Privatrecht, Juristenzeitung, 1990, 838, 841; ასევე Ulrich Immenga, Thesen zur Privatrechtsangleichung, Europäische Zeitschrift für Wirtschaftsrecht, 1993, 169.

⁹ იხ. ზემოთ, 6.

დგილების თავისუფლებას და არა რაიმე სხვა ქმედების თავისუფლებას.¹⁰ კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ცალკეული ასპექტები, როგორებიცაა ქორწინების ხელშეკრულების უფლება – თავი 9, გაერთიანებებში შესვლის უფლება – თავი 12 და პროფესიული საქმიანობის არჩევისა და განხორციელების უფლება – თავი 15, გაშლილია შემდგომ განსაზღვრებებში. პროფესიული საქმიანობის თავისუფალი არჩევისა და განხორციელების უფლება, რაც დიდი ხანია ფუნდამენტურ პრინციპადაა აღიარებული ევროპის სამართალში, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დადგენილებებზე დაყრდნობით, ასევე შეიცავს საქმიანი პარტნიორის თავისუფალი არჩევის უფლებას.¹¹ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო მეთექვსმეტე თავზე დაყრდნობით, ხელშეკრულების თავისუფლებას ასევე განიხილავს, როგორც სამენარმეო საქმიანობის თავისუფლების ნაწილს.¹² საბოლოოდ მეჩვიდმეტე თავში მოცემული საკუთრების დაცვის გარანტიამ ახვევა მოცემული ყოველი ადამიანის უფლება, ისარგებლოს, ფლობდეს და განკარგოს საკუთარი ქონება მემკვიდრეობის პრინციპით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნები საკუთრების დაცვის გარანტიის კატეგორიაში მოხვდება, ასეთ დროს ეს ხელშეკრულებები ნარმოადგენს საკუთრებით სარგებლობისა და საკუთრების ფლობის ფორმებს, როგორც ამას მეჩვიდმეტე თავი ითვალისწინებს. უფლება საკუთრების მოპოვებისა ასეთი შემთხვევისას მოცემული არ არის.¹³

რამდენადაც ფუნდამენტურია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მთლიანი კერძო სამართლისთვის, იმდენადვე ფრაგმენტულადაა მოცემული ამ უკანასკნელის დაცვის მექანიზმები ევროკავშირის უზენაეს სამართალში. როგორც ლუთინგ ჰაუსი თავისი ჰაბილიტაციის ნაშრომში აღნიშნავს, მოცემულია მხოლოდ ცალკეული და კონტექსტუალურ – სპეციფიკური დაცვის მექანიზმები და არასაყოველთაო – მომცველობითი გარანტიები.¹⁴ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მეთექვსმეტე თავი და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისას მეერთე თავი ეხება მხოლოდ ორგანიზაციებს, პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებას და ევროკავშირის საერთო ბაზარს. ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მეჩვიდმეტე თავი ეხება მხოლოდ მესაკუთრეებს. არსებობს გარანტიები მხოლოდ ცალკეული, სპეციფიკური შემთხვევებისთვის. თუ რამდენადაა დაცული მომხმარებელთა ხელშეკრულების თავისუფლება უზენაეს-სამართლებრივად, არ ექვემდებარება გადამწყვეტ დადგენას.

V. ხელშეკრულების თავისუფლება ევროკავშირის მეორეულ სამართალში

ევროკავშირის მეორეული სამართალი, რამდენადაც ეს უკანასკნელი კერძო ხელშეკრულებების სფეროზე ვრცელდება, ძირითადად მაიძულებელ ხასიათს ატარებს. უმეტესი სამართლებრივი ნორმა ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას და მხოლოდ შეზღუდულ ფორმაში აყენებს მას წინაპირობად.¹⁵ მთელი რიგი სამართლებრივი აქტები მომხმარებელთა უფლებების, პირთა გადაადგილების, ანტიდისკრიმინაციული მიდგომების, შრომის კოდექსის, სამენარმეო საქმიანობისა და საბაზრო-ეკონომიკური სამართლის, სადაზღვეო და საბანკო-საფინანსო სამართლის

¹⁰ Norbert Bernsdorff in Jürgen Meyer (Hrsg.), Kommentar zur Charta der Grundrechte der Europäischen Union, Baden-Baden 2003, Art. 6, Rz. 11.

¹¹ EuGH, 10.7.1991, verb. Rs. C-90 und 91/90 (Jean Neu), ECLI:EU:C:1991:303, Rn. 13.

¹² EuGH, 18.7.2013, Rs. C-426/11 (Alemo-Herron ./ Parkwood Leisure), ECLI:EU:C:2013:521, Rn. 32.

¹³ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 52-ე თავის მესამე აბზაცის თანახმად, ქარტიაში მოცემული უფლებები დანახულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მოცემულ უფლებებთან ჰარმონიაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილება, 13.6.1979 (6833/74-Marckx ./ Belgien,), ველის ნ. 50, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი პროტოკოლის პირველი თავი ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ უკვე არსებული საკუთრების დაცვას; იხ. აგრეთვე Karen Reid, A Practitioner's Guide to the European Convention on Human Rights, 2. Aufl. London 2004, S. 461.

¹⁴ Jan Lüttringhaus, Vertragsfreiheit und ihre Materialisierung im Binnenmarkt, Tübingen Mohr Siebeck, im Erscheinen, Kap. 2 § 1.

¹⁵ იხ. Annette Nordhausen Scholes in Norbert Reich/Annette Nordhausen Scholes/Jeremy Scholes, Understanding EU Internal Market Law, Cambridge and Antwerp 2015, S. 515 ff

შესახებ პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება სახელშეკრულებო სამართალს. ყველა ეს აქტი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ერთმხრივად ან ორმხრივად მაიძულებელი ხასიათისაა.

მხოლოდ მცირედი ამ სამართლებრივი აქტებისა მიუთითებს მხარეთა შესაძლებლობაზე, გაარკვიონ გარკვეულ საგანთან დაკავშირებით წარმოქმნილი ინტერესი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ასე მოხდა ევროს შემოტანასთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებებში¹⁶ და ასევე, სავაჭრო სფეროში მიღებულ ცალკეულ სამართლებრივ აქტებში.¹⁷ ასევე საბოლოო გამყიდველის რეგრესითავე მომმარაგებელთან დაკავშირებით, როგორც ეს სამომხმარებლო პროდუქციის შექმნის შესახებ დადგენილების მეოთხე თავშია მოცემული, არის მკაფიოდ, დისპოზიციურად კონციპირებული.¹⁸ ევროპის საკონკურენციო სამართალში მოცემული დადგენილებები გარკვეულ ჯგუფთაგან თავისუფლების შესახებ ადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე თავის პირველ აბზაცში მოცემული ხელშეკრულების აკრძალვიდან მრავალ გამონაკლისს და მიუთითებს შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობაზე.¹⁹ ხელშეკრულების თავისუფლების სპეციფიკური კოლიზიურ-სამართლებრივი თამაშის ფორმები, როგორებიცაა ფორუმების პროროგაციისა და დეროგაციის უფლება²⁰ და საერთაშორისო კერძო სამართლით აღიარებული მხარეების ავტონომიის პრინციპი, ასევე პოულობს აღიარებას.²¹ მაიძულებელი ხასიათის მქონე სამართლებრივი აქტების ამ ფართო რიგში აშკარაა ხელშეკრულების თავისუფლებაზე მითითების ნაკლებობა. საბოლოოდ თვალსაჩინოა: ცალკეულ დასაბუთებასა და განმარტებაში მხოლოდ ფრაგმენტულადაა ხაზგასმული, რომ აქტუალურ სამართლებრივ აქტებსა თუ ნორმებში საქმე ეხება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გადახვევას²² ან ხელშეკრულების თავისუფლებით ბოროტად სარგებლობის არდა-

¹⁶ იხ. 1997 წლის 17 ივნისის ევროპის კავშირის საბჭოს დადგენილება ევროს შემოტანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების შესახებ, თავი 3, წინადადება 2, ნ. 1103/97, დოკუმენტი 1997 L 162/1; იხ. ასევე დამატებითი კომენტარი 7, რომელშიც მკაფიოდ იკითხება: „ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი დაცულ უნდა იქნეს“. იხ. ასევე 1998 წლის 3 მაისის ევროპის კავშირის საბჭოს დადგენილება ევროს შემოტანის შესახებ, (974/98/ევროპის კავშირი (EG)), დოკუმენტი 1998 L 139/1; იხ. იქ თავი 8, აბზაცი მე-2 და დამატებითი განმარტება 12.

¹⁷ იხ. 1986 წლის 18 დეკემბრის ევროპის ეკონომიკური კავშირის საბჭოს დადგენილება სავაჭრო სფეროს დამოუკიდებელ წარმომადგენლებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმების კოორდინაციის შესახებ, თავი 6, 15-ე თავის მე-5 აბზაცი (86/653/ევროპის ეკონომიკური კავშირი (EWG)), დოკუმენტი 1986 L 382/17.

¹⁸ იხ. ევროპარლამენტისა და 1999 წლის 25 მაისის ევროპის ეკონომიკური საბჭოს დადგენილება (1999/44/ევროპის ეკონომიკური კავშირი (EWG)) სამომხმარებლო პროდუქციის შექმნის გარკვეული ასპექტებისა და სამომხმარებლო პროდუქციის გარანტიების შესახებ, დოკუმენტი 1999 L 171/12; 9-ე განმარტებაში ვკითხულობთ: „ეს დადგენილება ხელუხლებელს ტოვებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს გამყიდველის, მწარმოებლის, პირვანდელი გამყიდველის ან ვინმე სხვა შუამდგომელი პირის ურთიერთობებში“.

¹⁹ იხ. *Reinhard Ellger*, in: *Ulrich Immenga/Ernst-Joachim Mestmäcker*, Hrsg., *Wettbewerbsrecht*, Bd. 1. EU/Teil 1, 5. Aufl., München 2012, Art. 101 Abs. 3 AEUV Rn. 342.

²⁰ 2012 წლის 12 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დადგენილება (ნ. 1215/2012) სავაჭრო-სამოქალაქო სფეროში გადაწყვეტილებების აღსრულების, აღიარებისა და სასამართლო პერსპექტივის შესახებ, დოკუმენტი 2012 L 351/1; იხ. ასევე 25-ე თავი პასუხისმგებელი სასამართლო ინსტანციების შესახებ შეთანხმებებზე, ასევე 19-ე განმარტება, რომლის თანახმადაც „სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეებს უნდა გააჩნდეთ კონკრეტული სასამართლო თავისუფალი არჩევის და ამ არჩევნის ხელშეკრულებაში დაფიქსირების უფლება.“

²¹ 2007 წლის 11 ივლისის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დადგენილება (ნ. 864/2007) ერთი მხარის ან მხარეთა მიერ ხელშეკრულების დარღვევის/ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში წარმოქმნილ ვალდებულებით ურთიერთობებზე გამოსაყენებელი სამართლებრივი ზომების შესახებ („რომი II“), დოკუმენტი 2007 L 199/40; 14-ე თავში მოცემულ სამართლებრივი ზომების თავისუფალი არჩევის უფლებასთან დაკავშირებით, 31-ე განმარტებაში ვკითხულობთ: „იმისათვის, რომ დაცულ იქნეს მხარეთა ავტონომია, მხარეებს თავად უნდა შეეძლოთ გამოსაყენებელი სამართლებრივი წესების არჩევა.“

²² 2004 წლის 13 დეკემბრის ევროპის კავშირის საბჭოს დადგენილება (2004/113/ევროპის კავშირი (EG)) ქალისა და მამაკაცის მიერ პროდუქტებითა და სერვისებით თანაბარი სარგებლობისა და მათზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის პრინციპის შესახებ, დოკუმენტი 2004 L 373/37; მე-14 განმარტებაში ვკითხულობთ: „ეს დადგენილება იქამდე არ უნდა ეხებოდეს ერთი პირის მიერ სასურველი სახელშეკრულებო პარტნიორის არჩევის უფლებას, სადამდეც სახელშეკრულებო პარტნიორი არ აირჩევა მისივე სქესის გამოსაყენებელი სელექციის პრინციპით.“

შეგებას.²³ ევროკავშირის მეორეულ სამართალში ამ ექსკურსით მიღებული შედეგი, შესაბამისად, არის საკმაოდ არათანმიმდევრული. მსჯელობა შემოფარგლულია მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე საფრთხეების აღნიშვნით, საერთოდ არაა ხაზგასმული ხელშეკრულების თავისუფლების პოზიტიური ასპექტები და ამ უკანასკნელის განხორციელებაში მოქალაქეებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის როლი. შეეხება თუ არა საერთოდ თემა ხელშეკრულების თავის უფლებას, შემთხვევითობასაა მინდობილი, მაგრამ ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ გარკვეული საპირისპირო ტენდენციებიც იკვეთება. საბოლოოდ, რაინერ შულცეს დახმარებით, შეიძლება იმ დასკვნამდე მისვლა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლების სახით, საქმე ეხება რაღაც საყოველთაოსა და უზენაესს და არა ევროკავშირის მეორეული სამართლის რომელიმე სფეროთი თუ სექტორით შემოფარგლულ პრინციპს“.²⁴

VI. ხელშეკრულების თავისუფლება სასამართლო პრაქტიკაში

ზემოხსენებული დასკვნა გამყარებულია ახალ სასამართლო პრაქტიკაში მიღებული გადაწყვეტილებებით, რომლებშიც სულ უფრო მეტ მინიშნებას ვპოულობთ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე. ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე მზარდი სიხშირით კეთდება ნორმატიული დასკვნები. მაგალითისათვის გამოდგება 1992 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სასამართლომ უარი განაცხადა, დაევალებინა შესაბამისი კომისიისათვის კონტრაპირების იძულების გატარება იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს ევროპის კავშირის სამართლის 81-ე თავში მოცემული კარტელური საქმიანობის ამკრძალავი ნორმა. გადაწყვეტილების დასასაბუთებლად სასამართლომ მიმართა იმ არგუმენტაციას, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება უნდა დარჩეს ხელუხლებელ ნორმად“ და რომ არსებობს არაერთი გზა, 81-ე თავში მოცემული ნორმის საწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად.²⁵

ერთ-ერთი წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შრომითსამართლებრივი ხასიათის პროცესის მსვლელობისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართეს კითხვით, შეუძლია თუ არა კონკრეტული საწარმოს კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით შეუბოჭავი შემსყიდველი, 77/187²⁶-ე დადგენილების თანახმად, იმ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო საწარმოს გასხვისების შემდეგ და რომელსაც ექნებოდა იურიდიული ძალა განმსხვისებლისთვის საწარმოს გასხვისების გარეშე. სასამართლო უარყოფს ასეთი ტიპის შეუბოჭილობას და ასაბუთებს ამას იმ არგუმენტით, რომ „ზოგადად, ხელშეკრულება ან სახელშეკრულებო ურთიერთობა დამყარებულია კერძო ავტონომიის პრინციპზე, რომლის თანახმადაც მხარეები თავისუფალნი არიან ორმხრივი ვალდებულებების დაკმაყოფილებაში. ამ პრინციპზე დაყრდნობით, მოცემულ სიტუაციაში ბრალდებულზე, რომელიც არ წარმოადგენს დამსაქმებელი ორგანიზაციის წევრს და შეუბოჭავია კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით, არ ვრცელდება ასეთი ტიპის კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და უფლებები.“²⁷

²³ 2011 წლის 16 თებერვლის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დადგენილება (2011/7/EU) ფინანსურ ურთიერთობებში გადახდის დაგვიანების დაძლევის შესახებ (ახალი გამოცემა); დოკუმენტი 2011 L 48/1; ამ სამართლებრივი აქტის აუცილებელი გამოყენება ორგანიზაციებსა და კომპანიებს შორის ურთიერთობებში 28-ე განმარტებაში ახსნილია იმით, რომ „ხელშეკრულების თავისუფლების ბოროტად გამოყენება კრედიტორის საზიანოდ... ამ ნორმის თანახმად, აკრძალულია.“

²⁴ Reiner Schulze, Grundsätze des Vertragsschlusses im *acquis communautaire*, *Gemeinschaftsprivat*recht 2005, 56 f; ähnlich Bettina Heiderhoff, *Europäisches Privatrecht*, 4. Aufl. Heidelberg, Rn. 233 ff.

²⁵ EuG 18.9.1992, Rs. T-24/90 (*Automec*), ECLI:EU:T:1992:97, Rn. 50-52.

²⁶ 1977 წლის 14 თებერვლის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს დადგენილება (77/187/EWG) ორგანიზაციების, საწარმოების ან საწარმოების ნაწილების გასხვისებისას მშრომელთა მოთხოვნების დაცვა/შენარჩუნების შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართლებრივი ნორმების ურთიერთდაახლოებასთან დაკავშირებით, დოკუმენტი 1977 L 61/26, შეიცვალა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს 1998 წლის 29 ივნისის დეკრეტით, დოკუმენტი 1998 L 201/88.

²⁷ EuGH 9.3.2006, Rs. C-499/04 (*Werhof ./. Freeway Traffic Systems*), ECLI:EU:C:2006:168, Rn. 23; შეზღუდულია მოქმედებაში სამუშაო ხელშეკრულებაში შემზღუდველი პირობის არსებობის შემთხვევაში, EuGH 27.4.2017, verb. Rs. C-680/15 und 681/15 (*Asklepios ./. Felja und Graf*), ECLI:EU:C:2017:317, Rn. 21.

ასევე, საგადასახადო სამართალთან დაკავშირებულ ახალ გადაწყვეტილებებში ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ შეზღუდა გარკვეული, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე აგებული შეთანხმებები და ამ გზით შეჯერდა გარკვეულ დასკვნებზე საგადასახადო სამართლის სფეროში.²⁸ ასევე თვალსაჩინოა, შემდგომში, სასამართლოს პოზიცია ციტრუსის გადამამუშავების ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გადართობის შესახებ. ამ კონტექსტში სასამართლო ადგენს, რომ „მხარეების უფლება, შეცვალონ მათ მიერ დადებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს ემყარება და შესაბამისად, არ ექვემდებარება შეზღუდვას, თუ არ არსებობს რაიმე საყოველთაო-უზენაესი ნორმა, რაც ასეთი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობაში რაიმე შეზღუდვებს ითვალისწინებს. ამის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ასეთი სახის ცვლილება არ შეიძლება, რომ დაუშვებლად იქნეს მიჩნეული იქამდე, სანამ ცვლილების მიზანი არ ეწინააღმდეგება საყოველთაო-უზენაეს ნორმას და არ ზრდის თაღლითობის საფრთხეს.“²⁹

პირველად ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-16 თავში³⁰ ბიზნეს-სამეწარმეო სფეროზე გავრცელებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ჩანერგვამ გამოიწვია ის, რომ ევროპული სასამართლოები მზარდი სიხშირით ეყრდნობიან და ხელმძღვანელობენ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით.³¹ მაშინაც კი, როდესაც სასამართლოები, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, ემხრობიან ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას ამ უკანასკნელთან წინააღმდეგობაში მოსული რეალიებისა და მიზნების გათვალისწინებით³², მათ პრაქტიკაში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მაინც ატარებს ერთგვარ დამაკონკრეტებელ და სიცხადის შემომტან ფუნქციას, როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის მეორეული სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციას. მაგალითისათვის, სასამართლომ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, მართლზომიერად ჩათვალა კრედიტორის მიერ განცხადებული უარი ვალის გადახდის ვადის გადაცილებით გამოწვეული პროცენტის მიღებაზე და სანაცვლოდ, მის მიერ ძირითადი ვალის ერთიანი მიღების მოთხოვნა³³, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება გადახდის ვადის გადაცილების შესახებ³⁴, შემცველი კრედიტორის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მაიძულებელი მექანიზმებისა, სხვა რამეს ითვალისწინებდა.

VII. ხელშეკრულების თავისუფლება და ევროპის ეკონომიკური სამართალი

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპმა უდავოდ ჰპოვა აღიარება ევროკავშირის სამართალში. ამ პრინციპის საყოველთაო აღიარება მკაფიოდ მოდის წინააღმდეგობაში ხელშეკრულების თავისუფლების მიმართულებით ევროკავშირის სამართლის განვითარების ფორმებთან. ეს უკანასკნელი ხასიათდება ფრაგმენტულობითა და სამართლებრივი აქტების მაიძულებელი ხასიათით.

ამ კონტექსტში ინტერესის საგანს წარმოადგენს კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო სამართლის მაიძულებელი ბუნების კონფლიქტი. ის, ვინც ხელშეკრულების თავისუფლების პრიზმიდან ევროკავშირის სამართალს დააკვირდება, დაინახავს მხოლოდ და მხოლოდ მრავალჯერად

²⁸ EuGH 22.3.2007, Rs. C-437/04 (Kommission ./ Belgien), ECLI:EU:C:2007:178, Rn. 51; EuGH 18.7.2007, Rs. C-277/05 (Société Thermale d'Eugénie-les-Bains), ECLI:EU:C:2007:440, Rn. 21.

²⁹ EuGH 5.10.1999, Rs. C-240/97 (Spanien ./ Kommission), ECLI:EU:C:1999:479, Rn. 99 f.

³⁰ იხ. ზემოთ ტექსტში სქოლიო ნ. 14.

³¹ იხ. მაგ., EuGH 22.1.2013, Rs. C-283/11 (Sky Österreich ./ Österreichischer Rundfunk), ECLI:EU:C:2013:28, Rn. 42 f.; EuGH 21.12.2016, Rs. C-201/15 (AGET Iraklis ./ Ypourgos Ergasias), ECLI:EU:C:2016:972, Rn. 67 ff.; EuGH 30.16.2016, Rs. C-134/15 (Lidl ./ Freistaat Sachsen), ECLI:EU:C:2016:498, Rn. 28 ff.

³² Aget Irakli-ის შემთხვევაში, იხ. წინა სქოლიო, ველის ნ. 102, სამსახურიდან მასობრივი დათხოვნების აკრძალვა, რომელიც სრულიად გაურკვეველ წინაპირობებს იყო მიბმული და სახელმწიფო ხელისუფლებებს მოქმედების შეუზღუდავ არეალს აძლევდა, მიჩნეულ იქნა არათანაზომიერ დარღვევად ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-16 თავის მიმართ.

³³ EuGH 16.2.2017, Rs. C-555/14 (IOS Finance ./ Servicio Murciano de Salud), ECLI:EU:C:2017:121, Rn. 31.

³⁴ იხ. ზემოთ სქოლიო ნ. 25.

ჩარევებს ხელშეკრულების დადების, ამ უკანასკნელის შინაარსის განსაზღვრისა და სახელშეკრულებო პარტნიორის შერჩევის თავისუფლებაში. ასეთი ტიპის ჩარევები დომინირებს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ ხელშეკრულებების ინტერპრეტირება ისეთივე მცირე როლს ასრულებს, როგორცაც ასეთი ხელშეკრულებების ინტერპრეტირება დისპოზიციური სახელმწიფო წესრიგის ჩარჩოში. ზუსტად ასეთი შეკითხვებია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმაღლესი სასამართლოების სახელშეკრულებო-სამართლებრივი პრაქტიკის წინაშე. ისინი აიძულებენ იურისტებს, გაანალიზონ აქცენტები სუბიექტურად სასურველ ტექსტზე, ეკონომიკური აზრის მქონე პოსტულატსა და დისპოზიციური სამართლის კუთხით დასაბუთებულ რისკებზე. ეს ყველაფერი მოქმედებს იურისტების მიერ სახელშეკრულებო სამართლის გაგების ფორმირებაზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სამართალთან დაკავშირებული შეკითხვები ევროკავშირის უმაღლეს სასამართლოებამდე ვერ აღწევს, რამდენადაც, ევროკავშირის სამართლის თანახმად, სასამართლოები არ არიან აღჭურვილნი სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტირების კომპეტენციით. აქედან გამომდინარე, კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ზემოთ მოყვანილი აღიარებები ხშირად მოკლებულია რეალური, დამავალდებულებელი მოქმედების ძალას. საუკეთესო შემთხვევაში ისინი ქმნიან დებატების საფუძველს ბევრი მაიძულებელი ხასიათის მქონე სამართლებრივი ნორმის მასშტაბების შესახებ. ევროკავშირის კერძო სამართალი არის, როგორც ეს ევროპული სამომხმარებლო სამართლის ერთ-ერთმა პროტაგონისტმა – მიკელიცმა მატერიით შემოფარგვლის გარეშე ჩამოაყალიბა, „რეგულატორული კერძო სამართალი.“³⁵ ევროკავშირის კანონმდებლობა და სასამართლოების პრაქტიკა სახელშეკრულებო სამართლის სფეროში ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილე იურისტების მიერ აღიქმება, როგორც იძულებითი კორსეტი, რაც მათ ევროკავშირის საერთო ბაზარზე მათი კაუტელარულ-იურიდიული როლის აღქმაში სირთულეებს უქმნის. ამით აიხსნება, ალბათ, კომისიის მიერ ერთიანი ევროპული ნასყიდობის სამართალთან³⁶ დაკავშირებით შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე ნათქვამი უარი და ამ უკანასკნელის სრული უკუგდება.³⁷ ამ ტექსტშიც საქმე ეხებოდა ძლიერ და სუსტ მხარეებს შორის ურთიერთობას. ტექსტის თანახმად, წინ წამოინია სუსტი მხარის დაცვის საჭიროებამ.

გერმანიაში კანონშემოქმედმა ნორმები ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველი და მომხმარებელთა საზიანო სახელშეკრულებო პირობების შესახებ ასახა გარიგების საყოველთაო პირობებში (*Allgemeine Geschäftsbedingungen*, *AGB*) დასაწყისი რეგულაციების შემუშავების შემდეგ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-დან 310-მდე პარაგრაფებში სპეციალური კანონის სახით.¹¹ ამ კონტექსტში კანონი ასხვავებს კითხვას, რამდენად რეალური მოქმედების ძალით ჩაიდო მომხმარებელთა საზიანო პირობა ხელშეკრულებაში, იმისაგან, აქვს თუ არა ამ უკანასკნელს მატერიალური მოქმედების ძალა. *Die gesonderte Prüfung der Fragen einer wirksamen Einbeziehung erlaubt es den Gerichten, das Prinzip der Privatautonomie zu wahren, weil die Feststellung der fehlenden Einbeziehung formal kein Urteil über den materiellen Gehalt einer Klausel enthält.* იმის საგანგებო გადამონმება,

⁸ § 138 BGB (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, პარაგრაფი 138), სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური ფასეულობების დაცვის შესახებ, იხ. *Palandt Elllenberger BGB*, 76. Aufl., § 138 Rz. 3., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამოცემა 76, პარაგრაფი 138, ველის ნ. 3.

⁹ აქ მნიშვნელოვანია ევროკავშირის 1994 წლის 25 მაისის დადგენილება 99/44 (EU-Richtlinie 99/44 vom 25.5.1994) სამომხმარებლო პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ.

¹⁰ გარიგების საყოველთაო პირობების (*AGB*) კონტროლი, თავდაპირველად ხორციელდებოდა ზნეობის ნორმების უგულვებელყოფის დაუშვებლობის პრინციპზე დაყრდნობით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, პარაგრაფი 138 (§ 138 BGB), მოგვიანებით ამ მოსაზრებას ვპოულობთ ერთგულებისა და კეთილსინდისიერების შესახებ მითითებებში, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, პარაგრაფი 242 (§ 242 BGB), *Schmoeckel u.a./Hofer Historisch-kritischer Kommentar zum BGB*, Band II Schuldrecht, 2. Teilband, § 305.

¹¹ გერმანიაში გარიგების საყოველთაო პირობები განისაზღვრა 1976 წლის 9 დეკემბრის კანონით. კანონშემოქმედმა ამ აქტით არსებითად სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული გადაწყვეტის სტრატეგიები გადაიტანა კანონში.

რამდენად გამართულად არის ხსენებული პირობა ხელშეკრულებაში ინტეგრირებული, სასამართლოებს აძლევს საშუალებას, შეინარჩუნონ კერძო ავტონომიის პრინციპი, რადგანაც პირობის ხელშეკრულებაში არარსებობის დადგენა არ ნიშნავს ფორმალურად განაჩენის დადგენას ასეთი პირობის მატერიალური შინაარსის შესახებ. ის, რომ აქ ნაწილობრივ დაფარული მატერიალური კონტროლი იკვეთება, კარგად ჩანს მოულოდნელი სახელშეკრულებო პირობების ამოღებით.¹²

ამას გარდა, კანონი შეიცავს განსაზღვრებებს ზემოხსენებული პირობის სამართლებრივი მოქმედების ძალის მატერიალური კონტროლის შესახებ. ეს განსაზღვრებები მოიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე და 309-ე პარაგრაფებში დაუშვებლად მიჩნეული სახელშეკრულებო პირობების ჩამონათვალს და ერთ საყოველთაო ნორმას (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე პარაგრაფი), რომლის თანახმად სახელშეკრულებო პირობა ცხადდება ბათილად, „თუ ეს უკანასკნელი კონკრეტული სახელშეკრულებო მხარის ინტერესებს საპირისპიროდ ერთგულების და კეთილსინდისიერების პრინციპისა არამართლზომიერად უგულბებლყოფს“.¹³ ეს განსაზღვრება წარმოადგენს სასამართლოების მიერ სახელშეკრულებო პირობების გადახედვის საყრდენს, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფის საყოველთაო შინაარსს სცილდება.¹⁴ გავრცელების არეალთან დაკავშირებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 310-ე პარაგრაფიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, გააკონტროლონ ბიზნესკორპორაციებს შორის არსებული წინასწარ ფორმულირებული ხელშეკრულებები, რა სახის კონტროლსაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე პარაგრაფი ითვალისწინებს.

2.2. საქართველო

ქართული სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე თავში არსებითად მისდევს იმ სტრუქტურას, რომელიც მოცემულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. ასევე აქაც, ვპოულობთ გამიჯვნას პირობის ხელშეკრულებაში ინტეგრირებულობისა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-დან 345-მდე თავები) და ამ უკანასკნელის შინაარსობრივ კონტროლს შორის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-დან 348-მდე თავები). ამას გარდა, ქართული სამართალი, მსგავსად გერმანული სამართლისა, ასევე განასხვავებს ერთმანეთისაგან ზოგად-საყოველთაო სამართლებრივ ნორმას, მოცემულს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე თავში, რომელიც, გერმანული სამართლის თანახმადაც, სახელშეკრულებო მხარის ინტერესების ერთგულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამო უგულბებლყოფის აღმოფხვრათაზეა ორიენტირებული და სხვა სპეციფიკურ სახელშეკრულებო-სამართლებრივ შეზღუდვებს. განსხვავებით გერმანული სამართლისა, ქართულ სამართალში მოცემული სპეციფიკური სახელშეკრულებო-სამართლებრივი შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე. ამისაგან განსხვავებით, ზოგად-საყოველთაო სამართლებრივი ნორმა ისეა ფორმულირებული, რომ ის ვრცელდება ასევე ორგანიზაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებებზეც. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი კონფლიქტის შეფასებისას, მოსამართლე მაინც უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულების დადების განსაკუთრებულ გარემოებებს.

2.3. საფრანგეთი

ფრანგულ სამართალში ასევე ვპოულობთ ფორმალურ გამიჯვნას მომხმარებელთა დაცვაზე ორიენტირებულ რეგულაციებსა¹⁵ და ზოგად-საყოველთაო სამართლებრივ ნორმებს შორის.

¹² გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-ე ც პარაგრაფის პირველი აბზაცი (§ 305 c Abs.1 BGB), ამ დადგენილების საფუძველზე, სასამართლოები ფორმალური კონტროლიდან გადადიან მატერიალურ კონტროლზე.

¹³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი (§ 307 Abs. 2 BGB) სახელშეკრულებო მხარის ინტერესების არამართლზომიერი უგულბებლყოფა ჩათვლილია მოცემულად, თუ ხელშეკრულების კონკრეტული პირობა “შეუთავსებელია კანონიერი ნორმის ძირითად შინაარსთან” (*mit wesentlichen Grundgedanken der gesetzlichen Regelung nicht vereinbar ist*)

¹⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე და 305-ე პარაგრაფების (§ 138 BGB und §§ 305 BGB ff) განსასხვავებლად, Palandt *Grüneberg* BGB, 76. Aufl., Überbl v § 305 Rz. 15, გადამწყვეტი მნიშვნელობის განსხვავება, ამის თანახმად, ისაა, რომ 138-ე პარაგრაფი (§ 138 BGB) მოთხოვნილია სუბიექტური კომპონენტი, მაშინ, როდესაც 305-ე პარაგრაფის (§ 305 BGB) საფუძველზე მიმდინარე კონტროლისას საკმარისია ობიექტური დარღვევა.

¹⁵ Art. L 212-1 Code de la Consommation.

ორივე მათგანი შინაარსობრივი თვალსაზრისით წარმომდგარია ევროკავშირის სამართალში მოცემული, ერთი სახელშეკრულებო მხარის საზიანო „მნიშვნელოვანი უთანასწორობის“ განმარტებიდან. საფუძველი ბიზნეს-სამეწარმეო საქმიანობის სფეროში მიმდინარე სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისა იყო ადჰეზიური ხელშეკრულების ტერმინი (*Adhäsionsvertrag*-ხელშეკრულებით განსაზღვრული მიერთება), რომელიც განსაზღვრულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1110-ე თავის მეორე აბზაცით. გერმანული სამართლის მსგავსად, აქაც საქმე ეხება ცალმხრივად დადებული სახელშეკრულებო პირობების შემთხვევებს.¹⁶ ამ კონტექსტში, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, ეს ხდებოდეს „ხელშეკრულებათა მრავალრიცხოვნების პირობებში“.¹⁷ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს ადჰეზიურ ხელშეკრულებასთან, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1171-ე თავის საფუძველზე, ბათილად ცხადდება ხელშეკრულების ყველა ის პირობა, რომლებიც მხარეებს შორის „მნიშვნელოვან უთანასწორობას“ წარმოქმნის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სამართლებრივი განსაზღვრების სახით საქმე ეხება ახალ იურიდიულ ნორმას, უმაღლესი სასამართლოების მიერ ჯერ კიდევ გადაუწყვეტილია ის საკითხი, საჭიროა თუ არა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1171-ე თავის ინტერპრეტირებისათვის სამომხმარებლო სამართლით განსაზღვრული ხელშეკრულების შემზღვეველი სხვა სპეციალური აკრძალვების შემოტანა.¹⁸

2.4. რუსეთი

რუსულ სამართალში ჩვენ ვპოულობთ გარკვეულ პარალელებს ფრანგულ სამართალთან. ერთი მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მეთექვსმეტე თავში მოიძებნება ერთი სპეციალური განსაზღვრება მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებით.¹⁹ მეორე მხრივ, რუსეთის კოლიზიური სამართლის 428-ე თავი შეიცავს ნორმას ადჰეზიური ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც ორგანიზაციებს შორის მიმდინარე სამართლებრივ ურთიერთობებზეც ვრცელდება. ამ უკანასკნელის თანახმად, ისევე, როგორც ფრანგულ სამართალში, საქმე ეხება იმას, თუ რამდენად ცალმხრივად დაიდო სახელშეკრულებო პირობები ერთი მხარის მიერ და რამდენად არ ჰქონდა მეორე მხარეს ამაში ცვლილების შეტანის საშუალება. სინამდვილეში, ნორმა ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევებში ექვემდებარებოდა ამოქმედებას, თუ ხელშეკრულება მთლიანად ერთი მხარის მიერ იყო წინასწარ ფორმულირებული. ამას გარდა, სასამართლოები ითხოვდნენ ხელშეკრულების შედგენაზე გავლენის მოხდენის შეუძლებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რაც რთულად მოსაძიებელი იყო. ამის გამო, შეზღუდული იყო ხსენებული სამართლებრივი ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა.²⁰ ამ თვალსაზრისით ვითარება გაუმჯობესდა რუსეთის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით, რომლის თანახმად, საკმარისია, რომ ხელშეკრულებაში ცალკეული პირობებიც კი ცალმხრივად იყოს შეტანილი, რათა

¹⁶ იმიტომ, რომ მოცემულად ჩაითვალოს ადჰეზიური ხელშეკრულების შემთხვევა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1110-ე თავის მეორე აბზაცზე (Art. 1110 Abs.2 Code Civil) დაყრდნობით (იგულისხმება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის უახლესი, ამ წლის ვერსია), საჭიროა, ხელშეკრულება შეიცავდეს „არაურთიერთშეთანხმებული პირობების ერთობლიობას“ (*„Gesamtheit nicht verhandelbarer Bestimmungen“*).

¹⁷ იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი (§ 305 Abs.1 BGB), კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამუშავებული ტექსტი არ შედის ამ კატეგორიაში, გერმანიის უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებები, ახალი იურიდიული საკვირაო ჟურნალი (*Neue Juristische Wochenschrift*), სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვები, 2002, გვ. 13 (BGH NJW-RR 2002, S. 13.).

¹⁸ *Niggemann AGB-Kontrolle im kaufmännischen Geschäftsverkehr nach der Reform des französischen Code 2.4 Civil RIW 2018 Nr. 10, S. 658.*

¹⁹ *Закон о защите прав потребителей* от 09.02.1992, მეთექვსმეტე თავზე დაყრდნობით, ბათილია მომხმარებელთა დადებული ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც ხელყოფს მომხმარებელთა უფლებებს. თუმცა 2012 წლის 28 ივნისის დოკუმენტში ნომრით 17 – *Постановление о рассмотрении судами гражданских дел по спорам о защите прав потребителей* - უმაღლესი სასამართლო აღარ განავრცობს კანონის ამ თავს.

²⁰ *Фогельсон, Защита от несправедливых условий договоров в российской судебной практике, Закон 2018 № 10, с. 163 (165).*

დადგინდეს მხარის მიერ ხელშეკრულებაზე გავლენის მოხდენის შეზღუდულობა.²¹ 2015 წელს კანონში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.

2.5. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი

ასევე ინგლისურ სამართალშიც ვპოულობთ ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობაში მყოფ სპეციფიკურ ნორმას, რომელიც არეგულირებს მომხმარებელთათვის გათვალისწინებული ხელშეკრულებების პირობებს.²² ადრე მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ხელშეკრულების მხარეებისაგან დამოუკიდებლად ზღუდავდა პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი სახელშეკრულებო პირობების გამოყენებას. 1977 წლის Unfair Contract Terms Act-ში (დადგენილება სახელშეკრულებო პირობების უთანასწორობის შესახებ) მოცემულ ნორმებზე დაყრდნობით, ბათილადაა გამოცხადებული პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი სახელშეკრულებო პირობები, თუ ისინი აუქმებენ პასუხისმგებლობის ტვირთს სხვისი ცხოვრებისა ან/და ჯანმრთელობისათვის დაუდევრობით მიყენებულ ზიანზე.²³ ამ შემთხვევისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის ტვირთისაგან განთავისუფლება სხვა უფლებრივი სიკეთეების დაზიანების შემთხვევაში, ამ კანონის თანახმად, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ის „გონივრულია“ (reasonable).²⁴ განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორაა ეს ცნება პრაქტიკაში გამოსაყენებლად, მოცემულია კანონთან დაკავშირებული დანართის მეორე სექციაში. ამის თანახმად, სხვა ყველაფერთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება:

დაბალანსებული იყო თუ არა მხარეთა ხელთ არსებული მოლაპარაკების ინსტრუმენტები; მიეცა თუ არა მხარე/მომხმარებელს სახელშეკრულებო პირობების მიღების მოტივაცია;

ჰქონდა თუ არა ამ უკანასკნელს ვინმე მესამე პირთან შესაბამისი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა სხვა პირობებით;

მიუთითა თუ არა სახელშეკრულებო პირობების ხელშეკრულებაში შემტანმა ხელშეკრულების მეორე მხარეს ამ პირობებსა და მათ შესაძლო შედეგებზე.

სასამართლო პრაქტიკაში ინგლისური სასამართლოები თავშეკავებით გამოირჩევიან. მაგალითისათვის, ინგლისის სააპელაციო სასამართლომ 2001 წელს შპს “Watford Electronics”-ის და შპს “Sanderson”-ის სასამართლო დავაში²⁵ მიზანშეწონილად მიიჩნია, თავშეკავებულად ჩარეულიყო ორგანიზაციებს შორის მიმდინარე ურთიერთობების ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებში. სასამართლომ ეს მიდგომა იმით დაასაბუთა, რომ მოლაპარაკებების თანაბარი ინსტრუმენტების მქონე გამოცდილ ბიზნესმენებს უკეთ უნდა მოესხენებოდეთ, რამდენად მომგებიან გარიგება დადეს. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის, რომ ისინი არ დასთანხმდებოდნენ არცერთ შეთანხმებას, რაც, მათი აზრით, იქნებოდა წამგებიანი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სახელშეკრულებო პირობა იმდენად შეუსაბამოდა წამგებიანია, რომ შეუძლებელია იმის მიჩნევა, რომ ხელშეკრულების მხარემ ეს უკანასკნელი სწორად გაიგო, სასამართლოს შეუძლია ჩარევა და სახელშეკრულებო პირობის ბათილად ცნობა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამართალს Uniform Commercial Code-ის (ერთიანი კომერციული კოდექსი) დონეზე გააჩნია ერთი რეგულაცია, რომელიც ზნეობის ნორმებთან დაპირისპირებული ხელშეკრულებების საყოველთაო აკრძალვის იდენტურია. UCC-ის 2-დან 302-მდე პარაგრაფებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, რომ „უსინდისო“ (unconscionable) სახელშეკრულებო ნორმები გამოცხადდეს ბათილად.

²¹ (Постановление Пленума Высшего Арбитражного Суда РФ от 14 марта 2014 г. N 16 “О свободе договора и ее пределах”, Pt. 9.) 2014 წლის 14 მარტის უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს პლენუმის დადგენილება ნომრით 16 „გარიგების თავისუფლებისა და მისი საზღვრების შესახებ“, გვ. 9.

²² Unfair Terms in Consumer Contracts Regulations (მომხმარებელთათვის გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობების უთანასწორო განსაზღვრა), 1999.

²³ სექცია 2 (1) Unfair Contract Terms Act.

²⁴ სექცია 2 (2) Unfair Contract Terms Act.

²⁵ Watford Electronics Ltd v Sanderson Ltd [2001] 1 All ER (Comm) 696.

2.6. კონვენციები საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ (Convention on Contracts on the international Sale of Goods, CISG)

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების შესახებ კონვენციების თანახმად, შეკითხვა ცალმხრივად დაყენებული სახელშეკრულებო პირობების მეშვეობით პასუხისმგებლობის ტვირთისაგან განთავისუფლების შესახებ, განხილულია “შიდა ხარვეზის ამოვსების” პრობლემად.²⁶ აქ შიდა ხარვეზი მოცემულია იმდენად, რამდენადაც CISG-ის საფუძველზე ვერ დგინდება რეგულაციური ნორმები იმ საზღვრებთან დაკავშირებით, რომელთა ფარგლებშიც შედგებოდა შეთანხმება პასუხისმგებლობის შემცირებისა ან პასუხისმგებლობის ტვირთის გაუქმების შესახებ. უფრო მეტად, CISG-ის მეექვსე თავი აღნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, სურვილისამებრ გადაუხვიონ კონვენციაში მოცემული ნორმებიდან. სხვა მხრივ, CISG-ის მეოთხე თავიდან გამომდინარეობს, რომ კონვენცია განიხილავს და არეგულირებს შეკითხვებს ხელშეკრულების დადებისას და შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცალკეული პირობების შეტანასთან დაკავშირებით. ამას გარდა, ამ ნორმაში აღნიშნულია, რომ ეს ნორმა „არ ეხება ცალკეული სახელშეკრულებო პირობების სამართლებრივი მოქმედების ძალას“. ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ შეკითხვა ცალკეული სახელშეკრულებო პირობების სამართლებრივი მოქმედების ძალის შესახებ რეგულირდება მოქმედ ეროვნულ სამართალზე დაყრდნობით. ამასთანავე აღნიშნულია, რომ ეროვნულ სამართალში მოცემული ნორმების გამოყენებისას განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ საქმე ეხება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას. ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპსა და გადამოწმებას “გონივრულობის” (reasonableness) არგუმენტით ხელმძღვანელობით.²⁷

2.7. გაერთვაროვნებული სამართლებრივი ნორმების სისტემები

ევროპულ სამართალში ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველი სახელშეკრულებო პირობების კონტროლის კონცეპტი 1993 წელს დამკვიდრდა, თუმცა მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია იმ ხელშეკრულებებით, რომლებიც იდება ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის.²⁸ ამ სამართლებრივი ნორმის თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, გამოსცენ რეგულაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. მესამე თავის პირველ აბზაცში მოცემულია ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველი ანუ თანასწორობის წარმომქმნელი სახელშეკრულებო პირობის განმარტება და ამ ნორმის დანართში ჩამოთვლილია მთელი რიგი პირობები, რომლებიც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, მესამე თავის მესამე აბზაცის თანახმად, შესაძლებელია, სცნონ ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველად. ევროკავშირის სამართალში ამით პასუხგაუცემელი რჩება კითხვა ორგანიზაციებს შორის არსებული წინასწარ ფორმულირებული ხელშეკრულებების ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველი პირობების კონტროლის შესახებ.

ამას გარდა, ნორმები უთანასწორო/უსამართლო სახელშეკრულებო პირობების შესახებ ასევე მოცემულია Draft Common Frame of Reference-ის (DCFR) მეორე ნიგნის მეცხრე თავის მეოთხე ნაწილში.²⁹ ამ მონაკვეთის თანახმად, „უსამართლო“ სახელშეკრულებო პირობები მაშინ მოქმედებს (ამ კონტექსტში ცნება „უსამართლო“ 403-დან 405-მდე ნორმებში განსხვავებული კონოტაციითაა განსაზღვრული), როდესაც ცალმხრივი ხასიათის წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობები გამოყენებულია მომხმარებლის ან ორგანიზაციის მიმართ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სახელშეკრულებო პირობა იმ შემთხვევაშია „უსამართლო“, თუ ის „უხეშად უხვევს კეთილსინდისიერი საქმიანობის პრაქტიკიდან“, II.-9.405 DCFR. „უხეში უსამართლობის“ აქ ნაგულისხმები

²⁶ სრულად იხ: CISG Advisory Council Opinion No.17: Limitation and Exclusion Clauses in CISG Contracts (2015), <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op17.pdf>.

²⁷ Regel 4 CISG Advisory Council Opinion No.17, Seite 23 ff. (ნესი 4, CISG Advisory Council Opinion ნ. 17, გვ. 23.)

²⁸ EU-Richtlinie 93/13 vom 5.4.1993 (ევროკავშირის სამართლებრივი ნორმა 93/13), მიღებული 1993 წლის 5 აპრილს, სამომხმარებლო ხელშეკრულებებში ბოროტად გამოყენების პოტენციალის შემცველი პირობების შესახებ.

²⁹ Draft Common Frame of Reference-ის ტექსტი, ნაკითხვადი შემდგომ ლინკზე: <https://sakig.pl/uploads/upfiles/moot/dfcr.pdf>.

მასშტაბი შეესაბამება იმას, რაც მოცემულია კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for the Unification of Private Law, UNIDROIT) პრინციპებში პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირებასთან დაკავშირებით.³⁰

DCFR9.407 შეიცავს ასევე ცნება „სამართლიანობის“ ინტერპრეტაციას, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ საერთო შეფასებისას ასევე გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულების სხვა პირობები.

3. გარიგების საყოველთაო პირობების სასამართლო კონტროლი ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებში გერმანიაში

3.1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 305-ე პარაგრაფის გამოყენება გერმანული სასამართლოების მიერ

გერმანიაში კანონშემოქმედმა თავიდანვე გაითვალისწინა ორგანიზაციათა შორის ურთიერთობებში გარიგების საყოველთაო პირობების კონტროლი სასამართლოების მიერ. გადამწყვეტი მნიშვნელობის აქ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემოსხენებული 310-ე პარაგრაფის პირველი აბზაცია, რომლის თანახმად სახელშეკრულებო პირობების გადამონმება, 307-ე პარაგრაფში მოცემული „მხარის ინტერესების არამართზომიერი უგულებელყოფის“ აკრძალვაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ასევე ორგანიზაციათა შორის მიმდინარე ხელშეკრულებით ურთიერთობებში. ამ კონტექსტში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე და 309-ე პარაგრაფებში მოცემული სპეციალური აკრძალვები ასევე ხორციელდება, ცხადია, „სავაჭრო ურთიერთობების ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინებით“.

პრაქტიკაში კანონშემოქმედის მიერ დანესებული ეს სამართლებრივი ნორმები უფრო მეტი სიმკაცრით ხორციელდება. ეს ვლინდება ორ ძირითად პუნქტში, კერძოდ, სახელშეკრულებო პირობების კონტროლის გავრცელების არეალსა და ამ კონტროლის შინაარსობრივ მასშტაბში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობების გადამონმება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოცემულია „წინასწარ ფორმულირებული ხელშეკრულება“. 305-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მესამე გვერდის თანახმად, სახელშეკრულებო პირობების გადამონმების წინაპირობა არ არის მოცემული, თუ „სახელშეკრულებო პირობები მხარეთა მიერ დეტალებშია ურთიერთშეთანხმებული“. აქ საკითხავია „ურთიერთშეთანხმების“ დანაშაულებრივი შემადგენლობის შესაძლებელი ნიშნები. გერმანიის უმაღლესი სასამართლო განასხვავებს ამ ტერმინს ჩვეულებრივი „მოლაპარაკებებისაგან“ და ამ გზით მიდის იმ დასკვნამდე, რომ სახელშეკრულებო პირობების გადამონმება ვერ გამოირიცხება იმით,³¹ რომ ხელშეკრულების მხარეები სპეციალური პროტოკოლით ადასტურებენ იმას, რომ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებულია;

სახელშეკრულებო პირობების ხელშეკრულებაში შემტანი ხელშეკრულების მეორე მხარეს წერილობით მოუწოდებს შენიშვნებისა და ცვლილებების სურვილის და ფიქსირებას;

სახელშეკრულებო პირობების ხელშეკრულებაში შემტანი ხელშეკრულების მეორე მხარეს სთავაზობს არჩევანს სხვადასხვა ალტერნატიულ ფორმულირებას შორის;

კონკრეტულ სახელშეკრულებო პირობასთან დაკავშირებით, რომელიც თავისი არსით კანონისთვის უცხოა, სახელშეკრულებო პირობების ხელშეკრულებაში შემტანი ემორჩილება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ გამოსატყუი ცვლილებების სურვილს.

³⁰ Art. 7.1.6 UNIDROIT-Principles of international Commercial Contracts (2016), (თავი 7.1.6, UNIDROIT-ის პრინციპები საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით), 2016, <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>.

³¹ იხ. Sommerfeld Rechtsflucht in Ausland wegen des deutschen AGB-Rechts im B2B-Verkehr? RIW 2018 Nr. 11, S. 741 (742). Sowie BGH, Urteil vom 22.10.2015 – VII ZR 58/14 („bring or pay II“), NZBau 2016, S.213, (სამართლის გაქცევა საზღვარგარეთ გარიგების საყოველთაო პირობების გერმანული სამართლის გამო ორგანიზაციათა შორის ურთიერთობებში? საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ჟურნალი, 2018, ნ. 11, გვ. 741 (742)). იხ. ასევე გერმანიის უმაღლესი სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება – VII ZR 58/14 („bring or pay II“), ახალი ჟურნალი სამშენებლო სამართლის შესახებ, 2016, გვ. 213.)

შინაარსობრივი კონტროლის პრობლემატიკა განსაკუთრებით ღვივდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე და 309-ე თავებში მოცემული სახელშეკრულებო პირობების სპეციალური აკრძალვების გავრცელებას ორგანიზაციებს შორის მიმდინარე სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. კანონმემოქმედმა აქ დაანესა გარკვეული შეზღუდვა შემდეგი ფორმულირების შემოტანით: *სავაჭრო ურთიერთობების ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინება*, რომლებიც უმეტესად მოკლებულია რეალური მოქმედების ძალას, რამდენადაც სავაჭრო ურთიერთობების ზნე-ჩვეულებები ყოველთვის მოცემული არ არის. სასამართლო პრაქტიკა, ამის ნაცვლად, ორგანიზაციათა შორის მიმდინარე ურთიერთობების სფეროშიც ხშირად ამოდის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე და 309-ე თავებში მოცემული აკრძალვების მტკიცებულებითი „ზუნებიდან“, რაც ხშირად იწვევს გარკვეული სახელშეკრულებო პირობების ბათილად გამოცხადებას. სასამართლო პრაქტიკაში ამის საფუძველზე არაერთი გადანყვეტილება იქნა მიღებული, რამაც შემდგომ ლიტერატურაში დიდი კრიტიკა დაიმსახურა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი გადანყვეტილებები:

რამდენიმე შემთხვევაში გერმანიის უმაღლესი სასამართლო განიხილავდა ეგრეთ წოდებული *“bring-or-pay Klauseln”*-ის სამართლებრივი მოქმედების ძალას. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ნაგვის გადამამუშავებელ ერთ ფირმას, რომელიც გარიგების საყოველთაო პირობების მეშვეობით თავის კლიენტს ავალდებულებდა, გადაეხადა თანხა ნაგვის მინიმალური რაოდენობის ჩაბარებისათვის, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა ეს რაოდენობა შემდგომ გადამამუშავებისათვის გათვალისწინებული.³² გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ ამ სახელშეკრულებო პირობაში დაინახა დავალიანებასთან დაუკავშირებელი პასუხისმგებლობის ტვირთი, რაც, მისი აზრით, აგრეთვე ორგანიზაციათაშორის მიმდინარე სამართლებრივ ურთიერთობებში მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება მოქმედებდეს. დამატებითი შემონმებისათვის უმაღლესმა სასამართლომ საქმე ჰესენის მიწის უმაღლეს სასამართლო ორგანოს გადასცა, რომელმაც ფირმის მფლობელის სარჩელი არ დააკმაყოფილა.³³

მსგავსი დასაბუთების საფუძველზე, გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ ბათილად ცნო ნაყინის მიწოდებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა „ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც მყიდველის მიერ იყო წინასწარ ფორმულირებული და მიმწოდებელს, დამოუკიდებლად ყოველგვარი დავალიანებისა, აკისრებდა ვალდებულებას, აენაზღაურებინა მყიდველისათვის პროდუქციის ნაკლით გამონვეული ყოველი დამატებითი ხარჯი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მყიდველმა, როგორც გადამყიდველმა, დააყენა პროდუქციის დაობებით გამონვეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა.³⁴ უმაღლესმა სასამართლომ დაყენებული სარჩელი არ დააკმაყოფილა სახელშეკრულებო პირობის ბათილობაზე მინიშნებით.

სხვა, ამ კონტექსტში ციტირებული და ლიტერატურაში გაკრიტიკებული გადანყვეტილებები³⁵ ეხება ნოტარიალურად დამონმებული ნასყიდობის შეთავაზების დამავალდებულებელ ხასიათს;³⁶ ორგანიზაციის კლიენტებზე საბანკო სესხის გაცემისას პროცედურული ხარჯის დაკისრების აკრძალვას.³⁷ ყველაზე მოხსენებული შემთხვევის მხედველობაში მიღებით, სამართლიანად ისმის კითხვა, ზედმეტად გაიმარტივა თუ არა საქმე გერმანიის უმაღლესმა სასამართლომც აღკვეთილი სახელშეკრულებო პირობების ბათილად გამოცხადებისათვის“ კანონის რეგულაციების ძირითად შინაარსში“ მოცემული ასპექტების მოშველიებითა და მტკიცებულებით ის ტანდარტების გამოყენებით. განსაკუთრებით, *“bring or pay”*-ის შემთხვევასთან დაკავშირებული გადანყვეტილების გამო, გერმანიის უმაღლესი სასამართლოს წინააღმდეგ გაჟღერდა ბრალდება, რომ ამ უკანასკნელმა ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინების გარეშე, ერთადერთი სახელშეკრულებო პირობის ბათილად ცნობით ჩააგდო ეკონომიკურად სარგებლიანი დამხარეთა მიერ ორმხრივად მიღებული გარიგების მოდელი.³⁸

³² BGH, Urteil vom 22.10.2015 – VII ZR 58/14 („bring or pay II“), NZBau 2016, S.213 Faber/Groß-ის შენიშვნით. ასევე *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1.

³³ OLG Frankfurt, 20.12.2016 – 5 U 6/13.

³⁴ BGH, Urteil vom 18.10.2017 – VIII ZR 86/16, NJW 2018, S. 291.

³⁵ *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1.

³⁶ BGH NJW 2016, S. 2173.

³⁷ BGH NJW 2017, S. 2986.

³⁸ *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1 (5).

3.2. სამართლებრივ-პოლიტიკური დისკუსია გერმანიაში

გერმანულ ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, ზედმეტად ფართოა თუ არა მოქმედი სამართლებრივი პრაქტიკის ქმედითი არეალი და უნდა მიეცეს თუ არა ორგანიზაციებს შორის მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს მეტი სივრცე შესაბამისი კანონმდებლობითი ზომებით.³⁹ ეს დებატი არც თუ ისე უმნიშვნელოდაა ინდუსტრიის სფეროში ოპერირებადი ჯგუფის მიერ გამძაფრებული⁴⁰ და უკანასკნელ პერიოდში დამატებით სტიმულს იღებს იმით, რომ იუსტიციის სამინისტრომ დასკვნის მომზადების დავალება გასცა.⁴¹ საბოლოოდ სახელისუფლებო პარტიების კოალიციური შეთანხმების საფუძველზე დაშვებულ იქნა, რომ გადამონმდეს გარიგების საყოველთაო პირობების სისწორე ორგანიზაციათაშორის ხელშეკრულებითი ურთიერთობებისათვის.⁴²

მსგავსი ინიციატივების მიზანი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ სანარმოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში გარიგების საყოველთაო პირობების გადამონმდებისათვის სათანადო მიზეზები უნდა იყოს მოცემული, ისაა, რომ სასამართლოს მიერ მსგავსი სახელშეკრულებო პირობების გადამონმება შეიზღუდოს ორ ძირითად ასპექტში. ერთი მხრივ, საქმე ეხება იმას, თუ რამდენადაა მოცემული „წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობები“. ინდუსტრიული გაერთიანების ინიციატივაზე დაყრდნობით, წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობები არ უნდა ჩაითვალოს მოცემულად, თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ ხელშეკრულებაზე თანხმობა განაცხადა „საკუთარი დამოუკიდებელი რაციონალური გადანყვეტილების საფუძველზე“, დამოუკიდებლად იმისა, შეტანილ იქნა თუ არა ცვლილებები ხელშეკრულების ცალკეულ პირობებში.⁴³ ამ კრიტერიუმით, მოსაზრებას მხარის დაცვის საჭიროების შესახებ ისევ ფართო ინტერპრეტაციის სივრცე ეძლევა. ინგლისური სასამართლოების თავშეკავებულობაზე ორიენტირის აღებით, სახელშეკრულებო პირობების კონტროლი აღარ უნდა შედგეს, თუ მხარეები ხელშეკრულებას თავიანთი თავისუფალი გადანყვეტილების საფუძველზე დასთანხმდნენ. ასეთი გადანყვეტილება, ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით, მოცემულად უნდა ჩაითვალოს:

თუ სახელშეკრულებო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე;
 თუ მანამდეც დაიდო მსგავსი შინაარსის შემცველი ხელშეკრულებები;
 ცვლილებების სურვილი დაფიქსირებულია ხელშეკრულების ტექსტში;
 წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო პირობების სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა ცნობილი იყო ან არ იყო ცნობილი უკიდურესი დაუდევრობის გამო;
 ხელშეკრულებების პირობები განხილული და შეთანხმებულია იურიდიული კონსულტაციების დახმარებით;

ორგანიზაციის სიდიდე იძლევა იმის დაშვების საფუძველს, რომ ხელშეკრულებამ გაიარა შიდა იურიდიული შემოწმება.

³⁹ იხ. ლიტერატურის შეჯამება Sommerfeld-თან, Rechtsflucht in Ausland wegen des deutschen AGB-Rechts im B2B-Verkehr? RIW 2018 Nr. 11, S. 741 (742).

⁴⁰ ფრანკფურტის ინიციატივა გარიგების საყოველთაო პირობების შემდგომი განვითარებისათვის, https://www.zvei.org/fileadmin/user_upload/Themen/Maerkte_Recht/Allgemeine_Geschaeftsbedingungen_im_unternehmerischen_Geschaeftsverkehr/pdf/AGB-Initiative-Positionspapier-Stand-06-2018.pdf.

⁴¹ Leuschner AGB-Recht für Verträge zwischen Unternehmen – პასუხისმგებლობის ტვირთის შეზღუდვის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, <https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/Fachinformationen/Abschlussbericht-AGB-Forschungsprojekt.html>.

⁴² Müller AGB-Kontrolle auf dem Prüfstand – Für eine Lockerung im unternehmerischen Geschäftsverkehr, IWRZ 2018, S. 153.

⁴³ ფრანკფურტელთა ინიციატივა გარიგების საყოველთაო პირობების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 310-ე პარაგრაფის პირველი აზრის შესასწორებლად (§ 310 Abs.1 BGB), (Fn. 33): (სქოლიოს ნ. 33) : თუ სახელშეკრულებო პირობები წაყენებულია ორგანიზაციის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირის ან საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე განსაკუთრებული ქონების მიმართ, ისინი არ წარმოადგენენ გარიგების საყოველთაო პირობებს, რამდენადაც ხელშეკრულების მეორე მხარემ ამ სახელშეკრულებო პირობებს ან მთლიანად ხელშეკრულებას უპასუხო თანხმობით საკუთარი დამოუკიდებელი რაციონალური გადანყვეტილების საფუძველზე; წინასწარ ფორმულირებული სახელშეკრულებო ტექსტის ცვლილების საჭიროება ასეთ დროს არ დგება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, ინდუსტრიული გაერთიანება მომხრეა იმის, რომ არ ჩამოვშორდეთ სახელშეკრულებო პირობების სპეციალური აკრძალვების მტკიცებულებით ძალას და მხარის ინტერესების არამართობიერი უგულებელყოფა მაშინ ჩაითვალოს მოცემულად, როდესაც „საპირისპიროდ ერთგულების და კეთილსინდისიერების პრინციპისა, უხეშადაა გადახვეული კეთილსინდისიერი საქმის წარმოების პრაქტიკიდან“.⁴⁴ დასაბუთებისათვის მინიშნებულია Draft Common Frame of Reference-ზე, რომლის მეორე თავში (II-9.405) ეს ნორმატიული განსაზღვრებაა გადაწერილი.⁴⁵

ამას გარდა, ცირკულირებს მთელი რიგი სხვა ინიციატივები, რომლებიც შეიცავს როგორც ალტერნატიულ ფორმულირებებს,⁴⁶ ისე სპეციალურ კითხვებთან დაკავშირებულ რეგულაციებს.⁴⁷ ასევე, სამართლებრივი ძალის მქონე რედუქციის დაშვებადობასთან დაკავშირებით, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი მივიდა იმ შედეგამდე, რომ ამ საკითხში საერთო პრინციპებით არ უხელმძღვანელიათ და სხვა ქვეყნებში კანონით გათვალისწინებული მეთოდების ნაცვლად, პრიორიტეტულად მიმართავენ ხელშეკრულების მორგების საშუალებებს.⁴⁸

არსებობს ასევე საპირისპირო პოზიციებიც, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ არ შევხვით მოქმედ სამართლებრივ ნორმებს.⁴⁹ ამ თვალსაზრისის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ აქამდე განხილული წინადადებები არაა შესაფერისი იმისათვის, რომ არსებული სამართლებრივი პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მიდგომების კორექტირებით, აამაღლოს სამართლის ნორმების განხორციელების ხარისხი.⁵⁰

შეჯამებისათვის შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში სამართლებრივ-პოლიტიკური დისკუსია ორგანიზაციათა შორის არსებულ ურთიერთობებში გარიგების საყოველთაო პირობების სასამართლო კონტროლის შესახებ ხელახლა დადგა დღის წესრიგში, თუმცა სამომავლო შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს. შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა იმ ფორმით, როგორი ფორმაც ამ უკანასკნელმა სასამართლო პრაქტიკაში შეიძინა, იხრება მეტი სიმკაცრისკენ. გერმანული სასამართლოები უფრო მიდრეკილნი არიან, ბათილად ცნონ ორგანიზაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში შემავალი გარიგების საყოველთაო პირობები, ვიდრე ამას სხვა ქვეყნებში ვხვდებით. იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებშიც დღემდე დაბალია გარიგების საყოველთაო პირობების სასამართლო კონტროლის გამოცდილება, რეკომენდებულია გერმანიის უმაღლესი სასამართლო ორგანოების (Bundesgerichtshof, BGH) პრაქტიკაზე ორიენტირება, ამ საკითხში ასევე განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინებით.

⁴⁴ ფრანქფურტელთა ინიციატივა გარიგების საყოველთაო პირობების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 310-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მეორე წინადადების ახალი ვერსიის შესამუშავებლად (des AGB-Rechts zur Neufassung des § 310 Abs.1 Satz 2 BGB), იხ. ზემოთ სქოლიო 33.

⁴⁵ Draft Common Frame of Reference-ის ტექსტი, იხ. ლინკზე: <https://sakig.pl/uploads/upfiles/moot/dfcr.pdf>.

⁴⁶ იხ. Müller AGB-Kontrolle auf dem Prüfstand – Für eine Lockerung im unternehmerischen Geschäftsverkehr, IWRZ 2018, S. 153.

⁴⁷ არსებობდა ინიციატივა, რომ თავად მხარეებს გადასცემოდათ შესაძლებლობა ხელმოწერისა ან განსაკუთრებული ახსნა-განმარტების გზით ცალკეული სახელშეკრულებო პირობების ან მთლიანად ხელშეკრულების სასამართლო კონტროლიდან ამოღებისთვის ან გარკვეული მასშტაბის შემცველი ხელშეკრულებებისათვის სასამართლო პერსპექტივის გაუქმებისათვის, იხ. სქოლიო ნ. 44.

⁴⁸ Leuschner AGB-Recht, Seite 5. Siehe Fußnote 39.

⁴⁹ ინიციატივები გარიგების საყოველთაო პირობების მხარდასაჭერად, იხ. ლინკზე: <http://www.pro-agb-recht.de>.

⁵⁰ იხ. Westphalen Reformvorhaben der Koalition zum AGB-Recht bei innovativen Geschäftsmodellen auf dem Prüfstand, ZIP 2018, S. 1101.

Die gerichtliche Kontrolle von Verträgen im unternehmerischen Rechtsverkehr – einige rechtsvergleichende Betrachtungen

1. Einführung

Das Prinzip der Privatautonomie ist die Grundlage des Privatrechts. Es soll dem Einzelnen die Möglichkeit geben, die ihn betreffenden Rechtsverhältnisse seinem Willen gemäß zu gestalten.¹ Hiervon abgeleitet gilt das Prinzip der Vertragsfreiheit. Die Parteien bestimmen autonom darüber, ob überhaupt, mit wem und mit welchem Inhalt sie einen Vertrag abschließen. Die Grenze der Vertragsfreiheit ergibt sich dabei zunächst nur aus der objektiven Rechtsordnung.² Eine darüber hinausgehende Gewähr für die Ausgewogenheit der vertraglichen Leistungen ist damit nicht gemeint. Die Privatautonomie umfasst auch die Freiheit, nachteilige Verträge abzuschließen.³ Nicht die objektive Gerechtigkeit eines Vertrages begründet dessen Richtigkeit, sondern die Freiheit der Parteien, eine rechtliche Bedingung mit genau diesem Inhalt einzugehen. Demgemäß ist es die vordringliche Aufgabe der Rechtsordnung, diese Freiheit der Willensbildung zu gewährleisten.⁴

Auf der anderen Seite hat dem Prinzip der Vertragsfreiheit an mehreren Stellen Grenzen gesetzt. Dies betrifft etwa die Fragen, ob man sich vertraglich von der Haftung für vorsätzliches Verhalten freizeichnen,⁵ eine unverhältnismäßig hohe Vertragsstrafe vereinbaren⁶ oder die Haftung für einen Mangel ausschließen kann, von dessen Existenz man Kenntnis hatte.⁷ Darüber hinaus enthalten zivilrechtliche Kodifikationen eine Generalklausel, die es dem Richter im Einzelfall ermöglicht, vertragliche Bestimmungen unter Berufung auf höherrangige Prinzipien für unwirksam zu erklären. Im deutschen Recht sind dies die „guten Sitten“, zu deren Konkretisierung vor allem die verfassungsrechtlich gewährleisteten Grundrechte herangezogen werden.⁸

Über diese an der Einzelfallgerechtigkeit orientierte Grenze der Vertragsfreiheit ist der Gesetzgeber im Laufe der Entwicklung hinausgegangen. Ansatzpunkt war dabei in erster Linie der Gedanke, dass das Konzept der Vertragsfreiheit auf der Voraussetzung der Gleichheit der Verhandlungsmacht der Parteien fußt. Beiden Parteien muss es in gleichem Maße möglich sein, von einem Vertragsschluss Abstand zu nehmen, wenn ihnen die Vertragsbedingungen nicht zusagen. Ist dies nicht gewährleistet, so ist es Aufgabe des Gesetzgebers, den notwendigen Schutz, etwa im Arbeits- und im Mietrecht sicherzustellen. Hinzugekommen ist der Schutz der Verbraucher als Gruppe, die gegenüber Unternehmern generell als schutzbedürftig angesehen wird.⁹

Eine weitere Einschränkung der Privatautonomie beruht auf dem Gedanken der Kontrolle einseitig gestellter Vertragsbedingungen. Im Ausgangspunkt widersprechen einseitig vorformulierte Verträge dem Konzept des Aushandelns eines Vertrages. Andererseits ist der Rückgriff auf solche Verträge in der Praxis weit

* Dr. habil. Hans-Joachim Schramm ist Vertretungsprofessor an der Hochschule Wismar, Deutschland

¹ Vgl. *Flume* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Band 2, Das Rechtsgeschäft, S.1.

² § 134 BGB.

³ Die jahrhundertalte Diskussion um die Frage, ob es einen „gerechten Preis“ gibt, hat heute der Überzeugung Platz gemacht, dass ein Preis – das heißt der Austausch von Leistungen – dann gerecht ist, wenn sich die Parteien frei und in Kenntnis aller Umstände auf ihn geeinigt haben. Allerdings begründet ein grobes Missverhältnis von Leistung und Gegenleistung die Vermutung, dass der eine Vertragspartner nicht frei entschieden und der andere dies ausgenutzt hat, Palandt *Ellenberger* BGB, 76. Aufl., § 138 Rz. 34 a.

⁴ Dazu gehören vor allem Vorschriften zur Anfechtbarkeit von Rechtsgeschäften wegen Täuschung und Drohung, §§ 119, 123 BGB, aber auch die Ausnutzung einer Zwangslage, § 138 Abs.2 BGB.

⁵ § 276 Abs.3 BGB.

⁶ § 343 BGB.

⁷ §§ 444, 639 BGB.

⁸ § 138 BGB. Zur Funktion des Schutzes der grundlegenden Werte der Rechtsordnung vgl. Palandt *Ellenberger* BGB, 76. Aufl., § 138 Rz. 3.

⁹ Maßgebend insoweit die EU-Richtlinie 99/44 vom 25.5.1994 zu bestimmten Aspekten des Verbrauchsgüterkaufs.

verbreitet und ökonomisch sinnvoll. Zentrales Problem ist dabei, ob derartige vorformulierte Verträge einer besonderen Kontrolle unterliegen sollen oder es bei einer allgemeinen Überprüfung anhand der Sittenwidrigkeit bleiben soll. Historisch gesehen findet man auf zwei Ebenen Ansätze zu einer Kontrolle.¹⁰ Zum einen in formaler Hinsicht mit Hilfe der Frage, ob Vertragsbestimmungen überhaupt Bestandteil des Vertrages geworden sind. Zum anderen in materieller Hinsicht.

2. Überblick über die Gesetzgebung in verschiedenen Ländern

2.1 Deutschland

In Deutschland hat der Gesetzgeber die Vorschriften zur Kontrolle missbräuchlicher Klauseln in den Bestimmungen zu den „Allgemeinen Geschäftsbedingungen“ (AGB) niedergelegt und nach einer anfänglichen Regelung in einem speziellen Gesetz¹¹ in die §§ 305 bis 310 des BGB übernommen. Dabei unterscheidet das Gesetz die Frage, ob eine Klausel überhaupt wirksam in einen Vertrag mit einbezogen wurde, von der nach ihrer materiellen Wirksamkeit. Die gesonderte Prüfung der Fragen einer wirksamen Einbeziehung erlaubt es den Gerichten, das Prinzip der Privatautonomie zu wahren, weil die Feststellung der fehlenden Einbeziehung formal kein Urteil über den materiellen Gehalt einer Klausel enthält. Dass es sich hierbei aber bereits zum Teil um eine verdeckte materielle Kontrolle handelt, zeigt sich an dem Ausschluss überraschender Klauseln.¹²

Darüber hinaus enthält das Gesetz Bestimmungen zu einer materiellen Kontrolle der Wirksamkeit. Diese umfassen eine Aufzählung konkreter Klauseln in den §§ 308, 309 BGB, die als unzulässig angesehen werden, und eine allgemein Bestimmung (§ 307 BGB), nach der eine Vertragsklausel unwirksam ist, „wenn sie den Vertragspartner entgegen den Geboten von Treu und Glauben unangemessen benachteiligt“.¹³ Diese Bestimmung ist der Ansatzpunkt für eine richterliche Kontrolle von Vertragsbestimmungen, die über die allgemeine Grenze des § 138 BGB hinausgeht.¹⁴ Im Hinblick auf den Anwendungsbereich ergibt sich aus § 310 BGB, dass eine Kontrolle auf der Grundlage von § 307 BGB von den Gerichten auch bei vorformulierten Verträgen zwischen Unternehmen durchgeführt werden kann.

2.2 Georgien

Das georgische Recht folgt in den Art. 342 Geo ZGB ff im Wesentlichen der Struktur, wie sie im deutschen BGB niedergelegt ist. Auch hier findet sich die Unterscheidung zwischen den Fragen der Einbeziehung in den Vertrag (Art. 343 bis Art. 345 Geo ZGB) und einer inhaltlichen Kontrolle (Art. 346 bis 348 Geo ZGB). Weiter unterscheidet das georgische Recht ebenso wie das deutsche zwischen der Generalklausel in Art. 346 Geo ZGB, die wie das deutsche Recht auf eine Benachteiligung entgegen den Geboten von Treu und Glauben abhebt, und den speziellen Klauselverboten. Anders als im deutschen Recht gelten die speziellen Klauselverbote jedoch nur für Verträge mit Verbrauchern. Die Generalklausel ist hingegen so formuliert, dass sie auch auf Verträge zwischen Unternehmen Anwendung findet. Bei der Bewertung hat der Rechtsanwender jedoch die „besonderen Umstände des Vertragsschlusses“ zu berücksichtigen.

¹⁰ Eine Kontrolle von AGB erfolgte ursprünglich unter Rückgriff auf das Verbot der Sittenwidrigkeit, § 138 BGB, später auch unter Verweis auf die Maßstäbe von Treu und Glauben, § 242 BGB, *Schmoeckel u.a./Hofer* Historisch-kritischer Kommentar zum BGB, Band II Schuldrecht, 2. Teilband, § 305.

¹¹ In Deutschland wurden Allgemeine Geschäftsbedingungen erstmals mit Gesetz vom 9. Dezember 1976 geregelt. Dabei hat der Gesetzgeber im Wesentlichen die zuvor von der Rechtsprechung entwickelten Lösungen in das Gesetz übernommen.

¹² § 305 c Abs. 1 BGB. An dieser Bestimmung lässt sich der Übergang von einer formalen zu einer materiellen Kontrolle der Gerichte festmachen

¹³ In § 307 Abs. 2 BGB wird der Begriff der „unangemessenen Benachteiligung“ dahingehend erläutert, dass eine solche im Zweifel dann vorliegt, wenn eine Bestimmung „mit wesentlichen Grundgedanken der gesetzlichen Regelung nicht vereinbar ist“.

¹⁴ Zur Abgrenzung zwischen § 138 BGB und §§ 305 BGB ff Palandt *Grüneberg* BGB, 76. Aufl., Überbl v § 305 Rz. 15. Entscheidender Unterschied ist danach das Erfordernis einer subjektiven Komponente bei § 138 BGB, wohingegen bei der Kontrolle nach § 305 BGB ff der objektive Verstoß genügt.

2.3 Frankreich

Im französischen Recht findet sich zwar eine formale Trennung zwischen Regeln zum Schutz des Verbrauchers¹⁵ und allgemeinen Bestimmungen. Inhaltlich knüpfen beide aber an das der EU-Richtlinie entlehnte Merkmal des „bedeutenden Ungleichgewichts“ zu Lasten einer Partei. Ausgangspunkt der für den unternehmerischen Rechtsverkehr maßgebenden Regelung ist der Begriff des Adhäsionsvertrages, der in Art. 1110 Abs.2 Code Civil definiert wird. Ähnlich dem deutschen Recht kommt es dabei darauf an, dass die Vertragsbedingungen einseitig gestellt werden.¹⁶ Abweichend davon ist es jedoch nicht erforderlich, dass dies „in einer Vielzahl von Verträgen“ geschieht.¹⁷ Liegt ein Adhäsionsvertrag vor, so ist nach Art. 1171 Code Civil jede Klausel unwirksam, die ein „bedeutendes Ungleichgewicht“ zwischen den Parteien schafft. Da es sich bei dieser Bestimmung um eine neue Norm handelt, ist die Frage, ob für die Auslegung des Art. 1171 Code Civil die speziellen Klauselverbote des Verbraucherrechts heranzuziehen sind, noch nicht höchstrichterlich entschieden.¹⁸

2.4 Russland

In Russland lassen sich Parallelen zum französischen Recht feststellen. Dort findet man einerseits eine spezielle Bestimmung zum Schutz der Verbraucher in Art. 16 des Gesetzes über den Verbraucherschutz.¹⁹ Andererseits enthält Art. 428 Rus GK eine Vorschrift zu den Adhäsionsverträgen, die auch im unternehmerischen Rechtsverkehr Anwendung findet. Wie im französischen Recht kommt es danach darauf an, ob die Vertragsbedingungen von einer Partei gestellt wurden und die andere Partei keine Möglichkeit hatte, Veränderungen einzubringen. Allerdings war die Norm so formuliert, dass sie nur Anwendung findet, wenn der Vertrag im Ganzen von einer Seite vorformuliert wurde. Darüber hinaus verlangten die Gerichte den Nachweis des Fehlens einer Einflussmöglichkeit auf den Vertrag, der schwer zu erbringen war. Praktisch war deshalb die Bedeutung der Vorschrift zunächst gering.²⁰ Eine Verbesserung trat hier erst aufgrund einer Postanovlenie des Obersten Gerichts ein, nach der es genügt, wenn einzelne Klauseln einseitig in den Vertrag eingeführt wurden und der Nachweis als ausreichend angesehen wird, dass eine Einflussnahme des Vertragspartners erschwert war.²¹ Im Jahr 2015 wurden entsprechende Änderungen in das Gesetz aufgenommen.

2.5 Englisches und U.S.-amerikanisches Recht

Auch im englischen Recht findet sich vor dem Hintergrund des Rechts der EU ein spezielles Gesetz, das die Verwendung von Klauseln in Verbraucherverträgen regelt.²² Bereits früher war ein jedoch ein Gesetz erlassen worden, das die Verwendung von haftungsbegrenzenden Klauseln unabhängig von den Parteien des Vertrages begrenzt. Gemäß den Bestimmungen des Unfair Contract Terms Act 1977 sind Haftungsausschlussklauseln unwirksam, soweit sie einen Ausschluss der Haftung für die fahrlässige Verursachung von Schäden an Leben und Gesundheit vorsehen.²³ Ein Haftungsausschluss bezüglich Schäden an anderen Rechtsgütern ist dagegen

¹⁵ Art. L 212-1 Code de la Consommation.

¹⁶ Entscheidend für das Vorliegen eines Adhäsionsvertrages ist gemäß Art. 1110 Abs.2 Code Civil seit der Neufassung in diesem Jahr, dass der Vertrag eine „Gesamtheit nicht verhandelbarer Bestimmungen“ enthält.

¹⁷ So § 305 Abs.1 BGB. Der für einen bestimmten Vertrag ausgearbeitete Text fällt nicht darunter, BGH NJW-RR 2002, S. 13.

¹⁸ Niggemann AGB-Kontrolle im kaufmännischen Geschäftsverkehr nach der Reform des französischen Code de Commerce, C i v i l RIW 2018 Nr. 10, S. 658.

¹⁹ Закон о защите прав потребителей от 9.2.1992. Gemäß Art. 16 sind Bestimmungen in Verträgen mit Verbrauchern unwirksam, die die Rechte des Verbrauchers beeinträchtigen. In der Postanovlenie Nr. 17 vom 28.6.2012 о рассмотрении иудагражданских дел по спорам о защите прав потребителей geht das Oberste Gericht auf diesen Artikel allerdings nicht weiter ein.

²⁰ Фогельсон Защита от несправедливых условий договоров в российской судебной практике, Закон 2018 № 10, с. 163 (165).

²¹ Постановление Пленума Высшего Арбитражного Суда РФ от 14 марта 2014 г. N 16 “О свободе договора и ее пределах”, Pt. 9.

²² Unfair Terms in Consumer Contracts Regulations 1999.

²³ Section 2 (1) Unfair Contract Terms Act.

nach diesem Gesetz nur dann zulässig, wenn er „vernünftig“ (reasonable) ist.²⁴ Hinweise dazu, wie dieser Begriff in der Praxis anzuwenden ist, finden sich in Schedule II im Anhang zu dem Gesetz. Danach kommt es unter anderem darauf an, ob

die relative Verhandlungsstärke der Vertragsparteien ausgewogen war,
der Gegenseite ein Anreiz gewährt wurde, die Klausel zu akzeptieren,
sie die Möglichkeit hatte, einen entsprechenden Vertrag ohne die Klausel mit einem Dritten abzuschließen

oder

der Klauselverwender die Gegenseite ausdrücklich auf die Klausel und ihre Konsequenzen hingewiesen hatte.

In der Praxis erweist sich die Rechtsprechung englischer Gerichte insgesamt zurückhaltend. So hat sich der Court of Appeal in *Watford Electronics Ltd v Sanderson Ltd*²⁵ im Jahr 2001 dafür ausgesprochen, in Verträge des unternehmerischen Geschäftsverkehrs zurückhaltend einzugreifen. Er begründete dies damit, dass erfahrene Geschäftsleute gleicher Verhandlungsstärke am besten beurteilen könnten, ob sie ein faires Geschäft vereinbart haben. Insbesondere ist davon auszugehen, dass sie keiner ihrer Einschätzung nach unangemessenen Vereinbarung zustimmen würden. Nur wenn eine Vertragsbestimmung so unangemessen ist, dass nicht davon ausgegangen werden kann, dass die Vertragspartei diese richtig verstanden haben kann, dürfte das Gericht eingreifen und die Vertragsbestimmung für unwirksam erklären.

Das U.S.-amerikanische Recht hält zumindest auf der Ebene des Uniform Commercial Code eine Regelung bereit, die der dem allgemeinen Verbot sittenwidriger Verträge entspricht. Gemäß § 2-302 UCC können „gewissenlose“ („unconscionable“) Klauseln für unwirksam erklärt werden.

2.6 Convention on Contracts on the international Sale of Goods (CISG)

Im Anwendungsbereich des CISG wird die Frage der Haftungsbeschränkung mittels einseitig formulierter Vertragsbedingungen als ein Problem der „internen Lückenfüllung“ behandelt.²⁶ Dabei besteht eine Lücke insoweit, als das CISG keine Regelung zu den Grenzen enthält, innerhalb derer eine Haftungsbeschränkung oder –befreiung vereinbart werden kann. Vielmehr betont Art. 6 CISG die Freiheit der Parteien, von den Bestimmungen der Konvention beliebig abzuweichen. Andererseits ergibt sich aus Art. 4 CISG, dass die Convention die Frage des Zustandekommens des Vertrags regelt und damit auch die der Einbeziehung einzelner Klauseln. Darüber hinaus ist in dieser Norm festgehalten, dass sie „die Gültigkeit einzelner Vertragsbestimmungen nicht betrifft“. Daraus wird gefolgert, dass sich die Frage der Wirksamkeit einzelner Klauseln nach dem anwendbaren nationalen Recht richtet. Gleichzeitig wird aber betont, dass bei der Anwendung der Bestimmungen des nationalen Rechts dem Umstand besondere Rechnung getragen werden müsse, dass es sich um einen internationalen Kaufvertrag handelt. Dabei komme dem Prinzip der Vertragsfreiheit und der Überprüfung anhand des Gedankens der „Vernünftigkeit (reasonableness)“.²⁷

2.7 Vereinheitlichte Regelwerke

In das europäische Recht wurde das Konzept der Kontrolle missbräuchliche Klauseln im Jahr 1993 übernommen, allerdings beschränkt auf Verträge, die zwischen einem Unternehmer und einem Verbraucher geschlossen werden.²⁸ Gemäß dieser Richtlinie sind die Mitgliedstaaten der EU verpflichtet, Vorschriften der zum Schutz der Verbraucher vor missbräuchlichen Klauseln zu erlassen. Dabei wird in Art. 3 Absatz 1 eine Erläuterung des Begriffs der missbräuchlichen Klausel gegeben und im Anhang der Richtlinie eine Reihe von Klauseln aufgeführt, die die Mitgliedstaaten gemäß Art. 3 Absatz 3 für missbräuchlich erklären können. Damit bleibt die Frage der Kontrolle missbräuchlicher Klauseln in vorformulierten Verträgen zwischen Unternehmern auf der Ebene des europäischen Rechts unbeantwortet.

²⁴ Section 2 (2) Unfair Contract Terms Act.

²⁵ *Watford Electronics Ltd v Sanderson Ltd* [2001] 1 All ER (Comm) 696.

²⁶ Umfassend: CISG Advisory Council Opinion No.17: Limitation and Exclusion Clauses in CISG Contracts (2015), <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/CISG-AC-op17.pdf>

²⁷ Regel 4 CISG Advisory Council Opinion No.17, Seite 23 ff.

²⁸ EU-Richtlinie 93/13 vom 5.4.1993 über missbräuchliche Klauseln in Verbraucherverträgen.

Darüber hinaus finden sich Bestimmungen zu „unfair terms“ in Buch 2 Kapitel 9 Abschnitt 4 des Draft Common Frame of Reference (DCFR).²⁹ Gemäß II.-9.408 DCFR sind „unfaire“ Klauseln unwirksam, wobei der Begriff „unfair“ in den Bestimmungen 403 bis 405 jeweils abweichend definiert wird, ob die einseitig vorformulierten Bestimmungen gegenüber einem Verbraucher oder gegen über einem Unternehmer verwandt werden. Im letzteren Fall sind sie „unfair“, wenn sie „grob von guter unternehmerischer Praxis abweichen“, II.-9.405 DCFR. Der Maßstab der „groben Unfairness“ entspricht dabei dem, der auch in den UNIDROIT-Principles in Bezug auf Haftungsbeschränkungen festgehalten ist.³⁰

In 9.407 DCFR enthält der Draft darüber hinaus eine Auslegungsregel zu dem Begriff der „Fairness“, der darauf abstellt, dass bei der Bewertung auch die anderen Bestimmungen des Vertrages berücksichtigt werden müssen.

3. Die gerichtliche Kontrolle von AGB im unternehmerischen Rechtsverkehr in Deutschland

3.1 Die Anwendung der §§ 305 BGB ff durch die deutschen Gerichte

In Deutschland hat der Gesetzgeber von Beginn an eine Kontrolle von AGB-Klauseln durch die Gerichte auch im unternehmerischen Rechtsverkehr vorgesehen. Maßgebend ist hier der bereits erwähnte § 310 Abs.1 BGB, dem gemäß eine Überprüfung von Klauseln anhand des allgemeinen Verbots der „unangemessenen Benachteiligung“ nach § 307 BGB auch in Verträgen zwischen Unternehmern erfolgen soll. Auch die speziellen Verbote der §§308, 309 BGB finden dabei Anwendung, allerdings *unter Berücksichtigung der Gebräuche des Handelsverkehrs*“.

In der Praxis werden diese Vorgaben des Gesetzgebers von den Gerichten eher streng umgesetzt. Dies zeigt sich im Hinblick auf zwei Punkte, dem Anwendungsbereich der Kontrolle von Klauseln und dem inhaltlichen Maßstab.

Voraussetzung für eine Überprüfung anhand der §§ 307 BGB ff ist das Vorliegen „vorformulierter Vertragsbedingungen“. Gemäß § 305 Abs.1 S. 3 BGB liegen solche Bedingungen dann nicht vor, wenn, *die Vertragsbedingungen im Einzelnen ausgehandelt sind*“. Fraglich ist hier das Tatbestandsmerkmal des „Aushandelns“. Der BGH grenzt diesen Begriff ab von einem bloßen „Verhandeln“ und kommt auf diesem Wege zu dem Schluss, dass der Anwendungsbereich der Klauselkontrolle nicht dadurch ausgeschlossen werden kann,³¹

dass die Vertragspartner in einem gesonderten Protokoll bestätigen, der Vertrag sei ausgehandelt worden, der Klauselverwender den Vertragspartner schriftlich auffordert, Anmerkungen und Änderungswünsche mitzuteilen, der Klauselverwender dem Vertragspartner eine Wahlmöglichkeit zwischen alternativen Formulierungen bietet, bei einer Klausel, die ihrem Kern nach gesetzesfremd ist, der Klauselverwender Änderungswünschen der Gegenseite teilweise nachgibt.

Die Problematik der inhaltlichen Kontrollen entzündet sich in erster Linie an der Frage der Übertragbarkeit der Wertungen der speziellen Klauselverbote in den §§ 308, 309 BGB auf den unternehmerischen Rechtsverkehr. Der Gesetzgeber hat in dieser Hinsicht eine Einschränkung durch die Formulierung *unter Berücksichtigung der Gebräuche des Handelsverkehrs* vorgesehen, die jedoch leerläuft, weil es regelmäßig keine Handelsbräuche gibt. Die Rechtsprechung geht statt dessen von einer „Indizwirkung“ der Verbote der §§ 308, 309 BGB auch für den Rechtsverkehr zwischen Unternehmern aus, was regelmäßig zur Unwirksamkeit entsprechender Klauseln führt. In der gerichtlichen Praxis sind auf dieser Grundlage Urteile ergangen, die in der Literatur erhebliche Kritik erfahren haben. Beispielhaft sollen die folgenden Entscheidungen genannt werden:

Der BGH hatte sich in mehreren Fällen mit der Frage der Wirksamkeit sog. „bring-or-pay Klauseln“ auseinander zu setzen. Im konkreten Sachverhalt ging es um den Betreiber einer Müllverbrennungsanlage, der

²⁹ Der Text des Draft Common Frame of Reference einsehbar unter: <https://sakig.pl/uploads/upfiles/moot/dfcr.pdf>

³⁰ Art. 7.1.6 UNIDROIT-Principles of international Commercial Contracts (2016), <https://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2016>

³¹ Vgl. Sommerfeld Rechtsflucht in Ausland wegen des deutschen AGB-Rechts im B2B-Verkehr? RIW 2018 Nr. 11, S. 741 (742). Sowie BGH, Urteil vom 22.10.2015 - VII ZR 58/14 („bring or pay II“), NZBau 2016, S.213.

mittels AGB seine Kunden verpflichtet hatte, für eine bestimmte Mindestabnahmemenge Müll zu bezahlen, unabhängig davon, ob diese Menge tatsächlich zur Verbrennung angeliefert wurde.³² Der BGH sah in einer solchen Klausel die Vereinbarung einer verschuldensunabhängigen Haftung, die nach seiner Ansicht auch im unternehmerischen Verkehr in AGB nur ausnahmsweise vereinbart werden kann. Zur näheren Überprüfung hat der BGH das Verfahren an das OLG-Frankfurt zurück überwiesen, welches die Klage des Betreibers der Verbrennungsanlage schließlich abgewiesen hat.³³

Mit einer ähnlichen Begründung hat der BGH in einem internationaler Liefervertrag über Speiseeis eine „Vereinbarung über Qualitätssicherung“ für unwirksam erklärt, die von dem Käufer vorformuliert worden war und dem Verkäufer unabhängig von einem Verschulden die Verpflichtung auferlegt hat, dem Käufer jeden aus einer Mangelhaftigkeit der Ware entstehenden Mehraufwand zu ersetzen habe. Im konkreten Fall hatte der Käufer als Zwischenhändler wegen Schimmelbefalls der Ware eine Rückrufaktion veranlasst und die entstandenen Kosten ersetzt verlangt.³⁴ Der BGH hat die Klage unter Hinweis auf die Unwirksamkeit der Klausel abgewiesen.

Weitere in diesem Zusammenhang zitierte und von der Literatur kritisierte Entscheidungen³⁵ betreffen die Bindungswirkung von notariellen Kaufangeboten,³⁶

das Verbot von Bearbeitungsentgelten bei Bankdarlehen an Unternehmenskunden,³⁷

In allen genannten Fällen lässt sich mit Recht die Frage aufwerfen, ob es sich der BGH mit dem Verweis auf die Indizwirkung und die Heranziehung einzelner Aspekte des ‚Grundgedankens der gesetzlichen Regelung‘ zur Begründung der Unwirksamkeit einzelner Klauseln nicht zu leicht gemacht hat. Insbesondere im Hinblick auf die ‚bring or pay‘ Entscheidung wird dem BGH zum Vorwurf gemacht, ein wirtschaftlich begründetes und von den Parteien akzeptiertes Geschäftsmodell durch Unwirksamklärung einer einzelnen Klausel ohne Berücksichtigung des Vertragszwecks insgesamt weitgehend unmöglich gemacht zu haben.³⁸

3.2 Die rechtspolitische Diskussion in Deutschland

In der deutschen Literatur wird seit längerem eine Diskussion darum geführt, ob diese Rechtsprechung zu weit geht und der Vertragsfreiheit zwischen Unternehmern durch Maßnahmen des Gesetzgebers wieder ein größerer Spielraum gewährt werden sollte.³⁹ Diese Debatte wird nicht unmaßgeblich von den Verbänden der Industrie vorangetrieben⁴⁰ und hat zuletzt Auftrieb dadurch erfahren, dass das Justizministerium ein Gutachten in Auftrag gegeben hat.⁴¹ Schließlich wurde im Koalitionsvertrag der Regierungsparteien vorgesehen, das AGB-Recht für Verträge zwischen Unternehmen auf den Prüfstand zu stellen.⁴²

Das Ziel dieser Initiativen ist unter Anerkennung des Umstands, dass die Gründe für eine gerichtliche Kontrolle von AGB-Klauseln in Verträgen zwischen Unternehmern grundsätzlich einschlägig sind, darauf gerichtet, die gerichtliche Kontrolle derartiger Klauseln in zweierlei Hinsicht einzuschränken. Zum einen geht es um die Frage des Vorliegens ‚vorformulierter Vertragsbedingungen‘. Gemäß dem Vorschlag des Industrieverbandes soll

³² BGH, Urteil vom 22.10.2015 - VII ZR 58/14 („bring or pay II“), NZBau 2016, S.213 mit Anmerkung Faber/Groß. Dazu *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1.

³³ OLG Frankfurt, 20.12.2016 - 5 U 6/13

³⁴ BGH, Urteil vom 18.10.2017 – VIII ZR 86/16, NJW 2018, S. 291

³⁵ *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1.

³⁶ BGH NJW 2016, S. 2173

³⁷ BGH NJW 2017, S. 2986

³⁸ *Maier-Reiner* AGB-Recht im unternehmerischen Rechtsverkehr – Der BGH überdreht die Schraube, NJW 2017, S. 1 (5).

³⁹ Vgl. die Zusammenfassung der Literatur bei *Sommerfeld* Rechtsflucht in Ausland wegen des deutschen AGB-Rechts im B2B-Verkehr? RIW 2018 Nr. 11, S. 741 (742).

⁴⁰ Frankfurter Initiative zur Fortentwicklung des AGB-Rechts https://www.zvei.org/fileadmin/user_upload/Themen/Maerkte_Recht/Allgemeine_Geschaeftsbedingungen_im_unternehmerischen_Geschaeftsverkehr/pdf/AGB-Initiative-Positionspapier-Stand-06-2018.pdf

⁴¹ Leuschner AGB-Recht für Verträge zwischen Unternehmen – unter besonderer Berücksichtigung von Haftungsbeschränkungen, <https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/Fachinformationen/Abschlussbericht-AGB-Forschungsprojekt.html>

⁴² Müller AGB-Kontrolle auf dem Prüfstand – Für eine Lockerung im unternehmerischen Geschäftsverkehr, IWRZ 2018, S. 153.

es daran fehlen, wenn die Zustimmung der Gegenpartei zu dem Vertragswerk aufgrund einer ‚selbstbestimmten unternehmerischen Entscheidung‘ erfolgt ist, unabhängig davon, ob Änderungen an einzelnen Klauseln vorgenommen wurden oder nicht.⁴³ Durch dieses Kriterium soll dem Gedanken der Schutzbedürftigkeit wieder größerer Raum geben werden. In Orientierung an der Zurückhaltung englischer Gerichte soll danach eine Kontrolle entfallen, wenn die Parteien aufgrund einer freien Entscheidung dem Vertrag zugestimmt haben. Von einer solchen Entscheidung ist danach unter Würdigung aller Umstände auszugehen, wenn die Vertragsverhandlungen über einen längeren Zeitraum geführt wurden, Verträge mit inhaltsgleichen Bedingungen bereits zuvor abgeschlossen wurden, Änderungswünsche in den Vertragstext aufgenommen wurden,

die rechtliche und wirtschaftliche Bedeutung der vorformulierten Vertragsbedingungen bekannt war oder grob fahrlässig unbekannt, die Verträge mit juristischer Beratung ausgehandelt wurden, die Unternehmensgröße darauf schließen lässt, dass der Vertrag intern juristisch geprüft wurde.

Inhaltlich schlägt der Verband vor, nicht länger von einer Indizwirkung der speziellen Klauselverbote abzugehen und stattdessen eine unangemessene Benachteiligung nur noch dann anzunehmen, wenn ‚entgegen den Geboten von Treu und Glauben in grober Weise von der guten unternehmerischen Praxis abgewichen wird‘.⁴⁴ Zur Begründung wird auf den Draft Common Frame of Reference verwiesen, dessen Art. II- 9.405 die Bestimmung nachgebildet ist.⁴⁵

Daneben sind noch eine Reihe anderer Vorschläge im Umlauf, die sowohl alternative Formulierungen enthalten⁴⁶ wie Regelungen spezieller Fragen.⁴⁷ Auch bei der Frage nach der Zulässigkeit einer geltungserhaltenden Reduktion ist eine rechtsvergleichende Analyse zu dem Ergebnis gekommen, dass dies nicht einheitlich gehandhabt wird, sondern in anderen Ländern zu dem Mittel der Vertragsanpassung anstelle des Rückgriffs auf die gesetzliche Lösung zurückgegriffen wird.⁴⁸

Demgegenüber gibt es aber auch Stimmen, die empfehlen, die geltende Regelung nicht anzutasten.⁴⁹ Zentrales Argument ist hierbei, dass die bislang diskutierten Vorschläge nicht geeignet seien, gegenüber den von der Rechtsprechung entwickelten Leitlinien zu einer größeren Rechtssicherheit beizutragen.⁵⁰

Zusammenfassend kann daher festgehalten werden, dass die rechtspolitische Diskussion der Frage der gerichtlichen Kontrolle von Klauseln in allgemeinen Geschäftsbedingungen zwischen Unternehmen in Deutschland derzeit erneut auf die Tagesordnung gekommen ist, ein Ergebnis aber noch nicht absehbar ist. Rechtsvergleichend stellt sich die Rechtslage in Deutschland in der Ausprägung, die sie durch die Gerichte erfahren hat, als eher streng dar. Deutsche Gerichte neigen eher dazu, allgemeine Geschäftsbedingungen auch in Verträgen zwischen Unternehmen für unwirksam zu erklären, als dies in anderen Ländern der Fall ist. Für Staaten, in denen es bislang nur wenig Erfahrung mit der gerichtlichen Kontrolle von Allgemeinen Geschäftsbedingungen gibt, empfiehlt sich daher eine Orientierung an der Rechtsprechung des BGH nur unter Einbeziehung der abweichenden Ansichten in dieser Frage.

⁴³ Vorschlag der Frankfurter Initiative zur Fortentwicklung des AGB-Rechts zur Ergänzung des § 310 Abs.1 BGB (Fn. 33): *Werden Vertragsbedingungen gegenüber einem Unternehmer, einer juristischen Person des öffentlichen Rechts oder einem öffentlich-rechtlichen Sondervermögen verwendet, stellen sie keine Allgemeinen Geschäftsbedingungen dar, soweit die andere Vertragspartei diesen oder dem Vertragswerk insgesamt aufgrund einer selbstbestimmten unternehmerischen Entscheidung zustimmt; einer Abänderung des vorformulierten Vertragstextes bedarf es nicht.*

⁴⁴ Vorschlag der Frankfurter Initiative zur Fortentwicklung des AGB-Rechts zur Neufassung des § 310 Abs.1 Satz 2 BGB, oben Fußnote 33.

⁴⁵ Text des Draft Common Frame of Reference einsehbar unter: <https://sakig.pl/uploads/upfiles/moot/dfcr.pdf>

⁴⁶ Vgl. die Darstellung bei Müller *AGB-Kontrolle auf dem Prüfstand – Für eine Lockerung im unternehmerischen Geschäftsverkehr*, IWRZ 2018, S. 153.

⁴⁷ So wurde vorgeschlagen, es den Parteien anheim zu stellen, mittels Unterschrift bzw. gesonderter Erklärung einzelnen Klauseln bzw. ihr Vertragswerk insgesamt der gerichtlichen Kontrolle zu entziehen oder Verträge ab einem bestimmten Volumen auszunehmen, siehe Fußnote 44.

⁴⁸ *Leuschner AGB-Recht*, Seite 5. Siehe Fußnote 39.

⁴⁹ Initiative Pro-AGB“, <http://www.pro-agb-recht.de>

⁵⁰ Zuletzt von Westphalen Reformvorhaben der Koalition zum AGB-Recht bei innovativen Geschäftsmodellen auf dem Prüfstand, ZIP 2018, S. 1101.

III. კერძო ავტონომიის საზღვრები (მოხსენებები ქვეყნებიდან)

III. Grenzen der Privatautonomie (Länderberichte)

III. Границы частной автономии (доклады по странам)

ძირითადი უფლებების გავლენა კერძო ავტონომიაზე: კერძო ავტონომიის გაფართოება თუ შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა)

1. ზოგადად კერძო ავტონომიის შესახებ

კერძო სამართლის ევოლუციური პროცესი კერძო ავტონომიის სხვადასხვა მიმართულებით დინების გამომხატველია. სამოქალაქო ბრუნვაში ზოგჯერ თავს იჩენს მხარეთა აბსოლუტური უფლება, ისარგებლონ შეუზღუდავი კერძო ავტონომიით, ზოგჯერ კიდევ დომინირებს ერთი მხარის ნება, როცა სამართლებრივი სასწორი მომეტებულადაა გადახრილი ამ ნების სასარგებლოდ. ორიოდ სიტყვით, ეს ფილოსოფია ასე გამოიყურება: ხან აბსოლუტურია მხარეთა შეთანხმებული ნება, ხან კიდევ – ერთი მხარის ნება. ეს უკანასკნელი ნიშნავს სამოქალაქო ბრუნვის აპრიორულად მორგებას მონოპოლიურ ნებასთან, რომელიც სხვადასხვა ფორმაში ვლინდება. ნების ავტონომიისადმი ასეთი დამოკიდებულება უპირისპირდებოდა კონსტიტუციით დადგენილ პრინციპებს და ძირს უთხრიდა ძირითადი უფლებებისადმი კერძო სამართლის დამოკიდებულებას. ამ ფაქტმა მძლავრად იჩინა თავი კერძო სამართლის კოდიფიკაციის პროცესში, რისი ერთ-ერთი მიზეზი იყო კერძო და კონსტიტუციური სამართლის ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა. თუკი მანამდე ნების ავტონომია ერთობ ვიწროდ გაიგებოდა და ეს გამონეული იყო საბჭოთა სამართალში კერძო ინტერესებისადმი ცინიკური დამოკიდებულებით, შემდგომ, სამოქალაქო კოდექსის მიღების დროიდან, მას ჩაენაცვლა კერძო ინტერესების ფეტიშიზმი. ეს უნდა ჩაითვალოს იმ გაუგებრობად, რომელიც მოსალოდნელი იყო მოჰყოლოდა კერძო სამართლის ისტორიულ უფლებებში აღდგენას. კერძო ინტერესის გადამეტებულმა შეფასებამ სერიოზული ბიძგი მისცა კერძო სამართლის განვითარებას, ცალკეულ შემთხვევაში მისი კალაპოტიდან ამოვარდნილი და ბრუნვის წესრიგთან დაპირისპირებული მდგომარეობით. ერთი პერიოდი ისეთი სამართლებრივი სურათი შეიქმნა, რომ თითქოს კერძო ავტონომიამ თავად გამოაცხადა ავტონომია და დაუპირისპირდა ღირებულებათა კონსტიტუციურ წესრიგს. ამის ნათელი მაგალითები ჩანს სასამართლო პრეცედენტებში, რომლებიც დამკვიდრდა სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ. იქამდე მივიდა საქმე, რომ შეთანხმება, როგორც მხარეთა კერძო ავტონომიის ნაყოფი, ფაქტობრივად მოქცეულიყო კანონის სათავეში – არა კერძო ავტონომია კანონის ფარგლებში, არამედ კანონი კერძო ავტონომიის ფარგლებში. ასეთი დამოკიდებულება არ უკავშირდება კერძო პირთა სამართლებრივი ძალაუფლების სიძლიერეს, რასაც არც კი ჰქონია აღნიშნულ ეტაპზე ადგილი. ეს იყო სამართლის ტრანსფორმაციის გამოძახილი, რამაც კერძო სამართალი აღადგინა ძველ უფლებებში. ამ ძალაუფლების მომძლავრება შემდგომში უფრო შესამჩნევი ხდება და ლეგიტიმურ სახესაც იღებს. ტრანსნაციონალური, მძლავრი კორპორაციები თავად კარნახობენ კანონმდებელს თავიანთ ნებას.

2. ძირითადი უფლებები და ადამიანის პიროვნულობა

თანამედროვე ეპოქაში არნახულად გაიზარდა ძირითადი უფლებების გავლენა სამართლებრივ მატერიაზე. იგი გახდა სამართლებრივი სიკეთეების სუბსტანციის ერთ-ერთი ყველაზე ორგა-

* პროფესორი ბესარიონ ზოიძე – თსუ-ის პროფესორი და თსუ-ის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორია, საქართველო

ნული ქსოვილი.¹ ეს არ ნიშნავს ღირებულებათა ერთმანეთში აღრევას ან ერთის მეორეთი ჩანაცვლებას, იგი მარტივად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყოველთვის არსებობს ერთი ცენტრი, ძირითადი ღირებულება, რომელზედაც ასხმულია ყველა დანარჩენი. ასეთია ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებსაც საპირინონე არ გააჩნია. იგი არ იწონება, ვინაიდან არ არსებობს სხვა ღირებულება, რომელიც მას გადაწონის. იგი თავიდანვეა ანონილი, სამართალი მათი შეზღუდვის გზით მხოლოდ იმას ადგენს, კონკრეტულ სიტუაციაში როგორ უნდა გამოავლინოს მან თავი. ძირითადი უფლება არ შეიძლება დაუპირისპირდეს საკუთარი არსებობის გარემოს. ვიმეორებთ, უფლების ნებისმიერი შეზღუდვა თუ რეკონსტრუქცია აღნიშნულ გარემოზე მორგების ინტერესებითაა გამონგეული. ამ უფლებათა ასეთი აბსოლუტურობა იმითაა განპირობებული, რომ ისინი ადამიანის პიროვნულობის უმთავრეს გარსს ქმნის, რის საფუძველზედაც ჩვენ ვაღიარებთ ადამიანს, როგორც სამართლის სუბიექტს, რომელიც სამართლის სხვადასხვა განმტოებაში სპეციფიკურად ავლენს თავის თავს. ძირითადი უფლების ასეთი საკრალურობა განპირობებულია იმით, რომ თავად ადამიანია საკრალური არსება, სამართლის მიზანი თავისთავად, უმიზეზოდ, როგორც ამას გვიმტკიცებდა იმანუელ კანტი. ყველა სხვა საგანი საშუალებაა ამ მიზნის ხორცის შესასხმელად. ამიტომაც ძირითადი უფლებები ისე ორგანულად არიან ჩაბუდებული ადამიანის ადამიანობაში, რომ თითქმის შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან გამოცალკეება. ეს ადამიანის ისეთი არაქონებრივი სარტყელია, რომელიც განსაზღვრავს მის მატერიალურ ყოფიერებას და აზრს ანიჭებს მის სხეულებრიობას. ამ კონტექსტში თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი უფლებაა, რაც არაერთხელ გავვიმეორებია. ჩამოაშორეთ ადამიანს ძირითადი უფლებები და ხელში შეგვრჩებათ მისი მკვდარი სხეული, რომელიც მხოლოდ ფორმით იქნება განსხვავებული ცხოველის სხეულისგან. აქედან ჩანს, რომ შესაძლებელია ადამიანის სიკვდილი მის სიცოცხლეშივე, თუკი იგი ძირითადი უფლებისაგან იქნება განყენებული. ეს პიროვნების სამოქალაქო სიკვდილია და იგი უფრო მძიმეა, ვიდრე ბუნებრივი სიკვდილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სხეული კვდება, მაგრამ სული განაგრძობს არსებობას, რაც სრულიად ბუნებრივი მდგომარეობაა. ძირითადი უფლებების უარყოფით ჩვენ სხეულსაც უარყოფთ, რადგან ადამიანის სიცოცხლეში მისი მატერიალური ყოფიერება წარმოუდგენელია ძირითადი უფლებების გარეშე.

ძირითადი უფლების მსუსხავი მიზიდულობის ძალა არსებით გავლენას ახდენს სამართალ-შემოქმედებით პროცესზე. ისინი განსაზღვრავენ კანონთა ბუნებას და არა კანონები მათ ბუნებას. გერმანიის მაგალითზე, თუკი ვაიმარის კონსტიტუციის დროს ძირითადი უფლებები მოიაზრებოდა კანონის ფარგლებში, შემდგომ პირიქით, კანონი მოიაზრებოდა ძირითადი უფლების ფარგლებში.² ეს არ ნიშნავს კანონის მნიშვნელობის დამცრობას. სრულყოფილი კანონმდებლობის გარეშე გართულდება ძირითადი უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედი სამართალია, მისთვის ფორმალური ყოფიერება არ არის გადამწყვეტი. მართალია, კონსტიტუცია საკმაოდ დეტალურად განამტკიცებს ძირითად უფლებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონსტიტუცია ქმნის მათ. კონსტიტუცია იძლევა მათი დაცვის გარანტიებს. იურიდიული ფორმალიზმის დაძლევის მიზნით უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციაში რომც არ იყოს საკუთრების დამცავი ნორმა (რაც ამ აქტის სერიოზული ნაკლი იქნებოდა), ეს არ ნიშნავს არც საკუთრების ძირითადი უფლება არსებობს და არც მისი კონსტრუქციური დაცვა ხდება. ამ უფლების არსებობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს, ვინაიდან ძირითადი უფლებები, ჩვენი აზრით, უფორმო უფლებებია, რომლებიც ადამიანს გააჩნია თავისი ადამიანობის გამო. ეს კი სახელმწიფოს ავალდებულებს, კონსტიტუციითვე დაიცვას იგი, იმის მიუხედავად, სპეციალური დამცავი ნორმა არსებობს თუ არა. როცა აღიარებულია უფლება, ავტომატურად აღიარებულია მისი დაცვაც. უფლების ფორმალურად ნორმატიული აღიარება იწვევს მისი დაცვის აღიარებას სპეციალური ფორმის არარსებობის შემთხვევაშიც. პრიმიტიული შედარებით, აქ ისეთი მიზეზშედეგობრივი კავშირია, როგორიც ქათმისა და კვერცხის გაჩენის ურთიერთმიმართებაშია. თუ არაა კვერცხი, არც ქათამი იარსებებს, თუ არაა ქათამი, არც კვერცხი იქნება. როცა სპეციალური ჩანანერი არაა

¹ ძირითადი უფლებების კერძო სამართალზე გავლენის შესახებ დეტალურად იხილეთ: სალომე ქერაშვილი, ძირითადი უფლებების გავლენა სახელმწიფოებო სამართალზე: ევროპული გამოცდილების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 19-262.

² Karl Schmidt, Grundrechte, 2003, S. 42.

კონსტიტუციაში დაცვის შესახებ, მაშინ დაცვა გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებიდან, რომელიც ეხება იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლების დაცვას, ჩანს, რომ კონსტიტუციით საკუთრების უფლების აღიარებას მაშინ აქვს აზრი, როცა იმავდროულად აღიარებულია მისი დაცვა. დაცვას მოკლებული საკუთრება არცაა საკუთრება. „ამ დროს, სახელმწიფო საკუთრების გარანტიაზე უარის თქმით (მართალია გარკვეული დროით) დევნილებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედების მიღმა ტოვებს“.³ გავიხსენებ სხვა მაგალითს. მართალია, საკუთრების არსის შენარჩუნების პრინციპზე ადრე საგანგებოდ არ იყო მითითებული კონსტიტუციაში, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო ამ პრინციპის საფუძველზე წყვეტდა დავებს და მას მიიჩნევდა თანაზომიერების ზოგადი პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებად. სასამართლოს აზრით, „საკუთრების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების არსება უნდა შენარჩუნდეს და მისი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს“.⁴

3. ძირითადი უფლება „უფორმო ფორმაში“

ძირითადი უფლებების ზემოქმედების ძალა იმდენად ძლიერია, რომ მან გაბატონებული პრინციპებიც კი შეიძლება თავდაყირა დააყენოს მისი მოქმედების სივრცეში. მოგეხსენებათ, პრინციპიდან გამონაკლისი სამართალში იშვიათია და იმდენი გამონაკლისის ატანა შეუძლია პრინციპს, რამდენიც არ შეუქმნის საფრთხეს მის არსებობას. როცა ძირითად უფლებებზეა საუბარი, აქ მათი დაცვა იმ კატეგორიის პრინციპია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ პრინციპების პრინციპად. იმდენად ძლიერია მათი გავლენა საერთაშორისო სამართალზე, რომ ისინი ფაქტობრივად ფორმალური ბარიერების მიუხედავად ექცევა ღირებულებათა იერარქიის სათავეში. საამისო ბიძგს საქართველოს კონსტიტუციაში წარმოადგენს ნორმა, რომელშიც აღნიშნულია: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (მუხლი 4, პ. 2). ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების გამომხატველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტი ევროსაბჭოს ქვეყნებისათვის ეს არის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“, რომელიც ქართული სამართლის ნაწილს წარმოადგენს. ამ აქტს ნორმატიული აქტების ფორმალურ იერარქიაში უკავია მეოთხე ადგილი საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ შორის კოლიზიისას, კონვენციაზე უპირატესად გამოიყენება წინა აქტები. კონვენცია ფორმალურად აღემატება საქართველოს კანონებს და ცხადია, მათთან წინააღმდეგობისას გამოიყენება კონვენცია და არა ეს კანონები. ასეთია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური უფლებრივი ნესრიგი. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა კონვენცია უფრო სრულფასოვნად იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს, ვიდრე მათზე ფორმალურად აღმატებული აქტები. როცა აღმოჩნდება, რომ კონვენცია ითვალისწინებს ძირითადი უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონსტიტუციით დასახელებულ ნორმაზე დაყრდნობით, ხალხის ზნეობრივ და სოციალური ცხოვრების სხვა ფასეულობათა გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამოვიყენოთ კონვენცია. ასევე, როცა კონვენციაზე დაბალი რანგის აქტი ითვალისწინებს მაღალ სტანდარტს, მაშინ კონვენციაზე დაბალი დონის აქტი უნდა გამოვიყენოთ. მაშასადამე, ფორმალური რანგობრივი უპირატესობა შეიძლება დაირღვეს ნორმის ღირებულებითი პრიორიტეტით. მსგავსი გადაწყვეტა გვექნება ზოგადი და სპეციფიკური ნორმების ურთიერთმიმართებისას. თუკი ზოგადი კანონი ადამიანის უფლების დაცვის

³ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2004, თბილისი, 2005, გვ. 129.

⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: „ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბილისი, 2003, გვ. 124.

უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, ვიდრე სპეციალური, მაშინ პრიორიტეტული იქნება ზოგადი კანონი და არა სპეციალური. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს შრომით უფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს შრომის კოდექსის იტალიელი კომენტატორები მათი ეროვნული სამართლის მაგალითზე აღნიშნავენ, რომ იერარქიულად დაბლა მდგომ აქტს პრიორიტეტი ეძლევა იმ შემთხვევაში, როცა იგი დასაქმებულის ინტერესებს უკეთესად იცავს, ვიდრე იერარქიულად მაღლა მდგომი აქტი. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს იტალიურ სამართალში მოქმედი პრინციპიდან – “favor prestatoris”, რაც ნიშნავს დასაქმებულთა სასარგებლო წესების უპირატესობას.⁵

ამდენად, ძირითად უფლებას ისეთი გამჭოლი ძალა გააჩნია, რომ მას შეუძლია, გადალახოს ნებისმიერი ფორმალური ბარიერი. აქ „უფორმო ფორმა“⁶ სძლევს იურიდიულ ფორმას.⁷

4. კერძო ავტონომია „უფორმო ფორმაში“

ხშირად დაისმის ასეთი კითხვა: ეტევა თუ არა კერძო ავტონომია იურიდიული ფორმის ფარგლებში. ამაზე გონიერი ცივილისტი გვიპასუხებს, რომ არა, და ეს იმიტომ, რომ კერძო ავტონომიის ფორმისმიერი მოხაზულობა მხოლოდ პირობითია და იგი უპირატესად პოზიტიური სამართლით აღიარებული ღირებულებების უსაფრთხო ბრუნვას ემსახურება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფასეულია მხოლოდ ის, რაც ჩვენ მიერ აღიარებული ფორმით არსებობს. აკი, ზემოთ კიდევ აღვნიშნეთ, რომ ძირითადი უფლებები ფაქტია, იმის მიუხედავად, რა ფორმით არსებობს ისინი. სამართლის ენაზე, კერძო ავტონომიის მოქმედება შეიძლება შევნიშნოთ „უფორმო ფორმის“, იმავე სამართლებრივად განუსაზღვრელი ფორმის სივრცეში. შეუძლებელია, თვალი არ გავუსწოროთ და არ ვიფიქროთ იმ უფლებათა აღიარებაზე, რომლებიც უპირისპირდება პოზიტიური სამართლით დადგენილ ფორმებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მართლწესრიგის დიდ ოკეანეში პოზიტიურის გვერდით არსებობს არაპოზიტიური მართლწესრიგი, რომელიც ამ პირველის უარყოფა კი არ არის, არამედ მის დამატებად შეიძლება მივიჩნიოთ. ბუნებრივია, ყოველგვარი წინააღმდეგობა ვერ იქნება დამატება, მაგრამ თავიდანვე იმით შეზღუდვა, რომ დამატება აპრიორულად უარყოფაა, არ არის სწორი. თანამედროვე სასამართლო პრეცედენტები ამ კონცეფციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ამის აღიარებით ჩვენ ვაღიარებთ იმას, რომ სამართლებრივ სიკეთეთა ნამდვილი განსაზღვრულობა, მათი განუსაზღვრელობაა. ერთი შეხედვით, ეს უნდა იყოს წინააღმდეგობრივი და ულოგიკო დებულება, მაგრამ სხვაგვარად სამართლის მთლიანობის შემცენება შეუძლებელია. ჩვენთვის არსებული იქნება მხოლოდ ის, რაც ჩვენ მიერ მოგონილი ფორმით იარსებებს. აღნიშნული განცხადებით არ უარყოფთ საგანთა განსაზღვრულობას, მაგრამ გვინდა, თვალი გაუსწოროთ იმ სინამდვილესაც, რომელიც მის მიღმაა.

თანამედროვე პრეცედენტები სწორედ იმაზე მეტყველებს, რასაც აქ ვამტკიცებთ. მაგრამ საინტერესოა, როგორია ამ თვალსაზრისით კერძო სამართლისა და კონსტიტუციურის დამოკიდებულება. ჩვენი დაკვირვებით, **ადამიანის ძირითადი უფლებები** ისეთი მძლავრი ბიძგის მატარებელია, რომ იგი იწვევს კერძო სამართლის ამ მიმართულებით დინების აჩქარებას.⁸ სულ მშრალი

⁵ საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ანდრეა ბორონი (რედ.), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, მუხლი 1 (ფრანჩესკო ბაჩინი, ანდრეა ბორონი, მარკო სეგესიო) გვ. 10-12.

⁶ ეს სიტყვები აღებულია ლერი ალიმონაკის წინათქმიდან ლაოდის დაო-დეძინის გამოცემაში: ლაო-ძი, დაო-დეძინი, გამომცემლობა „ადაპტი“, თბილისი, 2013, გვ. 37.

⁷ აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს კერძო სამართლის მთელ სივრცეზე ძირითადი უფლებების შეღწევა ერთნაირია. როგორც დასავლური კვლევები იუწყება, აქ განსხვავებულია მისი ზემოქმედება. თუ შეფასების ობიექტად მივიღებთ ორ ძირითად ელემენტს, როგორებიცაა გარიგება და კანონი, ძირითადი უფლების ზემოქმედების არგუმენტები ხელშეკრულების მიმართ უფრო შესამჩნევი აღმოჩნდება. იხ.: Dieter Medicus, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im Privatrecht, Archiv für die civilistische Praxis, 192 Band (1992), S. 44; კერძო სამართალში ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებაზე დაწვრილებით იხილეთ: გიორგი ამირანაშვილი, გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2018, გვ. 47-273.

⁸ ჩვენი აზრით, დამაფიქრებელია ცნობილი გერმანელი მკვლევრის, დიდერიშის, პროვოკაციულად გამოხატული მოსაზრება, როცა იგი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ახასიათებს, როგორც სამოქალაქო საქმეთა უზენაეს სასამართლოს. იხ.: Jürgen Basedow, Europäische Menschenrechtskonvention und Europäisches Privatrecht, Rebls Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, Band 63 (1999), S. 410.

რომ არ გამოვიდეს ჩვენი მსჯელობა, ერთ მაგალითს მოვიყვან კერძო ავტონომიიდან, რომელიც ეხება ქორწინებას. ჩვენი სასამართლოების ყველა ინსტანცია ერთხმად აღიარებდა, რომ ფორმალური ქორწინება არ არის ქორწინება და იგი ვერ წარმოშობს პირთა შორის „სამეულლეო-სამემკვიდრეო“ უფლებებს. არ არის ფორმა, არ არის უფლება. ეს იყო არასწორი გადაწყვეტილება ძირითადი უფლებების ღირებულებით კონტექსტში. რა მოხდა, რომ არაა რეგისტრირებული ქორწინება, ფაქტი საქორწინო ურთიერთობისა ხომ არსებობს! ხომ არის არაპოზიტიურ ფორმაში ის, რაც პოზიტიურში უნდა იყოს. სწორედ ამას გვეუბნება კერძო სამართლის პრეცედენტები. მთავარი, რაც ამ მსჯელობას მინდა დავუკავშირო, არის ის, რომ ძირითადი უფლებები აფართოვებს კერძო ავტონომიას სამართალში.

5. ძირითადი უფლებების დამოკიდებულება კერძო ავტონომიისადმი

ძირითადი უფლებების კერძო სამართალზე გავლენის სისუსტე სხვადასხვა გარემოებით არის განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს კერძო სამართალში ფორმალისტური მიდგომის ფეტიშიზმი. სასამართლო პრაქტიკა ცდილობს, ნების ავტონომიის მოქმედების იმ ფარგლებში ჩაეტიოს, რომელიც ტრადიციულადაა მიღებული კერძო სამართალში. დაახლოებით მიუნჰაუზენის მსგავსი მცდელობაა, პრობლემიდან გამოსავალი მოინახოს კერძო სამართლის სადემარკაციო ხაზის ფარგლებში. ცხადია, ნების ავტონომიის ეს სივრცე საკმაოდ ვრცელია და თავისუფალი მოქმედების ფართო შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ბოლომდე არ ეწევა ანგარიში იმ საერთო ტენდენციას, რომელიც შეიმჩნევა კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთდამოკიდებულებაში. ძირითადი უფლებების სუსტი იმდენად ძლიერი ჩანს თანამედროვე სამართალში, რომ მისი გავლენის უარყოფა იქნებოდა სამართალში მოქმედი საერთო ტენდენციის გაუთვალისწინებლობა. როგორც ადასტურებს თანამედროვე კვლევები, ძირითადი უფლებების გავლენა იმდენად ძლიერია კერძო სამართალზე, რომ იგი შლის კერძო და საჯარო სამართალს შორის ტრადიციულ სადემარკაციო ხაზს.⁹ ცხადია, ეს არ ნიშნავს სამართლის ამ ორი დიდი სფეროს ერთმანეთში აღრევას, იგი უპირატესად ძირითადი უფლებების მოქმედებით გამონვეულ შედეგებს ეხება. მაინც რა უნდა იყოს ძირითად უფლებებში ისეთი, რაც კერძო სამართლის დაახლოებას იწვევს საჯაროსთან. ამაზე პასუხი, ჩვენი დაკვირვებით, შემდეგნაირად უნდა აიხსნას. კერძო სამართალი კერძო ავტონომიაზეა აგებული, რომლის საფუძველიცაა მხარეთა თანასწორობა. მათ შორის უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია იმ პრინციპების დაცვით, რომლებიც ამ დარგშია გაბატონებული. ამ პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობას, იმავდროულად, თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპი უდევს საფუძვლად. მაგრამ მთავარი აქ მაინც კერძო ინტერესია. მიუხედავად მხარეთა ჰარმონიული, უფლება-მოვალეობებით დაბალანსებული ურთიერთობისა, მათი ინტერესები განსხვავებულია. რუდოლფ იერიხი მას ეგოისტურ ინტერესებსაც უწოდებს. აქ არ არის ინტერესთა ერთიანობა (რაც შეუძლებელიცაა), მიუხედავად მათი მშვიდობიანი თანაარსებობისა. ესაა დაპირისპირებულ ინტერესთა თანაარსებობა. ყოველი მხარე ურთიერთობისა იმყოფება სახელმეკრულებო ბოჭვის იმ რეჟიმში, რომელიც კერძო სამართლის ბუნების შესატყვისია. ეს ქმნის იმის განცდას, რომ მისთვის დამახასიათებელ ღირებულებებზე აგებული სამართალი გამოირჩევა აბსოლუტური სისრულით. ეს არის სამართალი, რომელმაც შეიძლება თავის თავში მოახლოს ყველა კითხვაზე პასუხი და ამ გზით შეინარჩუნოს თვისებრივი, სუბსტანციური იერსახე. კერძო ავტონომიის მოქმედების ასპარეზი ამ სივრცით ამოიწურება. კერძოსამართლებრივ სასწორზე შეწონილი ინტერესები სწორია სწორედ კერძოსამართლებრივი პოზიციებიდან. აქვე მსურს, დავახუსტო, რომ ვგულისხმობთ კერძო სამართალს, რომელიც შეესაბამება სადამფუძნებლო კონსტიტუციურ პრინციპებს. თუ ასე არ მივუდგებით ამ დარგს, მაშინ ძირითადი უფლებების მოქმედება კერძო უფლებებზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ახლა შევხედოთ ამ საკითხს ძირითადი უფლებების ქრილში. თუ კერძო უფლებებს ადამიანები იძენენ, ძირითადი უფლებები მათი პიროვნულობის იმანენტური მახასიათებელია. ძირითადი

⁹ იხ. *სალომე ქერაშვილი*, ძირითადი უფლებების გავლენა სახელმეკრულებო სამართალზე: ევროპული გამოცდილებების მნიშვნელობა ქართული სამართლისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018, გვ. 51.

თადი უფლებების ფონზე კერძო სამართალში არსებული ავტონომია შეიძლება გაფართოვდეს, შეიძლება შეიზღუდოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მან შეიძლება, გამოიწვიოს ღირებულებათა ტრანსფორმაცია და ა. შ. ძირითადი უფლების სარკეში ჩვენ ვხედავთ არა დაპირისპირებულ ინტერესებს, არამედ ინტერესების დაბალანსებას მხარეთა ძალაუფლების ძირითადი უფლების სასწორზე ანონის გზით. ძირითადი უფლებები ფასეულობათა დაახლოებას იწვევს, მაგალითად, სარგებლობაში მოჩანს საკუთრება და ასე შემდეგ. ძირითადი უფლებები იწვევს კერძო სამართლის სადემარკაციო ხაზის მოშლას და აფართოებს მის ღირებულებით სივრცეს. ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება მიიჩნევა სწორ გადაწყვეტილებად. შესაბამისად, კერძო ავტონომია ფასდება ძირითადი უფლების ქრილში.¹⁰

6. ძირითადი უფლებების გამოხატვის ფორმისადმი დამოკიდებულება

იბადება სრულიად ლოგიკური კითხვა: შეიძლება თუ არა კერძო სამართალი ახდენდეს გავლენას ძირითად უფლებებზე. ცხადია, არ შეიძლება ამის გამორიცხვა. მართალია, ჩვენ ვსაუბრობთ კონსტიტუციის გავლენებზე, რაც სამართლებრივ ღირებულებათა ობიექტური ნორმატიული წესრიგიდან გამომდინარეობს, მაგრამ კერძო სამართლის უკუგავლენას ვერ უარვყოფთ. შეუძლებელია ცალმხრივი გავლენა ერთი საგნისა მეორეზე. ის, რაც მიზეზშედეგობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთი მეორეზე ორმხრივი გავლენებითაც ხასიათდება. განსხვავება ამ გავლენის სიძლიერეშია. ძირითადი უფლებების ფართო გავლენას კერძო სამართალზე განაპირობებს ის, რომ კონსტიტუცია ადგენს ღირებულებათა წესრიგს, რასაც ემორჩილება მთელი სამართლებრივი სისტემა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კერძო სამართალი ემორჩილება ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს და არა პირიქით, ძირითადი უფლებები – კერძო სამართლებრივ ფასეულობებს. მაშინ რა შეიძლება იყოს კერძოს გავლენები კონსტიტუციურზე? უპირველეს ყოვლისა, ეს არაპირდაპირი გავლენაა, კერძო სამართალი შეიძლება მივიჩნიოთ რიგი ძირითადი უფლების კონსტიტუციურსამართლებრივ ფასეულობად ჩამოყალიბების წყაროდ. ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორებიცაა საკუთრება, ხელშეკრულება, ოჯახი და ბევრი სხვა ფასეულობანი კერძო სამართალში ჩამოყალიბდა და, კონსტიტუციაში ასახვის მიუხედავად, ისინი წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებს, ადამიანთან, როგორც პიროვნულობის მქონე სუბიექტთან, იმანენტური კავშირის გამო. ამ გაგებით, კონსტიტუციები არ ადგენს ძირითად უფლებებს, მათი ფუნქცია ამ უფლებების დაცვაა. თუმცა, დაცვის ხასიათი და გარანტიები თავად უფლების თვისებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მისი პირდაპირი ანარეკლია. ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები განსხვავდება ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხით. ავიღოთ საკუთრების დაცვის გერმანული კონცეფცია. მისი სოციალური შინაარსისადმი საზგასმა თავად ამ ინსტიტუტის კერძოსამართლებრივი ბუნებაა. აქედან გამომდინარე, იმის თქმა გვინდა, რომ მართალია, ძირითადი უფლებები გავლენას ახდენს კერძო სამართალზე, მაგრამ ის არ ქმნის ამა თუ იმ ქვეყნის კერძო სამართალს, როგორც მთლიანობის მქონე ფასეულობას. ეს ფასეულობები კონსტიტუციის მიღმა ყალიბდება. ავიღოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორია. ეს კოდექსი, როგორც ფასეულობათა კრებული, იქმნებოდა 1992 წლიდან. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისას – 1995 წლისათვის, ამ კოდექსის პროექტი დასრულებული სახით არსებობდა და, როცა იგი ძალაში შევიდა 1997 წელს, სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა ღირებულებითი წესრიგით კონსტიტუციასთან. მეტიც, სასამართლო პრეცედენტებიდან გამოჩნდა, რომ კერძო სამართალში უფრო კონსტიტუციური იყო კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთდამოკიდებულება, ვიდრე თავად კონსტიტუციის ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებიდან ჩანდა.

¹⁰ კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგები კერძო სამართლის სადამფუძნებლო ფასეულობად კერძო ავტონომიას აღიარებს, მიუხედავად ამ დარგზე ძირითადი უფლებების გავლენის ზრდისა. იხ.: Reinhard Ellger, Europäische Menschenrechtskonvention und deutsches Privatrecht, *Rebels Zeitschrift*, Band 63 (1999), S. 627-628.

7. კანონმდებლის დამოკიდებულება ძირითადი უფლების ეფექტურობის მიმართ

აღნიშნული ურთიერთმიმართების ფონზე, მინდა, ყურადღება მივაქციო ერთ მიდგომას, რომელიც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული სამართალშემეცნების მოქმედი ტენდენციების, კერძოდ კი – ღირებულებათა კონსტიტუციური წესრიგიდან გამომდინარე. ვიდრე ანალიზს დავიწყებდეთ, მანამდე ფაქტებს მოვიყვანო.

საქმე ეხება ქორწინების განმარტებას, რომელსაც შეიცავს სამოქალაქო კოდექსი. 1106-ე მუხლის მიხედვით, „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია...“; საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ნორმა ასე გამოიყურებოდა: „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ (მ.36,პ.1). როგორც ვხედავთ, სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ სიტყვასიტყვით აღნიშნავს, რომ ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული სქესის ადამიანებს შორის. კონსტიტუციაში კი ასეთი სიტყვასიტყვითი მინიშნება არ იყო. ქორწინების კოდექსისეული დეფინიცია ისტორიულად ჩამოყალიბებული სამართალგაგების პირდაპირი გამოხატულებაა. ყველა ღირებულებითი მასალა, იქნება ეს საერო თუ საეკლესიო, ქორწინების ამგვარი დეფინიციის შესაძლებლობას იძლევა, რაც ჩვენი საზოგადოების მორალურ-სამართლებრივ შუბლზე ამოშანთული დებულებაა. ამიტომაც შეუძლებელია, იგი არ გამომდინარეობდეს ღირებულებათა იმ ობიექტური წესრიგიდან, რასაც კონსტიტუცია განამტკიცებს. კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი რომ არ გამხდარიყო სხვადასხვა განმარტების საფუძველი, კანონმდებელმა აღნიშნული ნორმა დაუახლოვა სამოქალაქო კოდექსის დებულებას. შეიძლება ითქვას, რომ კოდექსის ნორმამ, იმავდროულად, გადაინაცვლა კონსტიტუციაში. დღეს მოქმედი კონსტიტუციური ნორმა ასე გამოიყურება: „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ (მ.30,პ.1). გაჩნდება კითხვა, რა შეიცვალა ამ კონსტიტუციური ჩანაწერით: უფლების ფორმალური ყოფიერება თუ მატერიალური? ეს კითხვა მეორე კითხვას ბადებს: მატერიალური დამოკიდებულება ფორმალურზე? სწორედ ამით გვინდა ამ საკითხს გავცეთ პასუხი და დავიწყოთ მისი დასაბუთება. პასუხი ასეთია: მატერიალური თვალსაზრისით არაფერი არ შეცვლილა და ეს არსებულმა კონსტიტუციურმა ჩანაწერმა კიდევ დაადასტურა. აღნიშნულ ჩანაწერში აისახა ქორწინებისადმი ჩვენი საზოგადოების ის დამოკიდებულება, რომელიც სამოქალაქო კოდექსში იყო. მაგრამ ჩნდება კითხვა: ეს დამოკიდებულება მხოლოდ ამ ჩანაწერით დაფიქსირდა? ამაზე ჩვენ უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ღირებულებათა კონსტიტუციური წესრიგის ფონზე შეუძლებელი იყო ქორწინების შესახებ ძველი ჩანაწერის კოდექსისგან განსხვავებული ინტერპრეტაცია. ამ ნორმის განმარტების ყველა ადეკვატური მეთოდი მიგვიყვანდა ქორწინების კოდექსირებულ გაგებამდე. მაშასადამე, რაც სიტყვასიტყვით ჩაინერა კონსტიტუციაში, იგი ღირებულებებისა და პრინციპების სახით უკვე არსებულად შეგვეძლო მიგვეჩინა მის ორგანიზმში. ამიტომ ვერც იმას ვიტყვით, რომ კოდექსი გახდა კონსტიტუციური ნორმის ფორმალური საფუძველი. მოკლედ, ამ ფორმალური ჩანაწერით მოხდა არსებულის არსებულად დადასტურება. ნების ავტონომიის ფარგლები არც გაზრდილა და არც შეკვეცილა. მაშასადამე, არც ფორმალურად მომხდარა დიდი ცვლილება. ის, რაც ახალ ჩანაწერში გაჩნდა, კონსტიტუციის ორგანიზმში უკვე არსებობდა.

გაჩნდება კითხვა: მაშინ რა მიზანი ამოძრავებდა კანონმდებელს? ის, რაც არსებობდა, გამოკვეთილი ფორმით ხელმეორედ დაედასტურებინა? ჩვენი აზრით, კანონმდებელი ფიქრობდა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერით ძირი გამოეთხრებოდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დეფინიციის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ კანონმდებლის მიზანი ლეგიტიმურია, მაგრამ ეს გზა ძალზე საჭოჭმანოა სხვადასხვა აზრით: ჯერ ერთი, ასეთი მიდგომა აკნინებს კონსტიტუციის, როგორც ღირებულებითი ორგანიზმის, მნიშვნელობას, კერძოდ იმას, რომ ფასეულობათა ობიექტური წესრიგი მთელი მისი სხეულის თვისებაა და კონსტიტუციური ნორმები, ამ მხრივ, თანხვდება და ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სიტყვასიტყვითი ჩანაწერის ერთადერთი დანიშნულებაა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა. ვფიქრობთ, ეს რომც ყოფილიყო, მაშინაც კი სამოქალაქო

კოდექსის ნორმა კონსტიტუციიდან გამომდინარედ ჩაითვლებოდა. სასაცილო იქნებოდა, ვინმეს ეთქვა, რომ ქორწინების კოდექსიეული დეფინიცია მოკლებულია კონსტიტუციურ საფუძველს. თუკი გავყვებით მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ფორმულირებების ასახვას კონსტიტუციაში, ეს კონსტიტუციის ღირებულებასაც აზარალებს და მოქმედი კანონმდებლობის სანდოობასაც. გაჩნდებოდა ნორმათა კონსტიტუციაში სარკისებურად დუბლირების მოთხოვნილება და კონსტიტუცია დაკარგავდა ძირითადი კანონის ბუნებას თავისი თვისებრივი არქიტექტურით. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, რაც საეჭვოა, საეჭვოა ნებისმიერი ფორმით. ფორმა შეუძლებელია, აქარწყლებდეს საეჭვოობას.

კერძო და საკონსტიტუციო სამართლის მსგავსი ურთიერთმიმართების მაგალითია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების უფლების გარშემო საკანონმდებლო ნების ფორმირების პროცესი. აქ დგას არა იმდენად კერძო ავტონომიის საკითხი, რამდენადაც ნორმატიული ავტონომიის ფარგლებში საკუთრების ძირითადი უფლების მიმართ კერძო სამართლის დამოკიდებულება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე¹¹, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონი უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აძლევდა უფლებას, ყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ამკრძალავი ნორმა და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აღიარა ეს უფლება. სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა პარლამენტის დადგენილება¹², რომელიც ზღუდავდა ამ უფლებას მორატორიუმის გამოცხადებით, ვიდრე ის მატერიალურ-პროცედურულად არ მოწესრიგდებოდა. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ხსენებული უფლება კონსტიტუციის 21-ე მუხლიდან გამომდინარე უფლებად მიიჩნია, რომელშიც ზოგადად იყო საუბარი საკუთრების უფლებაზე და არა იმაზე, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო მესაკუთრე. კონსტიტუციის ამჟამინდელი რედაქციის მე-19 მუხლში (პ.3) გაჩნდა ახალი ჩანაწერი, რომელშიც ნათქვამია: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრება. გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით...“. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ უცხოელი აღნიშნული კატეგორიის მიწის მესაკუთრე შეიძლება გახდეს გამონაკლის შემთხვევაში, სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, კონსტიტუციაში საკუთრების სუბიექტის წინა პლანზე წამოწევა იმითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ კანონმდებლისათვის რთული აღმოჩნდა ისეთი კერძო თუ საჯარო სამართლებრივი ნორმების შექმნა, რომლებიც კარგად იქნებოდა გაჟღერებული კონსტიტუციური ღირებულებებით, ფასეულობათა ობიექტური წესრიგით. ეს რომ ასე იყო, გამოჩნდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებიდან და მორატორიუმის არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ცალკეული დებულებიდან. მთავარი პრობლემა იყო უცხოელის უფლების ფარგლების განსაზღვრა. ეს საკანონმდებლო სისუსტეები გახდა ის მიზეზი, რომელმაც აიძულა კანონმდებელი, მიენიშნებინა, რომ უცხოელის უფლება მიწაზე საგამონაკლისო უფლებაა, რომელიც ცალკე ორგანული კანონით მოწესრიგდება.

ვფიქრობთ, რომ მაღალი სამართლებრივი კულტურისა და კონსტიტუციური ფასეულობების ურთიერთმიმართების, ერთმანეთთან შეწონვის გზით იგივე შედეგი შეიძლება დაგვეფიქსირებინა მოქმედ კანონმდებლობაში. მოკლედ, თუ მოვახერხებდით შეგვექმნა კონსტიტუციის შესატყვისი მოქმედი კანონმდებლობა, მაშინ საკუთრების სუბიექტზე საგანგებო ხაზგასმა არ მოგვიწევდა და უცხოელის უფლება იარსებებდა, როგორც გამონაკლისი უფლება. კონსტიტუციასთან თანხმობაში მყოფ კანონმდებლობას კონსტიტუციის ძალა ექნებოდა. არ არის მართებული, როცა კონსტიტუციური ნორმა დაცვის გარანტიას იძენს კონსტიტუციაში საგანგებო ხაზგასმით. ასეთი მიდგომა შლის ზღვარს ნორმატიული წესრიგის ცალკეულ შრეებს შორის და კონსტიტუცია ითვისებს მოქმედი კანონმდებლობის ფუნქციებს. აქაც მიზანი კეთილშობილურია, მაგრამ მისი

¹¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე: „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 გადაწყვეტილება საქმეზე: „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მიღწევა შეიძლება სხვაგვარად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კონსტიტუციური ღირებულებითი წესრიგი აბსტრაქტული წესრიგია და ის, რაც მეტად გადაიხრება კონკრეტულისაკენ, მით უფრო დაკარგავს ამ თვისებას და მთლიანი ორგანიზმის ღირებულებითი ძალა დასუსტდება.

8. საკუთრების ძირითადი უფლების გავლენა ანასაკუთრებით უფლებებზე

ძირითადი უფლებების კერძო სამართალზე გავლენა განსაკუთრებით თვალში საცემია სანივთო და ვალდებულებითი უფლებების ურთიერთმიმართების კონტექსტში. ევროპული სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტებში გამოიკვეთა ვალდებულებითი უფლებების სანივთო უფლებებზე ქვეყნის ტენდენცია, რაც გაჭირვებით იკიდებს ფეხს ქართულ სინამდვილეში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებითი უფლებები ექცევა სანივთოს პოზიციაში და ზოგჯერ უპირისპირდება კიდევ მას. როგორც ზემოთ ითქვა, ერთგვარი ინსტიტუციური აღრევა ხდება იმ გაგებით, რომ ფასეულობათა იერარქიული კიბე ირყევა და ერთი მეორეზე აღმატებული სიკეთეები ერთ სიბრტყეზე ლაგდება. ეს სერიოზული მიგნებაა სამართლებრივი სიკეთეებისადმი ადამიანთა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სამაგალითოდ ავიღოთ საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე, კერძოდ, ბინაზე და ადამიანის უფლება საცხოვრისზე. ამ უკანასკნელზე უფლება კმაყოფილდება იმით, რომ ადამიანს საკუთრებაში აქვს ბინა, რომელსაც იგი თავისუფლად იყენებს აღნიშნული მიზნით. საკუთრებაზე დაფუძნებული სარგებლობის უფლება კი ფართო გასაქანს აძლევს მისი პატრონის ნების ავტონომიას. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა საცხოვრებელი მოსარგებლე არის არა მისი მესაკუთრე, არამედ – დამქირავებელი. თუ არ ექნება ბინით სარგებლობის თავისუფლება, მისი ძირითადი უფლებაც საეჭვო გახდება. ამიტომაცაა, რომ სახელშეკრულებო ბოჭვები არ არის შეუზღუდავი, იგი შეზღუდულია ძირითადი უფლების დაცვის მოთხოვნით. სამართალი ვერ იტანს ისეთ ქირავნობის უფლებას, სადაც დამქირავებელი მომეტებულადაა შებოჭილი მესაკუთრის ძალაუფლებით. სამართალი ვერც ისეთ მდგომარეობას ეგუება, როდესაც თავად მესაკუთრე ხდება ამ ურთიერთობაში დაზარალებული. სამართალი ინტერესთა განონასწორებასა და დაბალანსებაზეა მომართული. საკუთრების სანივთო უფლებისა და ქირავნობის ვალდებულებითი უფლების ურთიერთობაში საკუთრების ძირითადი უფლება ხდება ვალდებულებითის ბუნების ტრანსფორმაციის მიზეზი. მესაკუთრე საკუთრების უფლებას მიიჩნევს ექსკლუზიურად პირადი ინტერესების გამომხატველ სიკეთედ, მაშინ, როცა იგი საზოგადო სიკეთესაც წარმოადგენს. ეს ავსებს ვალდებულებითი უფლების ყოფიერებას საკუთრების ძირითადი უფლების ელემენტებით. საკუთრების ეს ბუნება მძაფრადაა გამოხატული ცალკეული ქვეყნის კონსტიტუციებში, მაგალითად, გერმანიის ფედერალური კონსტიტუციით, „საკუთრება ავალდებულებს“ და რაც მეტი დრო გადის, საკუთრება მით უფრო იბოჭება ვალდებულებითი უფლებებით. ეს კი იწვევს საკუთრებიდან მომდინარე ძალაუფლების გადანაწილებას. ცალმხრივი ძალაუფლება ორმხრივი ძალაუფლების ხასიათს იძენს. ძირითადი უფლების გავლენით ხდება საგნების, ინსტიტუტების შინაარსის ტრანსფორმაცია იმგვარად, რომ ისინი საერთო ნიშნებს იძენს ისე, რომ არ ითქვიფება ერთმანეთში. ისინი არ კარგავენ დამოუკიდებლობას, მაგრამ იზრდება მათი ურთიერთდამოკიდებულება იმ მიმართულებით, რომ საკუთრების ძირითადი უფლებით ისუსხება არასაკუთრებითი უფლებები. ეს კი ხდება თავად ძირითადი უფლების შეზღუდვით.

თუ ამ ქრილში დავინახავთ საკუთრების უფლების დიქტომიას, მაშინ საკუთრების ძირითადი უფლების პოზიციაში აღმოჩნდება რიგი კერძოსამართლებრივი სარგებლობის უფლება, რომელსაც ზოგჯერ შეუძლია გადანონოს კიდევ საკუთრების უფლება. ამას შეიძლება, ვუნდოთ საკუთრების ძირითადი უფლების გამჭოლი ეფექტი საკუთრების შინაარსის ელემენტებზე, როცა ისინი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე სხვისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდება. მარტივად რომ ვთქვათ, შესაძლებელი ხდება საკუთრების ბოჭვით საკუთრების მიღება. ჩვენი ეს მსჯელობა არ მოეწონა ჩემს ერთ-ერთ სტუდენტს, როცა ამის დასამტკიცებლად პლატონის პარმენიდე დავიმონმე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგნის მიზეზი თავის თავშიცაა და სხვაშიც,

მის გარეთ.¹³ სტუდენტის აზრით, შეუძლებელია, საკუთრების უფლება გადაწონოს იმ უფლებებმა, რომლებიც მისგანაა ნაწარმოები ან მისი შეზღუდვის მდგომარეობას გამოხატავს. იგი ამტკიცებდა, რომ საკუთრება თავის თავში არსებული, თავისი თავით განპირობებული ფასეულობაა. ყველა ის თვისებრივი ელემენტი, რომლებიც საკუთრების უფლებას ქმნიან, თავის თავშია და არა მის გარეთ. ის, რაც თავის თავშია, შეუძლებელია, ერთდროულად იყოს მის გარეთ, სხვაშიც. ამ მსჯელობის მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ საკუთრების უფლებას ვერ გადაწონის მის გარეთ არსებული ვერავითარი საპატიო ინტერესი. ღირებულებითი სასწორი აპრიორულად საკუთრების უფლების სასარგებლოდ იხრება.

შევეცდები, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვაჩვენო აღნიშნული მსჯელობის უსაფუძვლობა. ეს მაგალითები ძირითადად იქნება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკიდან.

ა) ე. წ. „ფურცხვანიძის საქმე“

როგორც ცივილისტები აღნიშნავენ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „პირველი სიტყვა“ მესაკუთრისა და დამქირავებლის უფლებრივ დამოკიდებულებაზე თქვა ე.წ. „ფურცხვანიძის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებაში¹⁴. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ფურცხვანიძის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის დებულება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მესაკუთრის მოთხოვნით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდება თვით მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს, და თუ მესაკუთრეს სამი თვით ადრე გააფრთხილებს დამქირავებელს ხელშეკრულების მოშლის შესახებ“. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ნორმა ხელყოფდა საკუთრების უფლებას დამქირავებლის სასარგებლოდ, რადგან მესაკუთრეს ხელშეკრულების მოსაშლელად უნდა ემტკიცებინა, რომ სადგომი სჭირდება საკუთარი მიზნებისათვის. მოკლედ, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლება განიხილა დამქირავებლის სარგებლობის უფლებასთან მიმართებით აბსოლუტური უპირატესობის კონტექსტში, რომელშიც დამქირავებლის უფლებრივ მდგომარეობას ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით განსაზღვრავს მარტოოდენ სახელშეკრულებო ვადები და არა თავად დამქირავებლის პატივსაღები ინტერესები. სასამართლოს პოზიცია უარყოფდა კერძო სამართლისათვის დამახასიათებელ ღირებულებით წესრიგს, რომელშიც დამქირავებლის უფლებები არ არის მესაკუთრის თვითნებობაზე დამოკიდებული. საკმარისია, ქირავნობის ურთიერთობაში დავინახოთ მესაკუთრის ცალმხრივი ძალაუფლება მისი მოშლის საკითხში, რომ განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებას აზრი დაეკარგება, რადგან არავინ იქნება გარანტირებული, რომ მისი დადებიდან სამი თვის თავზე მესაკუთრე არ შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას. ამიტომაც ამბობდა 154-ე მუხლი, რომ მესაკუთრეს უნდა დაემტკიცებინა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის სამართლებრივად მოტივირებული საჭიროება. საკონსტიტუციო სასამართლოს გაუჭირდა იმის დაშვება, საკუთრების განმსაზღვრელ ძალაუფლებით ორგანიზმში, მესაკუთრის გარდა, სხვა ვინმეს თუ შეიძლო შელწევა და საკუთრების ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტის, როგორცაა „სარგებლობა“, მესაკუთრის ნების საპირისპიროდ გამოყენება. საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ წარმოედგინა ღირებულებათა ისეთი სასწორი, რომელზეც საკუთრებისა და სარგებლობის უფლების აწონვისას ისარი გადაიხრებოდა მოსარგებლის (დამქირავებლის) სასარგებლოდ. მით უმეტეს, ეს ხდება მაშინ, როცა საკუთრების საბჭოთა სამართლებრივი წესრიგი იმსხვრევა და ასპარეზზე გამოდის მისგან გათავისუფლებული მესაკუთრე. ასეთი მიდგომა უნდა ჩაითვალოს სწორედ ამ ისტორიული შიმშილით გამოწვეულ გაუგებრობად. როგორც დამშეული ადამიანი ვერ ახერხებს ზომიერად მიირთვას საკვები, ისე ვერ მოზომა სასამართლომ მესაკუთრის უფლებამოსილების ფარგლები.

¹³ იხ. პლატონი, პარმენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა "Carpe diem", 2016, გვ. 69-74.

¹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 25 მარტის N2/31-5 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1996-1997, თბილისი, 2002. გვ. 61-65.

მის მიერ გამოყენებული სასწორი ისე წონიდა მესაკუთრე-მოსარგებლის უფლებებს, რომ ისარი თავიდანვე გადახრილი იყო მესაკუთრის მხარეს იმ მარტივი მოტივით, რომ შეუძლებელია სარგებლობის უფლება, რომელიც საკუთრების უფლების იმანენტური მახასიათებელია, დაუპირისპირდეს იმ ორგანიზმს, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა. მოკლედ, დაუპირისპირდეს საკუთარ თავს საკუთარი თავისგან მოწყვეტით. საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა ის ფაქტი, რომ საკუთრებაა არამარტო მატერიალურ საგანზე საკუთრება, არამედ არამატერიალური სიკეთეც საკუთრებაა ძირითადი უფლების კონტექსტში. მესაკუთრის პოზიციაში იმყოფება დამქირავებელიც, მისი უფლება ასევე საკუთრების უფლებაა. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გასცდა დამქირავებლის ვალდებულებითი უფლების წმინდა ვალდებულებით ხასიათს, მის მიბმულობა-მიჯაჭვულობას საკუთრების უფლებასთან და მან ვერ გააცნობიერა, რომ დამქირავებლის უფლება შეიძლება იქნდეს ავტონომიურ, დამოუკიდებელ თვისებას ძირითადი უფლების სახით. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იქნებოდა, „ფეტუსი“ არ გველიარებინა დამოუკიდებელ სუბიექტად და გვეცნო დედის ორგანიზმის ნაწილად იმის გამო, რომ დედის ორგანიზმზეა მიბმული და მის გარეშე არ არსებობს. არც ქირავნობა არსებობს საკუთრების გარეშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მარტოდენ საკუთრების შინაარსის გამოხატულებაა. მოკლედ, საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც ვალდებული იყო, კერძო სამართლებრივი ღირებულებები დაენახა ძირითადი უფლების ქრილში, ეს გააკეთა მხოლოდ მესაკუთრესთან დაკავშირებით, რაც მცდარი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ გააცნობიერა სანივთო და ვალდებულებითი უფლებების დამოკიდებულებაში არსებული ორმხრივი ტენდენცია, რომელიც მათი დაახლოებისკენაა მიმართული და რომელშიც ვალდებულებითი უფლებები სანივთოს პოზიციაშია წარმოჩენილი.¹⁵

ამდენად, ძირითადი უფლების გავლენას კერძო სამართალზე აბრკოლებს იურიდიული ფორმალის ფეტიშიზმი. ეს კი, როგორც ითქვა, გულისხმობს სოციალური ცხოვრების შემეცნების არსებითად ამონურვას იმ სამართლით, რომელიც პოზიტიური სამართლის ფორმაშია. სამართლებრივი სინამდვილის ამგვარი აღქმით არაფორმალური სამართალი მიიჩნევა ფორმალურთან დაპირისპირებად, მის უარყოფად, რაც უმართებულოა. ლეგიტიმური და არალეგიტიმური მართლწესრიგები ერთად არსებობს და არალეგიტიმური ხშირად ლეგიტიმურის დამატებაა. თუკი მას მხოლოდ უარყოფა - ხელშეშლის სარკეში დავინახავთ, მაშინ ლეგიტიმურის განვითარებასაც შევაფერხებთ. ასეთი გაორებული მართლწესრიგით არსებობას ვერც კონსტიტუციისადმი დაპირისპირებად ჩავთვლით. შეუძლებელია, კონსტიტუციური ღირებულებითი წესრიგი ჩაეტიოს მკაცრად განსაზღვრულ ფორმალურ ნორმატიულ სქემებში. ეს კონსტიტუციის შინაარსის დავინროება იქნება. ძირითადი უფლებები, რომლებიც კონსტიტუციური ნორმებითაა გარანტირებული, ფაქტობრივად „უფორმო ფორმაშია“, განფენილია სამართლის მთელ სივრცეში. ის, რაც მოქმედ სამართალთან დაპირისპირებად მიიჩნევა, ძირითადი უფლებების კონტექსტში, მასთან თანხმობაში მყოფად უნდა მივიჩნიოთ. რაც მეტად გაემიჯნება კერძო სამართალი უფორმო სინამდვილეს, მით უფრო დაშორდება იგი კონსტიტუციურ ღირებულებით წესრიგს და შესუსტდება მასზე ძირითადი უფლებების ზემოქმედების აუცილებლობა. ძირითადი უფლებებისათვის საკანონმდებლო ფორმები არ წარმოადგენს იმ დაბრკოლებას, რომელმაც შეიძლება, ხელი შეუშალოს მათ გავლენას კერძო სამართალზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ძირითადმა უფლებებმა უნდა შეასრულოს კერძო უფლებების სრულფასოვნად შემეცნების ფუნქცია, რაც იქნება კერძო სამართლის არსებობის ერთიანი გარემოს (ფორმალურისა და არაფორმალურის) აღიარება. ჩვენი მსჯელობა რომ არ დარჩეს ცარიელ სიტყვებად, მოვიყვან რამდენიმე პრეცედენტს სასამართლო პრაქტიკიდან.

ერთ-ერთი პრეცედენტი ეხება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონს.¹⁶ მასში სადავო იყო ნორმა, რომელიც, ჩვენი გადმოცემით,

¹⁵ ძირითადი უფლების პერსპექტივიდან მესაკუთრის პოზიციაში დამქირავებლის ჩაყენება განსაკუთრებით გამოკვეთილია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში: იხ. იურგენ შვაბე (გამომცემელი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2012. გვ. 245-284; Matthias Ruffert, *Vorrang der Verfassung und Eigenständigkeit des Privatrechts*, Mohr Siebeck, 2001, S. 366.

¹⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147-148, 152-153 გადაწყვეტილება საქმეზე: „ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბილისი, 2009, გვ. 106-131.

ადგენდა: ის, ვინც საკუთრებას იძენს კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად, მაგრამ არსებული მტკიცებულებები იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ საცხოვრებელ სადგომზე ნასყიდობა ფაქტობრივად შედგა, მაშინ შემძენი ჩაითვლება მესაკუთრედ. ეს იყო გამონაკლისი მოწესრიგება, რომლითაც ხდებოდა საბჭოთა სინამდვილეში წარმოშობილი ურთიერთობების თანდათანობითი გალევის გზით ახალ საკუთრებით წესრიგთან დაახლოება. ახალი საკუთრებითი წესრიგი კი მკაცრად ფორმალური იყო და გულისხმობდა უძრავზე საკუთრების წარმოსაშობად სანოტარო წესით დამონმებული საბუთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. სასამართლომ ორივე სუბიექტის საკუთრების ძირითადი უფლება ფორმალურ მომენტს დაუკავშირა. კერძოდ, მან ფაქტობრივი გამსხვივებელის უფლება დაიცვა იმაზე დაყრდნობით, რომ იგი ფორმალურად იყო მესაკუთრე, შემძენის უფლება კი არ აღიარა იმის გამო, რომ მან სათანადო ფორმით არ შეიძინა საკუთრება. მოკლედ, საკუთრების ძირითადი უფლების არსებობის მთელი ყოფიერება მან ფორმალურ გარემოებას დაუკავშირა და არა – ნებას, ნების გამოხატვას. ნების ავტონომია, რომელიც ასცდა კანონით დადგენილი ფორმის მოთხოვნებს, ვერ აღმოჩნდა გამიზნული შედეგის მომტანი. სასამართლოს გადანყვეტილებიდან ისე ჩანს, თითქოს ძირითადი უფლება აპრიორულად, ცალსახად აღიარებას პოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი სავალდებულო ფორმით არსებობს. ჩვენი აზრით, ღირებულებათა კონსტიტუციური ნაკადი, რომელიც ძირითად უფლებებს ეხება, მოსალოდნელია, არაფორმალურ სივრცეშიც არსებობდეს, თავისი სისავსისა და ყოვლისმომცველობის წყალობით, ნორმატიულ სივრცეში ფართო განფენილობის გამო შეუძლებელია, იგი არ გადმოედინებოდეს იმ ფორმიდან, რომელიც ითვლება მისი არსებობის საკანონმდებლო ფორმად. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენ დავაფიქსირეთ განსხვავებული აზრი ფორმის ფეტიშიზმის წინააღმდეგ, დავასაბუთეთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნების გამოვლენის პრიორიტეტი გამოხატვის ფორმასთან შედარებით.

რაც მეტი დრო გავიდა ჩვენი სამართლის განვითარების გზაზე, მით უფრო დადასტურდა კერძო უფლების უფორმო მდგომარეობაში აღიარება. მით უფრო, როცა ეს უფლება ძირითად უფლებას წარმოადგენს. ძირითადი უფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არსებულია ოფიციალური ფორმის გარეშე, გავიმეორებთ, იგი „უფორმო ფორმაშია“. ის ფაქტი, რომ კონსტიტუციაში საუბარია ძირითადი უფლების აღიარებასა და დაცვაზე, არ ნიშნავს იმას, რომ ძირითად უფლებებს ქმნის კონსტიტუციური მართლწესრიგი. ძირითადი უფლებები ადამიანის ღირსებიდან გამომდინარე უფლებებია, ღირსება კი ადამიანის პიროვნულობისაგან განუყოფელია და მისი მატარებელია ყველა ადამიანი. ვერც ერთი სამართლებრივი აქტი ვერც შექმნის ადამიანის ღირსებას და ვერც გააუქმებს მას.

ბ) ე. წ. „სალინაძის საქმე“

კიდევ ერთი პრეცედენტი გვინდა მოვიყვანოთ ფორმისადმი გადამეტებული და თან არასწორი მიდგომის შესახებ. საქმე ეხება ე.წ. „სალინაძის საქმეზე“¹⁷ ევროსასამართლოს შეფასებებს. სალინაძე იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ზეპირი განკარგულებით, შესახლდა კოტეჯში, შემდგომ კი – გამოასახლეს. სალინაძემ ეროვნული მართლმსაჯულების სივრცეში ვერ მიაღწია კოტეჯზე მფლობელობის უფლებას. ამიტომაც მან მიმართა ევროსასამართლოს, რომელმაც დაადასტურა მისი უფლების დარღვევა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სტრასბურგის სასამართლოს გადანყვეტილებიდან გამოჩნდა, არის ის, რომ ქართული სასამართლოები ამ საქმის განხილვისას გატაცებული იყვნენ საქმის წმინდა ფორმალური მხარით და მასზე დაყრდნობით, უარყოფდნენ კოტეჯით სარგებლობის უფლებას. ევროსასამართლომ საკუთრების უფლების პოზიციაში დააყენა სარგებლობის უფლება და ჩათვალა, რომ სალინაძეს დაერღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ეროვნულმა სასამართლოებმა შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირ განკარგულებას მიანიჭეს საკრალური მნიშვნელობა სალინაძის უფლების უარყოფის დასამტკიცებლად. ლამის ეს გა-

¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადანყვეტილება: „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №18768/05).

ნკარგულება დასვეს ნორმატიული აქტების ცენტრში, რომლის კანონიერებაზეც იქნებოდა დამოკიდებული, სალინაძეს აღუდგებოდა თუ არა სარგებლობის უფლება. ამით სასამართლოებმა არაფრად ჩააგდეს სალინაძის უფლების საერთაშორისო ხასიათი და იგი დამოკიდებული გახადეს მინისტრის განკარგულებაზე. სამინისტროს აღნიშნული კოტეჯი დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დარღვევითაც რომ გადაეცა, ის მას მაინც არ უნდა წართმეოდა. სასამართლოს გადანყვეტილებიდან ჩანს, რომ, როცა უფლება აღიარებულია ეროვნული და საერთაშორისო სამართლის დონეზე, ამ შემთხვევაში ფორმალურია მთელი ყურადღების გადატანა მისი წარმოშობი აქტებისა და განკარგულების გამცემი უწყებების ხასიათზე. ყველაზე გულსატკეპია, რომ სასამართლოებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისით სარგებლობის უფლების ხასიათი. კერძოდ, საკუთრების ძირითად უფლებასთან მისი სიახლოვე. სწორედ აქ ჩანს სარგებლობის უფლებაზე ძირითადი უფლების გავლენა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს რომ გაეცნობიერებინა სასამართლოებს, მაშინ მთელი ყურადღება არ იქნებოდა გადატანილი უფლების ფორმალურ მხარეზე.

9. ანარეგისტრირებული ქორწინება ძირითადი უფლების ჭრილში

ფორმალურისა და ფაქტობრივის ურთიერთმიმართების ჭრილში ძირითადი უფლების მდგომარეობის მაგალითად რეგისტრირებული ქორწინების გვერდით შეიძლება დავასახელოთ არარეგისტრირებული ქორწინება. რეგისტრაციის ფაქტი საქორწინო ურთიერთობის ოფიციალურად აღიარების მნიშვნელოვანი მტკიცებულება და უსაფრთხო სამოქალაქო ურთიერთობის სერიოზული საფუძველია. ამ ფორმალური დებულებით, ცოლ-ქმრად (დაქორწინებულებად) ცხადდებიან ის პირები, რომლებმაც თავიანთი თავისუფალი ნება რეგისტრაციაში გაატარეს. აქ ინსტიტუციური სხეულის ელემენტები სრულ ჰარმონიაშია, ვინაიდან სახეზეა ნება და მისი ოფიციალურად აღიარების ფორმა. თუმცა ეს ასე არ ხდება ყოველთვის და პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საქორწინო ნება სახეზეა, ქალი და კაცი იმყოფებიან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში და ასე ცხოვრობენ წლების განმავლობაში. იბადება კითხვა: კონსტიტუცია თუ აღიარებს და იცავს მათ უფლებებს ქორწინების ძირითადი უფლების კონტექსტში? ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკა. ხშირად იმომბეზნ ევროსასამართლოს 1994 წლის 27 ოქტომბრის გადანყვეტილებას „კრონი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ“.¹⁸ ევროსასამართლომ ამ საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლში მოცემული „საოჯახო ცხოვრების“ ცნება არ შემოიფარგლება ქორწინებით და შეიძლება იგი მოიცავდეს „დე ფაქტო საოჯახო ურთიერთობებს“, როცა მხარეები ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად. ასეთი ურთიერთობისათვის შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს სხვადასხვა ფაქტორი, რის საფუძველზეც საფიქრალია, რომ მათ აქვთ საკმარისად მუდმივი კავშირი, რათა „დე ფაქტო საოჯახო ურთიერთობა“ შექმნან. ევროსასამართლომდე ჰოლანდიის ეროვნულმა სასამართლოებმა, კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ფორმალურ მომენტებს მიანიჭეს მნიშვნელობა და სათანადოდ არ შეაფასეს ფაქტობრივი სინამდვილე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტზე მაღლა იურიდიული ფორმა დააყენეს, რამაც შვილების სამემკვიდრეო უფლებებში უთანასწორობა გამოიწვია. ევროსასამართლოს გადანყვეტილებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ „დე ფაქტო საოჯახო ურთიერთობის“ ლეგიტიმაციისათვის მან არ მიიჩნია საჭიროდ არასაქორწინო ურთიერთობაში მყოფი მოსარჩელების დაქორწინება. სასამართლომ მათი თანაცხოვრების ფაქტი ჩააყენა დაქორწინებული პირების პოზიციაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება პოზიციების ევოლუცია. თუ თავდაპირველად რეგისტრაციის ფაქტის გარეშე ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა განიხილებოდა მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების პოზიციაში, შემდგომ ეს პრაქტიკა გათავისუფლდა ფორმის ფეტიშიზმისგან და ფაქტობრივი ურთიერთობა სამართლებრივი ძალის მქონედ იქნა ცნობილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში, სამოქალა-

¹⁸ იხ. Прецеденты Европейского суда по правам человека, Санкт-Петербург, Юридический центр пресс, 2004, გვ. 565-566; ოჯახის ცნებაზე იხილეთ: Achim Brötel, Schutz des Familienlebens, Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 63. Jahrgang 1999, S. 584-589.

ლაქო კოდექსზე დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს რეგისტრირებული ქორწინება. აქედან გამომდინარე, უარყოფილია არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებაში მყოფ პირთა საერთო თანასაკუთრების წარმოშობა.¹⁹ ამ ლოგიკით, არარეგისტრირებული ქორწინება ვერც სამემკვიდრეო უფლებებს წარმოშობს ფაქტობრივ მეუღლეს შორის. მოკლედ, რეგისტრაციის უქონლობა – ქორწინების და მის საფუძველზე ოჯახის წარმოშობის უარყოფის საფუძველი ხდებოდა. თუ ქორწინება არარსებულია ფორმის გარეშე, მაშინ ის, რაც არ არსებობს, მასთან ვერც საქორწინო-საოჯახო უფლება-მოვალეობები იქნება დაკავშირებული. სასამართლოსათვის ფაქტობრივი სინამდვილე მთლიანად ფორმით იჩრდილებოდა – იყო ასეთი ცრუ მოლოდინი, რომ ფაქტობრივის ფორმალურის პოზიციაში დაყენება გამოიწვევდა რეგისტრაციის პრინციპის უარყოფას. არარეგისტრირებული ქორწინების ცნობა რეგისტრაციის პრინციპის დადასტურება და იმის აღიარებაა, რომ რეგისტრაციას ვერ ექნება ყოვლისმომცველობის პრეტენზია. საერთო სასამართლოების პრაქტიკაში შემდგომ ამ მიმართულებით განვითარდა პრეცედენტები. ამჯერად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვახსენებთ, რომელშიც ასევე დამონშებულია ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ევროსასამართლოს პრეცედენტი. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „პალატა მიიჩნევს, რომ მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეთა შორის არსებობდა საქორწინო ურთიერთობა“. აღნიშნული ურთიერთობის ამგვარად შეფასებისას სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვით, ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე.²⁰

ყოველივე აღნიშნული იმისი მტკიცებულებაა, რომ ძირითადი უფლებების გავლენით იმსხვერვეა კერძო ავტონომიის მბოჭავი ფორმები და ის, რაც ფორმის ფარგლებში არსებობს თავისი შინაარსობრივი განზომილებით, შეიძლება ვიხილოთ უფორმო მდგომარეობაში. აქ ჩანს კერძო ავტონომიის კონსტიტუციური ძალა, რომლითაც ისუსხება არამართო სამართლის ფორმალური ყოფიერება, არამედ – არაფორმალურიც. ამ გაგებით, ძირითადი უფლებები კერძო ავტონომიის გაფართოების მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ინსტრუმენტი ხდება ისე, რომ ეს არ იწვევს კერძო უფლებების ფორმალური არსებობის უარყოფას, პირიქით, იგი მისი დამატებაა, როცა შინაარსი ფორმისაგანაა გაუცხოებული და არა ამ ფორმაში გამოხატულ შინაარსთან.

10. ხანდაზმულობა და სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

მართალია, ხანდაზმულობის ვადები ძირითად უფლებებსაც ეხება, მაგრამ, ამ უფლების სიმძაფრიდან გამომდინარე, ერთობ შესუსტებულია ამისი ძალა. ეს ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტების ევოლუციიდანაც. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 30 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობას,²¹ ეს ნორმა კრძალავდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით განცხადების შეტანას, თუკი ამ გადაწყვეტილების გამოტანიდან გასული იყო 5 წელი. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ხანდაზმულობის ვადა კონსტიტუციურად მიიჩნია იმ სხვადასხვა სამართლებრივი ფასეულობის ფონზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი უსაფრთხოება, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მუხლი კონსტიტუციურად ჩათვალა ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც მოტივირებული იყო იმით, რომ გადაწყვეტილების პერმანენტულად გასაჩივრება ძირს გამოუთხრიდა სამართლებრივ უსაფრთხოე-

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის N681-637 განჩინება.

²⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2012 წლის 29 მაისის N28/771-12 გადაწყვეტილება.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/361 გადაწყვეტილება საქმეზე: „ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. კრებულში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2003, თბილისი, 2004, გვ. 109-122.

ბას, სამოქალაქო ბრუნვაში გაჩნდებოდა საეჭვო უფლებები და შედეგად მივიღებდით პროცესის უკვდავებას. 2003 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაში²² ეს ხისტი დამოკიდებულება შერბილდა და ითქვა, რომ დაუშვებელია ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე უარი. სასამართლოს მტკიცებით, დრო ვერ გააბათილებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებას. ამან განაპირობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო მუხლში ხაზგასმით თქმულიყო, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა ვერ დააბრკოლებს სასამართლოში სარჩელის შეტანას ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ესენია: „ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს“.

„თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება“.

აღნიშნული ნორმიდან ჩანს, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის ჩაკეტილი სივრცე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. საამისოდ აუცილებელია ეგზისტენციალურად იყოს ეს უფლება გამოხატული. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი ცნო არაკონსტიტუციურად, რომელიც ეხებოდა 422-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) ქვეპუნქტზე ხანდაზმულობის გავრცელებას. მოცემულ ქვეპუნქტში კი საუბარია ისეთ პატივსაცემ ინტერესზე, რომლის დაცვაც არ შეიძლება შეიზღუდოს ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადით, კერძოდ, როცა „პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე“. ამიტომაც იყო, რომ სასამართლომ დაადასტურა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის (სასამართლოსადმი მიმართვის უფლება) დარღვევა.

ამრიგად, ბოლო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და ძირითადი უფლების განონასწორებელი, დაბალანსებული ურთიერთმიმართება, რამაც განაპირობა კერძო სამართალზე კონსტიტუციის გავლენის გაძლიერება.

11. სიცოცხლის ძირითადი უფლების გავლენა ადამიანის სხეულის ორგანოების ე. წ. „სამოქალაქო ბრუნვაზე“

მოქმედი ქართული სამართალი ადამიანის სხეულის ორგანოს არ მიიჩნევს ნივთად და, შესაბამისად, მათ არ თვლის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად. თუმცა ფაქტია, რომ ეს ორგანოები გამოიყენება ტრანსპლანტაციის მიზნით. მას შემდეგ, რაც ისინი სხეულს მოშორდება, შეიძლება ინოდებოდეს ნივთებად. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ვერ ვიტყვით, რომ ისინი გახდა თავისუფალი ბრუნვის ობიექტი. გერმანული დოქტრინა ადამიანის სხეულის ორგანოების განკარგვას უწოდებს პირის პიროვნულობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციას, რაც არ შეიძლება გაუთანაბროთ სხეულებრივი ნივთების სამოქალაქო ბრუნვას. უფლება პიროვნულობიდან გამომდინარე იმიტომაცაა, რომ სხეულის ორგანოები განსაზღვრავს ადამიანის მატერიალურ ყოფიერებას, მის სხეულებრიობას. ნივთები მის გარეთ არსებული საგნებია. ტრანსპლანტაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა ზედმინვენით აწესრიგებს სხეულის ორგანოების გამოყენების წესს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი კრძალავს ამ ორგანოებით ვაჭრობას. კერძო ავტონომია ამ სივრცეში ერთობ შეზღუდულია. არავის აქვს უფლება, თუნდაც პიროვნულობის უფლების ფარგლებში, ეჭვის ქვეშ დააყენოს საკუთარი სიცოცხლე, რაც თავისთავადაა სამართლის მიზანი და არა საშუალება. სამართალი თანაბრად იცავს ყველა ადამიანის სიცოცხლეს და მისთვის მიუღე-

²² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/153 გადაწყვეტილება საქმეზე: „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ბელია ერთის სიცოცხლის ხარჯზე მეორის შენარჩუნება. თუნდაც ეს არ ეხებოდეს სიცოცხლეს და უბრალოდ, ადამიანის ჯანმრთელობასთან გვეკონდეს საქმე; სამართალი ვერ ნაახალისებს საკუთარი თავისადმი ვნების მიყენებას, რადგანაც კანონის ფილოსოფიას თუ დავეფუძნებით, არ უნდა დავუშვათ მიზნისა და საშუალების ერთმანეთში არევა. საკუთარი სხეულის ნაწილების ხარჯზე სხვისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა მაშინ იქნება გამართლებული, როცა საფრთხე არ შეექმნება საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ხატოვნად რომ ვთქვათ, აქ მიზანი ემსახურება მიზანს. ახლა მთავარ საკითხზე გადავიდეთ, რაც ერთი სტუდენტის კითხვამ გამოიწვია. იგი ასეთია: ვთქვათ, ადამიანის გადასარჩენად საჭიროა თირკმლის გადანერგვა. ხანგრძლივი ძებნის შედეგად გამოვლინდა ერთადერთი პიროვნება, რომლის თირკმელიც გადასანერგად შეთავსებადი აღმოჩნდა პაციენტის ორგანიზმთან, მაგრამ არის ერთი პრობლემა: დონორი მხოლოდ იმ შემთხვევაშია თანახმა, დაეხმაროს პაციენტს, თუ მას გადაუხდინან თირკმლის ღირებულებას სოლიდური თანხის სახით. პაციენტი ამაზე თანახმაა, მაგრამ თირკმლის გაყიდვა პრინციპულად ეწინააღმდეგება კერძო ავტონომიის ზნეობრივ საფუძველს. როგორ მოვიქცეთ: თუ ამას დაუშვებთ, მაშინ მოგვიწევს თირკმლის შეფასება ფულზე, ისევე, როგორც ეს ხდება ნებისმიერი ნივთის შემთხვევაში. ამით ჩვენ ადამიანის პიროვნულობას ეჭვისქვეშ დავაყენებთ, ვინაიდან მისი არსობა ობიექტის მიმართულებით გადაიხრება, თუმცა ამით დონორის სიცოცხლეს გადავარჩინებთ. სტუდენტის კითხვაზე ჩვენი მოკლე პასუხი იქნება ის, რომ სიცოცხლის ძირითადი უფლების, როგორც სამართლის მთავარი მიზნის კონტექსტში უნდა განვმარტოთ ადამიანის სხეულის ორგანოებისადმი კერძო სამართლის დამოკიდებულება. ვერც ერთი ინსტიტუციური წესრიგი ვერ დადგება ადამიანის სიცოცხლის უფლებაზე მალლა. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, სიცოცხლის უფლებით დაიჩრდილება ის ინსტიტუციური უხერხულობა, რომელიც სხეულის ორგანოს ე. წ. „ნასყიდობასთან“ იქნება დაკავშირებული. ცხადია, ამასთან ერთად დადგება ბრუნვის უსაფრთხოების საკითხი, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერც იგი დადგება სიცოცხლის უფლებაზე მალლა. ცხადია, ამან არ უნდა მისცეს სტიმული ადამიანის ორგანოებით ვაჭრობას. საჭიროა, შეიქმნას უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომლისთვისაც გარდაუვალი აუცილებლობით გამოწვეული ცალკეული გამონაკლისი არ იქნება საფრთხის შემცველი და სამართლებრივი ბუნებით ისინი გაიმიჯნება ნივთების გასხვისებასთან დაკავშირებული წესებისგან. მას პიროვნულობიდან მომდინარე უფლების დალი უნდა აჩნდეს.

12. კარდაცვლილის პატივისა და ღირსების „მოკვდინება“ (ე. წ. „ვაზაგაშვილის საქმე“)

კიდევ ერთი პრეცედენტი გვინდა განვიხილოთ, რომელიც გახდა ცივილისტებში აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი. საქმე ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებას ე. წ. „ვაზაგაშვილის საქმეზე“.²³ თუ გავყვებით ამ საქმის ისტორიას, დავინახავთ რომ მოსარჩელემ საერთო სასამართლოსგან მოითხოვა თავისი გარდაცვლილი შვილის პატივისა და ღირსების დაცვა, კერძოდ, მისი შეფასებით, შვილის მისამართით გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა. მოსარჩელეს იმედი ჰქონდა, რომ სასამართლო დაეყრდნობოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლს და განსახილველად მიიღებდა მის სარჩელს. აღმოჩნდა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი არ აძლევდა მას ამის საშუალებას. მოკლედ, სამოქალაქო კოდექსი აღიარებდა გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვას, აღნიშნული კანონი კი – არა. ვნახოთ რა შინაარსისაა ერთმანეთთან კოლიზიაში მყოფი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლში წერია: „მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები (პირადი არაქონებრივი უფლებები – ბ. ზ.) შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია“. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი კი ცალსახად უარყოფდა კოდექსით დადგენილ დანაწერს, კერძოდ, იგი ადგენდა: „ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას“. სასამართლომ ჩათვალა, რომ ნორმათა კოლიზიისას უნდა გამოეყენებინა არა ზოგადი, არამედ სპეციალური კანონი, დაეყრდნო კიდეც აღნიშნულ ნორმას და განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის განსახილველად მიღებაზე. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობის საკითხი გარდაცვლილ პირთან დაკავშირებით, მოპასუხემ მოსარჩელის მოთხოვნა სწორად მიიჩნია. 2014 წლის 2 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებით სადავო კანონის მე-6 მუხლს დაემატა მე-4¹ პუნქტი, რომელიც ისე ჩამოყალიბდა, რომ არ ყოფილიყო წინააღმდეგობაში სამოქალაქო კოდექსთან, კერძოდ, მასში ჩაიწერა: „გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად ცილისწამების თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია, სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია“. მოკლედ, კანონმდებლის კეთილმა ნებამ სრულიად სამართლიანად აღიარა გარდაცვლილის პატივისა და ღირსების დაცვა სპეციალური კანონითაც. ნორმატიულ სივრცეში სრულიად ულოგიკო და უსაფუძვლო კოლიზია დასრულდა, „გარდაცვლილი გაცოცხლდა“.

ერთი შეხედვით, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვაზაგაშვილის კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას ვერაფერი დაუდგებოდა წინ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა შეიცვალა, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო, შეეფასებინა იგი. შეფასების პროცესში სასამართლოს მოუწია იმაზე მსჯელობა, იცავდა თუ არა კონსტიტუცია გარდაცვლილი პირის პატივსა და ღირსებას. აქ უკვე სასამართლომ, ჩვენი აზრით, ვერ დაინახა კონსტიტუციაში ის, რაც დაინახა კანონმდებელმა. კანონმდებლის ღირებულებითმა თვალსაწიერმა გაუსწრო სასამართლოს ხედვას, რაც, ცხადია, ძალზე იშვიათი მოვლენაა. კანონმდებელი მოექცა ღირებულებათა იერარქიის სათავეში. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა, რომელიც უარყოფდა გარდაცვლილი პირის პატივისა და ღირსების დაცვას, გამომდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შინაარსიდან. კერძოდ, სასამართლოს აზრით, კონსტიტუცია იცავს მხოლოდ ცოცხალი ადამიანის პატივსა და ღირსებას და არა – გარდაცვლილისას. სასამართლოს გადანყვევტილების სამოტივაციო ნაწილის დიდი მონაკვეთი ეხება აღნიშნული დამოკიდებულების მტკიცებას და ეს ხდება წმინდა სუბიექტური (ფსიქოლოგიური) კონცეფციის საფუძველზე. არ არსებობს პატივისა და ღირსების დაცვის საფუძველი, თუკი არ არსებობს, სავარაუდოდ, მისი შელახვის შეგრძნება, განცდა. აუცილებელია, თვითონ განიცადო ტკივილი. სუბიექტური თეორია უარყოფს გარდაცვლილის ჩანაცვლებას ცოცხალი ადამიანით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საამისოდ სამართლებრივად მოტივირებული ინტერესი. მაგრამ ხომ შეიძლება, რასაც ეს პირი პატივისა და ღირსების შელახვად თვლის, გარდაცვლილი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, იგი ასეთად არ მიეჩნია და არც სასამართლოსათვის მიემართა. ასეთი დამოკიდებულებით, სასამართლო ავითარებს უფლების დაცვის უარყოფით პრეზუმფციას, მაშინ, როცა ძირითადი უფლებების დაცვას შეესატყვისება დადებითი პრეზუმფცია. მარტივად, ორიოდ სიტყვით რომ ჩამოვაყალიბოთ ეს აზრი, ასეთ სურათს მივიღებთ: ღირებულია არა ის მსჯელობა, გარდაცვლილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, შეიძლება უარი ეთქვა უფლების დაცვაზე, არამედ ის, რომ გარდაცვლილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, შეიძლება არ ეთქვა უარი უფლების დაცვაზე. თუ ამოსავალი იქნება ეს უკანასკნელი პრეზუმფცია, მაშინ ვალდებული ვიქნებოდით, გველიარებინა გარდაცვლილის პატივისა და ღირსების დაცვა და სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მიგვეცა დაინტერესებული პირებისათვის. მოკლედ, როგორც ესაა სამოქალაქო კოდექსსა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში. აღნიშნული დამოკიდე-

ბულებით სასამართლო გადაწყვეტილებაში აბსოლუტურად უარყოფილია პატივისა და ღირსების ობიექტური შეფასება, რაც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილის მხრიდან პატივისა და ღირსების აღქმა-შემეცნების ზოგად მასშტაბს. სუბიექტური თეორია ეჭვისქვეშ აყენებს ცოცხალი ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხსაც. აქ მნიშვნელოვანია არა ის, ვიცავ ჩემს უფლებას თუ არა, არამედ ის, დაირღვა ეს უფლება თუ არა. სამართლისთვის ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი, რადგან დაცვა წმინდა სუბიექტური ამბავია. საკონსტიტუციო სასამართლომ კი პატივისა და ღირსების დარღვევის საკვალიფიკაციოდ შეფასების ეპიცენტრში დააყენა სუბიექტური კრიტერიუმები, რაც, ცხადია, არ არის უმნიშვნელო, მაგრამ არც შეფასების განმსაზღვრელია. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უარყო ადამიანის პიროვნულობის არსებობის ფაქტი მისი გარდაცვალების შემდეგ. შეიძლება ითქვას, სასამართლომ პირადი უფლებები დამარხა მის მატარებელ პირთან ერთად და არ გაითვალისწინა გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის დასავლური პრეცედენტები. მას კონსტიტუციის მე-17 მუხლში უნდა დაენახა ის, რაც სამოქალაქო კოდექსსა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონშია. ეს კანონები მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციურადაა ჩათვლილი მათი საპირისპირო, უარყოფელი ნორმები. მხედველობაშია მისაღები მოპასუხის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი ნორმები კონსტიტუციით გათვალისწინებულზე მაღალ სტანდარტს შეიცავს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კონსტიტუციაც იმავე სტანდარტს შეიცავს და, აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა ეცნო. რუსი ცივილისტების შეფასებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის მკაფიო ფორმულირება ნაპოლეონის კოდექსსაც კი შეშურდებოდა.²⁴

²⁴ იხ. Гражданский Кодекс Грузии, Санкт-Петербург, Юридический прессцентр, 2002, გვ. 14.

კერძო ავტონომიის დაცვა ან შეზღუდვა დიგიტალურ სახელმწიფოში: განხილვები ესტონური მაგალითის საფუძველზე

კერძო ავტონომიის მნიშვნელობა ესტონურ სამართალში გამოიჩინა სამი ძირითადი მახასიათებლით:

ერთი მხრივ, ესტონური სამართლის სახით, საქმე ეხება იმ ძალიან პატარა და ახალგაზრდა სახელმწიფოს სამართალს, რომლის სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, უმეტესად, „კომუნალური“ სტრუქტურითა და სამუშაო მეთოდიკით ხასიათდება. ესტონეთს 1.3 მილიონიანი მოსახლეობიდან მხოლოდ 200 მოსამართლე ჰყავს და მცირე ადვოკატთა კორპუსი, რომელსაც ყოველწლიური საშობაო ზეიმისას ერთი დარბაზი იტევს. არც ერთი კერძო სამართლებრივი ნორმა არ ითვლის 25 წელზე მეტს და შესაბამისად, მცირეა სამართლის მეორეული ლიტერატურის მოცულობაც. ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (ეს უკანასკნელი ემყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს) პირველად იქნა კომენტირებული წინა წელს. ამ თვალსაზრისით, ესტონური რეგულაციების არამხოლოდ მოცულობაა იმაზე ბევრად მცირე, რაც სხვა უფრო დიდ სახელმწიფოებშია მოცემული, არამედ დაკვირვებებიც რთულად თუ ექვემდებარება სხვა სამართლებრივ სისტემებზე გადატანას, რამდენადაც ესტონეთში რადიკალური ცვლილებები გაცილებით სწრაფად მიიღება და ხორციელდება, ვიდრე სხვა შედარებით დიდ ქვეყნებში.

სხვა მხრივ, ესტონეთი წარმოადგენს ძალიან ლიბერალურ სახელმწიფოს. ამ ქვეყნის ყველა დიდი პოლიტიკური პარტია შედის ევროპარლამენტის ლიბერალურ ბლოკში. ესტონეთში კერძო ავტონომიის პრინციპი პოზიტიურ-სამართლებრივადაც კი არის მონესრიგებული ვალდებულებითი სამართლის კანონში¹: მეხუთე პარაგრაფში იკითხება: „მხარეებს შეუძლიათ, თავიანთ შეთანხმებაში გადაუხვიონ ამ კანონით დადგენილი განსაზღვრებებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს კანონი ამავე კანონით დადგენილი განსაზღვრებებიდან გადახვევას დაუშვებლად ადგენს ან ეს გადახვევები ეწინააღმდეგება საჯარო-სამართლებრივ ნორმებს ან ზნეობის ნორმებს ან მესამე პირის ფუნდამენტურ უფლებებს.“ ეს განსაზღვრება მიღებულია ესტონეთის სახელმწიფო სამართლის ევროკავშირის სახელმწიფო სამართალთან ჰარმონიზაციის გზით (1:102 PECL, Principles of European Contract Law), UNIDROIT-ის მიერ შემუშავებული საერთაშორისო კომერციული კონტრაქტების პრინციპებზე დაყრდნობით (1.1 PICC, Principles of International Commercial Contracts) და Draft Common Frame of Reference-ის (თავი II, 1:102 DCFR) მეორე თავის საფუძველზე.² ესტონური ვალდებულებითი სამართლის მეხუთე პარაგრაფი დაფუძნებულია ესტონეთის ძირითადი კანონის მეცხრამეტე თავსა (თვითგანსაზღვრის ფუნდამენტური უფლება) და ოცდამეთერთმეტე თავზე (ევრონომიკური საქმიანობის უფლება). მსგავსი გადახვევები, რომლებიც კანონის თანახმად დაუშვებელია, ესტონეთში ნაკლებადაა გავრცელებული. ქირავნობის სამართალი მაქსიმალურადაა დამქირავებელთა ინტერესებზე მორგებული და შრომის სამართალი მშრომელთა ინტერესებზე. გაფრთხილების ვადა ქირავნობის უვადო ხელშეკრულებათა მოშლის შესახებ განსაზღვრულია სამი თვით (ესტონური ვალდებულებითი სამართლის I სამას მეთორმეტე (312) პარაგრაფი)³, ავე-

* Thomas Hoffmann – სამართლის დოქტორი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, ესტონეთი

¹ ესტონურად – Võlaõigusseadus სამართალი, რაიხსტაგის გამომცემლობა I, 2001, იხ. ელექტრონულ მისამართზე: <https://www.riigiteataja.ee/en/eli/528032016012/consolide>.

² Paul Varul in: Paul Varul, Irene Kull, Villu Kõve, Martin Käerdi und Karin Sein, Võlaõigusseadus I Kommenteeritud Väljaanne Kommentierte Ausgabe zum Schuldr Paul Varul in: Paul Varul, Irene Kull, Villu Kõve, Martin Käerdi und Karin Sein, Võlaõigusseadus I Kommenteeritud Väljaanne (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz I), § 5 2., S. 26; Juura, Tallinn 2016.

³ დეტალებისათვის იხ. Paul Varul in: Paul Varul, Irene Kull, Villu Kõve, Martin Käerdi und Karin Sein, Võlaõigusseadus II Kommenteeritud Väljaanne (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz II), zu § 312, S. 234 ff; Juura, Tallinn 2016.

ჯით განყოფილი ბინების შემთხვევაში მხოლოდ ერთი თვით (ესტონური ვალდებულებითი სამართლის II სამასმეთორმეტე (312) პარაგრაფი) და ყველა ეს ნორმა მოქმედია ქირავნობის ფაქტობრივი ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად. ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა ქირის გაძვირების შეზღუდვა, უცნობია ესტონური პრაქტიკისთვის. შრომით სამართალშიც სურათი მსგავსად გამოიყურება. კერძო ავტონომიასთან დაკავშირებული სხვა ისეთი რეგულაციები, როგორებიცაა წინარე ხელშეკრულება (ესტონური ვალდებულებითი სამართლის ოცდამეცამეტე (33) პარაგრაფი) და კონტრაპირების იძულება (მაგ. ელექტროენერჯის ან გათბობის საშუალებათა შემთავაზებელი კომპანიებისათვის, ენერჯიების შესახებ ესტონური კანონის მეათე (10) და მეთერთმეტე (11) პარაგრაფები), ნაკლებად ეფუძნება სხვა სახელმწიფოთა რეკომენდაციებს. ასევე, ფულის მევახშურ გაპროცენტებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები (გერმანულ სამართალში ამის ანალოგია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე პარაგრაფში მოცემული ზნეობის ნორმების სანინაალმდეგო გაპროცენტება), ესტონეთის ვალდებულებითი სამართლის 42-ე პარაგრაფის საფუძველზე (§ 421115 VOS)⁴, გაცილებით მეტადაა კრედიტორთა ინტერესებზე მორგებული, ვიდრე გერმანულ სამართალში. ესტონური სამართლის მიხედვით, გასესხების პროცენტი იმ შემთხვევაში ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, თუ ის აჭარბებს 24-პროცენტიან ზღვარს (პლუს Euribor - ევროპულ ბანკებს შორის მოქმედი საკრედიტო პროცენტის ზღვარი) და ეს ნორმა მოქმედია მხოლოდ მომხმარებელთა მიმართ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთს ეს მეორე მახასიათებელი ბევრი სხვა ცენტრალური ან აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან არ გამოარჩევს.

სხვაგვარი სურათია ესტონური სამართლის მესამე მახასიათებელთან დაკავშირებით, რომელიც „დიგიტალური სახელმწიფოს“ ცნებით აღინიშნება. ცნება „დიგიტალურ სახელმწიფოში“ იგულისხმება მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარე უმეტესი სამართლებრივი მოქმედებების ყოვლისმომცველი დიგიტალიზაცია და ასევე – რელევანტური იქნებოდა აქ ამის ხაზგასმა – ანალოგიური ტენდენცია კერძო აქტორებს შორის, რომელთათვის სახელმწიფო სამართლის განხორციელების დიგიტალურ ინსტრუმენტებსა და მიდგომებს ქმნის და ამ უკანასკნელთ სთავაზობს ქმედების მოდელს თავისი სტრუქტურების მაგალითით.

ეს ტექსტი ეთმობა ამ მესამე მახასიათებლის კვლევას და ამ უკანასკნელის გავლენისგან ხილვას ხელშეკრულების ფორმალურ და მატერიალურ თავისუფლებაზე.

1. გავლენა ხელშეკრულების ფორმალურ თავისუფლებაზე

დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დიგიტალიზების გავლენა კერძო ავტონომიაზე, წესითა და რიგით, არ ემყარება სხვადასხვა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს. რაც შეეხება ხელშეკრულების ფორმალურ თავისუფლებას, დიგიტალური ხელმოწერა, მაგალითად, გერმანიაში, მრავალი წელია გათანაბრებულია ჩვეულებრივ ხელმოწერასთან და პირადობებიც აღჭურვილია შესაბამისი ფუნქციებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში ძირითადი სამართლებრივი ნორმები იდენტურია. იგივე სურათია შპს-ს დაფუძნებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

მთავარი განსხვავება ისაა, რომ ესტონეთში ამ ხსენებული სამართლებრივ-პროცედურული მოქმედებების შესრულების ტექნიკური მექანიზმები გაცილებით მარტივ ფორმას ატარებს და მოსახლეობაც უფრო ამომწურავად იყენებს დიგიტალურ შესაძლებლობებს. დიგიტალური ხელმოწერა დღეს ესტონეთში აბსოლუტურ სტანდარტს წარმოადგენს.⁵

ის, რომ დიგიტალური და ჩვეულებრივი ხელმოწერის გათანაბრება კერძო ავტონომიის თვისებრივ გაფართოებას წარმოადგენს, ცხადია. თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებულ პრაქტიკაში ჩვეულებრივი ხელმოწერები რალაც ძალიან მოძველებულად და არასასიამოვნოა აღქმული, შეიძლება იმის არგუმენტირებაც, რომ ამ ტენდენციის გამო ყველა იმ მათგანის ხელშეკრულების

⁴ Irene Kull, in in: Paul Varul, Irene Kull, Villu Köve, Martin Käerdi und Karin Sein, *Võlaõigusseadus I Kommenteeritud Väljaanne* (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz I), zu § 42, S. 233 ff.

⁵ კონკრეტულ სტატისტიკებზე წვდომისათვის იხ. სახელმწიფო საინფორმაციო ვებ-გვერდი: <https://e-estonia.com/solutions/e-identity/>.

თავისუფლება, ვინც ნებისმიერი შესაძლებელი მიზეზით ეწინააღმდეგება დიგიტალურ ხელმოწერას ან შეუძლია, ამ უკანასკნელს შეეწინააღმდეგოს, ფაქტობრივად შეზღუდულია.

რეალურად დიგიტალური ხელმოწერა საჭიროებს ესტონურ ID-ნომერს (რომელიც განცხადების საფუძველზე, E-Residency-ის ფორმაში, ასევე ესტონეთში არმცხოვრებ უცხოელებსაც ეძლევა), დიგიტალური აპარატებით სარგებლობის საბაზისო ცოდნას და ასევე ამ აპარატებზე (მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან ლეპტოპი) წვდომას.

ფაქტობრივი შეზღუდვა შეიძლება, უკვე მაშინ დადგეს, როდესაც ერთი კონკრეტული ფორმა საბოლოო ფორმით დამკვიდრდება პრაქტიკაში. ის, ვინც გვიან შუა საუკუნეებში უპირატესობას ანიჭებდა მონწილესთან დასწრებით ხელის ჩამორთმევას როგორც ხელშეკრულების დადების ფორმას, სავარაუდოდ, წერილობითი ფორმის მოსალოდნელ მონოპოლიურ გავრცელებას საკუთარი ხელშეკრულების ფორმალური თავისუფლების შეზღუდვად მიიღებდა. ხელშეკრულების თავისუფლების ეს „შემცირება“ აუცილებლად კომპენსირდა წერილობითი ფორმის არსებითი უპირატესობებით – ხელშეკრულების დადებისას მხარეთა მიერ ფიზიკური გადაადგილების აუცილებლობის მოხსნით ან ხელშეკრულების შინაარსის ზუსტი და ხანგრძლივი დოკუმენტირების გზით სახელშეკრულებო პირობების დეტალური განსაზღვრის შესაძლებლად გახდომით. ამის წინაპირობა იყო მხარეთა მიერ წერა – კითხვის სრულყოფილი ცოდნა.

IT-ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ტენდენცია ესტონეთში გვიან 90-იან წლებში გავრცელდა და თაობათა მომცველი მასშტაბიც კი შეიძინა. დიგიტალური კომპეტენციის გარკვეული დონე დღეს ესტონეთში მიღებულია, როგორც საბაზისო კულტურულ-ტექნიკური ცოდნა.⁶ ფართო საზოგადოება ხელშეკრულების ფორმალური თავისუფლების ამ ფაქტობრივ შეზღუდვას, დიგიტალური ხელმოწერის უპირატესობების გათვალისწინებით, რომელიც ჩვეულებრივ ხელმოწერასთან შედარებით, გაყალბებისაგან მეტ დაცვას და დროისა და ხარჯების მეტ ეკონომიას გულისხმობს, მიმღობით ხვდება.

2. გავლენა ხელშეკრულების მატერიალურ თავისუფლებაზე

მსგავს ფორმაში, „დიგიტალური სახელმწიფოს“ სხვა მახასიათებლებს შეუძლია, შეზღუდოს ხელშეკრულების მატერიალური თავისუფლება არასამართლებრივად, მაგრამ ფაქტობრივად. ლიბერალური ესტონეთის მიდგომა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით არ არის სხვა დასავლელი ევროპული პარტიების მიდგომების მსგავსი, რომლებიც პერსონალურ მონაცემებზე სახელმწიფოს წვდომის მზარდ შეზღუდვას ემხრობიან. პირიქით, ესტონურ სისტემას ახასიათებს პერსონალურ მონაცემთა თავმოყრა საჯარო საიდენტიფიკაციო ნომრების ბაზაში. ეს საიდენტიფიკაციო ნომრები, რომლებიც ესტონელებს დაბადებისთანავე (და ყველა სხვა მაცხოვრებელს რეგისტრაციისას) ეძლევათ, ამავე დროს, წარმოადგენს პირადობის ნომერს, საგადასახადო სტატუსის ნომერს, სამედიცინო ისტორიისა და დაზღვევის ნომერს, პირად ნომერს სამსახურეობრივ ხელშეკრულებებში, ფინანსური ისტორიის ნომერს და ასევე მომხმარებლის სახელს (username) სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ყველა პლატფორმაზე შესასვლელად და ყველა ინსტრუმენტზე წვდომისათვის, როგორცაა, მაგალითად, დიგიტალური ხელმოწერა. წვდომა კონკრეტული პირისათვის მიკუთვნებულ მონაცემებზე აქვს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ბლოკჩეინზე დაფუძნებული დახურული/კოდირებული სისტემის მეშვეობით. ეგრეთ ნოდებული „X-Road“-ის საშუალებით ეს მონაცემები ყოველი ცვლილებისას ყველა რეესტრულ ერთეულში შესაბამისად აქტუალიზდება. მისამართის ან ოჯახური სტატუსის ცვლილება, საჭიროა, რომ ესტონეთის სახელმწიფოს ცენტრალურ ვებგვერდს ეცნობოს მხოლოდ ერთხელ (დიგიტალური ხელმოწერით).

ის, რაც დიდ გამჭვირვალობას განაპირობებს, ფაქტობრივად, წარმოადგენს სამართლებრივად დაუშვებელი შინაარსის შემცველი ხელშეკრულებების დადების თავისუფლების შეზღუდვას, იგულისხმება ისეთი კერძოსამართლებრივი შეთანხმებები, რომელთა მეშვეობით ცხდდება საშემოსავლო გადასახადის მითვისება ან ფულის გათეთრება. მართალია, რომ სახელმწიფოს თავიდან არ გააჩნია ზუსტი ცოდნა კონკრეტული ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით, თუმცა „X-Road“-ის მეშვეობით მიღებული სამართლებრივი მოქმედებების სისტემური სურათიდან გაცილებით უფრო მარტივია დასკვნების გამოტანა, ვიდრე ტრადიციული, მონაცემთა სეპარირებული მართვის გზით.

აუცილებელი არ არის, რომ საქმე ეხებოდეს მხოლოდ კრიმინალურ ზრახვებს, რომელთა

⁶ საფუძვლებისთვის იხ. Piia Tammppuu, Anu Masso, „Welcome to the virtual state: Estonian e-residency and the digitalised state as a commodity“, in: European Journal of Cultural Studies, 2018, Band 2, Ausgabe 5, S. 543-560.

სახელმწიფოებო ფორმით განხორციელების საშუალება ესტონეთის სამართლის სივრცეში შეზღუდულია. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მონაცემების ინტეგრირებულობაზე ზრუნვა კერძო პირებს, ალბათ, ხელს უშლის იმაში, რომ ამომწურავად ისარგებლონ საკუთარი ხელმწიფოების მატერიალური თავისუფლებით იმ სახელმწიფოში, რომელიც მინასავით გამჭვირვალე მოქალაქეს (gläsernen Bürger) იდეალად ამკვიდრებს. მაგალითისათვის ისმის შეკითხვა, მენდომებოდა მე თუ არა, რომ მემკურნალა რომელიმე ესტონელ ექიმთან, თუ დიაგნოზი და სამკურნალო რეცეპტი ჩემი საიდენტიფიკაციო ნომრით იქნებოდა დამახსოვრებული და ხელმისაწვდომი იქნებოდა მთელს მსოფლიოში ან ასევე, ისმის კითხვა, დადებს თუ არა კონკრეტული ორგანიზაციის თანამშრომელი მომდევნო სამუშაო ხელმწიფოებს კონკურენტ ორგანიზაციასთან, თუ ინფორმაცია ამ სამსახურებრივი ურთიერთობის შესახებ საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი რომელიმე სახელმწიფო აგენტურის დაქვემდებარებაში მყოფ ონლაინ პლატფორმაზე.

სულ ცოტა, გერმანული თვალთახედვიდან აღსანიშნია, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ესტონეთის სამართლებრივ პრაქტიკაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა არ განეკუთვნება სადისკუსიო თემების რიგს.⁷ ესტონელი სამართალ-სპეციალისტების ურყევი ნდობა მონაცემთა სახელმწიფოს მიერ და მუშაგების პრინციპისადმი, ერთი მხრივ, ემყარება იმას, რომ ესტონური სახელმწიფოს სიმნიშვნელოვანი გამოცდილება გაძლიერებული იდენტიფიცირება აქვთ საკუთარ სახელმწიფოსთან. ეს მოქმედებს იმდენად, რამდენადაც ესტონეთს 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თავის ისტორიაში მეორედ აქვს სახელმწიფოს მართვის დამოუკიდებლობა. სახელმწიფო სტრუქტურების ასეთი მკაცრი დიგიტალიზირება, მომდინარე 90-იანი წლებიდან, წარმოადგენს ესტონური ნარატივის ცენტრალურ ელემენტს: ესტონეთი თავისთავს განსაზღვრავს, როგორც “E-Estonia” (ელექტრონული ესტონეთი). ამ ისტორიული და იდეოლოგიური გარემოებების გარდა, სახელმწიფოს ასეთი ყოვლისმომცველი ნდობა პერსონალურ მონაცემებზე გამართლებულია ასევე პრაგმატული შეხედულებების საფუძველზეც: თუ Big Data-ს ეპოქაში მონაცემთა აბსოლუტური უსაფრთხოება რთულადაა უზრუნველყოფილი, მაშინ, როგორც მინიმუმ, დაცული უნდა იყოს იმის გამჭვირვალობა, თუ ვინ და რა მიზნით ნვდება ამ მონაცემებს, რაც ესტონურ სისტემაში ეგრეთ წოდებული time-stamping-ის მეშვეობითაა მიღწეული.⁸

რაც შეეხება ასეთი ტრანსპარენტობით გამოწვეული კერძო ავტონომიის შეზღუდვის დონის ზუსტ გაზომვას, შესაძლებელია, მივმართოთ ისეთივე შედარებას, როგორსაც მივმართეთ ჩვეულებრივ და დიგიტალურ ხელმოწერებზე საუბრისას: შეზღუდვა, ფაქტობრივად, სახეზეა, მაგრამ ეს ტრანსპარენტობა, მეორე მხრივ, განაპირობებს სამართლებრივი უსაფრთხოების გაზრდას და აფართოებს ხელმწიფოების დადების შესაძლებლობებს სახელმწიფოებო პარტნიორის შერჩევისა და ამ უკანასკნელის საკრედიტო რეპუტაციის დადგენისათვის უკეთესი მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფით – სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც “E-Residency”-ის სახით (ელექტრონული მოქალაქეობა) არის ექსპორტირებული.⁹

3. გადახედვა და შეჯამება

ესტონეთის ყველა სახელმწიფო რეესტრი (საჯარო რეესტრი, სამენარმეო რეესტრი და ასევე ზემოხსენებული “E-Residency”¹⁰) იმართება “GuardTime”-ის KSI-ის მეშვეობით, ანუ დაფუძნებულია ბლოკჩეინ-ტექნოლოგიაზე. ლოგიკურია, რომ მსგავს ბაზაზე შედგეს პერსონათა საიდენტიფიკაციო ნომრებზე დამყარებული ხელმწიფოების დადების ინსტრუმენტი. განსხვავებით დიგიტალური ხელმოწერისაგან, ასეთ შემთხვევაში, არამხოლოდ სახელმწიფოებო მხარეთა ვინაობა, არამედ ხელმწიფოების კონკრეტული შინაარსიც აღარ დაექვემდებარებოდა ფალსი-

⁷ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში ესტონურ მიდგომებთან დაკავშირებით იხ. Jaan Priisalu, Rein Ottis, „Personal control of privacy and data: Estonian experience”, in: Health Technology (2017), Heft 7, Ausgabe 4, S. 441-451.

⁸ Time-Stamping-თან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაძიებლად იხ. სახელმწიფო საინფორმაციო ვებგვერდი <https://e-estonia.com/solution/time-stamping-service/>.

⁹ E-Residency-ის შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად, იხ. სახელმწიფო საინფორმაციო ვებგვერდი: <https://e-resident.gov.ee/>.

¹⁰ Clare Sullivan, Eric Burger, „E-residency and blockchain”, in: Computer Law & Security Review (2017), Band 33, Ausgabe 4, Seiten 470-481.

ფიცირებას და იქნებოდა ბლოკჩეინში ჩამახსოვრებული პროგრამული კოდის ფორმატში და იქ დეცენტრალიზებულად, მაგრამ, ამავე დროს, ანონიმურად ხილვადი. ასეთ ხელშეკრულებებს შეიძლება, “Smart Contracts”-ი ვუნოდოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამულ კოდებში ჩაინერგებოდა პირობები, რომლებიც, მაგალითად, გასცემდა რაიმე სახის განკარგულებას (მაგ. რაიმეს გადახდასთან დაკავშირებით).

თუმცა ესტონეთი ასე შორს ჯერ არ წასულა. რაც შეეხება კერძო ავტონომიას, უმრავლესი ესტონელები ამ უკანასკნელის დაცვას დიგიტალური სტრუქტურების მეშვეობით დიდი კი-თი დაეთანხმება, აგრეთვე ესტონური საზოგადოების ტექნიკისადმი მიდრეკილების შესახებ არა მთლად ობიექტურ პოზიციებზე დაყრდნობით. ასეთ დროს შესაძლებელია, რომ არსებული საყოველთაო ენთუზიაზმის პირობებში კერძო ავტონომიის გარკვეული დონის შეზღუდვები აღარ იქნეს შეზღუდვებად აღქმული. პოლიტიკისა და საზოგადოების ფოკუსირება თავისუფლების, ტრანსპარენტობისა და ეკონომიკურობა/პრაქტიკულობის აქსიომებზე იწვევს მონაცემთა დაცვის თემატიკის უკანა პლანზე გადატანას – თუმცა ეს გარემოება, სოციალურ მედიაში პერსონალური მონაცემების განზრახ და ხშირად, ფართომასშტაბიანი გავრცელების მზარდი მსოფლიო პრაქტიკისა და მონაცემებით მოვაჭრე პორტალების არსებობის ფონზე, არა მხოლოდ რელატივირებულია, არამედ პრევენციული მოსაზრებების საფუძველზე კომპენსირებულია ესტონურ სისტემებში მონაცემებზე წვდომის მოქმედი მოდელის გამჭვირვალობით.

Schutz oder Beschränkung der Privatautonomie durch den digitalen Staat: Überlegungen am estnischen Beispiel

Estland ist im Hinblick auf die Bedeutung der Privatautonomie im estnischen Recht von drei besonderen Merkmalen geprägt:

Zum einen handelt es sich beim estnischen Recht um das Recht eines sehr kleinen und verhältnismäßig jungen Staates, dessen rechtliche Organe sich in weiten Teilen durch eine „kommunale“ Struktur und Arbeitsweise auszeichnen. Estland verfügt bei 1.3 Millionen Einwohnern über insgesamt 200 Richter, und ein einziger Saal fast die gesamte Anwaltschaft zur jährlichen Weihnachtsfeier. Keines der größeren Privatrechtsgesetze ist älter als 25 Jahre, und entsprechend dünn ist der Bestand an Sekundärliteratur; die estnische Zivilprozessordnung etwa (die auf der deutschen ZPO basiert) wurde erst im vorigen Jahr erstmals kommentiert. Nicht nur ist die Regelungsdichte vor diesen Hintergründen sehr viel geringer als in größeren Staaten, auch sind Beobachtungen vor diesem Hintergrund nur begrenzt auf andere Rechtsordnungen übertragbar, da auch radikale Reformen in Estland sehr viel schneller beschlossen und umgesetzt werden als in größeren Staaten.

Des weiteren handelt es sich bei Estland um einen sehr liberalen Staat; alle größeren politischen Parteien etwa befinden sich im liberalen Block des Europäischen Parlaments. Der Schutz der Privatautonomie wurde sogar positivrechtlich in das Schuldrechtsgesetzbuch¹ aufgenommen: § 5 lautet „Die Parteien können in ihrer Vereinbarung (...) von den Bestimmungen dieses Gesetzes abweichen, es sei denn, dass dieses Gesetz (...) ausdrücklich die Abweichungen von diesem Gesetz für nicht zulässig erklärt oder dass Abweichungen der öffentlichen Ordnung oder en guten Sitten widersprechen oder die Grundrechte einer dritten Person verletzen“; Grundlage hierfür waren 1:102 PECL, 1.1 PICC und grundsätzlich auch Art. II 1:102 DCFR.² § 5 VÖS basiert auf Art. 19 (der ein grundsätzliches Recht auf Selbstverwirklichung gewährt) und 31 (Recht auf wirtschaftliche Betätigung) des estnischen Grundgesetzes. Solche Abweichungen, die dem Gesetz nach unzulässigen wären, finden sich verhältnismäßig wenig; Miet- und Arbeitsrecht sind sehr mieter- und arbeitgeberfreundlich ausgelegt: Die Kündigungsfrist für unbefristete Wohnmietverträge beträgt drei Monate (§ 312 I VÖS)³, für möblierte Wohnungen sogar nur einen Monat (§ 312 II VÖS), und zwar unabhängig von der Dauer des Mietverhältnisses. Instrumente wie etwa eine Mietpreisbremse sind schon im Ansatz unbekannt; beim Arbeitnehmerschutz sieht es ähnlich mager aus. Weitere die Privatautonomie betreffende Regelungen wie den Vorvertrag (§ 33 VÖS) sowie branchentypische Kontrahierungszwänge (z.B. für Anbieter elektrischer oder Heizenergie, §§ 10 und 11 estnisches Energiegesetz) entscheiden sich nicht grundlegend von anderen Staaten. Auch die Rechtsfolgen eines (im deutschen Recht im Sinne von § 138 BGB sittenwidrigen) Zinswuchers sind nach § 42 III 5 VOS⁴ sehr viel gläubigerfreundlicher als etwa nach deutschem Recht; erst ein Zins ab 24 % (zuzüglich Euribor) gilt nach estnischem Recht als sittenwidrig, und auch dies lediglich gegenüber Verbrauchern. Doch hat Estland dieses zweite Merkmal mit vielen anderen Staaten Mittel- und Osteuropas gemein.

Anders verhält es es sich jedoch mit dem dritten besonderen Merkmal des estnischen Rechts, der im Titel mit dem Begriff des „digitalen Staats“ umrissen wurde. Unter „digitalem Staat“ ist hier umfassende Digitalisierung der allermeisten Rechtshandlungen zwischen Bürger und Staat zu verstehen, aber auch – hier relevanter – allein zwischen Privaten, indem der Staat digitale Werkzeuge und Inhalte zur Rechtsgestaltung bereitstellt sowie in seinen eigenen Einrichtungen Privaten als Modell dient.

* Dr. Thomas Hoffmann, LL.M, ist Ass. Professor an der Tallinn Law School der Tallinn University of Technology, Estland

¹ Estnisch Völaõigusseadus Law, RT I 2001, 81, 487, online zugänglich unter <https://www.riigiteataja.ee/en/eli/528032016012/consolide>

² Paul Varul in: Paul Varul, Irene Kull, Villu Köve, Martin Käerdi und Karin Sein, Völaõigusseadus I Kommenteeritud Väljaanne (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz I), § 5 2., S. 26; Juura, Tallinn 2016

³ Zu Details siehe Paul Varul in: Paul Varul, Irene Kull, Villu Köve, Martin Käerdi und Karin Sein, Völaõigusseadus II Kommenteeritud Väljaanne (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz II), zu § 312, S. 234 ff; Juura, Tallinn 2016

⁴ Irene Kull, in in: Paul Varul, Irene Kull, Villu Köve, Martin Käerdi und Karin Sein, Völaõigusseadus I Kommenteeritud Väljaanne (Kommentierte Ausgabe zum Schuldrechtsgesetz I), zu § 42, S. 233 ff.

Dieser Beitrag möchte lediglich dieses letzte Merkmal untersuchen – und zwar, was dessen Auswirkungen auf die formale und materielle Vertragsfreiheit betrifft.

1. Auswirkungen auf die formale Vertragsfreiheit

Vorweg möchte ich zunächst anmerken, dass die Auswirkungen dieser Digitalisierung auf die Privatautonomie im Regelfall nicht auf unterschiedlichen materiellrechtlichen Regelungen beruhen: Was die formale Vertragsfreiheit betrifft, so ist etwa die digitale Unterschrift auch z.B. in Deutschland bereits seit vielen Jahren der händischen Unterschrift gleichgesetzt und Personalausweise mit entsprechenden Funktionen ausgerüstet, die rechtlichen Regelungen sind hier im wesentlichen identisch. Gleiches gilt z.B. für die rechtlichen Anforderungen zur Gründung einer GmbH.

Der Unterschied besteht vielmehr darin, dass die technischen Schritte zur Erfüllung dieser Voraussetzungen in Estland ungleich einfacher gestaltet sind, und dass diese digitalen Möglichkeiten von der Bevölkerung umfassend ausgeschöpft werden. Die digitale Signatur ist in Estland zum Beispiel heute bereits absoluter Standard.⁵

Dass die Gleichstellung von digitaler und händischer Unterschrift eine grundsätzliche Erweiterung der Privatautonomie darstellt, ist offensichtlich. Zieht man jedoch in Betracht, dass in der Praxis händische Unterschriften nunmehr grundsätzlich als etwas sehr Archaisches betrachtet und dementsprechend ungern gesehen werden, könnte man argumentieren, dass die formale Vertragsfreiheit all jener, die – aus welchen Gründen auch immer – nicht digital unterschreiben möchten (oder können), durchaus faktisch beschränkt wird.

In der Tat braucht es für eine digitale Unterschrift eine estnische ID-Nummer (die jedoch auch nicht in Estland ansässigen Ausländern auf Antrag in Form der E-Residency zugewiesen wird), Grundkenntnisse in der Bedienung digitaler Geräte sowie Zugang zu diesen (Handy oder PC/Laptop).

Um eine faktische Beschränkung kann es sich jedoch auch schon dann handeln, wenn sich eine bestimmte Form einmal in der Praxis durchgesetzt hat. Wer im Hochmittelalter einen Handschlag vor Zeugen als Form eines Vertragsschluss vorzog, wird seine formale Vertragsfreiheit auch durch ein drohendes faktisches Monopol der Schriftform als eingeschränkt empfunden haben. Dieses „weniger“ an Vertragsfreiheit wurde jedoch durch die wesentlichen Vorteile der Schriftform mehr als kompensiert – etwa durch Ortsungebundenheit der Parteien bei Vertragsschluss oder Ermöglichung auch detaillierter vertraglicher Regelungen durch präzise und dauerhafte Dokumentation des Vertragsinhalts. Voraussetzung war freilich eine umfassende Alphabetisierung der Parteien.

Diese hat im IT-technischen Sinne in Estland bereits in den späten 1990er Jahren eingesetzt, und zwar generationenübergreifend. Ein gewisses Maß an digitaler Kompetenz wird in Estland heute als so etwas wie eine Grundkulturtechnik betrachtet.⁶ Die breite Öffentlichkeit nimmt daher die faktische Beschränkung der formalen Vertragsfreiheit in Anbetracht der Vorteile der digitalen Signatur – im Vergleich zur händischen Unterschrift überragende Fälschungssicherheit, Zeit- und Kostenersparnis – gerne in Kauf.

2. Auswirkungen auf die materielle Vertragsfreiheit

Auf ähnliche Weise könnten weitere Merkmale des „digitalen Staats“ auch die materielle Vertragsfreiheit nicht rechtlich, aber doch faktisch einschränken. Die liberale Grundhaltung Estlands steht nämlich nicht für einen rigorosen Datenschutz im Sinne westeuropäischer liberaler Parteien, die für eine weitgehende Beschränkung des staatlichen Zugriffs auf private Daten eintreten. Im Gegensatz zeichnet sich das estnische System durch eine umfassende Bündelung aller Personendaten über die staatliche Personenkennziffer aus. Diese Personenkennziffer, die jedem Esten bei Geburt (und jedem Einwohner bei dessen Registrierung) zugewiesen wird, ist gleichzeitig Personalausweisnummer, Steuernummer, Krankenakten- und Versicherungsnummer, Personalnummer bei Arbeitsverträgen, „Schufa“-Nummer sowie Nutzernamen für den Login in alle staatlich

⁵ Zu genauen Statistiken siehe die Verweise auf der staatlichen Informationsseite <https://e-estonia.com/solutions/e-identity/>.

⁶ Zu Hintergründen siehe Piia Tammpuu, Anu Masso, „Welcome to the virtual state: Estonian e-residency and the digitalised state as a commodity“, in: *European Journal of Cultural Studies*, 2018, Band 2, Ausgabe 5, S. 543-560.

bereitgestellten Instrumente wie etwa die digitale Unterschrift. Zugang zu den der Person zugeordneten Daten hat über ein block-chain-basiertes Verschlüsselungssystem jedoch nur der Staat. Über die sogenannte „X-Road“ werden diese Daten bei jeder Änderung zudem in allen Registern laufend aktualisiert; eine Adress- oder Personenstandsänderung etwa braucht der zentralen Website des estnischen Staats nur einmal mitgeteilt (und per digitaler Unterschrift bestätigt) zu werden.

Was grundsätzlich für große Transparenz sorgt, kann faktisch die Freiheit beschränken, Verträge auch unzulässigen Inhalts zu schließen – etwa privatrechtliche Vereinbarungen, auf dessen Basis Steuern hinterzogen werden oder Geldwäsche betrieben werden sollen. Zwar hat der Staat keine Kenntnis vom konkreten Vertragsinhalt, doch lassen sich aus der Gesamtschau der Rechtshandlungen auf Basis der X-Road sehr viel einfacher Rückschlüsse ziehen als aufgrund traditioneller, separater Datenverwaltung.

Es müssen vor diesem Hintergrund nicht einmal kriminelle Absichten sein, deren vertragliche Umsetzung durch die Transparenz im estnischen Rechtsraum faktisch eingeschränkt werden können: Allein die Sorge um die Integrität der eigenen Daten mag Privatpersonen davon abhalten, von ihrer materiellen Vertragsfreiheit in einem Staat umfänglich Gebrauch zu machen, der den „gläsernen Bürger“ zum Ideal erhebt. Beispiele wären die Frage, ob ich mich von einem estnischen Arzt behandeln lassen möchte, wenn Diagnose und Rezept über meine Identifikationsnummer gespeichert werden und weltweit abrufbar sind; oder ob man als Angestellter einen weiteren Arbeitsvertrag mit einem konkurrierenden Unternehmen abschließen wird, wenn dieses Arbeitsverhältnis automatisch auf meinem von einer staatlichen Agentur gepflegten Online-profil offengelegt wird.

Zumindest aus deutscher Sicht bemerkenswert ist, dass trotz alledem in der estnischen Rechtspraxis Datenschutzgesichtspunkte kaum diskutiert werden.⁷ Das fast unbedingte Urvertrauen estnischer Rechtsanwender in die Integrität staatlicher Datenverarbeitung beruht zum einen darauf, dass aufgrund der geringen Größe des Staates sich seine Bürger sehr viel stärker mit diesem identifizieren. Dies gilt um so mehr, als dass sich Estland seit 1990 das zweite Mal in seiner Geschichte überhaupt selbst registriert. Die rigoros betriebene Digitalisierung staatlicher Einrichtungen seit den späten 1990er Jahren ist zudem zentrales Element des estnischen Narrativs; Estland definiert sich als E-Estonia. Doch neben diesen historischen und ideologischen Gründen wird der umfassende staatliche Zugriff auf persönliche Daten auch aus sehr pragmatischen Gründen gebilligt: Wenn in Zeiten von Big Data absolute Datensicherheit ohnehin nur unter erschwerten Bedingungen gewährleistet werden kann, so soll zumindest Transparenz gegeben sein, wer genau zu welchem Zweck auf diese Daten zugegriffen hat, was im estnischen System durch time-stamping der Fall ist.⁸

Was schließlich die konkrete Bemessung einer Beschränkung der Privatautonomie durch diese Transparenz betrifft, so lässt sich ein ähnlicher Vergleich anstellen wie vorangehend zwischen händischer und digitaler Unterschrift: Eine Beschränkung findet faktisch zwar statt, doch erhöht diese Transparenz andererseits auch die Rechtssicherheit und kann die Optionen eines Vertragsschlusses erweitern, etwa aufgrund besserer Datenlage zur Auswahl möglicher Vertragspartner und deren Bonität – eine Rechtssicherheit, die in Form der E-Residenz auch bereits „exportiert“ wird.⁹

3. Ausblick und Zusammenfassung

Alle estnischen staatlichen Register (Grundbuch, Handelsregister als auch die eben erwähnte E-Residenz¹⁰) werden über KSI von Guardtime geführt, beruhen also auf Blockchain-Technologie. Es erscheint schlüssig, auf gleicher Basis ein staatliches personenkenzifferbasiertes Vertragsschlussinstrument bereitzustellen. Im Unterschied zur digitalen Unterschrift wären dann nicht nur die Vertragsparteien, sondern auch der konkrete

⁷ Zum estnischen Ansatz im Datenschutzrecht siehe Jaan Priisalu, Rein Ottis, „Personal control of privacy and data: Estonian experience“, in: *Health Technology* (2017), Heft 7, Ausgabe 4, S. 441-451.

⁸ Für einen Überblick zum Time-Stamping siehe die staatliche Informationsseite <https://e-estonia.com/solution/time-stamping-service/>

⁹ Für einen Überblick zur E-Residency siehe die staatliche Informationsseite <https://e-resident.gov.ee/>.

¹⁰ Clare Sullivan, Eric Burger, „E-residency and blockchain“, in: *Computer Law & Security Review* (2017), Band 33, Ausgabe 4, Seiten 470-481

Vertragsinhalt nicht mehr falsifizierbar, in Form eines Programmcodes auf der Blockchain hinterlegt und dort dezentral, doch anonymisiert einsehbar. Diese Verträge könnten zudem als Smart Contracts ausgelegt werden, d.h. in die Programmcodes könnten Bedingungen eingeschrieben werden, welche z.B. eine Verfügung veranlassen (etwa auf Zahlungseingang hin).

Doch so weit ist bislang auch Estland nicht gegangen. Was die Privatautonomie betrifft, so würden die meisten Esten die Frage nach ihrem Schutz durch eben jene digitalen Strukturen mit einem einheiligen „Ja“ beantworten – wenn auch aus dem gegebenenfalls nicht völlig objektiven Blickwinkel der grundsätzlichen Technikaffinität der estnischen Gesellschaft. Möglich ist hierbei, dass angesichts dieses allgemeinen Enthusiasmus“Einschränkungen der Privatautonomie ab einem gewissen Grad gar nicht mehr als solche wahrgenommen werden. Die Fokussierung von Politik und Gesellschaft auf die Axiome Freiheit, Transparenz und Wirtschaftlichkeit/Praktikabilität lassen Datenschutzgesichtspunkte in Estland häufig in den Hintergrund treten – doch wird dies vor dem Hintergrund der weltweit zunehmenden Praxis einer bewussten und häufig umfassenden Freigabe auch persönlichster Daten auf sozialen Medien oder Online-Händler-Portalen nicht nur relativiert, sondern aufgrund der Transparenz erfolgter Datenzugriffe in den estnischen Systemen aus Schutzgesichtspunkten stark kompensiert.

ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენება მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში

მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი 2002 წლის 6 ივნისს იქნა მიღებული და ძალაში შევიდა 2003 წლის 12 ივნისს. ამგვარად, მოლდავეთი გახდა დსთ-ის ბოლოს წინა სახელმწიფო, რომელმაც ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღო (ბოლო სახელმწიფო უკრაინა იყო, სადაც სამოქალაქო კოდექსი 2004 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში). 2018 წლის 19 ივლისს, რესპუბლიკის პარლამენტმა ბოლო მოსმენით დაამტკიცა კანონი №133 სამოქალაქო კოდექსის მოდერნიზაციის და ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ კანონით, მოქმედ სამოქალაქო კოდექსში არსებითი ცვლილებები შევიდა და ისინი 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში ნების ავტონომიას ცალკე ადგილი ეთმობა 1-ელი მუხლის 1-ელ ნაწილში, რომელიც შეიცავს დებულებას, რომ სამოქალაქო კანონები ეფუძნება მის მიერ რეგულირებადი ურთიერთობების მხარეთა თანასწორობას, მათი საკუთრების ხელშეუხებლობას, **ხელშეკრულების თავისუფლებას**, პირად საქმეებში ჩარევის დაუშვებლობას, სამოქალაქო უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების აუცილებლობას, პიროვნების დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველყოფას, მათ სასამართლო დაცვას. მეორე მხრივ, მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლის (სათაურით – „ხელშეკრულების თავისუფლება“) 1-ელ ნაწილში გათვალისწინებულია, რომ „**ხელშეკრული მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებაში სამართლის იმპერატიული ნორმების ფარგლებსა და მისი შინაარსის განსაზღვრაში. თუ საზოგადოების ან პიროვნების პრიორიტეტული ინტერესების დაცვის მიზნით ხელშეკრულების ძალა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ მის დამტკიცებაზე, აუცილებელი შეზღუდვები და პირობები კანონით უნდა იქნეს დადგენილი.**“ ამგვარად, მოლდავეთის კანონმდებლობაში გამოყენებულია ცნება „**ხელშეკრულების თავისუფლება**“ და არა – „**ნების ავტონომია**“. ამ ორ ცნებას შორის ურთიერთობის განსაზღვრად მეცნიერთა პოზიციას უნდა გავეცნოთ. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული¹, ხელშეკრულების თავისუფლების კონცეფცია ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ტრაქტატებში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ითვლებოდა, რომ ეს არის ბუნებრივი, მუდმივი და ხელშეუხებელი უფლება. მოგვიანებით გაჩნდა ნების ავტონომიის ფილოსოფიური თეორია, რომელიც პირველი თეორიიდან გამომდინარეობს. ითვლება, რომ ავტონომიის თეორია XVIII საუკუნეში ჩამოაყალიბეს და განავითარეს ფ.ფ. რუსომ და ე. კანტმა.²

აღსანიშნავია, რომ ნების ავტონომიამ გავლენა მოახდინა არა მარტო სამართლის, არამედ პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებზე. პოლიტიკაში ნების ავტონომიის თეორიამ სტიმული მისცა პოლიტიკურ ლიბერალიზმს, ეკონომიკაში-ეკონომიკურ ლიბერალიზმს, ხოლო იურისპრუდენციაში-ხელშეკრულების თავისუფლებას. სწორედ ამიტომ, დღეს ბევრ სამოქალაქო კოდექსში გამოიყენება ტერმინი „**ხელშეკრულების თავისუფლება**“ და არა – „**ნების ავტონომია**“.

ნების ავტონომიის პრინციპი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დადება და მისი სავალდებულო ძალა მხოლოდ მხარეების ნებაზეა დამოკიდებული და არა კანონზე. შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლება ნიშნავს სამოქალაქო სამართალურთიერთობათა მონაწილეების უფლებას, რომ თავისუფლად დადონ სამოქალაქო ხელშეკრულებები, რომლებიც გათვალისწინებულია

* სერჯიუ ბეეშუ – პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდავეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გეორგე მიცუ – დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მოლდავეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კიშინიოვის მუნიციპალიტეტის სასამართლოს მოსამართლე.

¹ I. Dogaru, Pompil Drăgănici, Drept civil. Teoria generală a obligațiilor, în reglementarea NCC, Ediția 2, Editura C.H. Beck, București, 2014, pag. 40.

² იხ. იგივე, გვ. 41.

ან არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, მაგრამ არ არის აკრძალული იმპერატიული ნორმებით. ეს ასევე ნიშნავს მხარეთა უფლებას, თავისუფლად განსაზღვრონ ან შეცვალონ ხელშეკრულების შინაარსი, ან შეწყვიტონ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. 667-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ არავინაა ვალდებული, დადოს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, კანონში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ამ მუხლის მიხედვით, აკრძალულია ხელშეკრულების დადების იძულება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დადების ვალდებულება გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსში, კანონში ან გამომდინარეობს ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებიდან.

ნების ავტონომიის პრინციპი ითვალისწინებს „მიცემული სიტყვის“ (გაცხადებული ნების) პატივისცემას, ისევე, როგორც თავისუფლება გულისხმობს ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობას. პირველადი კონცეფცია ხშირად იყო კრიტიკის საგანი ხელშეკრულებების დადებაში კანონის როლის სათანადოდ შეუფასებლობის გამო. გარდა ამისა, მას აკრიტიკებდნენ კეთილსინდისიერების და სამართლიანობის იმპერატიული ნორმების უგულვებლყოფის გამო. თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალი აღიარებს ნების ფუნდამენტურ როლს, მაგრამ ნება აღარ არის ავტონომიური (შეუზღუდავი), არამედ უნდა შეესაბამებოდეს კანონის დაცვის მოვალეობას. ნების ავტონომიის კონცეფციის გადასინჯვის შედეგად შემცირდა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ნების სავალდებულო ძალა. თუმცა თეორიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ნების ავტონომიის კონცეფცია კვლავ სასარგებლოა და განმარტავს მნიშვნელოვან წესებს, რომლებიც ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმის რეგლამენტირებას ახდენს.

ჩვენს მშობლიურ სპეციალურ ლიტერატურაში³ ნათქვამია, რომ **ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი** მოიცავს იმ სამართლებრივ ნორმებში ასახულ წამყვან იდეებს, რომლებზედაც დაფუძნებულია სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები და რომლებიც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებისთვის ადგენს ხელშეკრულების დადების, ხელშეკრულების პარტნიორების არჩევის, ხელშეკრულების ტიპისა და შინაარსის განსაზღვრის, მისი ცვლილების ან შეწყვეტის თავისუფლებას. მოცემული ავტორი ამტკიცებს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მთავარი ფუნქცია არის ხელშეკრულების მხარეების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა ხელშეკრულების ფორმირების ყველა ეტაპზე, მესამე მხარეების ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნების მიუხედავად. ხელშეკრულების თავისუფლების სამეცნიერო საფუძველი მომდინარეობს ინდივიდის თავისუფლების შესახებ ფილოსოფიური პოსტულატებიდან⁴. ბევრი ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ არსებობს განუყოფელი კავშირი თავისუფლებასა და უფლებას და უფლებასა და თანასწორობას შორის. შემთხვევით არ არის, რომ საფრანგეთს 1789 წლის რევოლუციის ლოზუნგი იყო *liberté, égalité, fraternité* (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა). ეს ფილოსოფიური იდეები საფუძვლად დაედო ასევე საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსს და მის მიერ ინსპირირებულ სხვა სამოქალაქო კოდექსებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობის აღიარების პრინციპს. ამ მხრივ, საგულისხმოა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1-ელი მუხლის დებულებები, რომელთა მიხედვითაც, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. ამგვარად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების თანასწორობის არაღიარების გარეშე შეუძლებელია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზაციაზე საუბარი. ეს პრინციპი აისახება ხელშეკრულების დადების და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაში.⁵ ამასთან ერთად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების ნამდვილი თანასწორობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ყველა

³ Gheorghe Mățu, Principiul libertății contractuale// Drept civil. Teoria Generală a obligației, Coordonator Sergiu Băieșu, Chișinău, 2015, c. 64.

⁴ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფილოსოფიური იდეების უკეთ გასაცნობად იხ.: *Танага, А. Н. Принцип свободы договора в гражданском праве России*, Юридический центр Пресс, Санкт-Петербург, 2003, с. 13-26; *Забоев, К. И. Правовые и философские аспекты гражданско-правового договора*, Юридический центр Пресс, Санкт-Петербург, 2003, с. 77-85.

⁵ Gheorghe Mățu, დასახ. ნაშრომი, c. 64.

სუბიექტის თავისუფლების აღიარების გარეშე. ეს თავისუფლება გულისხმობს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში გარკვეული ქმედებების განხორციელებისთვის იმავე სამართლებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობას.⁶

ამგვარად, თავისუფლების კონცეფციიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სამართლის სფეროში ნების ავტონომიის თეორია სამ იდეაზეა დაფუძნებული:

ა) ხელშეკრულების დადება/არდადების თავისუფლება, რაც გამომდინარეობს მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 666-ე და 667-ე მუხლებიდან;⁷

ბ) ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება იმ თვალსაზრისით, რომ, თუ არსებობს ნების გამოვლენა, მისი გამოხატვის ფორმას დიდი მნიშვნელობა არა აქვს⁸. პრინციპში, მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა რეალურ ხელშეკრულებაზე და ემხრობა კონსენსუსის პრინციპს, რომლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტისთვის საკმარისია უბრალოდ მხარეთა ნების გამოვლენა. მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში ბევრი არ არის ის ხელშეკრულებები, რომლებშიც თანხმობა გარკვეული სახით გაფორმებას ექვემდებარება;

გ) მხარეთა თავისუფლება, რომ ექსკლუზიურად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ამგვარად, სამოქალაქო კოდექსის 667-ე და სხვა მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი შეიძლება რამდენიმე პერსპექტივიდან გაანალიზდეს.

პირველ ყოვლისა, მხარეებს აქვთ ხელშეკრულების დადება/არდადების თავისუფლება (*ხელშემკვრელი მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებაში* (667-ე მუხლის 1-ელი ნაწილი) და *იკრძალება ხელშეკრულების დადების იძულება* (სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამგვარად, მხარეები თვითონ წყვეტენ, დადონ თუ არა ხელშეკრულება, რადგან არავინ არის ვალდებული, დადოს ხელშეკრულება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. ამ წესიდან დასაშვები გამონაკლისები მკაფიოდ და პირდაპირ უნდა იყოს კანონში განსაზღვრული ან მხარეთა ნების გამოვლენიდან უნდა მომდინარეობდეს. აქედან გამომდინარე, არავინაა ვალდებული, დადოს ხელშეკრულება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ მხარეები ამ ვალდებულებას ნებაყოფლობით იკისრებენ.

თუ თავდაპირველად ნების ავტონომიის პრინციპის საფუძველი მხოლოდ ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების გამოვლენა იყო, ამჟამად სიტუაცია შეიცვალა და ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთ-ერთი მხარის ნების გამოვლენის გარეშეც.

რაც შეეხება რომელიმე მხარისთვის ხელშეკრულების დადების ვალდებულების დაკისრებას იმ შემთხვევაში, თუ მხარემ წინარე ხელშეკრულებით აიღო ეს ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 703-ე მუხლში დაზუსტებულია, რომ „*ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სხვა პირისთვის ხელშეკრულების დადება ზედაპირების დარღვევით, შეიძლება წარედგინოს დაპირების ბენეფიციარს, რომელიც არ კარგავს უფლებას, მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება ხელშეკრულების დადების შესახებ დაპირების მიმცემი პირისგან და არა კეთილსინდისიერი მესამე პირისგან, რომელმაც ამ უკანასკნელთან გააფორმა ხელშეკრულება*“.

ერთი შეხედვით, ეს კანონიერი დებულება წინარე ხელშეკრულებას უკარგავს მის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას, რაც მომავალში ხელშეკრულების გაფორმების მოვალეობის დადგენაა. მიუხედავად ამისა, როგორც სწორად აღინიშნა⁹, 667-ე მუხლის მე-2 ნაწილში წარმოდგენილი გადაწყვეტილება ხშირად თეორიულ ნაშრომების კრიტიკის საგანი ხდება, რადგან ის მთელ რიგ პრობლემებს წარმოქმნის, მათ შორის, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის პრობლემას. შემოთავაზებულ იქნა, რომ თუ პირი, რომელსაც კანონით ან ადრე ნაკისრი მოვალეობის გამო ეკისრება ხელშეკრულების დადება და ის უარს ამბობს, მაშინ მეორე მხარეს აქვს მხოლოდ

⁶ რაც შეეხება ურთიერთობას ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპსა და სამოქალაქო სამართლის სხვა პრინციპებს შორის, იხ. *Tanaga, A. H. დასახ. ნაშრომი, c.32-35.*

⁷ 666-ე მუხლის 1-ელ ნაწილში აღნიშნულია: „*ხელშეკრულებად ითვლება ორი ან მეტი პირის შეთანხმება სამართლებრივი ურთიერთობების დამყარების, შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე. 667-ე მუხლის 1-ელ ნაწილში კი გათვალისწინებულია, რომ „ხელშემკვრელი მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებასა და მისი შინაარსის განსაზღვრაში სამართლის იმპერატიული ნორმების ფარგლებში . . .“.*

⁸ *I. Dogaru, Pompil Drăgănici, დასახ. ნაშრომი, c. 41.*

⁹ *Eșanu, N. Dispoziții generale cu privire la contract și la conținutul contractului, Cartea a III-a, art. 666-711: Comentariul Codului civil al Republicii Moldova, vol. II, ediția a II-a, Editura Arc, Chișinău, 2006, c. 213.*

ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის კომპენსაციის მიღების უფლება და არა ეძლევა იმის მოთხოვნის უფლება, რომ ზემოაღნიშნულ პირს დაევალოს ხელშეკრულების დადება.

მართლაც, წინარე ხელშეკრულება წარმოქმნის ვალდებულებას, რომლის საგანია გარკვეული ქმედების შესრულება, ანუ მომავალში ხელშეკრულების დადება იმ შემთხვევაშიც, თუ თვითონ დასადები ხელშეკრულება წარმოქმნის ვალდებულებას, რომლის საგანია რაიმეს მინიჭება. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველისთვის ორ ვალდებულებას წარმოქმნის, ესენია მინიჭება, ანუ საკუთრების უფლების მყიდველისთვის გადაცემა, და გარკვეული მოქმედების შესრულება, ანუ მყიდველისთვის ნაყიდი ნივთის გადაცემა. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების შემთხვევაში კი გამყიდველის მოვალეობაა მოქმედება, ანუ მომავალში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

ამგვარად, თუ შევაჯერებთ 703-ე და 620-ე მუხლებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სუბიექტმა წინარე ხელშეკრულებით აიღო მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულება და მერე გადაიფიქრა, მას მაინც არ დაევალება ხელშეკრულების გაფორმება. ამ შემთხვევაში გამოიყენება *ორმაგი თანხმობის მექანიზმი*. ამგვარად, აუცილებელია, რომ პირმა გამოხატოს თანხმობა არა მარტო წინარე ხელშეკრულების დადებისას, არამედ მომავალში თვითონ ხელშეკრულების გაფორმებისას. ეს დასკვნა ჩვენ მითითებული ნორმების ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ, მაგრამ მოლდავეთის რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა ამ თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო ავალდებულებს შესაბამის მხარეს, გააფორმოს ხელშეკრულება, ზოგჯერ ანაზღაუროს ზარალი. 2018 წლის 19 ივლისს დამტკიცებული სამოქალაქო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტში განსხვავებული გადაწყვეტაა წარმოდგენილი. პროექტი მოიცავს ახალ დებულებას, რომლის მიხედვით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც მისი საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ გარიგების ადგილს იკავებს, თუ მოვალე უსაფუძვლოდ ამბობს უარს გარიგების დადებაზე და ნამდვილობის ყველა სხვა პირობა შესრულებულია.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან იშვიათია, როდესაც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ავალდებულებენ ხელშეკრულების დადებას. ამგვარი ვალდებულება განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით ან უფრო სუსტი და დაუცველი მხარის დაცვის აუცილებლობით¹⁰, ან გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებმა ნებაყოფლობით იკისრეს ეს ვალდებულება.¹¹

მეორე, ხელშეკრულების თავისუფლება გულისხმობს პარტნიორის არჩევის თავისუფლებას ხელშეკრულების დასადავად. მაგალითად, თუ საქონლის გადატანის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მხარეს ევალება გადასატანი საქონლის დაზღვევა, ამ მხარეს შეუძლია სადაზღვევო ხელშეკრულების დადება ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიასთან საკუთარი შეხედულებისამებრ.

მესამე, ხელშეკრულების თავისუფლება მხარეებს აძლევთ შესაძლებლობას, განსაზღვრონ დასადები ხელშეკრულების ხასიათი, ანუ აირჩიონ ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, როგორც **კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებებიდან (დასახელებული ხელშეკრულებები)**, ასევე **კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებებიდან (დაუსახელებელი ან კომპლექსური ხელშეკრულებები)**, რომლებიც კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ხელშეკრულების ელემენტებს შეიცავს (სამოქალაქო კოდექსის 667-ე მუხლის მე-3 ნაწილი). რაც შეეხება დაუსახელებელ ან კომპლექსურ ხელშეკრულებებს, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილის და 220-ე მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, ძირითადი პირობა არის ის, რომ ეს ხელშეკრულებები არ ეწინააღმდეგებოდეს საერთო პრინციპებს, სამოქალაქო კანონმდებლობის აზრს, სამართლისა და კეთილსინდისიერების იმპერატიულ ნორმებს.

ეკონომიკური ურთიერთობები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სამოქალაქო კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმები. ისინი, თავის მხრივ, ამომწურავად ვერ არეგულირებენ

¹⁰ მაგ., სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლი.

¹¹ სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების და დამატებების პროექტის 667-ე მუხლის მე-7 ნაწილში გათვალისწინებულია, რომ იკრძალება ხელშეკრულების დადების იძულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადების ვალდებულება კანონით არის გათვალისწინებული ან გამომდინარეობს ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებიდან.

ყველა ტიპის ხელშეკრულებას, რომელთა დადებაც სურთ ხელშემკვრელ მხარეებს. მეტიც, მხარეებს არ უნდა ევალებოდეთ თავიანთი ეკონომიკური ურთიერთობების მოქცევა სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირებადი ხელშეკრულებების კატეგორიების ფარგლებში. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, კანონმდებლებმა ხელშეკრულების მხარეებს მისცეს შესაძლებლობა, დადონ ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ არ არის კანონში გათვალისწინებული და არ არის ამომწურავად დარეგულირებული.

გარდა ამისა, კანონმდებელი მხარეებს კომპლექსური ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობას აძლევს. თუ მხარეების ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს იმგვარი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობას, რომელიც მომსახურების განწესა და ნარდობის ელემენტებს შეიცავს, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება. ამ კომპლექსური ხელშეკრულების მიმართ სუბსიდიარულად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები მომსახურების განხორციელებასა და ნარდობასთან დაკავშირებით.

მეოთხე, ხელშეკრულების თავისუფლება ვლინდება მხარეთა უფლებაში, რომ განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, პირობები და მისი გამოყენების შედეგები. ამგვარად, მხარეებმა თანხმობის მიღწევის გზით უნდა განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები (667-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილი). ეს ფაქტი ასევე გამომდინარეობს 679-ე მუხლის 1-ელი ნაწილიდან, რომლის მიხედვითაც, „*ხელშეკრულება ითვლება დადებულიად, თუ მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობის თაობაზე.*“

გარდა ამისა, მიერთების ხელშეკრულებებსა და სტანდარტული პირობების შემცველ ხელშეკრულებებში ერთ-ერთი მხარის (მიერთებული მხარის) ნების როლი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მინიმუმამდეა შემცირებული. ამ მხარეს შეუძლია მხოლოდ ან მეორე მხარის მიერ ფორმულირებული პირობების მთლიანად მიღება, ან ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

ნორმატიულ დოკუმენტებში მხარეთა ნების როლი შეიძლება კანონმდებლის ან გამომცემი ორგანოს როლით ჩანაცვლდეს (მაგალითად, ბუნებრივი აირის მიწოდების ან საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდების ტიპური ხელშეკრულებები).

მეხუთე, ხელშეკრულების თავისუფლება ვლინდება იმით, რომ მხოლოდ ხელშემკვრელი მხარეების თანხმობით შეიძლება ხელშეკრულების ცვლილება ან შეწყვეტა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (623-ე და 735-ე მუხლები). 666-ე მუხლის 1-ელი ნაწილის დებულებების შესაბამისად, ხელშეკრულება არა მხოლოდ წარმოშობს, არამედ ცვლის და წყვეტს კიდევ სამართლებრივ ურთიერთობებს. არსებული ხელშეკრულების ცვლილება ან შეწყვეტა გულისხმობს მხარეთა შორის შეთანხმების შეწყვეტის აუცილებლობას. ასე რომ, მხარეები იმგვარადვე განსაზღვრავენ ხელშეკრულების შინაარსს და შედეგებს, როგორც დადეს ხელშეკრულება. ხელშეკრულების ცვლილება ან შეწყვეტა კი, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ასახავს.

ამავე დროს, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ეს ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელშეკრულების სავალდებულო ძალასთან. თუ მხარეები პირდაპირ არ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ცვლილებაზე ან შეწყვეტაზე და არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 735-ე მუხლებში გათვალისწინებული რომელიმე სიტუაცია, მხარეებმა უნდა შეასრულონ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები, ამასთან, დაუშვებელია ცალმხრივი უარი შესრულებაზე.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში დაშვებულია ამ წესებიდან გამონაკლისებიც.¹²

¹² 21.07.1995-ის ფინანსური დაწესებულების შესახებ №550 კანონის 37112 მუხლში (ბანკის მიერ შესრულების უარის თავისებურებები) გათვალისწინებულია შემდეგი:

„(1) კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სპეციალურ მმართველს აქვს უფლება, უარი თქვას ბანკის ხელშეკრულებებიდან ან სხვა გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებაზე და არ დაეკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება შემდეგი მიზეზების არსებობის შემთხვევაში:

ა) შესრულების საგანს წარმოადგენს ბანკის აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა;

ბ) შესრულების საგანს წარმოადგენს ბანკის სახსრების მომავალი ინვესტირება ან გაცემა;

გ) ვალდებულების შესრულება აშკარად წამგებიანია ბანკისთვის ანალოგიურ ვითარებასთან შედარებით; ვალდებულების აშკარა წამგებიანობა იგულისხმება იმ შემთხვევაში, თუ შემხვედრი ვალდებულებები

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების ეს ასპექტები დინამიკაში უნდა იქნეს განხილული, რომ მეორე ასპექტის რეალიზაცია პირველის შედეგს წარმოადგენდეს და ა.შ. ამგვარად, ხელშეკრულების დადების შესახებ თავისი ნების გამოხატვის შედეგად, მხარეები თავისუფალი არიან იმ პირის არჩევაში, რომელთანაც სურთ ხელშეკრულების დადება, და ასევე ხელშეკრულების ტიპის არჩევაში (ქონების დაქირავება, ლიზინგი, იჯარა და სხვა). მას შემდეგ, რაც მხარეები გადანყვეტენ დასაძებნი ხელშეკრულების ტიპს, მათ შეუძლიათ, განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ხელშეკრულების დადების შემდეგ კი მხარეებს თავისი შეთანხმებით შეუძლიათ მისი შეცვლა ან შეწყვეტა.

სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს მრავალრიცხოვან დებულებას ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ეს დებულებები ეხება, ერთი მხრივ, რეალური ნების გამოხატვის უზრუნველყოფას (სამოქალაქო კოდექსის 227-ე, 228-ე და 229-ე მუხლები) და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების უფრო სუსტი მხარის ინტერესების დაცვას (712-ე-720-ე მუხლები) ან იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელმაც ხელშეკრულება მძიმე გარემოებების შედეგად დადო (230-ე მუხლი).

თუმცა ხელშეკრულების თავისუფლება არ არის აბსოლუტური. კანონმდებელს არ შეუძლია იმ ხელშეკრულებათა ნამდვილობის აღიარება, რომელთა საგანსაც წარმოადგენს შეკვეთილი მკვლელობა, იარაღით, ნარკოტიკული საშუალებებით, ადამიანების ორგანოებით, ქსოვილებითა და უჯრედებით ან ადამიანებით ვაჭრობა.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა გარდაუვალია. განიხილება, თუ რამდენად ფართოა ეს საზღვრები და როგორ შეიძლება იყოს ისინი გამოხატული.

კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულებები უდავოდ არანამდვილია და მათ არ აქვთ იურიდიული შედეგები. სახელმწიფოს აქვს უფლება, დაადგინოს საზოგადოებაში თანაცხოვრებისა და საზოგადოების წევრთა ქცევის წესები. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს არა აქვთ ამ კანონების დარღვევის და საზოგადოებრივი წესრიგისადმი უპატივცემულობის შესაძლებლობა.

ამგვარად, კანონი ერევა და ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას გარკვეული საზღვრების დადგენის საშუალებით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ა) პუნქტის დებულებების შესაბამისად, თოთხმეტი წლის არასრულწლოვანს აქვს უფლება, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი მოგება, სტიპენდია და საკუთარი საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავლები. ამავე დროს, „ეთილის სპირტისა და ალკოჰოლური პროდუქციის წარმოება-ბრუნვის“ შესახებ №1100 კანონის (30.06.2000)¹³ 30-ე მუხლის (კ) პუნქტის შესაბამისად, იკრძალება 16 წელზე ნაკლები ასაკის პირებისთვის ალკოჰოლური პროდუქციის მიყიდვა. ამგვარად, კერძო სუბიექტების ხელშეკრულების თავისუფლება შეიძლება გაფართოვდეს ან შეიზღუდოს საქმიანობის გარკვეული სფეროს რეგულირებაში სახელმწიფოს ინტერესიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით, სწორად აღინიშნა¹⁴ ხელშეკრულების თავისუფლების გარკვეული მოქნილობის არსებობაზე, როდესაც სახელმწიფოს ეკისრება შეფასების როლი საზღვრების დადგენაზე ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის გაზრდის ან შემცირების საშუალებით.

ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაციის ზღვარი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური. პოზიტიურ ზღვრად ითვლება გარკვეული პირების მიერ ხელშეკრულების დადების ვალდებულება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 669-ე მუხლის 1-ელი ნაწილის (ხელშეკრულების დადების ვალდებულება) მიხედვით: „თუ ერთ-ერთ ხელშემკვერელ მხარეს დომინანტური პოზიცია

არაეკვივალენტურია 20%-ზე მეტით. არაეკვივალენტურობის არსებობა შეიძლება დადასტურდეს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის ან სხვა დამადასტურებელი საბუთების საშუალებით. სპეციალურ მმართველს შეუძლია, აშკარა ნამგებიანობის არსებობა რიგ სხვა შემთხვევებშიც დაამტკიცოს;

დ) მოვალეობების შესრულება ხელს უშლის ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას, კერძოდ, გამოიწვევს დამატებით ზარალს ან კრედიტორების ინტერესების შელახვას.

(2) შესრულებაზე უარის თქმა დასაშვებია მანამდე, სანამ ვალდებულება არ შესრულდა“.

¹³ Официальный монитор Республики Молдова, 2000 г., № 130-132.

¹⁴ Покровский, И. А. Основные проблемы гражданского права. Издание 3-е. (Классика российской цивилистики), Издательство Статут, Москва, 2001, с. 251.

უკავია ბაზარზე, ის მოვალეა, დადოს ხელშეკრულებები ამ სფეროში. “მოლდავეთის რესპუბლიკის, კონკურენციის შესახებ“ №183 კანონის (11.07.2012)¹⁵ მე-4 მუხლის და მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ „ერთ ან რამდენიმე საწარმოს შესაბამის ბაზარზე დომინანტი პოზიცია უკავია (თ) იმ შემთხვევაში, თუ გაანალიზებულ პერიოდში დარეგისტრირებული მისი წილი ან მათი ჯამური წილი ამ ბაზარზე 50%-ს აჭარბებს, თუ სხვა რამ არ არის დამტკიცებული“.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება ხელშეკრულების ტექსტში გარკვეული პირობების შეტანის აკრძალვა. ამის მაგალითია მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 1050-ე მუხლის (დავალების ხელშეკრულების გაუქმება) მე-5 ნაწილის დებულებები, რომელთა მიხედვით, „პირობა, რომელიც გამორიცხავს ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების გაუქმების უფლებას, არანამდვილად ითვლება“. ანალოგიურად, მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 1105-ე მუხლის (სასტუმროში შენახვის თავისებურებები) 1-ელი ნაწილი შეიცავს აკრძალვას სასტუმროში შენახვის ხელშეკრულებაში ისეთი დებულების შეტანაზე, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს სასტუმროს, საერთო საცხოვრებლის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების პასუხისმგებლობას მასში განთავსებული ფიზიკური პირის ნივთების განადგურებაზე, დაკარგვასა და დაზიანებაზე, ფულის, ფასიანი ქალაქების და საიუველირო ნაკეთობების გარდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ნივთები არ იყო ჩაბარებული სპეციალური შენახვისთვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *სანინალმდეგოს შესახებ ხელშეკრულება არანამდვილია*.

სამეცნიერო ნაშრომებში¹⁶ აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელ ზომას წარმოადგენს და სამ მიზანს ემსახურება.

პირველ ყოვლისა, შეზღუდვის მიზანია ხელშეკრულების უფრო მონყვლადი (სუსტი) მხარის დაცვა. ეს დაცვა უზრუნველყოფილია ხელშეკრულების დადების ეტაპზე და სრულდება ვალდებულებების შესრულებით ან მათი შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობის რეალიზაციით.¹⁷ ამგვარად, ხელშემკვრელი მხარეების პოზიციის სამართლებრივი შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება და სამართლებრივი თავისუფლება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომელიმე ხელშემკვრელი მხარე, გარკვეული ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე (საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების დეფიციტი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სხვა), შეიძლება, იძულებული იყოს, დაეთანხმოს მეორე მხარის (კონტრაქტის) მიერ შეთავაზებულ პირობებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონი ანიჭებს მას უარის თქმის უფლებას. ამგვარი ფაქტორების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ხელშემკვრელი მხარეების სამართლებრივი და ფორმალური თანასწორობის პრინციპისგან გადახვევა. აღნიშნული წინაპირობების არსებობისას კანონმდებლები გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებენ მონყვლად მხარეს ხელშეკრულების დადების, შინაარსის განსაზღვრის, ასევე ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის დროს.

მეორე, ამ შეზღუდვის კიდევ ერთი მიზანია იმ კრედიტორების ინტერესების დაცვა, რომელთა დაზარალება უარყოფითად იმოქმედებს სამოქალაქო ბრუნვაზე, კერძოდ, საბანკო დაწესებულებებზე, რომლებიც გასცემენ კრედიტებს „ფანტომ“ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც თავიანთ ფულად სახსრებს საეჭვო ფინანსურ დაწესებულებებს ანდობენ.

აქედან გამომდინარე, მოლდავეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 15.11.2011-ის №24 დადგენილების („ფინანსური დაწესებულებების შესახებ“ №550-XIII 1995 წლის 21 ივლისის კანონის მომდევნო ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით (მიმართვა №16g/2011) 38-ე მუხლის მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილებისა და 3812 მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურობის გამონაკლისი შემთხვევების შესახებ)¹⁸ 52-ე პუნქტში განსაზღვრულია, რომ გარკვეულ სენსიტიურ ან საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე სფეროში, როგორცაა საბანკო სისტემის სტაბილურობა, სახელმწიფოს დისკრეციის საკმაოდ დიდი თავისუფლება აქვს. დისკრე-

¹⁵ Официальный Монитор Республики Молдова, 2012, № 193-197.

¹⁶ Брагинский, М.И., Витрянский, В.В. Договорное право. Книга первая. Общие положения, с. 159-160.

¹⁷ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მოლდავეთის რესპუბლიკის 13.03.2003-ის №105 კანონის მუხლი 230, მუხლები 712-720, მე-5 მუხლის დებულებები (Официальный Монитор Республики Молдова, 2003, № 126-131), ასევე დებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-4 მუხლში.

¹⁸ Официальный Монитор Республики Молдова, 2011, № 206-215.

ცია (მოქმედების თავისუფლება) გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას, დაადგინოს განსაკუთრებული წესები, რომლებიც განსხვავდება რეგულირების სხვა მსგავსი სფეროების წესებისგან. მეტიც, ზემოაღნიშნული კონსტიტუციურსამართლებრივი აქტის 53-ე პუნქტში განსაზღვრულია, რომ ბანკები სერიოზულ ზემოქმედებას ახდენენ როგორც საბანკო მომსახურებით მოსარგებლეთა საქმიანობაზე, ისე ეროვნულ ეკონომიკაზე, რაც განაპირობებს ბანკების განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ეს პოზიცია აისახა მოლდავეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა დადგენილებებშიც. ესენია №18 დადგენილება (11.12.2012), რომელიც ეხება 2000 წლის თებერვლის „ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ“ №793-XIV კანონის ზოგიერთი დებულების კონსტიტუციურობის კონტროლს (მიმართვა №20a/2012)¹⁹, №31 დადგენილება (01.10.2013) „მოლდავეთის ეროვნული ბანკის შესახებ“ 1995 წლის 21 ივლისის №548-XIII კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის დებულებათა და 2000 წლის 10 თებერვლის „ადმინისტრაციული სასამართლოს შესახებ“ №793-XIV კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებათა კონსტიტუციურობის კონტროლის შესახებ (მიმართვა №26a/2013)²⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკები ყველაზე მსხვილი და ხშირი კრედიტორები არიან, ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა არა მარტო ბანკის, არამედ ყველა კრედიტორის დაცვის საჭიროებით არის განპირობებული.

კრედიტორების ინტერესების დაცვა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულებათან დაკავშირებული ნორმების რეგულირების საგანს. მას ასევე სხვა სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტების ნორმები არეგულირებენ, მაგალითად, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების ნორმები, ვალდებულებათა დარღვევაზე პასუხისმგებლობის ნორმები და სხვა.

მესამე, ზემოაღნიშნული შეზღუდვის მიზანია სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების კვინტესენციის, ინტერესების დაცვა. ამ მიზნით, კანონმდებლებმა შემოიღეს გარკვეული იმპერატიული სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები, მათ შორის, ხელშეკრულების რეგულირებასთან დაკავშირებული (მაგ., მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი (ხელშეკრულების პირობების შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანა), 735-ე მუხლი (უკუძალით ხელშეკრულების გაუქმება არსებითი ხასიათის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში) და სხვა. იმპერატიული ნორმების გარდა, ხელშეკრულების თავისუფლება იზღუდება მართლწესრიგით და კეთილი ზნე-ჩვეულებებით, როგორც ეს გათვალისწინებულია მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 220-ე მუხლის (კანონთან, მართლწესრიგის საფუძვლებთან ან ზნეობასთან წინააღმდეგობაში მყოფი ხელშეკრულების არანამდვილობა) 1-ელ და მე-2 ნაწილებში.

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს მართლწესრიგის და კეთილი ზნე-ჩვეულებების განმარტებას, რამაც, თავის მხრივ, ცალკე კვლევის საგანია სამოქალაქოსამართლებრივ დოქტრინაში.

საზოგადოებრივი წესრიგი და კეთილი ზნე-ჩვეულებები წარმოადგენს დამატებით კრიტერიუმებს ხელშეკრულების თავისუფლების საზღვრების დასადგენად.

„საზოგადოებრივი წესრიგი“ (ფრანგ. – *ordre public*, გერმ. – *öffentliche Ordnung*), როგორც ხელშეკრულების თავისუფლების საზღვრებთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კატეგორია საფრანგეთის სამოქალაქოსამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში. პირველად ის მოხსენიებულია საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-6 და 1133-ე მუხლებში. მე-6 მუხლის შინაარსი შემდეგი იყო: „დაუშვებელია კერძო ხელშეკრულებებით საზოგადოებრივი წესრიგის და კეთილი ზნე-ჩვეულებების შესახებ კანონების დარღვევა“ (ფრანგ. – *On ne peut déroger, par des conventions particulières, aux lois qui intéressent l'ordre public et les bonnes moeurs*).

გარდა ამისა, საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის 1133-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, „საფუძველი უკანონოა, თუ აკრძალულია კანონით და ეწინააღმდეგება კეთილი ზნე-ჩვეულებებს და საზოგადოებრივ წესრიგს“ (ფრანგ. – *La cause est illicite, quand elle est prohibée par la loi, quand elle est contraire aux bonnes moeurs ou à l'ordre public*).

¹⁹ Официальный Монитор Республики Молдова, 2013, № 6-9.

²⁰ Официальный Монитор Республики Молдова, 2013, 252-257.

მოგვიანებით ეს სამართლებრივი კატეგორიები აისახა სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში, მაგ., ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში (მე-40 მუხლი), იტალიის სამოქალაქო კოდექსში (1343-ე და 1354-ე მუხლები), შვეიცარიის კანონში ვალდებულებების შესახებ (მე-19 და მე-20 მუხლები) და კოდიფიცირებული სამოქალაქო სამართლის სხვა წყაროებში, მაგალითად, 2009 წლის რუმინეთის სამოქალაქო კოდექსში (მე-11 მუხლი).

მოლდავეთის რესპუბლიკის კანონმდებლებმა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით შექმნილი ტრადიციის შესაბამისად, ეს კონცეფცია დააფიქსირა მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის (ჩვეულებები) მე-2 ნაწილში, მე-9 მუხლის (უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება) 1-ელ ნაწილში, 220-ე მუხლის (კანონის, მართლწესრიგის ან ზნეობის სანინააღმდეგო ხელშეკრულების არანამდვილობა) მე-2 ნაწილში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში საზოგადოებრივი წესრიგის კატეგორია არ იქნა გათვალისწინებული. გერმანელი კანონმდებლები კეთილი ზნე-ჩვეულებების მითითებით შემოიფარგლნენ (§138 BGB). ამ გარემოებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი²¹ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის კონცეფცია მხოლოდ სამოქალაქო სამართლის გადმონაშთს წარმოადგენს და, შესაბამისად, უარყო სამოქალაქო კოდექსის შემადგენლობაში მისი შეტანა.

შემდგომმა საკანონმდებლო ევოლუციამ კი, საპირისპირო დაამტკიცა. ფაქტობრივად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა „კეთილი ზნე-ჩვეულებების“ კონცეფცია რომაული კერძო სამართლიდან აიღეს (ლათ. - *boni mores*), რომელშიც „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნება არ არსებობს. გერმანელ კანონმდებელთა ამ გადაწყვეტილებამ ცხარე დებატები გამოიწვია სამოქალაქო კოდექსის ავტორთა შორის. ისინი მივიდნენ საერთო გადაწყვეტილებამდე, რომ „კეთილი ზნე-ჩვეულებების“ ადეკვატური ახსნა გამორიცხავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესაძლებლობას. შემდეგ გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ კეთილი ზნე-ჩვეულებების კონცეფციის იმდენად ფართო განმარტება შეიმუშავა, რომ ის არ მოიცავდა მხოლოდ მორალის და ზნეობის ნორმების დარღვევას, არამედ იმ სფეროსაც, რომელიც აღინიშნება ტერმინით „საზოგადოებრივი წესრიგი“ საფრანგეთის და იმ სახელმწიფოების სამოქალაქო კანონმდებლობაში, რომელთაც საფრანგეთის მოდელი გადაიღეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში საზოგადოებრივი წესრიგის კონცეფციის არარსებობა კომპენსირდება კეთილი ზნე-ჩვეულებების კატეგორიით, რომლის მიზანია სახელმწიფოს და საზოგადოების ერთიანი ინტერესების დაცვა, რასაც ფრანგულ და ანგლოსაქსურ ცივილისტიკაში საზოგადოებრივი წესრიგის კატეგორია უზრუნველყოფს.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლებრივი დოქტრინის დებულებამ, რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1133-ე მუხლშია ჩამოყალიბებული, მეცნიერებს შორის დავა გამოიწვია „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნების შინაარსის თაობაზე.

მოლდავეთის რესპუბლიკის თანამედროვე დოქტრინაში²² „საზოგადოებრივი წესრიგის“ განსაზღვრება შემდეგნაირია: „საჯარო და კერძო სამართლის კანონიერი იმპერატიული დისპოზიციების ერთობლიობა, რომლის მიზანია ფუნდამენტური საზოგადოებრივი ფასეულობებისა და ინსტიტუტების დაცვა, გამონაკლისის გარეშე, ყველა პირის საზოგადოებრივი დაცვა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.“

ძნელია, ამ განმარტებას დაეთანხმო, რადგან ციტირებული ავტორი აიგივებს იმპერატიულსამართლებრივ ნორმებს და საზოგადოებრივ წესრიგს. ამ თვალსაზრისით, ჩნდება კითხვა: თუ რომელიმე იურიდიული აქტი ეწინააღმდეგება იმპერატიულსამართლებრივ ნორმას, რა იქნება მისი ბათილობის საფუძველი: მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 220-ე მუხლის 1-ელი ნაწილი („ხელშეკრულება ან მისი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს, ბათილია, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს“); 220-ე მუხლის მე-2 ნაწილი („ხელშეკრულება ან მისი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება მართლწესრიგის საფუძველებს, ბათილია“) თუ მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ელი ნაწილი მე-2 ნაწილთან კავშირში? მეტიც, თუ საზოგადოებრივი წესრიგი იმპერატიულ ნორმების ერთობლიობას წარმო-

²¹ *Покровский, И.А.* Основные проблемы Гражданского права. Издание 3-е. (Классика российской цивилистики). с. 253.

²² *Băieșu, A.* În: Drept civil. Drepturile reale. Teoria generală a obligațiilor, Î.S.F.E.P. „Tipografia Centrală”, Chișinău, 2005, p. 277.

ადგენს, რა აზრი აქვს დამატებითი საფუძვლის შექმნას იურიდიული აქტის ბათილად აღიარებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ის ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს?

სამოქალაქოსამართლებრივ დოქტრინაში მითითებულია, რომ თავდაპირველად, საზოგადოებრივი წესრიგის ცნება პოლიტიკური და ზნეობრივი სფეროთი შემოიფარგლებოდა, მაგალითად, სახელმწიფოს, ოჯახის, პირადი თავისუფლების ორგანიზება, მაგრამ ამჟამად საზოგადოებრივ წესრიგს ეკონომიკური შემადგენელი დაემატა – „ეკონომიკური საზოგადოებრივი წესრიგი“.

საზოგადოებრივი წესრიგის ზემოაღნიშნული ეკონომიკური შემადგენელი აისახება ეკონომიკური მართვის სხვადასხვა სისტემაში, მაგალითად, ფულადი და ფასების პოლიტიკა, ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის ნაციონალიზაცია (როგორებიცაა ენერჯო რესურსები, ტრანსპორტი და სხვა), საკრედიტო პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტრატეგია და სხვა. ევროკავშირის სახელმწიფოებში უკვე საუბარია ზენაციონალურ ევროპულ საზოგადოებრივ წესრიგზე, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებების დადებისას.²³

ზემოაღნიშნულის გარდა, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ცნებას დაემატა ასევე სოციალური კომპონენტი და შედეგად საქმე გვაქვს სოციალური სფეროს საზოგადოებრივ წესრიგთან, რომელიც მოიცავს გარკვეულ სახელმწიფო ზომებს შრომითი ხელშეკრულებების, საცხოვრებლის დაქირავების ხელშეკრულებების და სხვა რეგულირების სფეროში.²⁴

როგორც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის დებულებების განმარტებიდან გამომდინარეობს, საზოგადოებრივი წესრიგი ეხებოდა საჯარო და კერძო სამართლის საკითხების მარეგულირებელ კანონებს და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც არ არის კანონმდებლობაში ასახული.

საფრანგეთში საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლში იყო ჩამოყალიბებული, პირადი თავისუფლების და ოჯახური ფასეულობების, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და მორალის ფუნდამენტური ნორმების დაცვისკენ იყო მიმართული. ამ კონცეფციის გამოყენების პროცესში მისი შინაარსი გაფართოვდა. თავდაპირველად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლიში და იურიდიული აქტებისთვის იყო გამიზნული, რომლებიც საფრანგეთის სამართლის რეგულირების სფეროში ხვდებოდა. მოგვიანებით, სასამართლო პრაქტიკამ გააფართოვა ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების სფერო. საზოგადოებრივი წესრიგის კონცეფცია გამოყენებულ იქნა უცხოური ელემენტით კერძოსამართლებრივი საზოგადოებრივი ურთერთობების მიმართაც საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში. შედეგად, განისაზღვრა საზოგადოებრივი წესრიგის ორი ტიპი: შიდასაზოგადოებრივი წესრიგი (ფრანგ. – *ordre public interne*) და საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგი (ფრანგ. – *ordre public international*).

შიდასაზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენდა შიდასამართლის იურიდიული აქტების არანამდვილობის საფუძველს, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგი განიხილებოდა, როგორც შიდასაზოგადოებრივი წესრიგის ნაირსახეობა, რომელიც გამოყენებოდა უცხოური ელემენტით სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში. ის წარმოადგენდა სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის კანონების გამოყენებაზე უარის თქმის და საზღვარგარეთის სასამართლო ინსტანციების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობასა და იძულებითი აღსრულების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველს.

შიდასაზოგადოებრივი წესრიგი განსხვავდება საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგისგან შინაარსის, მიზნისა და გამოყენების საფუძვლის თვალსაზრისით. შიდასაზოგადოებრივი წესრიგის მიმართ გამოყენებადი სამართლებრივი კატეგორიები ყოველთვის არ გამოიყენება საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ. ამასთან ერთად, ორივე ზემოაღნიშნული კატეგორია მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთდამოკიდებულია. საერთაშორისო საზოგადოებრივი წესრიგის წყაროებს ნაციონალური ხასიათი აქვთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საკითხი საერთაშორისო საზოგადოებრივ წესრიგს ეხება. მეორე მხრივ, შიდასაზოგადოებრივი წესრიგის განვითარების პროცესზე საერთაშორისო საზოგადოებრივ წესრიგის კონცეფციამ იქონია გავლენა. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკამ სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის გამოყენება დააკავშირა მე-3 მუხლის დებულებებთან. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის

²³ Stătescu, C., Bârsan, C. დასახ. ნაშრომი, 2000, p. 24.

²⁴ იგივე.

დებულებების განმარტების მიხედვით გამოდის, რომ იმპერატიული ნორმების შემცველი კანონები (ფრანგ. – *lois de police*) და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კანონები (ფრანგ. – *lois de sûreté*) სავალდებულოა ყველასთვის, ვინც საფრანგეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს (*Les lois de police et de sûreté obligent tous ceux qui habitent le territoire*). შედეგად განისაზღვრა, რომ შინაარსის თვალსაზრისით შიდასაზოგადოებრივი წესრიგი მოიცავს იმპერატიულ და აკრძალვით ნორმებს, რომლებიც დადგენილია მთლიანად საზოგადოების ინტერესების და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად.²⁵

d) применять неодинаковые условия к равноценным сделкам с другими торговыми партнерами, ставя их тем самым в невыгодные условия конкуренции;

e) обуславливать заключение контрактов принятием партнерами дополнительных обязательств, которые, по своему характеру или в соответствии с торговой практикой, не связаны с предметом этих контрактов.

(2) Соглашения или решения, запрещенные в силу данной статьи, автоматически считаются недействительными.

²⁸ Рубцова Ю.А. Историческое развитие гражданского законодательства о сделке, совершенной с целью, противной основам правопорядка и нравственности. «История государства и права», 2011, № 18. <http://center-bereg.ru/b5007.html>

²⁹ Рубцова Ю.А. Историческое развитие гражданского законодательства о сделке, совершенной с целью, противной основам правопорядка и нравственности. «История государства и права», 2011, № 18. <http://center-bereg.ru/b5007.html>

мание и применение соответствующих законоположений³⁰. Статья 169 ГК РФ особо выделяет опасную для общества группу недействительных сделок – так называемые *антисоциальные сделки*, противоречащие основам правопорядка и нравственности, признает такие сделки ничтожными и определяет последствия их недействительности. Квалифицирующим признаком антисоциальной сделки является ее цель, то есть достижение такого результата, который не просто не отвечает закону или нормам морали, а противоречит – заведомо и очевидно для участников гражданского оборота – основам правопорядка и нравственности. Антисоциальность сделки выявляется в ходе судопроизводства с учетом всех фактических обстоятельств, характера допущенных сторонами нарушений и их последствий.

В качестве сделок, совершенных с указанной целью, могут быть квалифицированы сделки, которые нарушают основополагающие начала российского правопорядка, принципы общественной, политической и экономической организации общества, его нравственные устои. К названным сделкам могут быть отнесены, в частности, сделки, направленные на производство и отчуждение объектов, ограниченных в гражданском обороте (соответствующие виды оружия, боеприпасов, наркотических средств, другой продукции, обладающей свойствами, опасными для жизни и здоровья граждан, и т.п.); сделки, направленные на изготовление, распространение литературы и иной продукции, пропагандирующей войну, национальную, расовую или религиозную вражду; сделки, направленные на изготовление или сбыт поддельных документов и ценных бумаг; сделки, нарушающие основы отношений между родителями и детьми.

Нарушение стороной сделки закона или иного правового акта, в частности уклонение от уплаты налога, означает, что сделка совершена с целью, заведомо противной основам правопорядка или нравственности.

Следовательно, договоры, ставящие своей целью уклонение от уплаты налогов, подлежат признанию их ничтожными на основании, предусмотренном ч.(2) ст.220 ГК РМ, так как указанная цель причиняет вред правоохраняемым интересам государства и общества.

Исходя из вышеизложенного, полагаем целесообразным дополнение ч.(2) ст.220 ГК РМ текстом следующего содержания:

«Являются противоречащими общественному порядку юридические акты, которые:
 имеют в качестве предмета или цели совершение общественно порицаемых, уголовно-наказуемых деяний;
 превышают ограничения или лишают одну из сторон договора своих прав и свобод;
 имеют своим следствием нарушение основных прав и свобод;
 создают значительный дисбаланс в осуществлении своих правомочий, предоставляя привилегии одной стороне и обременяя другую;
 свои результатом предоставляет одному лицу право, которое такое лицо не должно было иметь в силу материального состояния;
 совершено с целью ограничения или устранения конкуренции;
 совершено с целью причинения вреда императивным нормам закона или с целью ущемления прав и законных интересов третьих лиц;
 совершено с целью уклонения от уплаты налогов;
 не включены в перечень оснований, предусмотренных п. а)-g) настоящей статьи, но противоречат основным интересам государства, общества, семьи, национальной безопасности, экономической безопасности, суверенитету государства».

По нашему мнению, посредством рекомендуемых дополнений будет обеспечена четкость и ясность понятий общественного порядка и добрых нравов, что, в конечном итоге, будет способствовать единообразному применению закона судебными инстанциями.

³⁰ Определение Конституционного Суда РФ от 8 июня 2004 г. № 227-О «Об отказе в принятии к рассмотрению жалобы открытого акционерного общества «Уфанефтехим» на нарушение конституционных прав и свобод статьей 169 Гражданского кодекса Российской Федерации и абзацем третьим пункта 11 статьи 7 Закона Российской Федерации "О налоговых органах Российской Федерации». ГАРАНТ.РУ: <http://www.garant.ru/products/ipo/prime/doc/12037037/#ixzz5X75LHD3a>

ნების ავტონომიის შეზღუდვა ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო სამართალში: ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული საკითხი³¹

შესავალი დებულებები

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართალში ნების ავტონომია განიხილება ვიწრო და ფართო მნიშვნელობით.

ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში³² (შემდგომში „სამოქალაქო კოდექსი“) ნების ავტონომიის ვიწრო მნიშვნელობაზე ორ შემთხვევაში შეიძლება საუბარი.

პირველ ყოვლისა, ეს არის „ხელშეკრულების თავისუფლების“ პრინციპის ნორმატიული შინაარსი (სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი პარაგრაფი, 380-ე მუხლი). ამ პრინციპის ზოგიერთ ასპექტს ქვემოთ, ცალკე, განვიხილავთ სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში.

მეორე მხარეების მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევანა. ტრადიციულად, ამ საკითხებს საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს (სამოქალაქო კოდექსის 1112-ე მუხლი). ყაზახეთში ყველაზე ცნობილი ნაშრომები ამ თემაზე ეკუთვნის მ.კ. სულეიმანოვს³³.

თუმცა, ჩვენი აზრით, ნების ავტონომიის ამგვარი გაგება ფრაგმენტული იქნება და არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ მოვლენის ყველა ასპექტზე ყაზახეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში. სტატიის პირველი ნაწილი ეძღვნება ნების ავტონომიის, როგორც სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპის, განხილვას, ძირითად თეორიულ დოგმებს და კოდექსის შესაბამისი წესების გამოყენების ცალკეულ ასპექტს.

შემდეგ ჩვენ ვისაუბრებთ ნების ავტონომიის შემზღუდველ ძირითად დებულებებზე, რომლებიც ყაზახეთის სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებშია დაფიქსირებული. შევეხებით ასევე ნების ავტონომიის კიდევ ერთ ასპექტს, რომელიც ვლინდება საზოგადოებრივ წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველზე არბიტრაჟის გადანყვეტილებების გაუქმებაში. ამგვარ პრაქტიკას განვიხილავთ კერძო პირების დისკრეციის ბოროტად გამოყენების პრიზმაში.

ნების ავტონომიის, როგორც ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპის, განხილვა

პირველ ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ ნების ავტონომიის წესებზე ევროპის კერძო სამართლის პრინციპების, განსაზღვრებების და სამოძღვლო წესების საერთო საცნობარო სისტე-

* ს. ვ. სკრიაბინი – იურიდულ მეცნიერებათა კანდიდატი, კასპიის საზოგადოებრივი უნივერსიტეტის კერძო სამართლის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

³¹ წინამდებარე სტატია მომზადდა ავტორის გამოსვლის საფუძველზე საერთაშორისო კონფერენციაზე „ნების ავტონომია, როგორც სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი (ჰამბურგი, გერმანია), 2018 წლის 1-2 ნოემბერი, თბილისი, საქართველო.

³² თუ ტექსტში სხვაგვარად არ არის მითითებული, აქ და ქვემოთ ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა ციტირებულია *Параграф-ის* საინფორმაციო სისტემის შესაბამისად, 15.11.2018-ის მდგომარეობით.

³³ იხ., მაგ., Сулейменов М.К. Международное частное право и международный гражданский процесс: Учебник в двух частях / М.К. Сулейменов. – Алматы: ТОО «Юридическая фирма «Зангер», 2018. – 496 с. С. 212.

მის პროექტში-DCFR³⁴, (შემდგომში „სამოდელო წესები“), რომელშიც ამის შესახებ სპეციალური მუხლი არსებობს.

„II.-1:102: მხარეთა ნების ავტონომია

გამოსაყენებელი იმპერატიული ნორმების გათვალისწინებით, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებასა ან სხვა იურიდიული აქტის განხორციელებასა და მისი შინაარსის განსაზღვრაში.

მხარეებს აქვთ უფლება, მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხონ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი წესის გამოყენება, რომელიც ეხება ხელშეკრულებებს ან სხვა იურიდიულ აქტებს ან მათგან გამომდინარე უფლებებს და ვალდებულებებს, ასევე გამორიცხონ ან შეცვალონ მათი მოქმედება, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ის დებულება, რომ მხარეებს არ შეუძლიათ წესების მოქმედების გამორიცხვა ან შეცვლა, არ ართმევს მხარეებს უფლებას, უარი თქვან უფლებაზე, რომელიც უკვე წარმოიქმნა და რომლის შესახებაც მხარეებისთვის ცნობილია“.

სამოდელო წესების სხვა ნაწილში არის სპეციალური დებულება მხარეთა ნების ავტონომიის სხვა ნორმებთან მიმართების თაობაზე (იხ.მაგ.VIII.-5:101).

ნების ავტონომიის შესახებ ზემოთ მოყვანილ წესებთან დაკავშირებით ოთხი მნიშვნელოვანი მომენტი უნდა აღვნიშნოთ: (ა) იმპერატიული ნორმების გათვალისწინების აუცილებლობა; (ბ) მხარეების თავისუფლება ხელშეკრულების დადებისას ან (გ) სხვა იურიდიული აქტის განხორციელებისას და (დ) მისი შინაარსის განსაზღვრისას.

ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ნების ავტონომიის გავრცელება არა მარტო სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, არამედ სხვა იურიდიულ აქტებზედაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნების ავტონომია მხოლოდ გარიგებებით და ხელშეკრულებებით არ შემოიფარგლება. ის უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და მოიცავს სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილეთა ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც იურიდიული შედეგები მოჰყვება.³⁵

პ. ვარული, სამოდელო წესების ერთ-ერთი ავტორი, ნების ავტონომიას განიხილავს დისპოზიციურობის პრინციპის პრიზმაში: „მისი მიხედვით, მხარეებმა კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება განსხვავებულად მოილაპარაკონ, ვიდრე კანონშია დადგენილი. ამ პრინციპით გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მოქმედების ერთ-ერთ არსებით წინაპირობას წარმოადგენს. მხარეების შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულებაში კანონით დადგენილ წესს გადაუხვიონ, იმ შემთხვევაშია შეზღუდული, თუ შესაბამისი აკრძალვა კანონშია გათვალისწინებული ან გამოყენებული ნორმის არსიდან გამომდინარეობს“.³⁶

ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსში ნების ავტონომია პირდაპირ მოხსენიებული არ არის³⁷, მაგრამ მასში შეტანილია რამდენიმე ნორმა, რომლებიც თავის შინაარსით თითქმის არ განსხვავდება ზემოთ მოყვანილისგან.

სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებში არის ორი სპეციალური წესი, რომლებიც შეიცავს ნებისმიერი სამოქალაქო სამართალურთიერთობებისთვის უმნიშვნელოვანეს დებულებებს:

ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პარაგრაფი (ძირითადი საწყისები (პრინციპები)):

„2. მოქალაქეები და იურიდიული პირები იძენენ და ახორციელებენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებს და, თუ საკანონმდებლო აქტებით სხვა რამე არ არის დადგენილი, უარს ამბო-

³⁴ აქ და შემდგომში ამ დოკუმენტზე მითითება ეფუძნება გამოცემას: *Модельные правила европейского частного права / Пер. с англ.; Науч. ред. Н.Ю. Рассказова. – М.: Статут, 2013. – 989 с.*

³⁵ *ო.ა. კრასავჩიკოვის* აზრით, იურიდიული აქტი არის პირის მართლზომიერი ქმედება, რომელიც მიმართულია კონკრეტული სამართალურთიერთობების მოძრაობისკენ. იხ. *Красавчиков О.А. Юридические факты в советском гражданском праве. В кн.: Красавчиков О.А. Категории науки гражданского права. Избранные труды: В 2 т. Т 2. – М.: Статут, 2005. С. 169.*

³⁶ *Варул П. Принципы и модельные правила современного частного права // Закон. 2014. № 6. С. 59.*

³⁷ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსისგან (მე-2 მუხლის 1-ელი პარაგრაფი) და დსთ-ის მოდელო სამოქალაქო კოდექსისგან (1-ელი მუხლის 1-ელი პარაგრაფი) განსხვავებით. ზოგიერთი ცივილისტი რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში მოხსენიებულ ნების ავტონომიას განიხილავს სამოქალაქო სამართლის მეთოდის შემადგენელ ნაწილად და არა მის პრინციპად. იხ., მაგ., *Кузнецова О.А. Нормы-принципы российского гражданского права. – М.: Статут, 2006. – 269 с. С. 76.*

ბენ უფლებებზე საკუთარი ნებით და საკუთარ ინტერესებში. ისინი თავისუფალი არიან თავისი უფლებებისა და მოვალეობების დადგენაში ხელშეკრულების საფუძველზე და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობების განსაზღვრაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას“ (გამოყოფილია ჩემ მიერ).

ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ელი პარაგრაფი:

„1. მოქალაქეები და იურიდიული პირები საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავენ თავიანთ სამოქალაქო უფლებებს, მათ შორის მათი დაცვის უფლებას“ (გამოყოფილია ჩემ მიერ).

ამ ნორმებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც სამოქალაქო კოდექსის კონცეპტუალურ საწყისს—სამოქალაქო სამართალური თვითობების მონაწილეთა დისკრეცია, რომელიც საფუძველად ედება სამოქალაქო უფლებების შექმნას, განხორციელებას და დაცვას, და მათ მიეკუთვნება ასევე უფლებაზე უარის თქმა ან მისი განუხორციელებლობა. ამ დებულებების კონცეპტუალურობა შესაძლოა, ჯერ არ არის სავსებით გააზრებული და ასახული ყაზახეთის იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. მეტიც, შეიძლება ვისაუბროთ მდგრად ტენდენციაზე ყაზახეთში. ეს არის საჯარო სამართლის მეთოდების გამოყენება კერძო სამართალური თვითობების რეგულირებისთვის, რაც იწვევს კერძო სამართლის პოტენციალის მნიშვნელოვნად შემცირებას. ეს ეხება მხარეთა დისკრეციის შეზღუდვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მიერ ქონებრივი ურთიერთობების დამყარების დარეგულირების დროს. ამგვარი შეზღუდვების ზოგიერთ ასპექტს ქვემოთ უფრო დანვრისებით განვიხილავთ.

პირის დისკრეციას (მოქმედების თავისუფლება) ადგილი აქვს (ა) სამოქალაქო უფლებების განხორციელებისას და (ბ) გარიგებების დადებისას (განკარგვის ქმედებები).

ნაწილობრივ ის ეხება სამოქალაქო მოვალეობების (ვალდებულებების) განხორციელებას (შესრულებას), მაგალითად, ალტერნატიული ვალდებულებების შესრულებისას (სამოქალაქო კოდექსის 285-ე მუხლი), ვალდებულებათა ნოვაციით შეწყვეტისას (სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლი). ეს უკანასკნელი და მათი მსგავსი შემთხვევები, რა თქმა უნდა, გამონაკლისს წარმოადგენს, მაგრამ ისინი შესაძლებელია და არ უნდა დარჩეს მკვლევრების და სამართალდამცველების ყურადღების მიღმა.¹

გარდა ამისა, პირის დისკრეცია გვხვდება მთელი რიგი იმ მოქმედებების (ნებლობითი აქტების) განხორციელებისას, რომლებსაც კოდექსში უკავშირდება სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების წარმოქმნა, ცვლილება და შეწყვეტა. ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის (4), (5) და (7) ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ აქტების რიცხვს მიეკუთვნება: 1) ქონების შექმნა, განადგურება, შექმნა ან გასხვისება იმ საფუძველზე, რომელიც არ იკრძალება ყაზახეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით, ასევე საკუთრების უფლებაზე უარის თქმა; 2) გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სამეცნიერო ნაშრომების, ლიტერატურული ნაწარმოებების, ხელოვნების ნიმუშების და ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგების შექმნა; 3) მოქალაქეების და იურიდიული პირების სხვა ტიპის მოქმედებების შედეგები.

აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში საუბარია იურიდიულ აქტებზე, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ ნების ავტონომიის მოდელური წესების კონტექსტში.

ამის დასტურად საკმარისია, მოვიყვანოთ გავრცელებული ტერმინი—„იურიდიული აქტები“, რომელიც სამართლის თეორიაში გამოიყენება. „იურიდიულ აქტებში იგულისხმება სამართლის სუბიექტების მოქმედების იურიდიულად განსაზღვრული ფორმები..., რომლებიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების მიღწევისკენ არის მიმართული“².

აქედან გამომდინარე, ყველანაირი საფუძველი გვაქვს, რომ დისკრეციის შესახებ კოდექსის დებულებები გავრცელდეს არა მარტო ხელშეკრულებებსა და გარიგებებზე, არამედ სამოქალაქო სამართალური თვითობების მონაწილეთა სხვა მართლზომიერ ქმედებებზედაც.

¹ ერთ-ერთი ასეთი ასპექტის შესახებ იხილეთ: Орешин Е.И., Суспицына И.И. Принцип содействия сторон в исполнении обязательства: советский анахронизм или эффективный правовой инструмент? / Закон. 2012. № 10. С. 129-136.

² Нерсесянц В.С. Общая теория права и государства. Учебник для юридических вузов и факультетов. — М.: Издательская группа НОРМА-ИНФРА•М, 1999. — 552 с. С. 506.

დისკრეციის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების შეფარდება. ითვლება, რომ კოდექსში დისპოზიციური ნორმების არსებობა მეტ დისკრეციას (მოქმედების თავისუფლებას) ანიჭებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს. სპეციალურ კვლევას საჭიროებს იმპერატიული და დისპოზიციური ნესების რაოდენობრივი შეფარდება ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში.³ ჩვენთვის მთავარი კითხვა სხვა რამეშია, კერძოდ, რა გავლენას ახდენს იმპერატიული და დისპოზიციური ნორმები ნების ავტონომიის (თავისუფალი დისკრეციის) პრინციპზე ?

მ.ი. ბრაგინსკის აზრით, „...ნების ავტონომიის შეზღუდვა ხელშეკრულების დადებისას სამ მიზნამდე შეიძლება დავიყვანოთ. საჯარო სანქსის შეტანის საჭიროება სახელშეკრულებო რეგულირებაში იმპერატიული ნორმების მიღების საშუალებით ჩნდება ხელშეკრულების სუსტი მხარის, მესამე მხარის (პირველ ყოვლისა, რეალური და პოტენციური კრედიტორების) დაცვის აუცილებლობისას, ასევე ქვეყანაში მოქმედი მართლწესრიგის და სხვა საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ფასეულობების დასაცავად.“⁴

ჩვენ ვეთანხმებით ამ თეზისს და აღვნიშნავთ კიდევ ერთ მომენტს: დისპოზიციური ნორმები სამართალური ერთობების მონაწილეებს თავიანთი ნების გამოხატვის და ქცევის საკუთარი ვარიანტის შეთავაზების საშუალებას აძლევს.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთში ამგვარი სახელშეკრულებო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხარეები უმეტესად აყალიბებენ ყველაზე ზოგად სახელშეკრულებო პირობებს და ყველაფერ დანარჩენში „ეთანხმებიან“ კანონმდებლის მიერ შეთავაზებულ ვარიანტებს.

იმპერატიული რეგულირება თავის მხრივ (ა) უალტერნატივო ვარიანტია სამოქალაქო სამართალური ერთობების მონაწილეებისთვის, მაგრამ (ბ) უფრო მკაფიოდ განსაზღვრავს დისკრეციის საზღვრებს (ლიმიტს), რომლის ფარგლებში მოქმედებისას პირი თავისუფალი რჩება.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში და მოდელურ ნესებში ნების ავტონომიის გამოხატვა თითქმის იდენტურია ფორმის (არსის) თვალსაზრისით. საკითხი მდგომარეობს შემდეგში: (1) შესაბამისი დანაწესის გამოყენება (პირველ ყოვლისა, სასამართლოების მიერ) და (2) სხვა კანონმდებლობა, რომელიც შემზღუდველ რეგულირებას ავითარებს. ქვემოთ სწორედ ამ მაგალითებს მოვიყვანოთ.

ნების ავტონომიის ძირითადი დებულებები ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებში:

საკუთრებითი ურთიერთობები

ზემოაღნიშნული თემის კონტექსტში მოვიყვანოთ ორ თეზისს ნების ავტონომიის პრინციპის ზემოქმედების შესახებ საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირებაზე ყაზახეთის კანონმდებლობაში.

პირველ ყოვლისა, საკუთრების უფლების ლეგალური დეფინიცია. მას ორმაგი ხასიათი აქვს: (ა) ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში საკუთრების სუბიექტური უფლების შინაარსი განსაზღვრულია უფლებათა ტრიადის საშუალებით: ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა; (ბ) იმავე მუხლის მე-3 პარაგრაფში მესაკუთრეს ეძლევა

³ ს.ი. კლიმკინი თვლის, რომ ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსში იმპერატიული ნორმა მეტია, ვიდრე დისპოზიციური. ავტორი ასკვნის, რომ „... სახელშეკრულებო სამართალი, რომელშიც სრული მოცულობით უნდა „იმუშაოს“ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპმა, 90%-ით იმპერატიული ნორმებისგან შედგება. რაღა უნდა ვთქვათ ვადების რეგულირებაზე სამოქალაქო სამართალში, წარმომადგენლობაზე, არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე, საპატენტო და მემკვიდრეობით სამართალზე!“. იხ. Климкин С.И. Гражданское право и цифры-2 // URL: <https://www.zakon.kz/4943638-grazhdanskoe-pravo-i-tsifry-2-klimkin-s.html> (дата обращения: 29.10.2018).

⁴ Брагинский М.И., Витрянский В.В. Договорное право. Книга первая: Общие положения. 3-е изд., стер. — М.: Статут, 2011. — 847 с. С. 92.

უფლება, თავისი ქონების მიმართ *ნებისმიერი* ქმედება განახორციელოს, მაგრამ დადგენილია მესაკუთრის მიერ მისი ამ უფლების გამოყენების საზღვრები სამართლის სხვა სუბიექტების კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების სახით (სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის მე-4 მუხლი). მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლები საკუთრების უფლების განსაზღვრისას იყენებენ ტერმინს – „უფლება“ და არა – „უფლებამოსილება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთრების უფლება განიხილება, როგორც უფლებათა ერთგვარი კონა.

საკუთრების უფლების ლეგალური დეფინიციის მიხედვით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ფორმალურად მესაკუთრემ საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ქმედება უნდა შეუფარდოს ან ფლობას, ან სარგებლობას ან განკარგვას. ფაქტობრივად, ეს არის არასაჭირო შემზღუდველი გაგება, რომელიც საბჭოთა წარსულში არსებულ ტრადიციულ წარმოდგენებს ეფუძნება. დასკვნის სახით, შეგვიძლია შემდეგი თეზისი ჩამოვყალიბოთ: თუ საკუთრების სუბიექტური უფლების განხორციელება არ არღვევს სხვა პირების კანონით დაცულ უფლებებს და არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, მესაკუთრეს აქვს ამ ქმედებების უფლება. ამგვარი დარღვევების ფაქტი საგანგებო წესით უნდა იქნეს დადგენილი. ყველა სხვა შემთხვევაში, მესაკუთრის ქმედებები მართლზომიერად ჩაითვლება და მას აქვს ამის უფლება.

მეორე, საკუთრების შემზღუდველი რეგულირება. ამგვარი სიტუაციებისთვის აქტუალურია რ. იერინგის თეზისი, რომ „ამგვარი შემზღუდველების დანესება... ხშირად მოიცავს ამა თუ იმ არსებითად მუდმივ დატვირთვას საკუთრების უფლებაზე, მის შეზღუდვას. კერძო ავტონომიის შეუზღუდაობა ამ მიმართულებით მოიცავს უმნიშვნელოვანეს საშიშროებას საკუთრებისთვის და მისი ჭეშმარიტი თავისუფლების განადგურების შესაძლებლობას.“⁵

აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხებში გარკვეული ზომიერებაა საჭირო. მსგავსი შეზღუდვები დამოკიდებულია ნივთის სამართლებრივ რეჟიმზე; (ბ) პოზიტიური სამართლის აკრძალვებზე საკუთრების უფლების რეალიზაციის ამა თუ იმ მეთოდებზე, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესებით და/ან საერთო კეთილდღეობით, ასევე (გ) ერთსა და იმავე ნივთზე სხვა პირების უფლებით⁶, მაგრამ საკუთრების უფლების ამგვარი გაგების შემთხვევაშიც კი, ეს არის კანონმდებლობით დაშვებული ყველაზე სრული უფლება ნივთზე. კანონმდებლებს, ისევე, როგორც სამართალდამცველებს, ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ.

სახელშეკრულებო ურთერთობები

ნების ავტონომიის პრინციპის რეალიზაცია სახელშეკრულებო ურთერთობებში ასევე ორი თეზისის მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ:

პირველ ყოვლისა, „ხელშეკრულების თავისუფლების“ პრინციპის ლეგალური შინაარსი.

ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლში იმავე სახელწოდებით ეს ორი ასპექტითაა წარმოდგენილი: (1) ხელშეკრულების დადების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ძალდატანება დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების დადების მოვალეობა გათვალისწინებულია კოდექსში, საკანონმდებლო აქტებში ან ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებით; (2) მხარეებს შეუძლიათ, დადონ როგორც კანონმდებლობით გათვალისწინებული, ისე მასში გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შინაარსი არასრული იქნება, თუ, იმავდროულად, არ გავითვალისწინებთ კოდექსის დებულებებს შერეული ხელშეკრულებების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლი), მის პირობებს, განსაკუთრებით დისპოზიციურ ნორმებსა და მხარეების დისკრეციაზე მათი განსაზღვრისას (სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლი), სამოქალაქო კანონმდებლობის იმპერატიულ ნორმებს (სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლი).

შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კოდექსში არის აუცილებელი ნორმატიული წინაპირობები სახელშეკრულებო თავისუფლების სწორი გაგებისა და რეალიზაციისთვის. ეს განხილუ-

⁵ Geist des römischen Rechts. Bd. II. Th. I. (1894). S. 227 და შემდგ., ციტირებულია: *Покровский И.А.* Основные проблемы гражданского права. 5-е изд., стереот. – М.: Статут, 2009. – 351 с. С. 209.

⁶ საკუთრების უფლების შეზღუდვების შესახებ უფრო დეტალურად იხ.: *Скрябин С.В.* Вещное право: Учебное пособие. – Алматы: Научно-издательский центр КГУ, 2009. – 292 с. С. 160-190.

ლი მოვლენის დადებითი მხარეა, რადგან ზემოთ ციტირებული დებულებები გვიჩვენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც უზრუნველყოფს კოდექსის ნორმები სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების სახელშეკრულებო თავისუფლების შესახებ. სახელშეკრულებო სამართალურთიერთობების მონაწილეებს და სამართალდამცველებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ეს.

მეორე, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის საშუალებები.

ამგვარი მეთოდები უაღრესად საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა ფაქტობრივ უთანასწორობას, მაგალითად, მსხვილი კომპანია და მცირე ბიზნესი, გამყიდველი და მომხმარებელი, ბანკი და მოვალე (მენაბრე), მონოპოლისტი და მისი საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების მომხმარებელი. ამგვარ სიტუაციებში, ერთ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ან გაანულოს თავისი უფრო „სუსტი“ კონტრაქტის თავისუფლება.

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის სამი ძირითადი მეთოდი ფაქტობრივი უთანასწორობის გამოსწორებას ემსახურება. ეს მეთოდებია:

ა) კოდექსში ე.წ. ზოგადი დათქმების არსებობა. მათ რიცხვს მიეკუთვნება სამოქალაქო უფლებების კეთილსინდისიერად, გონივრულად და სამართლიანად განხორციელების აუცილებლობის შესახებ წესები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების, საზოგადოების ზნეობრივი პრინციპების, ხოლო მენარმეებისთვის -საქმიანი ეთიკის წესების დაცვის აუცილებლობა (ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფი).

ამ შემთხვევაში, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა ხდება სასამართლოს მიერ, რომელიც საქმის ვითარებიდან გამომდინარე, თავისი გადაწყვეტილებით უარს ამბობს სუბიექტური უფლების დაცვაზე იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე მეორეს მიმართ მოქმედებდა უსამართლოდ, ამორალურად ან სხვა ანალოგიური სახით. ყაზახეთის სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მსგავსი კაზუსები. ისინი მცირე რიცხოვანია და ყოველთვის არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

ქონების ყიდვა საშუალო საბაზრო ფასზე ბევრად დაბალ ფასად შეიძლება მცდარად იქნეს გაგებული. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სამოქალაქო უფლების უსამართლო და ამორალური განხორციელება, სხვა შემთხვევაში კი - როგორც ჩვეულებრივი მენარმეობა. ყაზახეთის პირობებში, სასამართლოს მოქმედების ამგვარ თავისუფლებას შეიძლება უაღრესად არასასურველი შედეგები მოჰყვეს სასამართლო სისტემის არასრულყოფილების, გამოუცდელიობის და სასამართლოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციის ფორმირების ტრადიციის არარსებობის გამო. შესაბამისად, ამ ვარიანტის შესაძლო რეალიზაცია მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში გვესახება.

ბ) კანონმდებლობაში იმპერატიული წესების დაფიქსირება ხელშეკრულებების გარკვეული ტიპის პირობებთან დაკავშირებით

ყაზახეთში ეს ხდება გარკვეული ტიპის ხელშეკრულებებისთვის არსებითი ხასიათის პირობების დადგენის საშუალებით, მაგალითად, სპეციალური სუბიექტების მონაწილეობით. ხელშეკრულებების ამგვარი პირობების ფორმულირება ხდება უფლებამოსილი ორგანოების სამართლებრივი პოლიტიკის და მიმდინარე სიტუაციაზე მათი ხედვის ფარგლებში.

მაგალითისთვის მოვიყვანთ სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ ბოლო ცვლილებას, კერძოდ, მის დამატებას 725-1 მუხლის სახით: „მოვალე ფიზიკურ პირთან დადებული სასესხო ხელშეკრულების თავისებურებები“⁷.

ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, სასესხო ხელშეკრულების ამ ტიპს ცხრა არსებითი პირობა აქვს.⁸ კანონის სახელიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საუბარია

⁷ იხ. ყაზახეთის რესპუბლიკის 2018 წლის 2 ივლისის № 168-VI კანონის „ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ ყაზახეთის რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში სავალუტო რეგულირების და სავალუტო კონტროლის, საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის რისკ-ორიენტირებული ზედამხედველობის, საფინანსო მომსახურების, მომხმარებელთა დაცვის და ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საქმიანობის სრულყოფის შესახებ“ 1-ელი მუხლის მე-2 პარაგრაფის მე-3 ქვეპარაგრაფი.

⁸ ამ პირობების 725-1 მუხლის ტექსტში „თავისებურებები“ ეწოდება. ამგვარ მეთოდს შეიძლება ვუწოდოთ კანონის იურიდიული ტექნიკის ნაკლოვანება. ამ მუხლის მე-2 პარაგრაფის წესები იმ სასესხო ხელშეკრულების ბათილობის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის 1-ელი პარაგრაფის პირობებს, ყოველგვარ ეჭვს ფანტავს გამოტანილი დასკვნის მიმართ (იხ. სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი, 382-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი, 383-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი).

სუსტი მხარის, ანუ მოვალე ფიზიკური პირის, დაცვაზე, მაგრამ გაურკვეველია ვის წინააღმდეგ არის ეს დაცვა. სამოქალაქო კოდექსის 725-1 მუხლის მე-5 პარაგრაფი შეიცავს მითითებას სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლის მე-2 პარაგრაფზე, სადაც აღნიშნულია კრედიტორები სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებზედაც არ ვრცელდება ახალი მუხლი. ესენია ბანკები, ზოგიერთი საბანკო ოპერაციის განმახორციელებელი ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო ამხანაგობები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაცვა მიმართულია სხვა პირების წინააღმდეგ, მათ შორის, ჩვეულებრივი მოქალაქე კრედიტორების წინააღმდეგ. ამგვარი დაცვის მიზანშეწონილობის შესახებ კითხვა რიტორიკული იქნება და ჩვენ მას ყურადღების და შეფასების გარეშე დავტოვებთ.

პარადოქსი ისაა, რომ სწორედ 718-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში მითითებული პირები ხშირად ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას. ჩვენთან ჯერ კიდევ შეუძლებელია ბანკთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმება რაიმე სხვა ფორმით, ბანკის მიერ შემოთავაზებული ფორმის გარდა. ან ხელი უნდა მოაწერო, რასაც გთავაზობენ, ან სესხს ვერ მიიღებ. ამასთან, მიერთების ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 პარაგრაფშია გათვალისწინებული, სათანადო ინტერესს არ იწვევს. სასესხო სახსრების საჭიროება არ გაქრება. მსესხებლის ინტერესი კი, ჩვენი აზრით, სხვა რამაა: *სასამართლოს მიერ იმ ხელშეკრულებების პირობების გამოუყენებლობა*, რომლებიც (ა) არ შეესაბამება საერთო მოთხოვნებს სამოქალაქო უფლებების განხორციელების მიმართ (იხ. ზემოთ) და (ბ) არღვევს (არ შეესაბამება) სესხის სტანდარტულ პირობებს, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.⁹ ფაქტობრივად, ჩვენ ვუბრუნდებით ხელშეკრულების ერთი მხარის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვის პირველ ვარიანტს, რომელიც ზემოთ იქნა განხილული.

საეჭვოა, რომ შემოთავაზებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებები ხელს უწყობდეს სახელშეკრულებო თავისუფლებას. ამას ემატება კანონმდებლობის არასტაბილურობა, ნორმატიული დანაწესების ხშირი ცვლილება, რომელთა პრაქტიკაში გამოყენება „ვერ ესწრება“¹⁰. ამიტომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ნების ავტონომიის შეზღუდვის ეს ვარიანტიც არამიზანშეწონილად მიგვაჩნია.

გ) ცალკე კანონის (ან სამოქალაქო კოდექსის გარკვეული ნაწილების დამატებების) შემუშავება ხელშეკრულებების (გარიგებების) ზოგადი დებულებების შესახებ

ამ მიზნით, შეგვიძლია გერმანიის მაგალითის გამოყენება.¹¹

ამ კანონის კომენტარებისას რ. იკარიმულინმა აღნიშნა, რომ მისი მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ „...ის წარმოადგენს არსებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგს... გერმანიის გამოცდილება ლოკალური კანონშემოქმედების რეგულირებაში გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპები, როგორცაა მხარეების თანასწორობა და ხელშეკრულების თავისუფლება, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მატერიალური სიკეთის სამართლიან განაწილებას საბაზრო პირობებში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.“¹²

⁹ ანალოგიური სიტუაცია იქმნება სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგიერთ სხვა სფეროში, მაგ., დაზღვევა, ლიზინგი, სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობა, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა. იქაც არსებობს იმპერატიული ხასიათის არსებითი პირობების საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი.

¹⁰ მაგალითად, ს.ი. კლიმკინი ამბობს, რომ „2018 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობით, ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში (ზოგად და სპეციალურ ნაწილში) შეტანილ იქნა ცვლილებები 171 საკანონმდებლო აქტით (კონსტიტუციური კანონი, პრეზიდენტის კანონები და დადგენილებები, რომელსაც კანონის ძალა აქვს). იხ. Климкин С.И. Гражданское право и цифры-2 // URL: <https://www.zakon.kz/4943638-grazhdanskoe-pravo-i-tsifry-2-klimkin-s.html> (дата обращения: 29.10.2018).

¹¹ იხ. 1976 წლის 9 დეკემბრის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი 1997 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, ნიგნში: Германское право. Часть III. Закон об общих условиях сделок. Закон об ответственности за недоброкачественную продукцию. Закон о праве собственности на жилье. Закон о чеках. Закон о векселях. Положение о несостоятельности: Пер. с нем / Исследовательский центр частного права. Германский фонд международного правового сотрудничества; Научн. ред. Р.И. Каримуллин. - М.: «Статут», 1999. С. 41-52.

¹² Каримуллин Р.И. Закон об общих условиях сделок в практике его применения // Германское право. Часть III. Закон об общих условиях сделок. Закон об ответственности за недоброкачественную продукцию. Закон о праве собственности на жилье. Закон о чеках. Закон о векселях. Положение о несостоятельности: Пер. с нем / Исследовательский центр частного права. Германский фонд международного правового сотрудничества; Научн. ред. Р.И. Каримуллин. - М.: «Статут», 1999. С. 33.

ყაზახეთის კანონმდებლობის არასტაბილურობის გათვალისწინებით, ეს ვარიანტი ყველაზე მისაღებად მიგვაჩნია. კანონმდებლები ჩამოაყალიბებენ ხელშეკრულებების დადება-განხორციელების დროს კეთილსინდისიერი ქცევის საერთო სტანდარტებს, რაც თავიდან აგვაცილებს (ან მნიშვნელოვნად შეამცირებს) ხელშეკრულების თავისუფლებისა და სამეწარმეო საქმიანობის ნეგატიურ შეზღუდვას, რომელიც დაკავშირებულია ერთი მონაწილისთვის გაუმართლებელი უპირატესობების მინიჭებასთან სხვებთან შედარებით.

სახელშეკრულებო თავისუფლების ბოროტად გამოყენება ყაზახეთის რესპუბლიკის სამართლებრივი მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილებების გაუქმებისას საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ წესების გამოყენების მაგალითზე

საბოლოოდ გვინდა, სხვა ტიპის მაგალითებიც მოვიყვანოთ. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ სამართალგამოყენებითი განმარტების შემთხვევებს სახელშეკრულებო სამართალურ თითქმის მონაწილეთა დისკრეციის კიდევ ერთი ასპექტის ფარგლებში - *ნების გამოხატვის შედეგებით შებოჭილობა*.

საუბარია არბიტრაჟის, საარბიტრაჟო შეთანხმებების და მათი განხორციელების შესახებ.

არბიტრაჟის არსებობა და ფუნქციონირება ეფუძნება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა ნების ავტონომიას და ხელშეკრულების თავისუფლებას.

საარბიტრაჟო პროცესისთვის ნების ავტონომიას გარკვეულწილად განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს: (1) მხარეები თავისუფალი არიან საარბიტრაჟო შეთანხმების (დათქმების) გაფორმებაში; (2) მხარეები თავისუფალი არიან საარბიტრაჟო ინსტიტუტის და არბიტრების არჩევაში; (3) მხარეები შებოჭილი არიან თავიანთი არჩევანით და არბიტრაჟის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით.

თავის დროზე ხელშეკრულების თავისუფლების ამ ასპექტზე ჩინებულად თქვა ყაზახეთის ცნობილმა ცივილისტმა, იუ. გ. ბასინმა: „ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებში არ უნდა აგვერიოს ის შეზღუდვები, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილეებმა თვითონ დააკისრეს თავიანთ თავს ხელშეკრულებაში შესვლით. ამგვარი თვითშეზღუდვა სავალდებულო ხდება და მასზე ცალმხრივად უარის თქმა დაუშვებელია. ხელშეკრულების თავისუფლება, მაგრამ არა *ხელშეკრულების განთავისუფლება*“ (გამოყოფილია ჩემ მიერ).¹³

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის 2016 წლის 8 აპრილის №488-V „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი შეიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების მიზეზების ამომწურავ ჩამონათვალს. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: (1) არბიტრაჟის მიერ პროცესუალური (პროცედურული) ნორმების დარღვევა. მაგალითად, დავა არ ექვემდებარება არბიტრაჟს ან სცილდება არბიტრაჟის შეთანხმების ფარგლებს, რომელიმე მხარე არ იყო ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, არბიტრაჟის შემადგენლობა ან პროცედურები არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას (არბიტრაჟის კანონის 52-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის 1-ელი პუნქტის (1)-(6) ქვეპუნქტები) და (2) არბიტრაჟის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ყაზახეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივ წესრიგს (არბიტრაჟის კანონის 52-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის 1-ელი პუნქტი). ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, არის *გაუქმების ერთადერთი მატერიალური საფუძველი*.

ყაზახეთის კანონმდებლები მხოლოდ ორ შემთხვევაში საუბრობენ საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ: 1) არბიტრაჟის შესახებ კანონის ტექსტში (მე-2 მუხლის 1-ელი ქვეპუნქტი). ყაზახეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგი განისაზღვრება, როგორც ყაზახეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებში დაფიქსირებული მართლწესრიგის საფუძვლები და 2) სამოქალაქო კოდექსის 1090-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფი შეიცავს წესს, რომ „უცხოეთის სამართალი არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მისი გამოყენება ეწინააღმდეგება ყაზახეთის რესპუბლიკის მართლწესრიგს საფუძვლებს (საზოგადოებრივ წესრიგს). ამ შემთხვევებში გამოიყენება ყაზახეთის რესპუბლიკის სამართალი“.

¹³ *Басин Ю.Г. Принципы гражданского законодательства Республики Казахстан // Гражданский Кодекс Республики Казахстан – толкование и комментирование. Общая часть. Выпуск 1. Алматы, 1996. С. 6.*

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაუქმების საფუძველად გამოიყენება ყველაზე განუსაზღვრელი, მაგრამ ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი-არბიტრაჟის გადანყვეტილებით, ყაზახეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.¹⁴

მოვიყვანოთ არბიტრაჟის გადანყვეტილების გაუქმების ორ შემთხვევას.

პირველ შემთხვევაში, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია¹⁵, არბიტრაჟის გადანყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა. შემდეგ ეს გადანყვეტილება ყაზახეთის უზენაესმა სასამართლომ შეცვალა. მეორე შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა არბიტრაჟის გადანყვეტილების გაუქმებაზე, ხოლო სასამართლოს მეორე ინსტანციამ კი გააუქმა.¹⁶ მეორე შემთხვევაში საბოლოო გადანყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

ჩვენ აქ არ განვიხილავთ არც საზოგადოებრივ წესრიგს, როგორც არბიტრაჟის გადანყვეტილებების გაუქმების საფუძველს, და არც სასამართლო ინსტანციების მოტივებს და არგუმენტაციას. ამას შეგიძლიათ, ციტირებულ წყაროებში გაეცნოთ.

შემოვიფარგლებით მხოლოდ ძირითადი დასკვნებით, რომლებიც ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ არბიტრაჟის გადანყვეტილებების გაუქმებას აძლევს *ხელშეკრულების (სა-არბიტრაჟო შეთანხმების) ერთ-ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო თავისუფლების ბოროტად გამოყენების* კვალიფიკაციას.

სასამართლოს აქტები, რომლებიც აუქმებს არბიტრაჟის გადანყვეტილებებს, წარმოადგენს დავის არსებითად გადანყვეტის მაგალითს, რომელიც „საზოგადოებრივ წესრიგს“ არის ამოფარებული;

სასამართლოს მსგავსი აქტები აძლევს არაკეთილსინდისიერ პირებს საშუალებას, რომ თავიდან აიცილონ ის მოვალეობები, რომლებიც მათ ნებაყოფლობით იკისრეს დადებული ხელშეკრულების და საარბიტრაჟო განხილვის უფლების რეალიზაციის ფარგლებში;

საარბიტრაჟო გადანყვეტილებების გასაჩივრების (გაუქმების) მცდელობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც *არაკეთილსინდისიერი ქცევა, რომლის მიზანია არბიტრაჟის გადანყვეტილებით მონაწილეზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებისთვის თავის არიდება*.

იმედი ვიქონიოთ, რომ საარბიტრაჟო გადანყვეტილებების გაუქმების პრაქტიკას სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცემა და ამ პოზიციას მკაფიოდ გამოხატავს ყაზახეთის უზენაესი სასამართლო, რადგან ყაზახეთის კანონმდებლობაში წარმოდგენილია ამგვარი დასკვნისთვის საჭირო ყველა ნორმატიული წინაპირობა.

დასკვნა

ერთი მხრივ, პირის ნების ავტონომია კერძო სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მისმა დაკარგვამ შეიძლება, სერიოზული დანაკარგები გამოიწვიოს და სერიოზულად შეზღუდოს კერძო პირების უფლებებისა და თავისუფლების განვითარება, რითაც სწორედ სამოქალაქო სამართალია ცნობილი.

¹⁴ საინტერესოა, ამ მხრივ, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში რუსეთის წამყვანი სპეციალისტის, ა.ვ. ასოსკოვის, ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაცია. მასში ავტორმა წარმოადგინა საინტერესო ალგორითმი, რომლის მიხედვით უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შენიშვნის გამოყენებისთვის. ჩატარებული ანალიზის შედეგად მთელი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები იქნა გამოტანილი. იხ. Асосков А.В. Нарушение публичного порядка как основание для отказа в принудительном исполнении решений международных коммерческих арбитражей, принятых на территории Российской Федерации // Журнал «Закон». № 9. 2018. С. 134-142.

¹⁵ იხ. 1) *Сулейменов М.К.* Как судья по своему разумению законы трактовала // URL: <http://www.zakon.kz/4804098-kak-sudja-po-svoemu-razumeniju-zakony.html> (дата обращения: 07.07.2016); 2) Открытое письмо арбитражей в Верховный Суд Республики Казахстан и Министерство юстиции Республики Казахстан // URL: <http://www.zakon.kz/4810408-otkrytoe-pismo-arbitrazhejj-v.html> (дата обращения: 20.08.2016); და 3) *Сулейменов М.К.* Судейский беспредел продолжается // URL: <http://www.zakon.kz/4814246-sudejskijj-bespredel-prodolzhaetsja.html> (дата обращения: 30.08.2016).

¹⁶ სიტუაციის განხილვა და სამართლებრივი ანალიზი იხ.: *Скрябин С.В.* Применение судами Республики Казахстан законодательства об отмене решений арбитражей. Или еще раз о публичном порядке... // URL: <https://www.zakon.kz/4943694-primenenie-sudami-respubliki-kazahstan.html> (дата обращения: 29.10.2018).

მეორე მხრივ, თავისუფლების უფრო ზუსტი განსაზღვრისთვის აუცილებელია შემზღუდველი რეგულირება. მნიშვნელოვანია, რომ ის საკმარისი იყოს და არ გამოიწვიოს ნების ავტონომიის დაკარგვა. ამ მიზნით, აუცილებელია არა მარტო სათანადო საკანონმდებლო რეგულირება, არამედ სამართლის მაღალ დონეზე განხორციელება, სამოქალაქო კანონმდებლობის იმ ძირითადი კონცეპტუალური დებულებების დოქტრინული გაშლა, რომლებიც ეხება უფლებამოსილ, ხოლო გარკვეულ სიტუაციებში ასევე ვალდებულ პირთა დისკრეციას. კანონმდებლობა შეიცავს მნიშვნელოვან წინაპირობებს კერძო ავტონომიის განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია მათი შენარჩუნება, განვითარება და მათი რაოდენობის გაზრდა.

Ограничения автономии воли в гражданском праве Казахстана: некоторые теоретические и практические вопросы¹⁷

Вводные положения.

Как известно, автономию воли в частном праве можно рассматривать в узком и широком значении. В Гражданском кодексе Республики Казахстан¹⁸ (далее – ГК РК, Кодекс) об узком значении автономии воли можно говорить в двух случаях.

Во-первых, нормативное содержание принципа «свобода договора» (п. 1 ст. 2, ст. 380 ГК РК). Некоторые аспекты этого принципа мы далее рассмотрим особо в контексте ограничения договорной свободы.

Во-вторых, выбор сторонами договорного правоотношения применимого права. Традиционно эти вопросы регулирует международное частное право (ст. 1112 ГК РК). В Казахстане наиболее известные работы по этим проблемам принадлежат М.К. Сулейменову¹⁹.

Однако, как мы полагаем, подобное понимание автономии воли будет фрагментарным, не дающим полного представления обо всех аспектах этого явления в гражданском законодательстве Казахстана. Поэтому первая часть статьи будет посвящена рассмотрению автономии воли как общего принципа гражданского права, основным теоретическим догмам и отдельным аспектам применения соответствующих правил Кодекса.

Далее мы изложим основные ограничительные положения автономии воли, закрепленных в нормах гражданского законодательства Республики Казахстан, затронем еще один аспект автономии воли, который проявляется в результате отмены решений арбитражей по мотивам противоречия публичному порядку. Подобную практику полагаем возможным именовать и рассматривать через призму злоупотреблений усмотрением частных лиц.

Общий обзор автономии воли как общего принципа гражданского права в законодательстве Республики Казахстан.

Первоначально обратим внимание на правила об автономии воли Модельных правил европейского частного права (DCFR²⁰, далее – Модельные правила), в которых имеет специальная статья об этом.

«II.-1:102: Автономия воли сторон

(1) С учетом применимых императивных норм стороны свободны в заключении договора или совершении другого юридического акта и в определении его содержания.

* к.ю.н. С. В. Скрябин является доцентом, ведущим научным сотрудником Института частного права Каспийского общественного университета, главным научным сотрудником Института законодательства Республики Казахстан

¹⁷ Статья подготовлена на основе выступления автора на международной конференции «Автономия воли как основополагающий принцип гражданского права», Тбилисский Государственный университет им. Иванэ Джавахишвили, Институт зарубежного и международного частного права им. Макса Планка (Гамбург, Германия), 1-2 ноября 2018 года. Тбилиси, Грузия.

² Здесь и далее законодательство Республики Казахстан, если в тексте не сказано иное, цитируется по ИС Параграф по состоянию на 15.11.2018 года.

¹⁹ См., например, Сулейменов М.К. Международное частное право и международный гражданский процесс: Учебник в двух частях / М.К. Сулейменов. – Алматы: ТОО «Юридическая фирма «Зангер», 2018. – 496 с. С. 212.

²⁰ Здесь и далее ссылки на этот документ будут выполнены по изданию: Модельные правила европейского частного права / Пер. с англ.; Науч. ред. Н.Ю. Рассказова. – М.: Статут, 2013. – 989 с.

(2) Стороны вправе исключить полностью или частично применение любого из последующих правил, касающихся договоров или иных юридических актов либо возникающих из них прав и обязанностей, а также, если иное не предусмотрено, исключить или изменить их действие.

(3) Положение о том, что стороны не могут исключить или изменить действие правил, не лишает стороны возможности отказаться от права, которое уже возникло и о котором стороне известно».

В другом разделе Модельных правил есть специальные положения о соотношении автономии воли сторон с иными нормами (см., например, ст. VIII-5:101).

В приведенных Модельных правилах об автономии воли отметим четыре важных момента: (а) необходимость учета императивных норм, (б) свободу сторон в заключении договора или (в) совершении другого юридического акта и (г) в определении его содержания.

На наш взгляд, особенно значимым является распространение автономии воли не только на договорные отношения, но и *иные юридические акты*. Иначе говоря, автономию волю нельзя сводить только к сделкам или договорам. Она понимается шире, включая в себя любые действия участников гражданских правоотношений, влекущие юридические последствия²¹.

Один из разработчиков Модельных правил П. Варул рассматривает автономию воли через призму принципа диспозитивности: «В соответствии с ним стороны в конкретной ситуации могут договориться иначе, нежели установлено в законе. Посредством этого принципа выражается свобода договора, которая является одним из существенных предварительных условий действия рыночной экономики. Возможность сторон отклониться в договоре от установленного законом порядка ограничена в том случае, если в законе предусмотрен или вытекает из сути применяемой нормы соответствующий запрет»²².

В ГК РК прямого упоминания принципа автономии воли нет²³, но есть несколько норм, которые содержательно мало чем отличаются от приведенных выше.

Так, в общих положениях Кодекса есть два специальных правила, в которых содержатся важнейшие положения для любого гражданского правоотношения.

п. 2 ст. 2 ГК РК (основные начала (принципы)):

«2. Граждане и юридические лица приобретают и осуществляют свои гражданские права, а также отказываются, если иное не установлено законодательными актами, от прав своей волей и в своем интересе. Они свободны в установлении своих прав и обязанностей на основе договора и в определении любых его условий, не противоречащих законодательству» (выделено мною – С.С.);

п. 1 ст. 8 ГК РК:

«1. Граждане и юридические лица по своему усмотрению распоряжаются принадлежащими им гражданскими правами, в том числе правом на их защиту» (выделено мною – С.С.).

Эти нормы мы рассматриваем в качестве концептуального начала Кодекса – *усмотрение участников гражданских правоотношений*, которое лежит в основе приобретения, осуществления и защиты гражданских прав, относя сюда и случаи возможного отказа от права или его неосуществления. Возможно, что концептуальность этого положения еще в неполной мере получила осмысление и применение в казахстанской юридической науке и практике. Более того, можно говорить о довольно устойчивой тенденции в Казахстане: *использование публичных правовых методов регулирования частных правоотношений*. Все это приводит к существенному снижению потенциала частного права в целом, включая *ограничение усмотрения сторон* при выстраивании и регулировании имущественных отношений самими участниками гражданского оборота. На некоторых аспектах подобных ограничений далее мы остановимся подробнее.

²¹ О.А. Красавчиков под юридическим актом понимал правомерное действие лица, направленное на движение конкретного правоотношения. См.: Красавчиков О.А. Юридические факты в советском гражданском праве. В кн.: Красавчиков О.А. Категории науки гражданского права. Избранные труды: В 2 т. Т. 2. – М.: Статут, 2005. С. 169.

²² Варул П. Принципы и модельные правила современного частного права // Закон. 2014. № 6. С. 59.

²³ В отличие, например, от ГК РФ (п. 1 ст. 2) и Модельного ГК СНГ (п. 1 ст.1). Однако ряд цивилистов склонны рассматривать автономию воли, упомянутую в ГК РФ, в качестве составной части (чертой) метода гражданского права, чем его принципом. См., например, Кузнецова О.А. Нормы-принципы российского гражданского права. – М.: Статут, 2006. – 269 с. С. 76.

Объективно усмотрение лица имеет место при (а) осуществлении гражданских прав и (б) совершении сделок (распорядительных действий).

В определенной степени оно относится и к осуществлению (исполнению) гражданских обязанностей (обязательств). Например, при исполнении альтернативных обязательств (ст. 285 ГК РК), прекращении обязательства новацией (ст. 372 ГК РК). Последние, и иные подобные случаи, конечно, есть исключения. Но они также возможны и подобные положения не должны быть оставлены без внимания исследователей и правоприменителей¹.

Кроме того, усмотрение лица возможно при совершении ряда действий (волевых актов), с которыми Кодекс связывает возникновение, изменение и прекращение гражданских прав и обязанностей. Согласно подп. 4), 5) и 7) части 2 ст. 7 ГК РК к таковым относятся: (1) создание, уничтожение, приобретение или отчуждение имущества по основаниям, не запрещенным законодательными актами Республики Казахстан, а также отказа от прав на имущество; (2) создание изобретений, промышленных образцов, произведений науки, литературы и искусства и иных результатов интеллектуальной деятельности; и (3) вследствие иных действий граждан и юридических лиц.

Вполне очевидно, что в указанных случаях речь идет о юридических актах, которые упоминались нами выше в контексте анализа положений Модельных правил об автономии воли.

В подтверждении этого можно привести достаточно распространенное понятие «юридические акты», используемое в теории права. «Под юридическими актами имеются в виду различные юридически определенные формы действия субъектов права..., направленные на достижение определенных правовых последствий и результатов»².

Поэтому есть все основания для распространения правил Кодекса об усмотрении не только на договоры, сделки, но и *иные правомерные действия* участников гражданских правоотношений.

Еще одним аспектом свободного усмотрения является вопрос о соотношении диспозитивных и императивных норм ГК РК. Считается, что само наличие диспозитивных положений Кодекса предоставляет большую свободу усмотрения участников оборота. Вопрос о количественном соотношении императивных и диспозитивных правил ГК РК требует специального исследования³. Для нас главный вопрос другой: Каково влияние императивных и диспозитивных норм на принцип автономии воли (свободного усмотрения) стороны?

По мнению М.И. Брагинского «...ограничение автономии воли при заключении договора может быть сведено к троякого рода целям. Потребность во внесении публичного начала в договорное регулирование путем принятия императивных норм возникает при необходимости защитить интересы слабой (слабейшей) стороны в договоре, интересы третьих лиц (прежде всего реальных или потенциальных кредиторов), а также защитить действующий в стране правопорядок и иные имеющие особую общественную значимость ценности»⁴.

Соглашаясь с данным тезисом, отметим еще один момент: диспозитивные нормы позволяют выразить участникам правоотношений свое волеизъявление, предложить свой вариант поведения.

Отметим почти полное отсутствие подобной договорной практики в Казахстане. Наш опыт свидетельствует о том, что в большинстве случаев стороны предпочитают формулировать самые общие договорные условия, во всем остальном «соглашаясь» с вариантами, предложенными законодателем.

¹ Об одном таком аспекте см.: Орешин Е.И., Суспицына И.И. Принцип содействия сторон в исполнении обязательства: советский анахронизм или эффективный правовой инструмент? / Закон. 2012. № 10. С. 129-136.

² Нерсесянц В.С. Общая теория права и государства. Учебник для юридических вузов и факультетов. – М.: Издательская группа НОРМА-ИНФРА•М, 1999. – 552 с. С. 506.

В описанных ситуациях, думаю, ответчик, должен в суде подать ходатайство о привлечении отчуждателя или приобретателя соответственно, как третье лицо. Если он этого не сделал, то должен нести последствия. Также, сам участник оборота должен подать иск о необоснованном обогащении против собственника, если оба иска будут удовлетворены. Пострадавшим от необоснованного обогащения собственника, скорее всего, должен считаться отчуждатель. Государство в таких случаях не должно брать на себя роль защитника гражданских прав для отдельных лиц.

Попытка исключить конкуренцию исков в таких случаях приведёт к более нежелательным последствиям для системы права – чрезмерное увеличение роли государства и, соответственно, ограничение автономии воли.

Думаю, платой за автономию воли должно быть понимание участников гражданского оборота, что именно от них зависит защита и исполнение их прав и они должны быть последовательны в этом вопросе.

მხარეების ნების ავტონომიის რეალიზაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში

ცნობილია, რომ მხარეების ნების ავტონომიის პრინციპი ფართოდ გავრცელდა საერთაშორისო პრაქტიკაში, რადგან ხელშეკრულებაში შეუძლებელია ყველა იმ სიტუაციის გათვალისწინება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მისი შესრულების პროცესში. დიდი ქვეყნების კანონმდებლობაში მხარეების ნების ავტონომია ჩვეულებრივ აღიარებულია. თუმცა მხარეების ნების ავტონომიის საზღვრების ხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობაში გაგებულია სხვადასხვანაირად. ზოგიერთ ქვეყანაში ის არაფრითაა შეზღუდული, უფრო სწორად, მხარეებს შეუძლიათ, მათ მიერ დადებული გარიგებები დაუქვემდებარონ ნებისმიერ სამართლებრივ სისტემას. სხვა ქვეყნებში მოქმედებს შეზღუდვის პრინციპი: მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად აირჩიონ მხოლოდ ის სამართალი, რომელიც დაკავშირებული იქნება მოცემულ გარიგებასთან.

მხარეების ნების ავტონომიის პრინციპი აგრეთვე გათვალისწინებულია რიგ სხვა უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო შეთანხმებაში. ესენია: ჰააგის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისათვის გამოყენებადი სამართლის შესახებ, 1955 წ., ჰააგის კონვენცია სააგენტო მომსახურების შესახებ შეთანხმებისთვის გამოყენებადი სამართლის შესახებ, 1978 წ., ჰააგის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისათვის გამოყენებადი სამართლის შესახებ, 1986 წ., ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის გამოყენებადი სამართლის შესახებ, 1980 წ., ბუსტამანტეს კოდექსი 1928 წ., ამერიკათშორისი კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის გამოყენებადი სამართლის შესახებ, 1994 წ. და სხვ. ეს პრინციპი აგრეთვე გათვალისწინებულია დსთ-ის ქვეყნებს შორის დადებულ შეთანხმებებში: მინსკის კონვენციაში 1993 წ. (მ.41), კიშინიოვის კონვენციაში 2002 წ. (მ.44), კიევის შეთანხმებაში 1992 წ. (მ.11), ასევე სამართლებრივი დახმარების ორმხრივ შეთანხმებებში. ასევე საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში გაძლიერდა ტენდენცია ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენების საფუძველზე მხარეების მიერ არა რომელიმე კონკრეტული სამართლებრივი სისტემის (ეროვნული სამართლის ნორმები, რომლებიც ხშირად არ ითვალისწინებს საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების სპეციფიკას) არჩევს, არამედ მითითება „სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებსა და პრინციპებსზე“ ან „საერთაშორისო ვაჭრობის სამართალზე“. საკმაოდ ხშირად პრაქტიკაში გამოიყენება აგრეთვე მითითება ე.წ. *lex mercatoria*-ზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში ნების ავტონომიის პრინციპის შინაარსი განიხილება მატერიალურსამართლებრივი, კოლიზიურსამართლებრივი და პროცესუალურსამართლებრივი ასპექტების თვალსაზრისით. მატერიალურსამართლებრივი ასპექტი ნიშნავს იმას, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მხარეები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მათი ურთიერთობების კონკრეტულ პირობებს. ეს ასპექტი დაკავშირებულია სამართლებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთან - ხელშეკრულებების დადება, საქორწინო ურთიერთობების განსაზღვრა, მემკვიდრეობის მიღებადა ა.შ.

კოლიზიურსამართლებრივი ასპექტი და მახასიათებელია საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის. ამ ასპექტში მხარეები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთობების სამართლებრივი ჩარჩოები.

პროცესუალურსამართლებრივი ასპექტი გამოსახავს მხარეების ნების ავტონომიას მათ შორის დავების გადაჭრაში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამადაც ცალკეული სახელმწიფოს კანონი ნების ავტონომიას ითვალისწინებს, როგორც უცხოური სამართლის გამოყენების ცალკე საფუძველს. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის (6 ივნისი, 2000 წ.) მუხლი 1.2. ამ მუხლის თანახმად, უცხოურ ელემენტებ-

* ტურგაი ჰუსეინოვი არის ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო, კერძო და ევროპული სამართლის კათედრის დოცენტი.

თან გამოყენებადი სამართალი განისაზღვრება ასევე მხარეების ნებით. ამასთან, კანონმდებელია მტკიცებს, რომ მხარეების ნების გამოვლენა მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული ან ასეთი თანხმობა უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ თავად ხელშეკრულების პირობებიდან. უცხო სახელმწიფოს სამართლის გამოყენების შეზღუდვა შეუძლებელია მხოლოდ მათი ზოგადსამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე.

მოცემული კანონის 24-ე მუხლი უშუალოდ ეხება მხარეების მიერ გამოყენებადი სამართლის არჩევის უფლებას. ასე რომ, ხელშეკრულების მხარეებს აქვთ უფლება, აირჩიონ სამართალი, რომელიც გავრცელდება უშუალოდ ხელშეკრულების პირობებზე.

მხარეებს შეუძლიათ, აირჩიონ სამართალი, რომელიც გავრცელდება როგორც მთლიან ხელშეკრულებაზე, ისე მის ცალკეულ ნაწილებზე.

მითითებული ნორმის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, ამოირჩიონ გამოყენებადი სამართალი როგორც ხელშეკრულების დადებისას, ისე მას შემდეგ; ასევე, შეცვალონ გამოყენებადი სამართალი.

ამას გარდა, კანონმდებელი კრძალავს ისეთი სამართლის არჩევას, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს იმპერატიული ნორმის გამოყენებლობამდე მიყვანა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში ეს მუხლი თითქოს ავიწროებს საერთო დებულებებს ნების ავტონომიის პრინციპთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება, როგორც გამოყენებადი სამართლის არჩევის საფუძველი. თუმცა მსგავსი დებულება ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ სახელშეკრულებო პრაქტიკას, კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ დადებულ სანავთობო ხელშეკრულებების შინაარსს. ამ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, მიეთითება სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისთვის დამახასიათებელ ზოგად პრინციპებზე, მათ შორის, სახელშეკრულებო მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპზე.

მხარეების ნების ავტონომიის პრინციპი ასევე წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის ფუნქციონირების საფუძვლებს.

მართლაც, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლში განმტკიცებულია, რომ საარბიტრაჟო სასამართლო დავას გადაჭრის სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც არჩეულ იქნა მხარეების მიერ, როგორც დავის შინაარსის მიმართ გამოყენებადი სამართალი.

ვეხებით რა მითითებული პრინციპის პროცესუალურ რეალიზაციას, გვსურს, ასევე ყურადღება მივაქციოთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებს. მართლაც, მოცემული მუხლები უშვებენ მხარეების შეთანხმების შესაძლებლობას საქმის განსჯადობის განსაზღვრასა და ნაფიცმსაჯულთა სასამართლოსთვის გადაცემაზე.

უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობაში გათვალისწინებულია შეუზღუდავი ნების ავტონომია საქორწინო ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით. ერთადერთი შეზღუდვაა-საქორწინო ხელშეკრულების დებულებების შესაბამისობა სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგთან. ასეთი დებულება დამკვიდრებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საოჯახო კოდექსის 157-ე მუხლში. ამავე დროს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საოჯახო კოდექსის 151.2 მუხლის თანახმად, თუ მეუღლეებს არ გააჩნიათ საერთო მოქალაქეობა ან საერთო საცხოვრებელი ადგილი, ისინი თვითონ ირჩევენ ალიმენტების დაკავების შეთანხმებებზე ან საქორწინო ხელშეკრულებაზე გამოყენებად კანონმდებლობას.

ხელმძღვანელობენ რა მხარეების ნების ავტონომიის პრინციპით, რიგ ქვეყნებში (პოლონეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.) მხარეებს შეუძლიათ, შრომითსამართლებრივი ურთიერთობანი დაუქვემდებარონ მათ მიერ არჩეულ კანონს. თუმცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შრომითი კანონმდებლობის თანახმად, თუ ადგილი აქვს უცხოური ელემენტით გართულებულ შრომით ურთიერთობებს, მათი რეგულირებისთვის უნდა გამოვიყენოთ აზერბაიჯანული სამართალი. მოცემული პრინციპი დამკვიდრებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის შრომის კოდექსის მე-13 მუხლში. მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ მე-6 მუხლის თანახმად, შრომის კოდექსის დებულება არ ვრცელდება უცხოელებზე, რომლებიც მუშაობენ აზერბაიჯანში შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, თუ ხელშეკრულებები დადებულია საზღვარგარეთ და მათი

სამართლის შესაბამისად. უფროს წორად, კოლიზიურ დანაწესად მოქმედებს სამუშაო ადგილის პრინციპი (lex loci laboris).

მხარეების შეთანხმების თანახმად, უცხოური სამართლის გამოყენების შესაძლებლობა ასევე დაიშვება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სავაჭრო ზღვოსნობის კოდექსით. მართლაც, 324-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსში მითითებული ხელშეკრულებების მხარეებს შეუძლიათ, განსაზღვრონ მათი უფლებებისა და მოვალობებისადმი გამოყენებადი სამართალი.

Реализация автономии воли сторон в законодательстве Азербайджанской Республики

Как известно, принцип автономии воли сторон получил широкое распространение в международной практике, поскольку ни в одном договоре невозможно предусмотреть все ситуации, которые могут возникнуть в ходе его исполнения. Так в законодательстве большинства государств автономия воли сторон обычно признается. Хотя допустимые пределы автономии воли сторон понимаются в законодательствах государств по-разному. В одних странах она ничем не ограничивается, то есть стороны, заключив сделку, могут подчинить ее любой правовой системе. В других странах действует принцип ограничения: стороны могут свободно избрать право, но только такое, какое связано с данной сделкой.

Принцип автономии воли сторон предусмотрен и в ряде других универсальных и региональных международных соглашений. К ним относятся Гагская конвенция о праве, применимом к международной купле-продаже товаров 1955 года, Гагская конвенция о праве, применимом к агентским соглашениям 1978 года, Гагская конвенция о праве, применимом к договорам международной купли-продажи товаров 1986 года, Венская конвенция о праве, применимом к международным контрактам 1980 года, Кодекс Бустаманте 1928 года, Межамериканская конвенция о праве, применимом к международным контрактам 1994 года и другие. Этот принцип предусмотрен и в соглашениях, заключенных между странами СНГ: в Минской конвенции 1993 г. (ст. 41), в Кишиневской конвенции 2002 г. (ст. 44), в Киевском соглашении 1992 г. (ст. И), а также в двусторонних соглашениях о правовой помощи. Следует также отметить, что в международной практике усилилась тенденция выбора сторонами на основе применения принципа автономии воли не какой-то конкретной правовой системы (норм национального права, которые часто не учитывают специфику международных торговых сделок), а отсылки к «общепринятым принципам и нормам права», либо «к праву международной торговли». Довольно часто на практике используется и отсылка к так называемому *lex mercatoria*.

Содержание принципа автономии воли в законодательстве Азербайджанской Республики рассматривается с материально-правовой, коллизионно-правовой и процессуально-правовой точки зрения. Материально-правовой аспект заключается в том, что стороны частного-правового отношения самостоятельно определяют конкретные условия их отношений. Этот аспект связан с различными сферами правоотношений - заключением контрактов, определением брачных отношений, наследованием и т. д.

Коллизионно-правовой аспект характерен для регулирования международных частных правоотношений. В этом аспекте стороны вправе определить правовые рамки, которые будут применяться к их отношениям.

Процессуально-правовой аспект выражает автономию воли сторон в разрешении споров между ними.

Следует отметить, что и в настоящее время законы некоторых государств предусматривают автономию воли отдельным основанием применения иностранного права. В качестве примера можно привести статью 1.2 Закона о международном частном праве Азербайджана от 6 июня 2000 г. Так, согласно данной статье, право, применяемое к отношениям с иностранным элементом определяется также и по воле сторон. Законодатель при этом закрепляет, что волеизъявление сторон должно быть четко выражено или такое согласие должно вытекать непосредственно из условий самого договора. Ограничение применения права иностранного государства не возможно только исходя из их общеправового характера.

* Тургай Гусейнов является доцентом кафедры международного частного и европейского права Бакинского государственного университета.

А статья 24 данного закона посвящена непосредственно праву выбора сторонами применимого права. Так, стороны договора вправе выбрать право, которое будет непосредственно распространяться на условия договора.

Стороны могут выбирать право, распространяемое как в целом на договор, также и на отдельные его части.

Согласно указанной норме стороны могут выбирать применяемое право как при заключении договора, так и после этого, а также поменять применимое право.

Кроме того, законодатель запрещает выбор права, которое может привести к неприменению императивной нормы государства.

Здесь следовало бы заметить, что данная статья как бы сужает общие положения в законодательстве Азербайджанской Республики относительно принципа автономии воли, рассматриваемой как основание для выбора применимого права. Хотя подобное положение идет в разрез с устоявшейся договорной практикой, в частности касательно содержания нефтяных контрактов, заключенных Азербайджанской Республикой. В данных контрактах как правило идет ссылка на общие принципы, характерные для правовых систем государств, в том числе на принцип добросовестного выполнения договорных обязательств.

Принцип автономии воли сторон является также одним из основополагающих начал арбитражного разбирательства.

Так в статье 28 Закона АР «О международном коммерческом арбитраже» закреплено, что арбитражный суд решает спор по тем нормам права, который был выбран сторонами как применимое права к содержанию спора.

Касаясь реализации указанного принципа в процессуальном порядке хотелось бы обратить внимание также на статьи 28 и 29 ГПК АР. Данные статьи допускают возможность соглашения сторон при определении подсудности и и передачи дела суду присяжных.

В законодательстве большинства стран предусмотрена неограниченная автономия воли относительно содержания брачного контракта. Единственное ограничение – соответствие положений брачного контракта публичному порядку государства. Такое положение закреплено и в статье 157 Семейного Кодекса АР. В тоже время согласно статье 151.2 Семейного кодекса АР, если супруги не имеют общего гражданства или совместного места проживания, они сами выбирают применимое законодательство в соглашениях об удержании алиментов или брачном контракте.

Руководствуясь принципом автономии воли сторон в ряде стран (Польша, Италия, ФРГ и др.) стороны могут подчинить трудовые правоотношения выбранному им закону. Однако согласно трудовому законодательству АР, если имеют место трудовые отношения, осложненные иностранным элементом, к их регулированию должно применяться азербайджанское право. Данный принцип закрепляется в статье 13 Трудового Кодекса АР. Важно заметить, что согласно статье 6 положения ТК не распространяются на иностранцев, осуществляющих трудовую деятельность в Азербайджане на основании трудовых контрактов, заключенных за границей и согласно их праву. То есть, коллизионным предписанием служит принцип закона места работы (*lex loci laboris*).

Возможность применения иностранного права согласно соглашению сторон допускается также в Кодексе Торгового мореплавания АР. Так, согласно статье 324, стороны указанных в данном кодексе договоров могут определить право, применяемое к их правам и обязанностям.

ხელშეკრულებისთვის გამოყენებადი სამართლის არჩევა უკრაინისა და ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად

I. ხელშეკრულებისთვის გამოყენებადი სამართლის არჩევა უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად

ა) სამართლისა და ნების ავტონომიის არჩევა

უცხოური ელემენტით კერძოსამართლებრივი დავების უმრავლესობისთვის აუცილებელი საკითხია სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსისადმი გამოყენებადი სამართლის არჩევა, რაც საშუალებას იძლევა, გადაიჭრას კონფლიქტი საერთაშორისო კერძო ურთიერთობების რეგულირებაზე პრეტენზიის მქონე რამდენიმე კონკურირებად მართლწესრიგს შორის.

სახელშეკრულებო მოვალეობებთან დაკავშირებით სამართლის განსაზღვრის უფლებამოსილება წარმოადგენს მხარეების სუბიექტური უფლების აღიარებას, ხოლო, დადებითი სამართლებრივი წესრიგის თვალსაზრისით, ნების ავტონომია წარმოადგენს პრიორიტეტულ საბამსს, უცხოური ელემენტით სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირებისას გამოყენებადი სამართლის განსაზღვრისათვის¹.

ხელშეკრულების შინაარსის მიმართ სამართლის განსაზღვრისათვის უკრაინის სამართალში ამოქმედებულია კოლიზიური სამართლის ძირითადი სანქსიები-ნების ავტონომია და უფრო მეტად მჭიდრო კავშირი („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ უკრაინის კანონის მუხლები 4, 5, 32, 43, 44. (შემდგომში – უკრაინის კანონის კს-ის შესახებ))².

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ პრინციპების საფუძველზე გამოიყენება, მოცულია არა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები, არამედ ნამდვილობაც და განმარტების საკითხებიც, ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგებიც.

ხელშეკრულების სტატუტი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად მოიცავს ასევე ხელშეკრულების შესრულებისა და ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შედეგების (შესრულების მეთოდებისა და პროცედურების, ასევე იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს ხელშეკრულების არასათანადოდ შესრულებისას, ცალკეულ სადავო სიტუაციაში შესაძლოა იმ ქვეყნის სამართლის გამოყენება, რომელშიც ხორციელდება შესრულება); ხელშეკრულების შეწყვეტის; ხელშეკრულების მიხედვით მოთხოვნის უფლების დათმობასა და ვალის გადაკისრების საკითხებს³.

გამოყენებადი სამართლის არჩევანი დაფუძნებულია ნების ავტონომიის პრინციპზე, რომელიც ითვლება საყოველთაოდ აღიარებულ ფუძემდებლურ პრინციპად სახელშეკრულებო მოვალეობებისათვის და ერთ-ერთ ქვაკუთხედად კოლიზიური ნორმების სისტემისათვის საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში.

ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში საყოველთაოდ არის აღიარებული

* რომან მაიდანიკი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე

¹ იხ.: *Бендєвский Т.* Международное частное право: учебник / *Т. Бендєвский*; пер. с македон.. – М.: Статут, 2005 – (446 с.). – С.312; *Діковська І. А.* Принципи правового регулювання міжнародних приватних договірних зобов'язань: монографія / *І. А. Діковська*. – К.: Юрінком Інтер, 2014. – (464 с.). – С. 177–179.

² Закон України «О международном частном праве» от 23 июня 2005 г. №2709-IV (Ведомости Верховной Рады Украины (ВВР), 2005, № 32, ст. 422).

³ Міжнародне приватне право: підручник / за ред. *А. С. Довгєрта і В. І. Кисіля*. – 2-ге видання. – К.: Алерта, 2014. – (656 с.). – С.430.

ვალდებულებით სამართალთან მიმართებით: მხარეებს თვითონ შეუძლიათ, აირჩიონ გამოყენებადი სამართალი და, ასე ვთქვათ, ეს არჩევანი მოიცავს არჩეული სისტემის იმპერატიულ გამოყენებას და გამორიცხავს „არარჩეული“ სამართლის სისტემის გამოყენებას⁴.

ნების ავტონომიის პრინციპი აგრძელებს ახალი სფეროების ათვისებას, რაც აისახება სახელშეკრულებო მოვალეობების საზღვრებს გარეთ მის გავრცელებაში

ნათელია, რომ მითითებული ტენდენცია ასახავს ინდივიდუალური თავისუფლების დასავლურ კონცეფციას და პრინციპს – «in dubio pro libertate» (ეჭვის შემთხვევაში—მოქალაქის მოქმედების თავისუფლების სასარგებლოდ). მერე, პირიქით, შეინიშნება გაზრდილი ინტერესი პეციალური შეზღუდვებისადმი და „სამართლის არჩევის“ გამოვლინებებისადმი⁵.

საერთაშორისო კერძო სამართალს ნების ავტონომიის პრინციპი ორნაირად ესმის⁶. პირველი, ნების ავტონომია განიხილება, როგორც ინდივიდების ბუნებრივი უნარი, თავად აირჩიონ გამოყენებადი სამართალი, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისაგან დამოუკიდებლად. მეორე, მასში შეიძლება დავინახოთ ინდივიდების უნარი, შექმნან ვალდებულებები თავიანთთვის და (ან) სხვებისთვის, შესაბამისი საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემის პარამეტრების გათვალისწინებით. თუ მოცემული მართლწესრიგი საშუალებას აძლევს ინდივიდებს, სამართლის არჩევის გზით დაუქვემდებარონ თავიანთი თავი სხვა სამართლებრივ სისტემას, მაშინ შეიძლება საუბარი ნების ავტონომიაზე. ლიტერატურაში პირველი აპრიორული გაგება დახასიათებულია, როგორც „პირველადი“ (primary connection), ხოლო მეორე-როგორც მეორეული თვისებების მატარებელი⁷.

ძირითადი განსხვავება ორ მიდგომას შორის არის ის, რომ ნების ავტონომიის დერივაციული გაგება გულისხმობს პოზიტიური სამართლის რეჟიმის არსებობას, რომელიც წესდება ცალკე და, შესაბამისად, არ შეუძლია ასახოს ინდივიდის სუბიექტური განზრახვები.

გამოყენებადი სამართლის განმსაზღვრელი ნორმები ეხება მხოლოდ ამ ქვეყნის სასამართლოებსა და სააგენტოებს. რამდენადაც მოსარჩელე უფლებამოსილია, აირჩიოს სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა იურისდიქციის მქონე სასამართლოები, საბოლოოდ, მხოლოდ მისი სურვილი იქნება განმსაზღვრელი, გამოიყენება თუ არა საერთაშორისო კერძო სამართლის რეჟიმი, რომელიც ცნობს ნების ავტონომიას.

მხარეების ნების ავტონომიის აპრიორული კონცეფცია გამოდის ბუნებრივი თავისუფლების „მეტასამართლებრივი“ მოსაზრებებიდან, რომლებიც ახასიათებს ზოგად პრინციპს; ეს უკანასკნელი ასრულებს ორიენტირის ფუნქციას როგორც კანონმდებლისთვის, ისე სასამართლოებისათვის⁸.

სამართლის არჩევასთან დაკავშირებით ორი მომლაპარაკებელი მხარის ნებას კონკრეტული სამართლებრივი რეჟიმისაგან დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს სავალდებულო ძალა, როგორც შედეგს ინდივიდის ბუნებრივი ნებისა, მისივე უფლებასთან შეთავსებით მოახდინოს ამ ძალის რეალიზაცია, მისთვის ჩვეული შინაგანი თავისუფლებით. ჯ. ლოკის თანახმად, ეს უკანასკნელი ასახავს ბუნებრივ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებიან ადამიანები – სრული თავისუფლება მათ მოქმედებასა და საკუთარი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით... ბუნების კანონების საზღვრებში სხვისგან ნებართვის გამოთხოვის გარეშე და დამოუკიდებლად ვისიმე ნებისაგან. ეს ასევე თანასწორობის მდგომარეობა⁹.

⁴ Flessner A. Interessenjurisprudenz im IPR. Tuebingen, 1990. – S. 97.

⁵ იხ.: Leible St. Parteiautonomie im IPR – Allgemeines Anknuepfungsprinzip oder Verlegenheitsloesung? // Festschrift fuer Erik Jayme. Vol. 1. Muenchen, 2004. – S. 485–503; Базедов Юрген, Право открытых обществ – частное и государственное регулирование международных отношений: общий курс международного частного права = The Law of Open Societies – Private Ordering and Public Regulation of International Relations: General Course on Private International Law / Юрген Базедов; пер. с англ. Ю. М. Юмашева. – М.: Норма, 2016. – (384 с.). – С. 116.

⁶ Базедов Юрген, იქვე, С. 124.

⁷ იხ.: Frankenstein E. Internationales Privatrecht. Vol. 2. Berlin, 1929. S. 159, 162; Batiffol H., Aspect philosophiques du droit international prive. P., 2002. P. 65, 70.

⁸ Базедов Юрген, Право открытых обществ – частное и государственное регулирование международных отношений: общий курс международного частного права = The Law of Open Societies – Private Ordering and Public Regulation of International Relations: General Course on Private International Law / Юрген Базедов; пер. с англ. Ю. М. Юмашева. – М.: Норма, 2016. – (384 с.). – С. 125, 126.

⁹ Локк Дж. Соч.: в 3 т. М., 1988. – Т. 3. – С. 152.

ნების ავტონომიის ინსტიტუტი უკრაინის საერთაშორისო კერძო სამართალში მოწოდებულია გადანაცვით კანონების კოლიზია მხარეების მიერ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებადი სამართლის არჩევის გზით და ასეთი არჩევანის განხორციელების შემთხვევებისა და პირობების დადგენით, საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით და ა.შ.¹

დებულებები ნების ავტონომიის შესახებ იყოფა კოლიზიურ და მატერიალურ დებულებებად.

ნების ავტონომია, როგორც კოლიზიური საბამის ფორმულა, ითვალისწინებს, რომ კანონით დადგენილ შემთხვევებში, უცხოური ელემენტით კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს (მონაწილეს) შეუძლიათ, დამოუკიდებლად განახორციელონ სამართლის არჩევანი, რომელიც ქვემდებარე იქნება ასეთი ურთიერთობების შინაარსის მიმართ გამოსაყენებლად (*lex voluntatis*).

თანამედროვე სამართალში მხარეების ნების ავტონომიის პრინციპი ცნობილია უმრავლესი ქვეყნის სამართლისათვის და ასახულია ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში.

მხარეების ნების ავტონომიის პრინციპი აისახა რომის კონვენციის მე-3 მუხლში, ხოლო ცოტა მოგვიანებით „რომი I“-ის რეგლამენტის მე-3 სტატიამ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში. მაგალითად, კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის (მუხლი 7) ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებადი სამართლის შესახებ, ამერიკათშორისი კონვენცია და სხვა.

2012 წლის ნოემბერში, საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის სპეციალურმა კომისიამ მიიღო ჰააგის პრინციპების პროექტი საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის შესახებ.

ამ დოკუმენტის პრეამბულის თანახმად, ის ადგენს საერთო პრინციპებს, რომლებიც ეხება სამართლის არჩევას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში.

პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მოდელები ნაციონალური, რეგიონული ან საერთაშორისო ზენაციონალური დოკუმენტებისთვის; ასევე საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების ინტერპრეტაციის, დამატების ან განვითარებისთვის.

მათი გამოყენება შეუძლიათ როგორც სახელმწიფო სასამართლოებს, ისე არბიტრაჟებს.

ნების ავტონომიისა და სამართლის არჩევის საერთო წესები და გამოყენების კრიტერიუმები გათვალისწინებულია სკს-ის შესახებ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით.

სკს-ის შესახებ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უცხოური ელემენტით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებისათვის ქვემდებარე სამართალი განისაზღვრება ამ კანონის კოლიზიური ნორმებისა და კოლიზიური სამართლის დებულებების, სხვა კანონების, უკრაინის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

ნების ავტონომიის პრინციპის თანამედროვე ნორმატიული დამტკიცება მოცემულია სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლში. კანონის მითითებული ნორმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს (მონაწილეს) შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ სამართლის არჩევა, რომელიც გამოყენებადი იქნება სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსის მიმართ².

გამოყენებადი სამართლის არჩევის სამართლებრივ რეგულირებას, გათვალისწინებულს სკს-ის შესახებ უკრაინის კანონით, შეთვისებული აქვს საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით გამოყენებადი სამართლის შესახებ 1980 წლის რომის კონვენციის ძირითადი დებულებები, საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან მიმართებით გამოყენებისათვის ქვემდებარე 1986 წლის ჰააგის კონვენციის ძირითადი დებულებები, საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის სხვა აქტების ძირითადი დებულებები და კოდიფიკაციის გამოცდილება სკს-ის სფეროში.

ბ) სამართლის არჩევის ფორმა

სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის არჩევანი, რომელიც დამოუკიდებლად ხორციელდება მონაწილეების მიერ, უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული

¹ Міжнародне приватне право: підручник / за ред. А. С. Довгерта і В. І. Кисіля. — 2-ге видання. — К.: Алерта, 2014. — (656 с.). — С.148.

² Закон України «Про міжнародне приватне право» від 23.06.2005 № 2709-IV, Відомості Верховної Ради України (ВВР), 2005, № 32, ст. 422 — стаття 5.

ან პირდაპირ გამომდინარეობდეს გარიგების მხარეების ქმედებებიდან, გარიგების პირობებიდან ან საქმის გარემოებებიდან, რომლებიც განიხილება ერთობლიობაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით.

თუ სამართლის არჩევანი შეეხება მხოლოდ გარიგების ნაწილს, სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ის ნათლად უნდა იყოს გამოთქმული.

სამართლის შესახებ მხარეების ნების „ნათლად გამოთქმის“ თაობაზე მიუთითებენ განსაზღვრული ფორმულირებები ხელშეკრულებაში ან სხვა დოკუმენტში, რომელზეც ახდენს გადამისამართებას ხელშეკრულება; ისინი ხასიათდებიან იმით, რომ პირდაპირ მიუთითებენ გარკვეული ქვეყნის სამართალზე, როგორც გამოყენებადზე მთლიანად ხელშეკრულების ან მის ცალკეული ნაწილის მიმართ.

ხშირად მხარეები, რომელთაც სურთ, გამოირიცხონ გარკვეული ქვეყნის სამართლის კოლიზიური ნორმების მოქმედება, აკონკრეტებენ, რომ ხელშეკრულება რეგულირდება მატერიალური სამართლით...³.

ასეთი პირობების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: „ხელშეკრულება დაქვემდებარებულია მატერიალურ სამართალს...“, „ყველა საკითხი, რომლებიც არ რეგულირდება წარმოდგენილი ხელშეკრულებით, წარმოქმნილი მისგან ან მასთან დაკავშირებით, რეგულირდება მატერიალური სამართლით...“.

ევროპული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ამოდის იქიდან, რომ სამართლის არჩევა არის ნათლად გამოთქმული იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მხარეები ხელშეკრულებაში არ მიუთითებენ კონკრეტული მხარის სამართალს, არამედ აღნიშნავენ ასეთი სამართლის დადგენის საერთო პრინციპს⁴.

აღნიშნული მიდგომა მხარდაჭერილ იქნა ლორდთა პალატის მიერ საქმესთან – „Companie Tunisienne de Navigation SA v. Companie d'Armement Maritime S. A.“ დაკავშირებით, რომლის ხელშეკრულებაშიც გადამისამართება მისთვის გამოყენებადი სამართლის არჩევის სტანდარტულ პირობებზე, როგორც „იმ სახელმწიფოს სამართალზე, რომლის დროშითაც ცურავს გემი“, შეფასდა, როგორც ფრანგულ სამართალზე ნათლად გამოხატული არჩევანი⁵.

უფრო რთულია იმ სამართლის არჩევის საკითხი, რომელიც ნათლად არ არის გამოხატული, მაგრამ გამომდინარეობს გარკვეული ფაქტორებიდან, როგორც ეს მითითებულია სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილში.

ამ შემთხვევაში, სამართლის არჩევის არსებობის შესახებ შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელია, რომ ეს არის მხარეების მიერ გაკეთებული ნამდვილი არჩევანი⁶.

სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ფაქტორებს წარმოადგენენ: 1) ხელშეკრულების მხარეების მოქმედება; 2) ხელშეკრულების პირობები; 3) საქმის გარემოებები.

მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სამართლის ირიბი არჩევანის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად, მითითებული ფაქტორები უნდა განიხილებოდეს ერთობლიობაში.

საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ სხვა ქვეყნების კანონმდებლობა რამდენადმე სხვაგვარად განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გამოყენებადი სამართლის ირიბი არჩევანის დადგენის საშუალებას იძლევიან. ასე მაგალითად, თავის დროზე, რომის კონვენციის⁷ მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი მათ მიაკუთვნებდა: 1) ხელშეკრულების პირობებს; 2) საქმის გარემოებებს. ასეთი მიდგომა ასახულია „რომი 1“⁸-ის რეგლამენტის მე-3 მუხლის 1-ლ ნაწილში.

³ Діковська І. А. Принципи правового регулювання міжнародних приватних договірних зобов'язань: монографія / І. А. Діковська. – К. : Юрінком Інтер, 2014. – (464 с.). – С. 181.

⁴ იხ. : Merret L. Conflict of Laws Lectures / L. Merret. – Trinity College. – 2012. – (24 p.). – С. 3; Диковская И. А. დასახ. ნაშრომი – С. 181.

⁵ Companie Tunisienne de Navigation, S Av. Companie d'Armement Maritime S. A. [Електронний ресурс]. – [1970] Vol. 2 Lloyd's Law Reports 99. – Режим доступу: http://www.i-law.com/browse_lawreports.htm?volume=2&year=970&name=Lloyd'sLawReports.

⁶ Carlquist H. Party Autonomy and the Choice of Substantive Law in International Commercial Arbitration / H. Carlquist; School of Business, Economics and Law. – Master Thesis GOETEBORG UNIVERSITY, 2006. – (45 p.). – P. 14.

⁷ Конвенция о праве, применимом к договорным обязательствам, подписанная в Риме 19 июня 1980 г.

⁸ Регламент (ЕС) № 593/2008 Европейского Парламента и Совета «О праве, подлежащем применению к договорным обязательствам» («Рим I») от 17 июня 2008 г.

მოხსენება (რომის კონვენციამდე) ასეთ ფაქტორებს მიაკუთვნებს ხელშეკრულების დადებისას სტანდარტული ფორმის გამოყენებას, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ ის ექვემდებარება განსაზღვრულ სამართალს, თუმცა მასში არ არის ამაზე პირდაპირი მითითება. მაგალითად მოყვანილია საზღვაო დაზღვევაზე ლოიდის პოლისური ფორმა.

სხვა შემთხვევებში, ასეთი ფაქტორი შეიძლება იყოს ხელშეკრულების მხარეებს შორის წინა საქმიანი ურთიერთობების მიმდინარეობა. მაგალითად, მხარეებს შორის ადრე დადებულ ხელშეკრულებებში შეიძლება ყოფილიყო სამართლის არჩევანი, თუმცა, რაღაც მიზეზების გამო, მომდევნო ხელშეკრულება არ შეიცავს ასეთ პირობას.

თუ დადგინდება, რომ მხარეებს წინასწარ განზრახვით არ გამოუტოვებიათ ეს პირობა და ისინი არ აპირებდნენ ამ საკითხის გადაწყვეტის შეცვლას, გვაქვს ყველა საფუძველი, დავასკვნათ, რომ მათ აირჩიეს წინა ხელშეკრულებებში მითითებული სამართალი.

ამა თუ იმ ფორუმის არჩევა ასევე შეიძლება იყოს ფაქტორი სამართლის განხორციელებული არჩევნის სასარგებლოდ.

ამასთან ერთად, მოხსენება გვაფრთხილებს, რომ ის ყოველთვის უნდა შეფასდეს ხელშეკრულების სხვა პირობებსა და საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში.

ხელშეკრულებაში ამა თუ იმ სახელმწიფოს ნორმებზე მითითება ასევე შეიძლება აჩვენებდეს სამართლის ირიბ არჩევანს (მოხსენებაში მაგალითად მოყვანილია მითითებები საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსზე, რომელსაც მივყავართ დასკვნამდე ფრანგული სამართლის არჩევის შესახებ).

სხვა გარემოებებს, რომელთაც შეუძლიათ, გვიხიბონ სამართლის ირიბად არჩევის შესახებ დასკვნისაკენ, მოხსენება მიაკუთვნებს სიმავე მხარეების მიერ ერთმანეთთან დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ ხელშეკრულებასთან; არბიტრაჟის ჩატარების ადგილის არჩევანს, იმ პირობით, რომ არბიტრმა უნდა გამოიყენოს არბიტრაჟის ჩატარების ადგილის სამართალი.⁹

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, წინასწარი განზრახვით არ განახორციელონ სამართლის არჩევანი. მაგალითად, ისეთ სიტუაციაში, როდესაც მათ ვერ შეძლეს მოლაპარაკება სამართლის არჩევის შესახებ, მაგრამ შეთანხმდნენ ხელშეკრულების სხვა პირობებზე.

ამასთან დაკავშირებით, მოხსენება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომის კონვენცია უფლებას არ იძლევა „სამართლის არჩევის გამოყვანაზე“ ისე, როგორც ამას გააკეთებდნენ მხარეები მათ რომ ასეთი არჩევანის განხორციელების განზრახვა ჰქონოდათ. თუ დადგინდა რომ მხარეებს არ განუხორციელებიათ სამართლის არჩევანი, გამოყენებულ უნდა იქნეს კოლიზიური ნორმები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება მხარეების მიერ არჩევანის არგაკეთების პირობებში.

საკითხი გამოყენებადი სამართლის არჩევის ფორმის შესახებ რეგულირდება ასევე ცალკე საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ასე მაგალითად, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებადი სამართლის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შეთანხმება სამართლის არჩევის შესახებ შეიძლება იყოს: 1) ნათლად გამოთქმული; 2) უშუალოდ გამომდინარეობდეს ერთიანობაში განხილული ხელშეკრულების პირობებიდან და მხარეების ქცევიდან.

სააგენტო შეთანხმებების მიმართ გამოყენებადი სამართლის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის არჩევა უნდა იყოს ნათლად გამოთქმული ან ნათლად გამომდინარეობდეს მხარეებს შორის შეთანხმებიდან ან საქმის გარემოებებიდან.

რაც შეეხება მხარეებს შორის წინა საქმიანი ურთიერთობებს (ისინი შეიძლება მოიცავდნენ წინასწარი ხელშეკრულებების დადების პრაქტიკას, ასევე მოლაპარაკებების წარმართვის პრაქტიკას), განსაზღვრულ შემთხვევებში არ შეიძლება, გამოირიცხოს სამართლის არჩევის უწყვეტობა მომავალი ხელშეკრულებების მიმართ, თუმცა, ამასთან, აუცილებელია არსებობდეს ნათელი მტკიცებულება „სამართლის არჩევის უწყვეტობაზე წინასწარი ხელშეკრულებისთვის გამოყენე-

⁹ *Giuliano M. Report on the Convention on the Law applicable to contractual obligations [Электронный ресурс] / M. Giuliano, P. Lagarde. – Режим доступа :[http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31980Y1031\(01\); EN:HTML](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31980Y1031(01); EN:HTML).*

ბადი სამართლის შესახებ შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რომელსაც პირდაპირ მივყავართ მომავალი ხელშეკრულების შინაარსის შესახებ მხარეების მიერ მიღწეულ კონსენსუსთან¹⁰.

ამასთან ერთად, თუ მოლაპარაკებების მსვლელობა ნათლად მიუთითებს გამოყენებადი სამართლის არჩევაზე, ან პირიქით, იმაზე, რომ მხარეებს არა აქვთ სურვილი, გამოიყენონ განსაზღვრული სამართალი, ეს ფაქტორი გადაფარავს ყველა სხვებს (მაგალითად, სამართლის არჩევანი დაკავშირებულ ხელშეკრულებაში), რამდენადაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს მხარეების ნამდვილი ნება.

ეს ნათლად გამოვლინდა „Land Rover Exports Ltd v. Samcrete Egypt Engineers and Contractors SAE“-ს საქმეში, რომელიც განიხილებოდა ინგლისური სასამართლოების მიერ.

საქმის არსი შემდეგია. სადისტრიბუციო ხელშეკრულებების მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავდა სამართლის არჩევას. თუმცა სადისტრიბუციო ხელშეკრულება შეიცავდა მის მიმართ ინგლისური სამართლის გამოყენების პირობას. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ მოლაპარაკებების დროს ეგვიპტურმა კომპანიამ თავდებობის ხელშეკრულებიდან ამოშალა ინგლისური სამართლის გამოყენების და დავების ინგლისის სასამართლოს მიერ გადანყვეტის პირობები. ეს გარემოება სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც თავდებობის ხელშეკრულების მხარეების მიერ გამოყენებადი სამართლის არარჩევა¹¹.

სამართლის არანათლად არჩევის ერთ-ერთ შესაძლო ინდიკატორს წარმოადგენს ფორუმის არჩევა დავის გადასაწყვეტად. აღნიშნული მიდგომა ნათლად გამოვლინდა „Tzortis v. Monark Line A/B“ საქმის გადანყვეტისას, როდესაც ინგლისურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასამართლოს ნათლად არჩევა წარმოადგენს გამოყენებადი სამართლის არანათლად არჩევას“¹².

სამართლის არჩევის ასეთი არანათელი წესის უპირატესობად მოიაზრებენ სიმარტივესა და განსაზღვრულობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადანყვეტილებას მიიჩნევენ ინგლისური სამართლის ტენდენციების ასახვად, „Companie Tunisienne de Navigation SA v. Companie d'Armement Matitime S. A.“-ის საქმის გადანყვეტაში სასამართლომ გაატარა მკვეთრი საზღვარი არბიტრაჟულ შესწორებასა და სამართლის არჩევის შესახებ შეთანხმებას შორის და უარი თქვა დავის არსის მიმართ ინგლისური სამართლის გამოყენებაზე, იმის საფუძველზე, რომ არბიტრაჟული შესწორებით მხარეები ითვალისწინებდნენ დავების გადაჭრას ლონდონის არბიტრაჟში.¹³

გ) მართლწესრიგების ერთობლიობა, რომელთაგანაც შეიძლება განხორციელდეს გამოყენებადი სამართლის არჩევა

უკრაინის კანონმდებლობა ითვალისწინებს გამოყენებადი სამართლის არჩევის შესაძლებლობას შეუზღუდავი რაოდენობის მართლწესრიგების ერთობლიობიდან, თუ კანონით არ არის განსაზღვრული მართლწესრიგების განსაზღვრული ერთობლიობა, რომელთაგანაც შეიძლება განხორციელდეს გამოყენებადი სამართლის არჩევა.

უცხოური ელემენტით კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც წესი, იარსებებს რამდენიმე მართლწესრიგი, რომელთაგანაც აღნიშნულ ურთიერთობებს აქვთ გარკვეული კავშირი.

იბადება კითხვა: შეუძლიათ თუ არა მხარეებს (მხარეს) განახორციელონ სამართლის არჩევა მართლმსაჯულებების გარკვეული ერთობლიობიდან, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულნი არიან ამ ურთიერთობებთან, თუ არჩევანი უნდა განხორციელდეს შეუზღუდავი რაოდენობის მართლწესრიგების ერთობლიობიდან?

¹⁰ Белоглазек А. И. Европейское международное частное право – договорные связи и обязательства : [в 2 т.] / А. И. Белоглазек. – Т.1. – К. : Таксон, 2010. – (1576 с.). – С. 690.

¹¹ Land Rover Exports Ltd v. Samcrete Egypt Engineers and Contractors SAE. COURT OF APPEAL (CIVIL DIVISION) 21 DECEMBER 2001 [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.ectil.org/etil/getdoc/b53439a6-65b3-4ed5-8764-8f2c52f96ee/Land-Rover-Exports-email.aspx>.

¹² Companie Tunisienne de Navigation SA v. Companie d'Armement Matitime S. A. [Электронный ресурс]. – [1970] Vol. 2 Lloyd's Law Reports 99. – Режим доступа: http://www.i-law.com/browse_lawreports.htm?volume=2&year=970&name=Lloyd'sLawReports.

¹³ Companie Tunisienne de Navigation SA v. Companie d'Armement Matitime S. A. [Электронный ресурс]. – [1970] Vol. 2 Lloyd's Law Reports 99. – Режим доступа: http://www.i-law.com/browse_lawreports.htm?volume=2&year=970&name=Lloyd'sLawReports.

მთლიანობაში, სამართლის არჩევანი შეიძლება განხორციელდეს შეუზღუდავი რაოდენობის მართლწესრიგების ერთობლიობიდან. ეს აგრეთვე შეიძლება იყოს მართლწესრიგი, რომელსაც ფორმალურად არა აქვს მჭიდრო კავშირი ამ ურთიერთობებთან. ეს არ ენიშნააღმდეგება მჭიდრო კავშირის პრინციპს, იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებულია, რომ გარკვეული სამართლის არჩევანი თავად არის პიროვნებების ნების გამოხატვა და წარმოადგენს მჭიდრო კავშირის გამოვლენას.

ამასთან ერთად, კანონით შეიძლება განისაზღვროს მართლწესრიგების გარკვეული ერთობლიობა, რომელთაგანაც განხორციელდება გამოყენებადი სამართლის არჩევა.

მაგალითად, სკს-ის შესახებ უკრაინის კანონის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც მოიცავს კოლიზიურ წესებს სამართალზე, რომელიც გამოიყენება ზიანის ანაზღაურების მოვალეობების მიმართ, ითვალისწინებს, რომ მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი მოვალეობების მხარეებს მისი წარმოშობიდან ნებისმიერ დროს შეუძლიათ, აირჩიონ სასამართლოს ქვეყნის სამართალი¹⁴.

დ) სამართლის არასახელმწიფო ნორმების არჩევის შესაძლებლობა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებად სამართლად

i) უკრაინის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა სამართლის არასახელმწიფო ნორმების არჩევის შესაძლებლობის შესახებ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებად სამართლად

კომერციული ხელშეკრულებების შემთხვევაში მხარეებს შეიძლება, ჰქონდეთ განზრახვა, რომ მათი ურთიერთობები რეგულირდებოდეს არა რომელიმე ქვეყნის სამართლით, არამედ არასახელმწიფო სისტემას მიკუთვნებული სამართლის ნორმებით; მაგალითად, უნიდროას პრინციპებით, Trans-Lex-ის პრინციპებითა და სხვა.

უკრაინის კოლიზიური კანონმდებლობა, მთლიანობაში, ითვალისწინებს კონკრეტული ქვეყნის ან ქვეყნების სამართლის არჩევის შესაძლებლობას საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებად სამართლად.

სკს-ის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია: „4) სამართლის არჩევა-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებაა, განსაზღვრონ, რომელი სახელმწიფოს სამართალი ექვემდებარება გამოყენებას უცხოურ ელემენტებთან სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში“.

სკს-ის შესახებ კანონის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეების მიერ „სამართლის არჩევის“ განსაზღვრა მიუთითებს სახელმწიფო სამართლის არჩევაზე. არასახელმწიფო სამართლის ნორმების ჩართვა ასეთ არჩევანში მითითებული კანონით არ არის გათვალისწინებული.

თუმცა არასახელმწიფო სამართლის ნორმების არჩევა გათვალისწინებულია საერთაშორისო აქტებით და ნაციონალური კანონმდებლობით საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ.

ამ შემთხვევაში ძირითადი იდეა არის ის, რომ სიტუაციაში, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, ხელშეკრულების გამო წარმოქმნილი დავები გადაჭრან საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, არბიტრებისთვის არ არის სავალდებულო, იხელმძღვანელონ კონკრეტული შიდა სამართლით. ეს ნათელია, როდის არიან ისინი მხარეების მიერ უფლებამოსილნი, იმოქმედონ, როგორც მეგობარმა შუამავლებმა ან *ex aequo et bono*.

თუნდაც მხარეების მიერ ასეთი უფლებამოსილება არ იყოს გაცემული, არბიტრებს, ზოგადად, უფლება აქვთ, დავების გადაწყვეტის დროს გამოიყენონ არა ნაციონალური, არამედ სხვა სამართალი (იხ. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ იუნსიტრალის ტიპური კანონის (1985) მუხლი 28 (1); ასევე იხ. სახელმწიფოს შორის საინვესტიციო დავების გადაჭრის წესის შესახებ ვაშინგტონის კონვენციის (1965 წ.) მუხლი 42 (1).

¹⁴ *Калакура В. Я.* Основні засади міжнародного приватного права // Міжнародне приватне право: підручник / за ред. А. С. Довгерта і В. І. Кисіля. – 2-ге видання. – К.: Алерта, 2014. – (656 с.). – С. 128.

არასახელმწიფო სამართლის ნორმები, როგორც გამოყენებადი სამართლის, არჩევის შესაძლებლობა, აისახა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ უკრაინის კანონის დებულებებში, რომელთა პრეამბულაშიც გაცხადებულია, რომ ეს კანონი „...თვალისწინებს იმ დებულებებს ასეთი არბიტრაჟის შესახებ, რომლებიც შესულია უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასევე ტიპურ კანონში, რომელიც 1985 წელს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ საერთაშორისო ვაჭრობის სამართალზე და დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ სახელმწიფოების მიერ თავიანთ კანონმდებლობაში გამოსაყენებლად“.

„საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ უკრაინის კანონის 28-ე მუხლის დებულებებით გათვალისწინებულია: „1. სამედიატორო სასამართლო დავას გადაჭრის სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მხარეებმა აირჩიეს გამოყენებად დავის არსის მიმართ... 2. მხარეების მხრიდან ნებისმიერი მითითების არარსებობის შემთხვევაში, სამედიატორო სასამართლო გამოიყენებს სამართალს, განსაზღვრულს იმ კოლიზიური ნორმების შესაბამისად, რომელთაც ის ჩათვლის გამოყენებად. 3. სამედიატორო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას *ex aequo et bono* ან, როგორც „მეგობარი შუამავალი“, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები პირდაპირ მიანიჭებენ ასეთ უფლებამოსილებას. 4. ყველა შემთხვევაში, სამედიატორო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შეთანხმების პირობებისა და შეთანხმებასთან დაკავშირებული სავაჭრო ჩვეულებების შესაბამისად“.

ასეთი მიდგომის ფარგლებში, მხარეები თავისუფალი იქნებიან ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმების არჩევანში, როგორც იმ ნორმების, რომელთა საფუძველზეც, არბიტრები გადაწყვეტენ დავებს და ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმების გამოყენება მოხდება ნებისმიერი ნაციონალური სამართლისაგან დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შიდა სამართლის ნორმებს აქვს იმპერატიული ხასიათი, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი სამართალი გამოიყენება ხელშეკრულების მიმართ (იხ. კომენტარები საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების შესახებ უნიდროას-სპრინციპების 1.4 მუხლზე).

დავებში, რომლებიც ხვდებიან ვაშინგტონის კონვენციის მოქმედების ქვეშ, მითითებული პრინციპები, ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათის სხვა ნორმები შეიძლება, გამოყენებულ იქნეს შიდა სამართლის ნებისმიერი ნორმებისაგან დამოუკიდებლად¹⁵.

ამრიგად, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში წარმართულ დავაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოყენებადი სამართალი შეიძლება იყოს გარკვეული სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ნაციონალური სამართალი ან ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმები.

ამასთან ერთად, საერთაშორისო კომერციული ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ საშუალება, აირჩიონ ზენაციონალური და ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმები საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში გამოყენებად სამართლად, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი: ა) შედარებით მთლიანად არეგულირებენ მხარეების მოვალეობებს; ბ) აღიარებული არიან საერთაშორისო დონეზე, რის დადასტურებასაც წარმოადგენს მისი გამოყენება საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟებისა და სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოების მიერ; გ) მოიცავენ იმპერატიულ ნორმებს¹⁶.

საერთაშორისო კომერციულმა არბიტრაჟმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიხილოს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან მხარეების მიერ არჩეული არასახელმწიფო სამართლის ნორმების შესაბამისობის საკითხი.

კერძოდ, საარბიტრაჟო პრაქტიკაში ცნობილია ხელშეკრულებისთვის გამოყენებად სამართლად საერთაშორისო მატერიალური სამართლის არჩევის შემთხვევები.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა საერთაშორისო კომერციული ხასიათის ხელშეკრულებაზე გამოყენებადი სამართლის ამ ხერხით არჩევის დაშვებადობის შესახებ.

საერთაშორისო მატერიალური სამართალი, მისი არჩევის გაურკვევლობის, სხვადასხვა

¹⁵ Принципи міжнародних комерційних договорів УНІДРУА 2010 / Пер. с англ. О. С. Білоус. – К.: Юстініан, 2013 р. – (576 с.). – С.3–4.

¹⁶ Діковська І. А. Принципи правового регулювання міжнародних комерційних договірних зобов'язань // І. А. Діковська. – К.: Юрінком Інтер, 2014. – (464 с.). – С. 112.

ქვეყანაში მისი განსხვავებული შინაარსის და განმარტებების და საერთაშორისო დონეზე სამართლის ამ ტიპის ნორმების არაღიარების გათვალისწინებით, არ შეიძლება განიხილებოდეს სათანადო არჩევნად დავის არსისთვის გამოყენებადი სამართლისათვის, რასაც, როგორც შედეგი, მოსდევს სამართლის არჩევის შესახებ ხელშეკრულების მხარეებს შორის თანხმობის არარსებობა.

ii) უკრაინის სამართლის დოქტრინა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებად სამართლად არასახელმწიფო სამართლის ნორმების არჩევის შესაძლებლობის შესახებ

უკრაინის სამართლის დოქტრინაში ფორმულირებულია ორი ძირითადი მიდგომა-კონსერვატიული და ლიბერალური-საერთაშორისო კომერციული მოვალეობების მიმართ არასახელმწიფო სამართლის ნორმების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

კონსერვატიული მიდგომა გამოყენებადი სამართლის გაგებაში, რასაც მისდევნენ სახელმწიფო სასამართლოები უკრაინაში, შემოიზღუდება განსაზღვრული ქვეყნის ან ქვეყნების სამართლით, აგრეთვე საერთაშორისო ჩვეულებებით, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ქვეყნებში ისინი აღიარებული არიან სამართლის წყაროებად.

ასეთი მიდგომა დაფუძნებულია თეზისზე, რომლის თანახმადაც, კანონი საუბრობს გამოყენებადი სამართლის არჩევის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ საშუალებას არ აძლევს მხარეებს, განსაზღვრონ, თუ როგორ უნდა დანესდეს გამოყენებადი სამართალი.

სხვა სიტყვებით, მხარეებს შეუძლიათ მიუთითონ განსაზღვრული ქვეყნის მართლწესრიგის გამოყენებაზე, სამართლისა და სამართლიანობის საერთო პრინციპებზე, საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე და სხვა ამის მსგავსზე. მხარეების ასეთი არჩევანი სასამართლომ უნდა მიიღოს იმ შემთხვევებში, როდესაც არჩევანის უფლებანება დართულია კანონმდებლობით.

თუმცა პრაქტიკაში გვხვდება გამოყენებადი სამართლის არჩევისათვის მხარეების მიერ „ბლანკეტური“ წესის დადგენის შემთხვევები (გადამისამართება „გამყიდველი ქვეყნის ან მყიდველი ქვეყნის“ სამართალზე), გამოყენება „მოსარჩელე ქვეყნის სამართლისა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს შეაქვს სარჩელი“ და ა.შ.).

კონსერვატიული მიდგომის თანახმად, ითვლება, რომ ასეთი გარიგებები არ არიან აღიარებული სამართლის არჩევად და სასამართლო არ არის დაბრკოლებული ასეთი გარიგებებით. ასეთ შემთხვევებში, გამოყენებადი სამართალი უნდა განისაზღვროს იმ კოლიზიური ნორმების საფუძველზე, რომელთაც სასამართლო ჩათვლის სათანადოდ.

ამასთან ერთად, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ სკს-ის სფეროში სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები მიუთითებენ ნების ავტონომიის პრინციპის გამოყენების საზღვრების განუხრელ გაფართოებაზე.

მხარეების მიერ გამოყენებადი სამართლის არჩევის ნორმები ხდება უფრო მოქნილი და დეტალური. დებულებები სამართლის არჩევის შესახებ აისახება საერთაშორისო ხელშეკრულებებში კოლიზიათა გადაჭრის შესახებ.

პრაქტიკაში, განსაკუთრებით საერთაშორისო საარბიტრაჟო (მედიატორულ) სასამართლოებში, სულ უფრო ხშირად გამოიყენება სავაჭრო ჩვეულებების (მაგალითად, უნიდროას პრინციპები) კერძოსამართლებრივი კოდიფიკაციის დებულებები, რომლებიც არ არიან ოფიციალური სამართლებრივი ხასიათის, მაგრამ ad hoc ძალაში შედიან კონკრეტული საქმის მხარეების მიერ მათი არჩევის გამო.

სულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრებები ნების ავტონომიის ფუძემდებლურ ხასიათზე, დამხმარე. „სუბსიდიურ“ კოლიზიურ საბამებთან შედარებით. მიუხედავად ამ საკითხის სადისკუსიო ხასიათისა, სახეზეა „კონკურენცია“ ნების ავტონომიის საფუძველსა და საბამის „კლასიკურ“ ფორმულებს შორის¹⁷.

ლიბერალური მიდგომის ოპონენტები ვერ ხედავენ სკს-ში lex mercatoria-ს გამოყენების კონცეფციის განვითარების მიზანშეწონილობას¹⁸.

¹⁷ *Kucilь V. I.* Колізійні норми // Міжнародне приватне право: підручник / за ред. А. С. Довгерта і В. І. Кисіля. – 2-ге видання. – К.: Алерта, 2014. – (656 с.). – С. 150.

¹⁸ *Kucilь V. I.* Право, що застосовується до зовнішньоторговельних договорів: тенденції розвитку законодавчого регулювання/ В. І. Кисіля // Правовий журнал. – 2004. – № 2. – Електронний ресурс. – [Режим доступу]: <http://justinian.com.ua/article.php?id=1020> .

რიგი ავტორებისა, აღნიშნავენ რა *lex mercatoria*-ს გამოყენების დადებით მომენტებს, არ ცნობენ მხარეების მიერ არასახელმწიფო სამართლის გამოყენებას.

ამასთან, გამოყოფენ ორ სიტუაციას, როდესაც შესაძლებელია ასეთი ნორმების ჩართვა, კონკრეტულად, „როდესაც ხელშეკრულების მხარეებმა მკაფიოდ განსაზღვრეს, *lex mercatoria*-ს კონკრეტულად რომელი წყაროები არეგულირებენ მათ ურთიერთობას “და” თუ მხარეების მიერ არჩეული ან კანონის საფუძველზე დანიშნული შესაბამისი ნაციონალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვეულებების გამოყენებას სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირებისთვის“¹⁹.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე უკრაინის უმაღლესი სპეციალიზებული სასამართლოს განმარტებაში (16.05.2013) აღნიშნულია: „სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს არა მარტო უცხოური კანონები, არამედ ჩვეულებები და სასამართლო პრაქტიკა იმ საზღვრებში, რომლებშიც ეს უკანასკნელნი შესაბამის ქვეყნებში აღიარებულნი არიან სამართლის წყაროდ“²⁰.

ლიბერალური მიდგომა, რომელსაც მისდევენ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოები, ითვალისწინებს, რომ გამოყენებადი სამართალი შეიძლება იყოს გარკვეული ქვეყნის სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულება, საერთაშორისო ჩვეულება, ცალკეული მათი დებულება, ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმები.

ამ მიდგომის თანახმად, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, არჩევანი განახორციელონ არა მხოლოდ განსაზღვრული ქვეყნის (ქვეყნების) მიმართ, არამედ დაუქვემდებარონ თავიანთი ურთიერთობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ჩვეულებებს, ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმებს, რაშიც გამოვლინდება კონცეფცია – *lex mercatoria*²¹.

ამასთან დაკავშირებით დოქტრინაში დასაბუთებულია წინადადებები ხელშეკრულების მხარეების შესაძლებლობათა გაფართოების შესახებ, აირჩიონ გამოყენებად სამართლად არასახელმწიფო სამართლის ნორმები.

ასეთი მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, რომ სამართლის არჩევანი „არ შემოიფარგლება კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევით და შეიძლება მოიცავდეს ტრანსნაციონალური ხასიათის ნორმის არჩევანს, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის „სამართლის საერთო პრინციპები“, „*lex mercatoria*“, ანანალოგიური დებულებები“²².

ამასთან დაკავშირებით, რიგი ავტორები ასაბუთებენ იდეას იმის შესახებ, რომ ნაციონალური კანონმდებლობა საშუალებას აძლევს მხარეებს, გამოიყენონ არასახელმწიფო სამართალი „იმ საკითხების რეგულირებისათვის, რომლებიც კანონმდებლის მიერ მიკუთვნებულია მხარეთა დისკრეტიაზე და არ შეიძლება, წინააღმდეგობაში მოვიდნენ გამოყენებადი სახელმწიფო სამართლის იმპერატიულ ნორმებთან“²³.

ამასთან ერთად, აღინიშნება, რომ არასახელმწიფო სამართლებრივი რეგულატორების არჩევის შესახებ მხარეების შეთანხმება თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ორი სახის: 1) იმ დოკუმენტის მკაფიო მინიშნებით, რომლის ნორმების გამოყენებაც სურთ მხარეებს დავის შინაარსობრივი გადაწყვეტისათვის; 2) მოიცავდეს საერთო ფორმულირებებს იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით გამოიყენება *lex mercatoria*, სამართლის საერთო პრინციპები და ამის მსგავსი.

თუ პირველი სახის შეთანხმებით არჩეული არასახელმწიფო რეგულატორები არ იძლევიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სრულად დარეგულირების საშუალებას.

¹⁹ *Філіп'єв А. О.* Вибір права та його обмеження в джерелах міжнародного приватного права ЄС та України: порівняльно-правовий аналіз / *А. О. Філіп'єв* // Наука і практика. – 2012. – № 9(144). – С. 24.

²⁰ Лист Вищого спеціалізованого суду України з розгляду цивільних і кримінальних справ «Про практику розгляду судами цивільних справ з іноземним елементом» від 16 травня 2013 р. № 24-754/0/4-13. – [Електронний ресурс]. – Режим доступу: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/v-754740-13>.

²¹ *ი.б.: Калакура В. Я.* Основні засади міжнародного приватного права // Міжнародне приватне право: підручник / за ред. А. С. Довгєрта і В. І. Кісіля. – 2-ге видання. – К.: Алєрта, 2014. – (656 с.). – С. 127; *Мєрежко А. А.* Lexmercatoria: теорія и принципи транснаціонального торгового права. – К.: Таксон, 1999. – 416 с.

²² *ი.б.: Кодифікація приватного (цивільного) права України / За ред. проф. А. Довгєрта.* – К.: Український центр правничих студій, 2000. – С. 293; *Довгєрт А. С.* Колізійне регулювання договірних відносин в Європейському Союзі та в Україні / *А. С. Довгєрт* // Приватне право і підприємництво. – 2012. – № 11. – С. 34.

²³ *Діковська І. А.* Застосування недержавних норм державними судами до вирішення спорів, що виникають з міжнародних приватних договорів / *І. А. Діковська* // Журнал східноєвропейського права. – 2015. – № 14. – С. 8.

ბას, ისინი უნდა გადაიჭრას სახელმწიფო სამართლის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება სასამართლოს მიერ კოლიზიური ნორმების გამოყენებით.

სამართლის არჩევის შესახებ მეორე სახის შეთანხმების დადების შემთხვევაში, გამოყენებას ექვემდებარება რეგულაციორები, რომლებიც: ა) შედარებით მთლიანობაში არეგულირებენ სახელშეკრულებო მოვალეობებს; ბ) აქვთ საერთაშორისო აღიარება (რის დადასტურებასაც წარმოადგენს მათი გამოყენება საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ); გ) მოიცავენ იმპერატიულ ნორმებს (მაგალითად, უნიდროას სპრინციპები, PECL, PEL, DCFR, Trans-Lex)²⁴.

ე) საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების უნიდროას პრინციპები და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, რომლებითაც რეგულირდება ხელშეკრულება

i) მხარეების პირდაპირი არჩევანი

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების უნიდროას პრინციპები და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნენ, როგორც ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლის ნორმები, მხარეების მიერ სამართლის პირდაპირი არჩევის ან პირდაპირი არჩევის არარსებობის შემთხვევაში.

იმდენად, რამდენადაც მითითებული პრინციპები მოიცავს სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებსა და წესებს, რომლებიც საერთოა არსებული სამართლებრივი სისტემებისთვის, ანუ უკეთესად ადაპტირებულია საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების განსაკუთრებულ მოთხოვნებთან, მხარეებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი საფუძველები მათი პირდაპირი გამოყენებისთვის ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების სახით.

ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ექსკლუზიურად მითითებული პრინციპები ან შეაჯერონ ისინი შიდა სამართალთან, რომელიც მოახდენს პრინციპებით მოუცველი ურთიერთობების რეგულირებას (იხ. ტიპური შესწორება უნიდროას პრინციპების პრეამბულის მეორე ნაწილის შენიშვნებისთვის).

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების უნიდროას პრინციპების 2010 წლის რედაქციის პრეამბულის თანახმად (შემდგომში – Principles UNIDROIT, უნიდროას პრინციპები), უნიდროას პრინციპები გამოყენებად სამართლად გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას იმაზე, რომ მათი ხელშეკრულება რეგულირდებოდა ამ პრინციპებით.

უნიდროას პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს: როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ მათი ხელშეკრულების რეგულირება მოხდება სამართლის ზოგადი პრინციპებით, *lex mercatoria*-ს ან ანალოგიური დებულებებით; როდესაც მხარეები არ აირჩევენ სამართალს, რომლითაც მოხდება მათი ხელშეკრულების რეგულირება; საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლებრივი აქტების, სახელმწიფოს შიდა სამართლის განმარტებისა ან გამოყენებისთვის.

მხარეებს, რომელთაც სურთ მათი ხელშეკრულების რეგულირებისთვის აირჩიონ მითითებული პრინციპები, ეძლევათ წინადადება, სამართლის არჩევის შესახებ დებულებები შეაჯერონ საარბიტრაჟო დათქმასთან.

ამის მიზეზი არის ის, რომ იმ სამართლის არჩევის თავისუფლება, რომელმაც უნდა დაარეგულიროს ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, შეზღუდულია ნაციონალური კანონმდებლობით. ასე მაგალითად, სკს-ის შესახებ კანონი ფაქტობრივად ზღუდავს სამართლის არჩევის თავისუფლებას ქვეყნის ან ქვეყნების ნაციონალური სამართლით.

ამიტომ მხარეების მითითება პრინციპებზე განიხილება, როგორც უბრალო შეთანხმება მათ გამოყენებაზე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ანუ როგორც ხელშეკრულებაში ინკორპორირებული ტრანსნაციონალური ხასიათის ზენაციონალური წყარო, ხოლო სამართალი, რომელიც

²⁴ იხ.: *Діковська І. А.* Принципи правового регулювання міжнародних приватних договірних зобов'язань // *І. А. Діковська*. – Київ: Юрінком Інтер, 2014. – (464 с.). – С. 112; *Діковська І. А.* Застосування недержавних норм державними судами до вирішення спорів, що виникають з міжнародних приватних договорів / *І. А. Діковська* // *Журнал східноєвропейського права*. – 2015. – № 14. – С. 8–13.

მოახდენს ხელშეკრულების რეგულირებას, მაინც განისაზღვრება სასამართლოს ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების საფუძველზე.

შედეგად, მხარეების მოქმედების მითითებული პრინციპებით რეგულირება მოხდება მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ გამოყენებას დაქვემდებარებული სამართლის ნორმებთან, რომელთა არიდებასაც მხარეები ვერ შეძლებენ.

ასე რომ, უნიდროას პრინციპების მუხლი 1.4-ის შესაბამისად, პრინციპებმა არ უნდა შეზღუდოს ნაციონალური, საერთაშორისო ან ზენაციონალური წარმომავლობის იმპერატიული ნორმები; გამოყენებულ უნდა იქნენ საერთაშორისო კერძო სამართლის შესაბამისი ნორმების მიხედვით.

სიტუაცია იქნება სხვაგვარი, თუ მხარეები შეთანხმდებიან, ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი დავები გადაწყვიტონ საარბიტრაჟო სასამართლოში. არბიტრები სავალდებულოდ არ ხელმძღვანელობენ კონკრეტული შიდა სამართლით. ეს ნათელია, თუ ისინი მხარეების მიერ უფლებამოსილი არიან, იმოქმედონ, როგორც მეგობარმა შუამავლებმა ან *ex aequo et bono*.

მაშინაც კი, თუ ასეთი უფლებამოსილება მხარეების მიერ არ არის რეალიზებული, არბიტრებს საერთოდ აქვთ უფლება, დავის გადაწყვეტის დროს გამოიყენონ არა ნაციონალური, არამედ სხვა სამართალი.²⁵

ასეთი მიდგომის ფარგლებში, მხარეები თავისუფალი იქნებიან პრინციპების არჩევანში, როგორც სამართლის ნორმებისა, რომელთა საფუძველზედაც არბიტრები გადაწყვეტენ დავებს და პრინციპები გამოყენებულ იქნება ნებისმიერი ნაციონალური სამართლისაგან დამოუკიდებლად იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც შიდა სამართლის ნორმებს აქვთ იმპერატიული ხასიათი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სამართალი გამოიყენება ხელშეკრულების მიმართ.

დავებში, რომლებიც ექვემდებარება ვაშინგტონის კონვენციას, პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლის ნებისმიერი შიდა ნორმებისაგან დამოუკიდებლად.

ii) მხარეების ირიბი არჩევანი

უნიდროას პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როდესაც, გარემოებებიდან გამომდინარე, მხარეების განზრახვა იყო, თავიანთი ხელშეკრულების მიმართ გამოერიცხათ ნებისმიერი შიდა სამართლის მოქმედება (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ან სახელისუფლებო ორგანო და ორივე მხარემ აღიარა, რომ ისინი არ გამოიყენებენ არც ამ სახელმწიფოს სამართალს, არც მესამე ქვეყნის სამართალს) ან როდესაც ხელშეკრულება მოიცავს კოლიზიურ საბამებს, რომლებიც ახდენენ გადამისამართებას მრავალი ქვეყნის სამართალთან, რომელთაგან არც ერთი არ ხასათდება საკმარისი უპირატესობით, რომ დადასტურებულად ჩაითვალოს სწორედ მისი გამოყენება²⁶.

ამიტომ, იმ სიტუაციაში, როდესაც ხელშეკრულების მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ხელშეკრულების უნიდროას და სამართლის საერთო პრინციპებით, *lex mercatoria*-ს ან მსგავსი დებულებებით რეგულირების შესახებ, სახეზე არ არის ხელშეკრულების მხარეების მიერ სამართლის არჩევანის გაკეთება და არ მოიცავს მრავალი ქვეყნის სამართალთან გადამისამართებელ კოლიზიურ საბამებს, ხოლო დავისას პროცესუალურ დოკუმენტებში ერთი მხარე იყენებს, მაგალითად, უკრაინის სამართალს, მეორე კი-უკრაინის სამართალს, უნიდროას და PECL-ის პრინციპებს; ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ მხარეებს არ ჰქონდათ განზრახვა, გამოერიცხათ ხელშეკრულებაზე ნებისმიერი შიდა სამართლის მოქმედება, ხელშეკრულება არ მოიცავს კოლიზიურ საბამებს, რომლებიც ახდენენ გადამისამართებას მრავალი ქვეყნის სამართალთან, რომელთაგან არც ერთი არ ხასათდება საკმარისი უპირატესობით, რომ დადასტურებულად ჩაითვალოს სწორედ მისი გამოყენება; უნიდროას და PECL-ის პრინციპები არ უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ შესაძლოა, მათი გამოყენება, თუ იქნება ამის აუცილებლობა, რათა განიმარტოს ან შეივსოს საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები და უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, შიდა სამართალი,

²⁵ იხ.: *სტ. 28(1) Типового закона ЮНСИТРАЛ о международном коммерческом арбитраже 1985 года*; ასევე იხ. *სტ. 42(1) Конвенции о порядке решения инвестиционных споров между государствами и иностранными лицами 1965 г. (Вашингтонская конвенция)*, *სტ. 5 Закона Украины «О международном коммерческом суде»*, *პ. 16 Регламента Международного коммерческого арбитражного суда при Торгово-промышленной палате Украины*.

²⁶ *Принципи міжнародних комерційних договорів УНІДРУА 2010 / Пер. з англ. О. С. Білоус. – К.: Юстініан, 2013 р. – (576 с.). – С. 5.*

რაც გამოიყენება სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მიმართ, რომელიც შეადგენს დავის საგანს.

ვ) ხელშეკრულების ცალკეულ ნაწილთა მიმართ გამოყენებადი სამართალი

სკს-ის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლის არჩევანი შეიძლება განხორციელდეს მთლიანად გარიგების ან მისი ცალკეული ნაწილის მიმართ.

ამ შემთხვევაში, იყოფა ხელშეკრულების სტატუტი, რომელიც მთლიანობაში შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ სამ ვარიანტს:

ა) ნაწილობრივი არჩევანი—მხარეების მიერ სამართლის ნაწილობრივი არჩევა. მოცემულ სიტუაციაში, გარიგების ნაწილი ექვემდებარება არჩეულ სამართლებრივ სისტემას, მაგრამ გარიგების დანარჩენი ნაწილებისთვის გამოყენებული იქნება ობიექტური საბამებით დადგენილი სამართალი;

ბ) რთული არჩევანი – *depechage* მხარეების ნების მიხედვით. რამდენადაც მხარეებს უფლება აქვთ, აირჩიონ სამართალი, რომელიც გამოყენებული იქნება მთლიანი შეთანხმების ან მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილის მიმართ, შეიძლება მითითებულ იქნეს ამ უკანასკნელის მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემა. ეს შეიძლება იყოს ერთდროული არჩევანი ან არჩევანი თანამიმდევრობით;

გ) ობიექტური *depechage* – მხარეების მიერ არჩევანის არარსებობის პირობებში სასამართლო გამონაკლისის სახით დამოუკიდებლად გამოიყენებს ვალდებულების სტატუტის დაყოფას. ეს ხდება მაშინ, როდესაც შეთანხმებას, რომელიც რეგულირების საგანია, ექნება მკაფიოდ განსაზღვრული ცალკე ნაწილები, რომელთაგან თითოეული მისწრაფებული იქნება განსხვავებული მართლწესრიგებისაკენ. ამ შემთხვევაში, ერთ კონკრეტულ სამართლებრივ სისტემასთან მთელი გარიგების კავშირის გარკვევის ნაცვლად, აუცილებელია, ავტონომიურად განვიხილოთ გარიგების ცალკეული ნაწილი და დამოუკიდებლად მათთვის, როგორც დამოუკიდებელი ვალდებულებითი ურთიერთობებისათვის, დავადგინოთ მახასიათებელი სამართალი²⁷.

ზ) სამართლის არჩევის (ნების ავტონომიის) შეზღუდვა უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით

გამოყენებადი სამართლის არჩევის უფლება შეიძლება შეზღუდულ იქნეს კანონით დადგენილი საფუძვლებით.

არსებობს მხოლოდ ორი დათქმა მხარეების მიერ ხელშეკრულების სამართლის არჩევასთან დაკავშირებით. სკს-ის შესახებ კანონის მე-10 მუხლის დებულებები ითვალისწინებს, რომ გარიგებები ან სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების სხვა ქმედებები, მიმართული სამართლის არჩევაზე კანონის გვერდის ავლით, არის არარა გარიგებები. რამდენადმე განსხვავებული ხასიათის წესს წარმოადგენს დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ (კანონის კს-ის შესახებ, მუხლი 12).

ორივე მითითებული დათქმა წარმოადგენს მხარეების ნების ავტონომიის შეზღუდვის ფაქტორებს, თუმცა ნორმა კანონის გვერდის ავლის შესახებ აფრთხილებს მხარეებს სამართლის არაკეთილსინდისიერი არჩევისაგან, ხოლო დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ მიმართულია უშუალოდ სასამართლოსადმი და გულისხმობს, რომ არაკეთილსინდისიერი არჩევის პირობებშიც კი (ან იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოური სამართლის გამოყენებაზე მიუთითებს კოლიზიური ნორმა), უცხოური კანონი არ გამოიყენება, თუ მის გამოყენებას მივყავართ ადგილობრივ საჯარო წესრიგთან შეუთავსებელ შედეგებთან²⁸.

კანონის გვერდის ავლის, როგორც გამოყენებადი სამართლის არჩევაზე უფლების შეზღუდვის, ძირითად ნაკლოვანებად მიიჩნევენ: „გაურკვევლობას, გამოყენების სირთულეს, ასევე იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შეუძლებლობას, რომლებიც ადგენენ კანონის გვერდის ავლას“²⁹.

²⁷ *Борт О. П.* Институт договорного статута у міжнародному приватному праві: автореф. дис. канд. юрид. наук. – Одеса, 2016. – 24 с.

²⁸ *Міжнародне приватне право: підручник / за ред. А. С. Довгерта і В. І. Кисіля.* – 2-ге видання. – К.: Алерта, 2014. – (656 с.). – С.149.

²⁹ *Толстых В. Л.* Коллизионное регулирование в международном частном праве: проблемы толкования и применения раздела VII части третьей ГК РФ / В. Л. Толстых. – М.: Спарк, 2002. – 244 с.

საჯარო წესრიგის მიზანია ნაციონალური მართლმსაჯულების სწორედ უცხოური სამართლის გამოყენების ნეგატიური შედეგებისგან.

არსებობს ორი ძირითადი მიდგომა ისეთი დათქმის გამოყენებაზე, როგორც არის „საჯარო წესრიგი“ – პოზიტიური და ნეგატიური.

პოზიტიური კონცეფცია საჯარო წესრიგს განსაზღვრავს, როგორც მატერიალურსამართლებრივი იმპერატიული ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ექვემდებარებიან გამოყენებას, დამოუკიდებლად იმისა, კოლიზიური ნორმა ახდენს გადამისამართებას უცხოურ კანონზე თუ – არა.

ნეგატიური კონცეფციის თანახმად, საჯარო წესრიგი განისაზღვრება უცხოური კანონის სწორედ ნეგატიური, მიუღებელი თვისებებით. ამასთან, ყველა ევროპულ წყაროში დამკვიდრებულია საზოგადოებრივი წესრიგის ნეგატიური კონცეფცია.

სამართლის არჩევაზე შეზღუდვებს კანონმდებელი ადგენს იმპერატიული ნორმების სახით.

სკს-ის შესახებ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის წესები არ ზღუდავენ უკრაინის სამართლის იმ იმპერატიული ნორმების მოქმედებას, რომლებიც არეგულირებენ შესაბამის ურთიერთობებს, გამოყენებას დაქვემდებარებული სამართლისაგან დამოუკიდებლად.

რიგი მეცნიერები ამ ნორმას ადარებენ ძირითად იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულია რომი I-ის რეგლამენტში.

არსებით განსხვავებას წარმოადგენს სწორედ ასეთი იმპერატიული ნორმების რეგლამენტში მოცემული განმარტება, როგორც ნორმებისა, რომლებიც საჯარო ინტერესების, ისეთების, როგორებიცაა საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური ორგანიზაცია, დაცვისათვის მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, გამოყენებულ უნდა იქნენ იმ სამართლისაგან დამოუკიდებლად, რომელიც არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, კერძოდ, რაც არჩეულია ასეთი ურთიერთობების მონაწილეების მიერ. ამასთან, იმპერატიული ნორმების მსგავსი ან სხვა განმარტება უკრაინულ კანონმდებლობაში არ არსებობს, რაც ართულებს სასამართლოების მიერ მათ ერთგვაროვან გამოყენებას³⁰.

თ) სამართლის განსაზღვრა გამოყენებადი სამართლის არჩევის შესახებ მხარეებს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად

სკს-ის შესახებ კანონით გათვალისწინებულია გამოყენებადი სამართლის არჩევა მხარეებს შორის გამოყენებადი სამართლის არჩევის შესახებ შეთანხმების არარსებობის პირობებში.

მითითებულ კანონში გამოიყენება მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ფიქსირებული და მოქნილი კოლიზიური ნორმების გათვალისწინებას. ამასთან, თვითფიქსირებული კოლიზიური ნორმები წარმოადგენს მჭიდრო კავშირის განსაზღვრის დეტალიზებულ წესებს.

უკრაინის კანონმდებლობა მჭიდრო კავშირს განსაზღვრავს ხელშეკრულების განმახორციელებელი მხარის განმარტების დახმარებით, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებისთვის.

სკს-ის შესახებ კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის არჩევის არარსებობის პირობებში გარიგების შინაარსის მიმართ გამოიყენება სამართალი, რომელსაც ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს გარიგებასთან.

თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ არის ან არ გამომდინარეობს პირობებიდან, გარიგების არსიდან ან საქმის გარემოებათა ერთობლიობიდან, მაშინ გარიგება ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფოს სამართალთან, რომელშიც მხარეს, რომელმაც უნდა განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის, აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი (სკს-ის შესახებ კანონის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სკს-ის შესახებ კანონის მუხლი 32 (3) მიუთითებს, რომ ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდრო კავშირის მქონე სამართლის განსაზღვრისას, სამართალდამცავმა ორგანომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააანალიზოს პირობები, ხელშეკრულების არსი და საქმის გარემოებები.

³⁰ *Philip'ev A. O.* Вибір права та його обмеження в джерелах міжнародного приватного права ЄС та України: порівняльно-правовий аналіз / *A. O. Philip'ev* // Наука і практика. – 2012. – № 9 (144). – С. 23–28.

თუ ეს ქმედებები არ იძლევა ყველაზე მჭიდრო კავშირის მქონე სამართლის განსაზღვრის საშუალებას, მაშინ ითვლება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფოს სამართალთან, რომელშიც მხარეს, რომელმაც უნდა განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის, აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი³¹.

„განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის“ – ნიშნავს ერთიმ ხარის მიერ მოვალეობების შესრულებას, რომელიც განასხვავებს განსაზღვრულ ხელშეკრულებას სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან, მაგალითად, მოვალეობის შესრულება ნივთის იჯარით გაცემაზე-დამახასიათებელია ქირავნობის ხელშეკრულებებისათვის; გადაზიდვის შესრულება-დამახასიათებელია გადაზიდვის ხელშეკრულებებისთვის და ა.შ..

ამასთან ერთად, გადახდის განხორციელების მოვალეობა დამახასიათებელია გადახდის ვალდებულების მქონე ყველა ხელშეკრულებისთვის. მართლაც, გადახდის განხორციელებაზე არასოდეს შეიძლება ითქვას, რომ მას „განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის“...

ამრიგად, გადახდის ვალდებულების მქონე ხელშეკრულებებში მხარე, რომელმაც უნდა „განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის“, როგორც წესი, იქნება მხარე, რომელიც, ფართო გაგებით, წარმოადგენს გამყიდველს (ქონების, სამუშაოს, მომსახურების)³².

სამართალი, რომელიც ექვემდებარება ხელშეკრულების მიმართ გამოყენებას, განისაზღვრება სხვადასხვა კატეგორიის ხელშეკრულებებისთვის გათვალისწინებული წესით (სკს-ის შესახებ კანონის 44-ე მუხლი).

სკს-ის შესახებ კანონის 44-ე მუხლი, რომელშიც საუბარია მხარეების მიერ არჩევანის არგაკეთების პირობებში ხელშეკრულების მიმართ გამოყენებად სამართალზე, ყველა გარიგებისთვის იმეორებს ზემოთ მოყვანილ დებულებებს; ამასთან, მხარეს, რომელმაც უნდა განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის, წარმოადგენს: გამყიდველი-ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით; მრუქებელი-ჩუქების ხელშეკრულების მიხედვით (შემდეგ მოცემულია კოლიზიური ნორმების ჩამონათვალი 23 სახის ხელშეკრულების მიხედვით, უკრაინის სამოქალაქო კოდექსის „ვალდებულებითი სამართლის“ მეხუთე ნიგნის სტრუქტურის შესაბამისად).

ცალკეული სახის ხელშეკრულებებისთვის ყველაზე მჭიდრო კავშირი დგინდება სხვა კრიტერიუმების საფუძველზე (სკს-ის შესახებ კანონის მუხლი 44 (2)).

მართლაც, უძრავი ქონების შესახებ ხელშეკრულებისთვის ასეთი კავშირი აქვს სახელმწიფოს სამართალს, ხოლო თუ ეს ქონება ექვემდებარება რეგისტრაციას-სახელმწიფოს სამართალს, სადაც განხორციელდა რეგისტრაცია; ერთობლივი საქმიანობის ან სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებებზე-სახელმწიფოს სამართალს, რომელშიც ხორციელდება ასეთი საქმიანობა ან იქმნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგები; აუქციონზე კონკურსის შედეგად ან ბირჟაზე დადებულ ხელშეკრულებებზე-სახელმწიფოს სამართალს, რომელშიც ტარდება აუქციონი, კონკურსი ან მდებარეობს ბირჟა.

უკრაინის კანონმდებლობა არ უთმობს ყურადღებას სამართლის განსაზღვრას შერეული და არასახელმწიფო ხელშეკრულებებისთვის.

მისგან განსხვავებით, „რომი I“-ის პრეამბულის პუნქტი 19 სპეციალურად აღნიშნავს, რომ: „იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ შეიძლება მიკუთვნებულ იყოს განსაზღვრული სახეობებიდან ერთ-ერთს, ან თუ თავისი მახასიათებლებით ის არ მიეკუთვნება რამდენიმე განსაზღვრულ სახეს, ან თუ თავისი მახასიათებლებით ის მიეკუთვნება რამდენიმე განსაზღვრულ სახეს, მაშინ ხელშეკრულება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართლით რეგულირებას, სადაც არის იმ მხარის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, რომელმაც უნდა განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის.

³¹ Діковська І. А. Міжнародні комерційні контракти: колізійне та матеріально-правове регулювання: Навч. посібн. / І. А. Діковська. – К.: Алерта, 2016. – (322 с.). – С. 73.

³² Диковская И. А. დასახ. ნაშრომი – С. 74.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედგება უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობისაგან, რომლებიც შეიძლება მიკუთვნებულ იყვნენ ხელშეკრულების რამდენიმე განსაზღვრულ სახეობას, შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის, უნდა განისაზღვროს მისი წონის ცენტრის მიმართ“.

Trans-Lex პრინციპების მუხლი XIV.2-ის კომენტარების მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ შერეული ხელშეკრულება, რომელიც თავის თავში აერთიანებს რამდენიმე სახის ხელშეკრულების ელემენტებს, რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელშიც მხარე არ იხდის, აქვს თავისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, ბიზნესის წარმართვის ადგილი³³.

II. ხელშეკრულებაზე გამოყენებადი სამართლის არჩევა ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით

ა) „რომი I“-ის რეგლამენტის მოქმედების სფერო

კოლიზიური სამართლის შესახებ ევროკავშირის (შემდგომში–EC) სავალდებულო ხასიათის აქტების მიღება შესაძლებელი გახდა 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით, რამდენადაც EC-ის მესამე საყრდენის კომპეტენცია ნაწილობრივ გადატანილ იქნა პირველ წინააღმდეგობაში (მუხლები 61,65).

ამრიგად, EC-ის მოღვაწეობის სფერო გაფართოვდა, კერძოდ, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში ერთგვაროვანი კოლიზიური ნორმების შექმნის კომპეტენციით.

დღევანდელ დღეს შესაბამისი კომპეტენცია ასახულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – TFEU) 71-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის c პუნქტში.

თავდაპირველად კოლიზიურ ნორმებს უცხოური ელემენტებით სახელშეკრულებო მოვალეობების სფეროში ეხებოდა კონვენცია „სახელშეკრულებო მოვალეობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“, 19 ივნისი, 1980 წ. (შემდგომში-რომის კონვენცია).

2009 წლის 17 დეკემბრიდან რომის კონვენცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილია რეგლამენტით ECN^o593/2008 სახელშეკრულებო მოვალეობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ (შემდგომში-რეგლამენტი „რომი I“)³⁴.

რეგლამენტი „რომი I“ წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამკვიდრებს ერთნაირ კოლიზიურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სამართალს (რომელიც არ არის აუცილებელი, იყოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო), რომელიც უნდა გამოიყენებოდეს იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი ურთიერთობები მოიცავს უცხოურ ელემენტს. რეგლამენტი გამოიყენება ყველა ხელშეკრულებაზე, რომელიც ხელმოწერილია 2009 წლის 17 დეკემბრის შემდეგ.

ეს რეგლამენტი გამოიყენება სახელშეკრულებო მოვალეობებზე სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში (მუხლი1).

„რომი I“-ის რეგლამენტის გამოყენების სფეროში შედის ასევე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები (სტატია 8).

„რომი I“-ის რეგლამენტი ასევე გამოიყენება მომხმარებლების მიმართ. ამასთან, მომხმარებლის განმარტება მოცემულია სპეციალიზებულ დირექტივაში 2011/83/EU მომხმარებელთა უფლებების შესახებ (Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October on consumer rights)³⁵.

ევროპარლამენტი თავის არქივებში (Library of the European Parliament. The notion of “consumer” in the EU) იძლევა მომხმარებლის განმარტებას. სწორედ ეს დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ მომხმარებელი არის სწორედ ფიზიკური პირი, ხაზს უსვამს რა, რომ EC-ის ზოგიერთ წევრ ქვეყანას თავის ნაციონალურ კანონმდებლობაში აქვს განსხვავებული მიდგომა ასეთ განმარტებასთან.

³³ Диковская И. А. დასახ. ნაშრომი—С. 76.

³⁴ Regulation (EC) N 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I) OJ L 177, 4.7.2008.

³⁵ Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, OJ L 303, 22.11.2011, p.64–68.

ამის გარდა, ევროპარლამენტმა განსაზღვრა კანონმდებლობის განვითარების პრეროგატივა ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით (European Parliament. Factsheets on the European Union. Free movement of works), იმდენად, რამდენადაც ეს შეადგენს EC-ის ოთხი ფუნქციონალური სამართლიდან ერთ-ერთს.

„რომი I“-ის რეგლამენტი მოიცავს ცალკეულ გამონაკლისს. რეგლამენტი არ გამოიყენება საჯარო შემოსავლების საკითხების მიმართ, საგადასახადო და ადმინისტრაციულ სფეროებში.

რეგლამენტის გამოყენების სფეროდან ასევე გამოირიცხება (მუხლი 20): საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოვალეობები, საარბიტრაჟო გარიგებები და გარიგებები სასამართლოს არჩევის შესახებ, ტრასტების დაფუძნების საფუძვლები და ურთიერთობები, რომლებსაც ისინი ქმნიან დამფუძნებლებს, ნდობით აღჭურვილ მესაკუთრებსა და ბენეფიციარებს შორის, ხელშეკრულების გაფორმების წინარე საქმიანი მოლაპარაკებების შედეგად წარმოქმნილი მოვალეობები, დაზღვევის ხელშეკრულებები, რომლებიც ხვდებიან ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივის 2002/83/EC, 5 ნოემბერი 2002 წ. „სიცოცხლის დაზღვევის შესახებ“ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წ. 5 ნოემბრის 2002/83/EC დირექტივის მე-2 მუხლის მოქმედების ქვეშ. ამ საკითხებიდან ცალკეულის შესახებ არსებობს სპეციალური სამართლებრივი აქტები³⁶.

ღირს, აღინიშნოს, რომ „რომი I“-ის რეგლამენტის მიზნებისათვის დანია არ არის ჩათვლილი EC-ის წევრების მიერ, მაშინ, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ არ გამოირიცხეს თავიანთი მონაწილეობა რეგლამენტში.

ბ) „რომი I“-ის რეგლამენტის გამოყენების უნივერსალობა

„რომი I“-ის რეგლამენტის მნიშვნელოვანი შემადგენელია მისი „უნივერსალური გამოყენება“, რაც გულისხმობს რეგლამენტის გამოყენებას მაშინაც კი, როდესაც ნაციონალური სამართალი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს კონფლიქტური სიტუაციის გადასაჭრელად, იქნება ევროკავშირის არანაწევრი ქვეყნის სამართალი.

ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან ნებისმიერი შეხების წერტილის არარსებობის პირობებშიც კი, თუ ევროკავშირი განიხილავს სიტუაციას, სამართლის განსაზღვრის საკითხი წარმართება იმ წესებით, რომლებიც მითითებულია „რომი I“-ის რეგლამენტში.

რეგლამენტის „გამოყენების უნივერსალობის“ ნიმუში შეიძლება იყოს საქმე – „Iran Continental Shelf Oil Co v. IRI International Corp“, რომელშიც ინგლისურმა სასამართლომ გამოიყენა რომის კონვენცია ამერიკული კორპორაციისა და ირანული კომპანიის კონფლიქტში³⁷.

„რომი I“-ის რეგლამენტმა, რომელიც ხასიათდება გამოყენების უნივერსალობით, სრულყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეების მიერ სამართლის არჩევის წესი. ამ სამართლებრივი აქტით დადგინდა ხელშეკრულების ცალკეული ნაწილის მიმართ სამართლის არჩევის შესაძლებლობა, ასეთი სამართლის არჩევა ამავე მონაწილეებს შორის დადებულ სხვა ხელშეკრულებებზე მითითებით, არასახელმწიფო სამართლის ჩართვა მხარეების მიერ არჩეულ სამართალთან.

გ) სამართლის თავისუფალი არჩევის პრინციპი და სამართლის არჩევის ფორმა „რომი I“-ის რეგლამენტის შესაბამისად

ზოგადი წესის შესაბამისად, „რომი I“-ის რეგლამენტის მე-3 მუხლი საშუალებას აძლევს მხარეებს, ხელშეკრულების სამართალი აირჩიონ დამოუკიდებლად. მხარეების „ნების ავტონომიის“ პრინციპი არის საკვანძო ფაქტორი, ძირითადი კოლიზიური საბამი ხელშეკრულებისთვის სამართლის განსაზღვრისას. სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეების მიერ სამართლის არჩევის თავისუფლებას რეგლამენტი განიხილავს, როგორც სახელშეკრულებო მოვალეობების საკითხებში კოლიზიური სამართლის სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს.

³⁶ Council Regulation (EU) N 1259/2010 of 20 December 2010 implementing enhanced cooperation in the area of the law applicable to divorce and legal separation, OJ L 343, 29.12.2010; Regulation (EU) N 650/2012 of the decisions and acceptance and enforcement of authentic instruments in matters of succession and on the creation of a European Certificate of Succession, OJ L 201, 27.7.2012.

³⁷ Case Iran Continental Shelf Oil Co vs. IRI International Corp, [2004] 2 CLC 696.

„რომი I“-ის რეგლამენტის მე-3 მუხლი მიუთითებს ასეთი არჩევანის მხოლოდ ერთ პირობაზე: „ის უშუალოდ უნდა იყოს მითითებული ან ნათლად განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებით ან საქმის გარემოებებით“.

პირობა – „უშუალოდ მითითებული“ – ნიშნავს, რომ ნორმა სამართლის არჩევის შესახებ ნათლად უნდა განსაზღვრავდეს, რომელი სამართალი უნდა გამოიყენებოდეს მხარეების მიერ ხელშეკრულების შესრულებისას. რიგი ავტორებისა თვლიან, რომ „უშუალოდ მითითებული“ ნიშნავს სამართლებრივი სისტემის პირდაპირი დასახელების საჭიროებას³⁸.

მაგალითად, „მოცემული ხელშეკრულება ექვემდებარება შესრულებას ფრანგული კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად“ და სხვა.

ამასთან, რადგან მხარეები სამართალს ხშირად უშუალოდ ირჩევენ, ის შეიძლება იყოს „ნათლად განსაზღვრული“. მხარე, რომელიც დაჟინებით მოითხოვს გარკვეული სამართლის არჩევას, ვალდებულია, ეს დაადასტუროს სასამართლოში კონფლიქტის შემთხვევაში. ითვლება, რომ მითითებულმა პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ხელშეკრულებისთვის კონკრეტული სამართლებრივი სისტემის განსაზღვრის შესაძლებლობის გაუმჯობესებას.

თუმცა პრაქტიკაში სამართლის არჩევის ნორმის ასეთმა არამკაცრმა განმარტებამ „რომი I“-ის რეგლამენტში ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მიგვიყვანოს მისი განსაზღვრის შეუძლებლობასთან: რა შემთხვევაში მიიღეს მხარეებმა ირიბი გადაწყვეტილება ხელშეკრულების სამართლის განსაზღვრაზე და რა შემთხვევაში არ იყო ასეთი გადაწყვეტილება.

ზემოთ მოხსენიებული ფორმულირება განსხვავებულია იმისაგან, რაც შემოთავაზებულია რომის კონვენციაში, რომლის თანახმადაც, სამართალი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების მიმართ, მითითებული უნდა იყოს „დამაჯერებლობის საკმარისი დონით“ (კონვენციის 1-ლი მუხლი).

მხარეების მიერ სამართლის არჩევის თავისუფლების პრინციპი უსაზღვრო არ არის (რეგლამენტის მუხლები 3,5-9). მაგალითად, „რომი I“-ის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებული არჩევანის მომენტში სიტუაციის ყველა სხვა ელემენტი იყო ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, მაშინ მხარეების მიერ გამოყენებას დაქვემდებარებული სხვა, ვიდრე წევრი სახელმწიფოს, სამართლის არჩევა არ უნდა აყენებდეს ზიანს თანამეგობრობის იმ სამართლის (როდესაც მართებულია, სასამართლოს წევრი ქვეყნის კანონმდებლობაში ტრანსფორმირებული) დებულებების გამოყენებას, რომელთაგანაც გადახვევა ხელშეკრულებით ნებადართული არ არის.

დ) არასახელმწიფო სამართლის ნორმების გამოყენება ევროკავშირის კანონმდებლობაში

რეგლამენტის 1-ლი მუხლის დებულებებით გათვალისწინებულია, რომ „ამ კონვენციის წესები გამოიყენება სახელშეკრულებო მოვალეობების მიმართ ნებისმიერ სიტუაციაში, სხვადასხვა ქვეყნის სამართლის გათვალისწინებით“. თვით სიტყვათშეთანხმება – „სხვადასხვა ქვეყნის“ ნათლად მიუთითებს სამართლის აუცილებელ მიკუთვნებაზე ქვეყნისთვის. ასეთი მიდგომა დადასტურებულია ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი რაოდენობით და მეცნიერთა გამოკვლევებით.

ასეთი მიდგომა შეესაბამება „რომი I“-ის რეგლამენტის მე-4 მუხლის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, მხარეების მიერ არჩეული სამართალი უნდა იყოს „უშუალოდ მითითებული“.

ევროპული კერძო სამართლის დოქტრინაში დასტურდება, რომ „უშუალოდ მითითებული“ ავალდებულებს იმ სამართლის სისტემის პირდაპირ დასახელებას, რომელიც გამოყენებული იქნება ხელშეკრულების მიმართ³⁹. რიგი ავტორები თვლიან, რომ ასეთი სამართალი მითითებულ უნდა იქნეს „განსაზღვრულობის საკმარისი ხარისხით“⁴⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისიაში აქტიური დისკუსიები, რომლებიც გაიმართა რეგლამენტის მიღებამდე, აისახა კომისიის წინადადებაში, „რომი I“-ის რეგლამენტის პროექტის 4.2

³⁸ Geert van Calster. *Europa Private International Law*. – Oxford : Hart Publishing Second edition. – 2016, p.224.

³⁹ Geert van Calster, *European Private International Law* (Cambridge, CUP, 2009), p. 186.

⁴⁰ იხ.: H. Heiss „Party Autonomy“ in F. Ferrari and S. Leible (eds), *Rome I Regulation – The Law Applicable to Contractual Obligations in Europe* Munich, Sellier, 2009).

პუნქტში, მხარეებისთვის არასახელმწიფო სამართლის არჩევის შესაძლებლობის მინიჭებაზე. ამასთან, კომისრებმა ყურადღების მიღმა დატოვეს *lex mercatoria*, რადგან ჩათვალეს ის არასაკმარისად გამჭვირვალედ⁴¹.

ასეთმა არჩევანმა უნდა ნებადართული გახადოს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისა და უნიდროას ნორმების არჩევა.

მეტიც, ევროპარლამენტის სამართლებრივი საკითხების აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეებს უფლება აქვთ, შეიტანონ არასახელმწიფო ნორმები სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აღიარებული არიან საერთაშორისო დონეზე⁴².

საბოლოოდ, ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, არ შეეტანათ ნორმა, რომელიც ნებას მისცემდა მხარეებს, სრულფასოვნად აერჩიათ არასახელმწიფო სამართალი ხელშეკრულებით, რამეთუ „ნორმების საერთაშორისო აღიარების ხასიათი, რომლის მიხედვითაც მხარეებს შეეძლებოდათ, აერჩიათ გამოყენებადი სამართალი, მნიშვნელოვანწილად არაზუსტია“⁴³.

ამასთან, „რომი I“-ის რეგლამენტის პრეამბულის მე-13 და მე-14 აბზაცები შეიცავს შემდეგ დებულებებს:

„(13) წარმოდგენილი რეგლამენტი არ ზღუდავს მხარეებს, მოახდინონ ხელშეკრულებაში სამართლის ზენაციონალური ნორმების ან საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებების ინკორპორირება (ჩართვა).

(14) თუ თანამეგობრობა შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტში დაამტკიცებს სახელშეკრულებო სამართლის წესებს, სამაგალითო პირობების ჩათვლით, მაშინ ასეთი დოკუმენტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მხარეებს შეუძლიათ, გააკეთონ არჩევანი ამ წესების გამოყენების სასარგებლოდ“.

„რომი I“-ის რეგლამენტი არ ხსნის, როგორ უნდა იქნეს გაგებული თავსართი-„ჩართვის გზით“. ასეთმა სიტუაციამ წარმოშვა დისკუსია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის.

ყურადღებას იმსახურებს ავტორების პოზიცია იმის თაობაზე, რომ ასეთი ფორმულირება არასახელმწიფო სამართლის ცალკეული ნორმის მხოლოდ უბრალო ჩართვის შესაძლებლობას იძლევა⁴⁴.

„რომი I“-ის რეგლამენტის ამ დებულებების ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტების თანახმად, კოლიზიური არჩევანი შესაძლებელი იქნება მხოლოდ სპეციალური დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც შეეხება ევროპული ვალდებულებითი სამართლის (სწორედ ეს იგულისხმება მე-14 აბზაცში) უნიფიკაციას.

მითითებულ დოკუმენტს აქვს სამუშაო დასახელება-Common Frame of Reference. დღევანდელი დღისთვის აკადემიური პროექტი მომზადებული და გამოქვეყნებულია განსახილველად; ამის საფუძველზე იგეგმება პოლიტიკური დოკუმენტის შექმნა [აკადემიური პროექტის სახელწოდებაა – Draft Common Frame of Reference]⁴⁵.

ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ ხელშეკრულებისთვის არასახელმწიფო სამართლის არჩევა „რომი I“-ის რეგლამენტის შესაბამისად დაუშვებელია; ნებადართულია მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის გარკვეული ნაწილის არასახელმწიფო სამართლით რეგულირება.

⁴¹ Proposal for a Regulation of the European Parliament and the Council on the law applicable to contractual obligation (Rome I) / COM/2005/0650 final – COD 2005/0261 [Электронный ресурс]. – Режим доступа: http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexplus!prod!DocNumber&lg=EN&type_doc=COMfinal&an_doc=2005&nu_doc=650.

⁴² Draft report on the proposal for a regulation of the European Parliament and of the Council on the law applicable to contractual obligations (Rome I) (COM) (2005) 0650 – C6-0441/2005-2005/0261(CJD)) Committee on Legal Affairs [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=COMPARL&mode=XML&language=EN&reference=PE374.427>.

⁴³ *Beloglavek A. I. European International Law – Contractual Connections and Obligations : [in 2 vols.] / A. I. Beloglavek. – V. 1. – K.: Tacson, 2010. – 1576 p.*

⁴⁴ *S. Symeonides* “Party Autonomy in Rome I and II from a Comparative Perspective” in K. Boele-Woelki, T. Einhorn, D. Symeonides (eds), *Convergence and Divergence in Private International Law. – Liber Amicorum Kurt Siehr*.

⁴⁵ *Асосков А. В. Коллизионное регулирование договорных обязательств / А. В. Асосков. – М.: Инфотропик Медиа, 2012. – (640 с.). – С. 33–331.*

სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის გამოყენებად სამართლად არასახელმწიფო სამართლის არჩევის დაუშვებლობა „რომი I“-ის რეგლამენტის შესაბამისად განპირობებულია იმით, რომ მხარეების მიერ გამოყენებად სამართლად არჩეული საერთაშორისო მატერიალური სამართლის ნორმების საერთაშორისო აღიარების ხასიათი მნიშვნელოვანწილად არაზუსტია, რაც საეჭვოს ხდის აღნიშნული ნორმების შესაძლებლობას, წარმოადგენდნენ სამართლის წყაროს.

ამასთან ერთად, რეგლამენტის მე-3 მუხლი მოიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ მხარეებს შეუძლიათ „ნებისმიერი სამართლის“ არჩევა. ამის გათვალისწინებით, არ შეიძლება გამოირიცხოს სამართალგამოყენებით პრაქტიკაში უფრო ლიბერალური მიდგომის ფორმირება, რაც გულისხმობს გამოყენებად სამართლად არასახელმწიფო სამართლის არჩევის შესაძლებლობას, თუ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მხარეების მიერ არჩეული „არასახელმწიფო სამართალი“ პასუხობს გამოყენებადი სამართლის მიმართ მოთხოვნებს და არ გამოდის მხოლოდ, როგორც არასახელმწიფო სამართლის ინკორპორირებული ნორმა, რომელიც მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობების ნაწილის დასარეგულირებლად.

ე) იურისდიქციის არჩევა ევროკავშირის სამართლის მიხედვით. წესი □ *lis alibi pendens*

მხარეების ნების ავტონომიის პრინციპზე დაფუძნებული სამართლის არჩევა, მდგომარეობს შესაბამისი იურისდიქციის არჩევის შესაძლებლობაში მხარეების მოლაპარაკებების შედეგად. აღნიშნული პრინციპი გარკვეულწილად შეზღუდულია წესით – *lis alibi pendens* (სარჩელი, რომელიც ექვემდებარება სხვა ადგილას განხილვას).

ამ წესის თანახმად, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო ორგანოები აღიარებენ თავიანთ განსჯადობას ერთსა და იმავე საკითხზე იმავე მხარეებს შორის, მაშინ იმ იურისდიქციამ, რომელმაც საქმის განხილვა უფრო გვიან დაიწყო, უნდა შეაჩეროს წარმოება ამ საქმეზე.

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ „Gasserv. MISAT“-ზე გადანყვეტილებაში არ აღიარა მხარეების უფლება, აერჩიათ შესაბამისი იურისდიქცია *lis alibi pendens* პრინციპთან კონფლიქტის შემთხვევაში⁴⁶.

ამ საქმეში მხარეებმა მიიღეს გადანყვეტილება იურისდიქციის აღიარების შესახებ იტალიური სასამართლოების სასარგებლოდ. ამასთან, ერთმა მხარემ მიმართა სასამართლოს ავსტრიაში. ავსტრიულმა სასამართლომ აღიარა მისი განსჯადობა ამ საქმეზე. როდესაც მეორე მხარემ მიმართა იტალიის სასამართლოს, მან ასევე აღიარა მისი განსჯადობა. როგორც შედეგი, ორმა ქვეყანამ დაადგინა განსჯადობა ერთი სიტუაციის გადანყვეტაზე.

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პრინციპი – *lis alibi pendens*, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ამ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს ამ საქმეზე იტალიური სასამართლოების იურისდიქციის გავრცელებას, თუნდაც ამაზე მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული.

ასეთი დასკვნა დამყარებულია მხოლოდ იმაზე, რომ ავსტრიულმა სასამართლომ პირველმა მიიღო გადანყვეტილება საქმის განსჯადობის განსზღვრის შესახებ⁴⁷.

ვ) სამართლის არჩევა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ

„რომი I“-ის რეგლამენტი ითვალისწინებს მხარეების შესაძლებლობას, აირჩიონ სამართალი ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ასევე აირჩიონ სხვადასხვა სამართალი ხელშეკრულების სხვადასხვა ნაწილის მიმართ (რეგლამენტის მე-3 მუხლი).

რეგლამენტის მითითებული ნორმა მხარეებს საშუალებას აძლევს, მოხერხებულად შეცვალონ უკვე არჩეული სამართალი. თუმცა პრაქტიკაში ასეთი შეცვლის არამიზანშეწონილობა აფერხებს მისი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების სხვადასხვა ნაწილისთვის სხვადასხვა სამართლის არჩევის შესაძლებლობას არ უნდა მოჰყვეს სამართლებრივი წინააღმდეგობები⁴⁸.

⁴⁶ Case C-116/02 Erich Gasser GmbH vs. MISAT Srl. [2003] ECLI:EU:C:2003:657.

⁴⁷ *Світовий В. О.* Колізійне регулювання договірних відносин за правом ЄС та України: магістерська робота / *В. О. Світовий*. – К.: Юридичний факультет КНУ імені Тараса Шевченка., 2017. – (107 с.). – С. 39–40.

⁴⁸ იხ.: *Giuliano M.* Council Report on the Convention on the Law Applicable to the Contractual Obligations / *M. Giuliano, P. Lagarde* // *Journal official*. – 1980. – P. 282 – P. 0001-0050, para 4; *Світовий В. О.* Колізійне регулювання договірних

მართლაც, მაგალითად, მოვალეობათა პირობების შეუსრულებლობის საკითხი და პასუხისმგებლობა ასეთ შეუსრულებლობაზე არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სხვადასხვა სამართლით რეგულირებას, იმდენად, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში არ არის გარკვეულობა მხარეებს შორის.

რომის კონვენციასთან შედარებით, „რომი I“-ის რეგლამენტი სხვანაირად მიუდგა ხელშეკრულების სხვადასხვა ნაწილისთვის სხვადასხვა სამართლის დადგენის საკითხს მხარეების მიერ სამართლის არჩევის შემთხვევისათვის. რომის კონვენცია ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას.

მეცნიერების მხრიდან ეს კონცეფცია მოექცა მძაფრი კრიტიკის ქვეშ⁴⁹. ასეთი შესაძლებლობა მოსამართლეებს ხელშეკრულებისთვის სამართლის დადგენის დროს საშუალებას აძლევს, ბოროტად გამოიყენონ მინიჭებული უფლება და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გადანაცვლონ ხელშეკრულების ბედი. მეცნიერების ასეთმა მიდგომამ მხარდაჭერა პოვა ევროპულ თანამეგობრობაში. ამასთან კავშირში, რომის კონვენციის მითითებული დებულება არ იქნა შეტანილი „რომი I“-ის რეგლამენტში. ამიტომ რეგლამენტის მოქმედი რედაქციის თანახმად, სხვადასხვა სამართალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულებისთვის არჩეული სამართლის არარსებობის პირობებში.

ზ) სამართლის არჩევა მხარეების მიერ მათ შორისვე დადებულ სხვა ხელშეკრულებაზე მითითებით

„რომი I“-ის რეგლამენტი მხარეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ სამართალი ამავე მხარეებს შორის დადებულ სხვა ხელშეკრულებაზე მითითებით, რომელიც მიუთითებს მხარეების მიერ არჩეულ სამართალზე.

ასეთი პოზიცია გადმოღებულია რომის კონვენციიდან, სასამართლო პრეცედენტების განმარტებების გათვალისწინებით.

ასევე ითვლება, რომ ასეთი არჩევანი მხარეების მიერ შეიძლება, მითითებულ იქნეს წინასწარ შეთანხმებებში, ჯერ კიდევ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ასეთი შეთანხმება მოსამართლის მიერ მხედველობაში იქნება მიღებული, თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ მხარეების მიერ ეს სამართალი იქნა არჩეული კონკრეტული ხელშეკრულებისთვის⁵⁰.

თ) სამართლის არჩევა მხარეებს შორის მასზე შეთანხმების არარსებობისას

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები (წინასწარი განზრახვით ან შემთხვევით) არ მიუთითებენ არჩეულ სამართალს, მოსამართლემ უნდა განსაზღვროს ასეთი სამართალი მისი შეხედულებით. მხარეებს შორის მე-4 მუხლით სამართლის არჩევის შესახებ შეთანხმების არარსებობისას, „რომი I“-ის რეგლამენტი ამარტივებს გამოყენებადი სამართლის განსაზღვრის პროცედურას.

რეგლამენტის მითითებული ნორმა წარმოშობს რეგლამენტის განსაკუთრებულ განსხვავებას რომის კონვენციისაგან, რომელიც, მეცნიერების უმეტესობის აზრით, არ იძლეოდა სამართლის მკაფიოდ განსაზღვრის საშუალებას და ანიჭებდა მოსამართლეებს ისეთ უფლებამოსილებებს, რასაც შეეძლო ბოროტად გამოყენებასთან მიყვანა⁵¹.

რომის კონვენციამ გამოიყენა საბამი — „ყველაზე მჭიდრო კავშირი“. ესე იგი, იმ სამართლის გამოყენება, რომელსაც აქვს ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირი ხელშეკრულებასთან. თავის მხრივ, ამან მოიცვა პრეზუმფციის განმარტება „დამახასიათებელი შესრულების“ დოქტრინაზე დაფუძნებით.

ამ დოქტრინის თანახმად, რომელიც გაჩნდა შვეიცარიაში 30-ზე მეტი წლის წინ, მოსამართლეებმა, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაქციონ ხელშეკრულების არსს, მის სტრუქტურ-

відносин за правом ЄС та України: магістерська робота / В. О. Світовий. — К., 2017. — Юридичний факультет Київського національного університету імені Тараса Шевченка. — (107 с.). — С. 45.

⁴⁹ U. Mangus, “Article 4 Rome I Regulation: The Applicable Law in the Absence of Choice” in Ferrari and Leible — P. 27, 29, 31.

⁵⁰ Giuliano M. Council Report on the Convention on the Law Applicable to the Contractual Obligations / M. Giuliano, P. Lagarde // Journal official. — 1980. — P. 282. — P. 0001-0050.

⁵¹ Geert van Galster. European Private International Law. — Oxford : Tart Publishing Second edition. — 2016, p.229.

რასა და მხარეების ძირითად მოვალეობებს⁵². მითითებული ნორმები არის იმდენად ფართო, რომ ისინი აძლევენ მოსამართლეს მათი სხვადასხვაგვარი განმარტების საშუალებას.

მხარეების მიერ გამოყენებადი სამართლის არარჩევისას, „რომი I“-ის რეგლამენტით გათვალისწინებულია გამოყენებადი სამართლის განსაზღვრის შემდეგი მექანიზმი.

ხელშეკრულების მიმართ გამოყენებას დაქვემდებარებული სამართალი განისაზღვრება ნესით, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა კატეგორიის ხელშეკრულებებისათვის (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი).

თუ ვერ ხერხდება ხელშეკრულების მიკუთვნება ერთი განსაზღვრული კატეგორიისადმი ან თუ მოიცავს ელემენტებს, რომლებიც დამახასიათებელია რეგლამენტის 4(2) მუხლში მითითებული რამდენიმე ხელშეკრულებისათვის, მაშინ ხელშეკრულება ექვემდებარება რეგულირებას იმ სახელმწიფოს სამართლით, „სადაც არის იმ მხარის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, რომელმაც უნდა განახორციელოს შესრულება, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შინაარსისთვის“ („რომი I“-ის რეგლამენტის 4(2) მუხლი). ეს უკანასკნელი განისაზღვრება „ხელშეკრულების ძირითადი საგნის, მისი არსის გათვალისწინებით, ანუ იმის, რაც განსაზღვრავს ხელშეკრულების შინაარსს და სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებს“⁵³.

თუ ხელშეკრულებას აქვს აშკარად უფრო მჭიდრო კავშირები სხვა ქვეყანასთან, ვიდრე ის, რომელიც მითითებულია მე-4 მუხლის 1-ლ ან მე-2 პარაგრაფში, მაშინ პირობა გამონაკლისის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს, რომ გამოყენებას ექვემდებარება ამ სხვა ქვეყნის სამართალი. ამ ქვეყნის განსაზღვრისათვის საჭიროა, კერძოდ, ხელშეკრულების ძალიან მჭიდრო კავშირების გათვალისწინება ერთ ან რამდენიმე სხვა ხელშეკრულებასთან.

თუ საქმის ყველა გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებას აქვს აშკარად უფრო მჭიდრო კავშირები სხვა ქვეყანასთან, ვიდრე ის, რომელიც მითითებულია მე-4 მუხლის 1-ელ ან მე-2 პარაგრაფში, მაშინ გამოიყენება ამ სხვა ქვეყნის სამართალი.

იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებას დაქვემდებარებული სამართლის განსაზღვრა არ შეიძლება მე-4 მუხლის 1-ლი ან მე-2 პარაგრაფის საფუძველზე, მაშინ ხელშეკრულება რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელთანაც მას აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირი.

„რომი I“-ის რეგლამენტი მოიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ევროკავშირში სახელშეკრულებო მოვალეობებისთვის გამოყენებას დაქვემდებარებული სამართალი.

კერძოდ, მითითებული რეგლამენტის პრეამბულის 23-ე პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დადებულია უფრო სუსტად მიჩნეულ მხარეებთან, ეს მხარეები უნდა იყვნენ დაცული კოლიზიური ნორმებით, რომლებიც მათი ინტერესებისათვის არიან უფრო ხელსაყრელი ხასიათის, ზოგად წესებთან შედარებით.

მაგალითად შეიძლება, გამოგვადგეს ხელშეკრულებები მომხმარებლებთან (რეგლამენტის მე-6 მუხლი). ზოგადი წესების მიხედვით, ასეთი ხელშეკრულებები რეგულირდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც არის მომხმარებლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი⁵⁴.

ი) სამართლის არჩევის შეზღუდვები ევროკავშირში

„რომი I“-ის რეგლამენტი განსაზღვრავს მხარეების მიერ სამართლის არჩევის სამ ძირითად შეზღუდვას, კონკრეტულად: იმპერატიული ნორმები (mandatory rules), ძირითადი იმპერატიული ნორმები (overriding mandatory rules) და სახელმწიფო პოლიტიკა (public policy).

თავისი მოქმედების ხასიათით ხელშეკრულებისთვის სამართლის არჩევის შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეების მიერ სამართლის არჩევის შემთხვევაშიც კი, ის შეიძლება, შეზღუდულ იქნეს ევროკავშირის სამართლით.

⁵² იხ.: *D'Oliviera*, „Characteristic Obligation in the Draft EEC Obligation Convention“ (1977) 25 Am J Comp L 303 188; *Ciuliano M.* Council Report on the Convention on the Law Applicable to the Contractual Obligations / *M. Giuliano, P. Lagarde* // *Journal official*. – 1980. – P.282. – P. 0001-0050.

⁵³ *Белоглазев А. И.* Европейское международное частное право – договорные связи и обязательства: [в 2т.]. Т. 1. – К.: Таксон, 2010. – С. 805–806.

⁵⁴ *Ландо, Д. Д.* Европейское частное право : учеб. пособие / Д. Д. Ландо, Е. Б. Леанович; под ред. Х. Херрманна, С. А. Балашенко, Т. Борича. – Минск : Зорны Верасок, 2010. – (146 с.). – С. 56–57.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში – საქმეზე C-381/98 *Ingmar GB Ltd v. Eaton Leonard Technologies Inc.* 2000, მითითებულია, რომ მხარეებს მხოლოდ განსხვავებული სამართლის არჩევით არ შეუძლიათ მხარეების დაცვის იმ სტანდარტების ნიველირება, რომლებიც განსაზღვრულია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებში⁵⁵.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მხარეების მიერ სამართლის დამოუკიდებლად არჩევასთან მიმართებით გამოყოფს სამი სახის შეზღუდვას: იმპერატიული ნორმები (*mandatory rules*), ძირითადი იმპერატიული ნორმები (*overriding mandatory rules*) და სახელმწიფო პოლიტიკა (*public policy*).

მთლიანობაში, იმპერატიული ნორმები განსაზღვრავს, რომ მხარეებს სრულიად სხვა ქვეყნის სამართლის არჩევით არ შეუძლიათ, გვერდი აუარონ იმ ქვეყნის გარკვეულ საკანონმდებლო ნორმებს, სადაც მდებარეობს ხელშეკრულების ყველა ელემენტი.

იმპერატიული ნორმები მითითებულია „რომი I“-ის რეგლამენტის მე-3 მუხლში: „იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ყველა ელემენტი სამართლის არჩევისას იმყოფება არჩეული სამართლისგან განსხვავებულ ქვეყანაში, მაშინ მხარეების მიერ სამართლის არჩევანმა არ უნდა მიაყენოს ზარალი ამ სხვა ქვეყნის კანონის დებულებების გამოყენებას, რომელთაგანაც არ შეიძლება გადახვევა ხელშეკრულებით“.

ძირითადი იმპერატიული ნორმები (*overriding mandatory rules*) უფრო ვიწრო კატეგორიით უფრო იშვიათად გამოიყენება.

„რომი I“-ის რეგლამენტის მე-9 სტატიის შესაბამისად, ძირითადი იმპერატიული ნორმები შეადგენენ „ნორმებს, რომლებიც ითვლება ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ საჯარო ინტერესების, მათ შორის, მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური სფეროების დასაცავად. ისინი გამოყენებული უნდა იყოს ნებისმიერ სიტუაციაში, მხარეების მიერ არჩეული სამართლისაგან დამოუკიდებლად“.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ძირითად იმპერატიულ ნორმებად თვლის დებულებებს, რომელთა დაცვასაც ქვეყანა აღიარებს, როგორც არსებითი მნიშვნელობის მქონეს მისი საჯარო ინტერესების დასაცავად, ისეთის, როგორც არის მისი პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური წყობა, იმ დონეზე, რომ ისინი გამოყენებული უნდა იყვნენ მათ მოქმედებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სიტუაციაში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი სამართალი უნდა გამოყენებულიყო არსებული რეგლამენტის შესაბამისად (საქმე – *Lean-Claude Arblade and Arblade & Fils SARL and Bernard Leloup, Serge Leoupand Sofrage SARL*)⁵⁶.

ამასთან, ყველა ქვეყანა თავისუფალია ძირითადი იმპერატიული ნორმების განსაზღვრაში (საქმე – *Unamar vs. Navigation Maritime Bulgare*)⁵⁷.

სამართლის არჩევის შეზღუდვის სხვა სახეს წარმოადგენს საჯარო წესრიგი. „რომი I“-ის რეგლამენტის 21-ე მუხლი განსაზღვრავს ამ კატეგორიას შემდეგი სახით: მხარეების მიერ განსაზღვრული სამართლის ზოგიერთი ნორმა ვერ შესრულდება, თუ ის „აშკარად“ შეუთავსებელია საჯარო წესრიგთან (*ordre public*). ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ იმ ნორმების მიმართ, რომელთა შესრულებაც აშკარად ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას.

⁵⁵ Case C-381/98 *Ingmar GB Ltd v. Eaton Leonard Technologies Inc.* ECLI:EU:C:2000:605.

⁵⁶ Joined cases C-369/96 and C-376/96 *Lean-Claude Arblade and Arblade & Fils SARL and Bernard Leloup, Serge Leoupand Sofrage SARL*, ECLI:EU:C:1999:575.

⁵⁷ Case C-184/12 *Unamar vs. Navigation Maritime Bulgare* ECLI:EU:C:2013:663.

Выбор применимого права к договору по законодательству Украины и Европейского Союза

I. Выбор применимого права к договору по законодательству Украины

а) Выбор права и автономия воли

10. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჰააგის პრინციპები საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის არჩევის თაობაზე არ არეგულირებს სამართლის არჩევას კომპანიების შემთხვევაში (1-ელი მუხლის მე-3 პარაგრაფი).¹⁶ ამ დებულების კომენტარებში მითითებულია, რომ ამგვარი გამონაკლისი დამკვეთულია ამ საკითხზე კონსენსუსის არარსებობის გამო. ეს ეხება ამ ურთიერთობების, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების, კვალიფიკაციას ან იმას, თუ რამდენად უნდა იქნეს ნების ავტონომია გამოყენებული ამ ურთიერთობების მიმართ. ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ ნების ავტონომია არ გამოიყენება ამ გამონაკლისი ასპექტების მიმართ. ჰააგის პრინციპები ნეიტრალურია ამ საკითხში. ისინი ხელს არ უშლის კანონმდებლებს ან სხვა სუბიექტებს, რომ ნების ავტონომია გამოიყენონ ნებისმიერი გამონაკლისი ასპექტის მიმართ.

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოსაყენებელი სამართლის არჩევის თაობაზე ჰააგის პრინციპების სფეროდან კომპანიების გამორიცხვას, ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კომპანიებისა და სხვა კოლექტიური წარმონაქმნების და ტრესტების შექმნა-ორგანიზება, მათში მონაწილეობას/წევრობა, უფლებაუნარიანობა, შიდაორგანიზაცია, გადაწყვე-

¹¹ Гражданский кодекс Республики Казахстан (Особенная часть). Комментарий (постатейный): в двух книгах. Книга 2. Ответственные редакторы Сулейменов, Басин. Алматы, 2006. – 800 с.

¹² Братусь. Комментарий к статье 1114 Гражданского кодекса Республики Казахстан, http://online.zakon.kz/document/?doc_id=33033027#pos=5;-163 (26 марта 2017 г.).

¹³ Карагусов. О применимом праве в трансграничных договорах купли-продажи акций казахстанских компаний, http://online.zakon.kz/Document/?doc_id=37693184#pos=0;0 (24 апреля 2017 г.).

¹⁴ Weller and Thomale. Companies. P.p. 409 - 410.

¹⁵ Watt. Party autonomy. In: Encyclopedia of Private International Law. Basedow, Rühl, Ferrari and Asensio (eds.). Cheltenham, Northampton: Edward Elgar, 2017. Volume 1. P.p. 1336 – 1338.

¹⁶ იბ. Principles On Choice of Law in International Commercial Contracts (approved on 19 March 2015), <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=135#text> (14 октября 2018 г.).

ტილებების მიღების პროცედურები, კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია. ზემოაღნიშნულ კომენტარში მითითებულია, რომ ბევრ სახელმწიფოში ეს საკითხები რეგულირდება კომპანიების შესახებ საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალური დებულებებით (როგორც წესი, ეს არის ან დაფუძნების ქვეყნის სამართალი ან იმ ქვეყნის სამართალი, სადაც კომპანიის მართვის ორგანო მდებარეობს). ამასთან, ჰააგის პრინციპები გამოიყენება თვითონ კომპანიების მიერ მესამე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და კომპანიის წევრებს შორის გაფორმებული კომერციული კონტრაქტების (სააქციო ხელშეკრულებები) მიმართ.

11. ბოლო დებულების მიხედვით, სააქციო ხელშეკრულებების მიმართ მხოლოდ ყაზახეთის სამართლის გამოყენება შეიძლება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 1114-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, თუ იურიდიული პირი ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად არის დაფუძნებული, „იურიდიული პირის მონაწილეთა შორის ურთიერთობა, რომელიც მათ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებთან არის დაკავშირებული“, მხოლოდ ყაზახეთის რესპუბლიკის სამართლით უნდა რეგულირდებოდეს.

ყაზახეთის სამართალში ასახული ეს მიდგომა საფუძვლიანია. როგორც სამოქალაქო სამართალში ცალკეა გამოყოფილი კორპორაციული სამართალი, ისე საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყოფილია კომპანიების საერთაშორისო სამართალი. ხშირ შემთხვევაში, კორპორაციული ურთიერთობების შექმნის, ცვლილების ან შეწყვეტის საფუძველი არის არა ხელშეკრულება, არამედ სხვა იურიდიული ფაქტები ან მოვლენები (მათ შორის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი, არის კრების გადაწყვეტილება). აქედან გამომდინარე, კორპორაციული ურთიერთობების დიდი ნაწილი რეგულირდება არა სახელშეკრულებო, არამედ იმპერატიული ნორმებით.

ეს შენიშვნა ეხება ასევე ე.წ. კორპორაციულ ხელშეკრულებებს. ამჟამად, შემოთავაზებულია ყაზახეთის კანონმდებლობაში ამ ხელშეკრულებების ცნების და კლასიფიკაციის შეტანა. კორპორაციული ხელშეკრულებების კატეგორიას მიეკუთვნება არა მარტო აქციონერთა და სადამფუძნებლო ხელშეკრულებები. მაგალითად, იურიდიული პირის წესდებაც გარკვეული ტიპის კორპორაციული ხელშეკრულებაა. თავდაპირველად წესდება ერთხმად მიიღება, მაგრამ მოგვიანებით წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისას მისი მოქმედება სრულად ვრცელდება იმ პირების მიმართაც, რომლებმაც ამ ცვლილებების და დამატებების წინააღმდეგ მისცეს ხმა ან რაიმე მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ შესაბამისი კორპორაციული გადაწყვეტილების მიღებას. საერთაშორისო სამართალშიც აღიარებულია წესდების ამგვარი ორმაგი ხასიათი.¹⁷

მსგავსი ორმაგი ხასიათი აქვს იმგვარ კორპორაციულ აქტებსაც, როგორებიცაა კორპორაციული მართვის კოდექსი, კომპანიის მიერ საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის მეთოდიკა და სხვა. კრების გადაწყვეტილებები ასევე წარმოადგენს საფუძველს სხვა კორპორაციული ურთიერთობების წარმოქმნისთვის, როგორებიცაა დირექტორების არჩევა, კომპანიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან შესყიდვა და სხვა. ეს ურთიერთობები არ არის სახელშეკრულებო, არამედ კორპორაციული სამართლის იმპერატიული ნორმებით რეგლამენტირებას ექვემდებარება და მათ მიმართ არ გამოიყენება ხელშეკრულების თავისუფლების ან ნების ავტონომიურობის კატეგორიები.

ზემოაღნიშნულის შედეგად ჩნდება კითხვები, რომლებიც მიზანშეწონილია დაზუსტდეს ყაზახეთის კანონმდებლობაში. სასურველია, კორპორაციული კანონმდებლობის სრულყოფის მიმართულებით იუსტიციის სამინისტროს მუშაობა მოიცავდეს ასევე უცხოური მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხების გადასინჯვას.

¹⁷ Шмидт-Тренц, Плате, Пашке и др. даსახ. ნაშრომი, С. 318.

О свободе учреждения и выборе применимого права при создании юридических лиц с иностранным участием по законодательству Республики Казахстан

1. Вопрос о совершенствовании правового регулирования вопросов, относящихся к учреждению компаний с иностранным участием, приобретает особую актуальность в связи с усилением межгосударственных отношений, направленных на поддержку взаимных инвестиций в национальные экономики Казахстана и многих иностранных государств, с которыми поддерживается и развивается экономическое сотрудничество. Такое развитие совпадает с общемировой тенденцией глобализации и соответствующим развитием международного права компаний как особой части международного частного права.

Применительно к регулированию компаний, которые создаются в одном государстве за счет участия в них инвесторов из других государств, для ответа на вопрос о том, какому правопорядку подчиняется решение всех вопросов, возникающих в связи с учреждением и деятельностью юридического лица, создана теория одного лица (“one-entitytheory”). Согласно этой теории, все относящиеся к компании вопросы (в том числе, учреждение, правоспособность, внутренняя организация, ответственность корпоративных должностных лиц, а также ответственность участников компании по ее обязательствам) регулируются материально-правовыми нормами одного и того же национального права (*lex societatis*).¹⁸

В то же время для определения применимого в этом случае права существуют две конкурирующие привязки – законодательство нахождения места эффективного управления юридическим лицом (“realseat”) либо законодательство страны учреждения юридического лица (“*lex incorporationis*”). В каждом правопорядке определяется применение одной из этих привязок. Разница заключается в том, что при применении привязки к месту эффективного управления компанией национальное право в принципе применяется к иностранным компаниям. В свою очередь, привязка к месту учреждения юридического лица позволяет иностранным субъектам создавать юридические лица по праву страны учреждения, но, как правило, не позволяет регулировать учреждение и деятельность такого юридического лица иным правом, кроме права страны его учреждения.

2. В то же время гармонизация законодательства в части определения привязки, подлежащей применению при регулировании создания и деятельности компаний с иностранным участием, приобретает важное значение, если на основании международного договора национальный правопорядок гарантирует свободу учреждения компаний для субъектов из тех государств, которые также являются участниками такого международного договора.

В настоящее время свобода учреждения, как элемент более широкой категории экономической свободы, является концепцией европейского права, основанной на соответствующих нормах Договора о функционировании Европейского Союза. В частности, действие этого принципа требует, чтобы в национальном правопорядке были исключены ограничения, касающиеся учреждения иностранными субъектами компаний в данной стране или перевода в ее юрисдикцию существующих иностранных компаний, как и создания ими в этой стране своих представительств, филиалов и дочерних организаций.¹⁹

* Доктор юридических наук, профессор Фархад Карагузов является главным научным сотрудником Института частного права Каспийского университета

¹⁸ См. WellerandThomale. Companies. In: Encyclopedia of Private International Law. Basedow, Rühl, Ferrari and Asensio (eds.). Cheltenham, Northampton: Edward Elgar, 2017. Volume 1. P.p. 404 – 406, 409.

¹⁹ См. Thomale and Weller. Freedom of establishment / persons (European Union) and private international law. In: Encyclopedia of Private International Law. Basedow, Rühl, Ferrari and Asensio (eds.). Cheltenham, Northampton: EdwardElgar, 2017. Volume 1. P.p. 807 - 808.

Как поясняется в литературе, «свобода учреждения охватывает самостоятельную деятельность, направленную на получение дохода, а также создание на территории другого государства-участника [Договора о ЕС – Ф.К.] предприятий, «в том числе компаний», и управление ими на тех же условиях, что и гражданами этого государства».²⁰ Так же уточняется, что «установленная ст. 43, 48 Договора о ЕС свобода учреждения компаний в соответствии с новейшей практикой Суда Европейских сообществ позволяет иностранным компаниям переносить свой центр управления из одного государства ЕС в другое, ..., сохраняя при этом свою организационно-правовую форму».²¹

В контексте действия международного частного права действие принципа свободы учреждения компаний имеет значение в следующих трех аспектах: (1) перемещение места эффективного управления компанией из страны ее учреждения в другую страну Европейского Союза, чье законодательство не должно создавать препятствий для осуществления такого перемещения; (2) законодательством страны учреждения компании также не должно создаваться каких-либо барьеров для такого перемещения, и (3) сама компания должна иметь возможности (то есть таким должно быть соответствующее законодательное регулирование как в стране учреждения компании, так и в новой юрисдикции, куда перемещается центр управления компанией) для такого перемещения своего центра эффективного управления без необходимости ликвидации компании и осуществления иных сложных процедур реорганизации, реструктуризации или иной трансформации.²²

Свобода учреждения компании реализуется (хотя и в определенных правовых рамках) по усмотрению частного субъекта посредством его самостоятельного выбора наиболее предпочтительного для существования учреждаемой или учрежденной им компании правопорядка. Юридическое признание свободы учреждения компании и возможность ее реализации участниками международного имущественного оборота можно расценивать как одно из проявлений автономии воли.

3. В праве Республики Казахстан в качестве общего правила предусмотрено применение национального режима в отношении прав иностранных субъектов: согласно п. 7 ст. 3 Гражданского кодекса (ГК) иностранные физические и юридические лица вправе приобретать такие же права и обязаны выполнять такие же обязанности, какие предусмотрены гражданским законодательством для граждан и юридических лиц Республики Казахстан. То есть гражданские права и обязанности иностранных субъектов подчиняются законодательству Республики Казахстан.

В том числе любые физические и юридические лица, действующие в рамках юрисдикции Республики Казахстан вправе учреждать юридические лица, осуществлять права участников юридических лиц и прекращать свое участие в юридических лицах по правилам казахстанского законодательства. Иные правила могут устанавливаться только законодательными актами и ратифицированными Республикой Казахстан международными договорами.

4. В этом контексте следует отметить участие Республики Казахстан с Содружестве независимых государств (СНГ) и ее членство в Евразийском Экономическом Союзе (ЕАЭС).

В рамках функционирования СНГ не предусмотрено формирование общего права для государств-участников, само Содружество не обладает наднациональными полномочиями (ст. 1 Устава СНГ²³). На уровне СНГ не создается обязательных правил об учреждении юридических лиц в рамках какого-то общего пространства. В ст. 20 Устава СНГ закрепляется безусловное признание национально-го законодательства как источника правового регулирования в каждом соответствующем государстве по вопросам, относящимся к сферам совместной деятельности участников СНГ, а также декларируется направленность деятельности государств-членов на сближение национального законодательства.

Что касается ЕАЭС, то в соответствии со ст. 1 Договора о Евразийском Экономическом Союзе он создан как «экономический союз, в рамках которого обеспечивается свобода движения товаров, ус-

²⁰ См. Дубовицкая. Европейское корпоративное право: Свобода перемещения компаний в Европейском сообществе. М.: Волтерс Клувер, 2004. 224 с. С. 4 - 5.

²¹ См. Шмидт-Тренц, Плате, Пашке и др. Основы германского и международного экономического права. Учебное пособие. СПб.: Издательский Дом С.-Петербург. гос. ун-та, Издательство юридического факультета СПбГУ, 2007. 736 с. С. 90.

²² Thomale and Weller. Freedom of establishment / persons (European Union) and private international law. P. 809

²³ См. Устав Содружества Независимых Государств (г. Минск, 22 января 1993 года). <http://www.cis.minsk.by/page.php?id=180> (14 октября 2018 г.)

луг, капитала и рабочей силы, проведение скоординированной, согласованной или единой политики в отраслях экономики, определенных» этим Договором или международными договорами в рамках ЕАЭС.²⁴ В зависимости от определенного способа проведения политики в рамках ЕАЭС формами такой политики определены гармонизация законодательства, унификация законодательства, а также непосредственное применение решений органов ЕАЭС, принятых в рамках их полномочий. В соответствии с положениями Раздела XV Договора о ЕАЭС декларируется цель обеспечить свободу учреждения, деятельности и осуществление инвестиций в рамках ЕАЭС (п. 1 ст. 65). Вместе с тем, в соответствии с содержанием п. 8 ст. 65 и ст. 66 Договора о ЕАЭС фактически гарантируется соблюдение национального режима при регулировании вопросов учреждения и деятельности юридических лиц, создаваемых лицами из стран участниц Договора о ЕАЭС, закрепляется обязательство не допускать «произвольной или неоправданной дискриминации между государствами или скрытых ограничений».

Таким образом, и в рамках тех межгосударственных объединений, в которых Казахстан участвует в целях межгосударственного экономического сотрудничества, вопросы учреждения и деятельности юридических лиц с иностранным участием регулируется исключительно национальным законодательством Республики Казахстан. Принцип свободы учреждения компаний, аналогичный тому, который предусмотрен Договором о ЕС, в казахстанском праве не определяется.

5. Такая позиция Республики Казахстан по вопросу о применении национального права при учреждении юридических лиц с иностранным участием, определении их правового статуса и регулировании их деятельности представляется обоснованной. Как отмечает Е. Дубовицкая, свобода учреждения и включаемая в ее содержание свобода перемещений компаний неразрывно связаны с идеей функционирования единого рынка, однако недоверие к иностранному праву и необходимость защитить собственный правовой оборот не позволяют национальному правопорядку допустить применение к действующим в рамках его юрисдикции компаниям применение иностранного права, пока соответствующее государство не будет уверено в том, что такое иностранное право защищает интересы кредиторов компании, ее работников или ее участников не хуже, чем домашний закон этого государства.²⁵

Действительно, применение принципа свободы учреждения и свободы перемещения компаний невозможно без того, чтобы корпоративное законодательство взаимодействующих государств было гармонизировано, устанавливая более или менее идентичные нормы, обеспечивающие для компаний из разных государств одинаковые условия деятельности и конкуренции в рамках соответствующих правопорядков. Собственно, реализация свободы учреждения (в том числе декларируемая в качестве направления для межгосударственного сотрудничества в Договоре о ЕАЭС) и является настоящей целью гармонизации корпоративного права.

В данном случае целесообразно обратить внимание на то, что это должна быть именно гармонизация, в результате которой будут устранены национальные различия, «которые могут привести к нарушению интересов компаний и третьих лиц в результате перемещения компаний», с одной стороны, и будут сохранены национальные различия, позволяющие компаниям и их участникам выбирать не только наиболее приемлемые для них экономические условия, но и наиболее комфортное для них корпоративное право.²⁶

Представляется, что отсутствие именно такого общего понимания относительно целей гармонизации гражданского права в рамках ЕврАзЭС послужило одной из причин того, что проводившаяся в 2011 – 2014 годах работа Комиссии Совета министров юстиции государств-участников ЕврАзЭС по гармонизации гражданского законодательства (в составе которой мы участвовали от Казахской стороны) осталась незавершенной. Члены этой Комиссии не смогли достичь взаимопонимания относительно Концепции и статуса Основ развития гражданских законодательств государств-участников ЕврАзЭС, понятия и классификаций организаций корпоративного типа, как и по некоторым другим аспектам.

²⁴ См. Договор о Евразийском экономическом союзе, заключенный 29 мая 2014 года, вступивший в силу с 1 января 2015 года. https://docs.eaeunion.org/docs/ru-ru/0003610/itia_05062014 (14 октября 2018 г.).

²⁵ Дубовицкая. Цит. соч. С. XXXI – XXXIII.

²⁶ См. Дубовицкая. Цит. соч. С. 56 – 60.

6. Вопрос о применимом праве к гражданским правоотношениям возникает в случае заключения таких договоров с участием иностранного субъекта. Как отмечается в авторитетных источниках, выбор применимого права в качестве метода международного частного права имеет двойное значение. В одном случае, такой выбор делается по воле участвующих в договоре сторон, являющихся самостоятельными субъектами гражданского права, и в этом случае выбор права основан на индивидуальной свободе и автономии воли частных лиц. В другом случае имеет место определение применимого права на основе законодательных норм, безотносительно того, приводится ли оно к действию участвующими в правоотношении частными лицами, судом или в силу закона.²⁷
7. В соответствии с казахстанским законом выбор применимого права применительно к вопросам учреждения, деятельности и определения правового положения юридических лиц с иностранным участием определяется на основе специальных положений ГК. В частности, в соответствии со ст.ст. 1100 и 1101 ГК «законом юридического лица считается право страны, где это юридическое лицо учреждено», и именно законом юридического лица определяется его гражданская правоспособность. В рамках казахстанского правопорядка деятельность иностранных организаций регулируется казахстанским правом.

Согласно ст. 40 ГК юридическое лицо учреждается на основе волеизъявления учреждающих его субъектов частного права (физических и / или юридических лиц). А если организация учреждается с участием государства или административно-территориальной единицы Республики Казахстан, то таковые также рассматриваются в качестве субъектов частного права, а в соответствии со ст. 114 ГК к ним «применяются нормы, определяющие участие юридических лиц в отношениях, регулируемых гражданским законодательством, если иное не вытекает из законодательных актов». В любом случае, при учреждении юридических лиц, государство и административно-территориальные единицы всегда выступают на равных началах с иными участниками соответствующих правоотношений (п. 1 ст. 111 и п. 1 ст. 112 ГК).

В том числе, учреждение юридического лица в Казахстане, когда учредителем выступает иностранное лицо, регулируется казахстанским законом. Согласно п. 1 ст. 1114 ГК «к договору о создании юридического лица с иностранным участием применяется право страны, где учреждается или учреждено юридическое лицо». Эта норма ГК является императивной, не допускающей выбора иного права, кроме права страны инкорпорации, и применяется к юридическим лицам любой предусмотренной национальным законодательством организационно-правовой формы.

Договором о создании казахстанского юридического лица двумя или более лицами является учредительный договор. Содержание и форма учредительного договора, а также порядок его заключения определяются законом. В зависимости от организационно-правовой формы юридического лица различаются правила, относящиеся к кругу регулируемых отношений, периоду действия и прекращению учредительного договора. В отношении акционерного общества, например, учредительный договор служит основанием для учреждения АО и регулирует взаимоотношения учредителей по вопросам создания АО и формирования его первоначального уставного капитала. Учредительный договор действует только до момента государственной регистрации выпуска объявленных акций АО. А учредительный договор товарищества с ограниченной ответственностью сохраняет свою силу в течение всего срока деятельности ТОО. Если после учреждения ТОО единственным учредителем в состав его участников входит второй или несколько участников, они должны заключить учредительный договор, а при передаче доли участия в товарищества новый участник должен присоединиться к учредительному договору.

8. В соответствии с п. 2 ст. 1114 ГК закон страны учреждения юридического лица (*lex incorporationis*) применяется к любым правоотношениям между участниками юридического лица, в рамках которых они осуществляют взаимные права и обязанности. К таким отношениям непосредственно отнесены отношения по созданию и прекращению юридического лица, передачи доли участия в нем от одного участника к другому, а также иные такие отношения. Эта норма также императивна, и

²⁷ Дубовицкая. Цит. соч. С. XXXI – XXXIII.

применительно к упомянутым отношениям между участниками юридического лица, созданного по казахстанскому праву, применимым правом может быть только казахстанское законодательство.

В частности, казахстанское право всегда является применимым правом к любым корпоративным договорам, заключаемым в отношении или по поводу юридического лица, учреждаемого или уже учрежденного по законодательству Республики Казахстан, в том числе таким, как:

- - учредительный договор;
- - о прекращении юридического лица;
- - об отношениях между участниками юридического лица, связанных с их взаимными правами и обязанностями;
- - соглашения между участниками о передаче акций или долей участия, их купле-продаже или иному отчуждению;
- - о внесении изменений и дополнений в вышеперечисленные договоры, а также их прекращении.

9. Обращает на себя внимание несовершенство редакции п. 2 ст. 1114 ГК. В частности, возникает вопрос о том, насколько императивным может быть требование о применении казахстанского права к передаче долей участия или акций от участника ТОО или акционера, соответственно, лицу, не являющемуся участником / акционером данного казахстанского юридического лица. По этому вопросу имеет место дискуссия в казахстанском праве. Например, М. К. Сулейменов считает, что в договорах о передаче акций можно определить иностранное право в качестве применимого, поскольку в таких договорах речь не идет об установлении взаимных прав и обязанностей действующих акционеров АО.²⁸ Свое мнение высказал Братусь Д.²⁹

По этому вопросу мной также высказана позиция, которая заключается в том, что, по общему правилу, любые договоры о возмездной или безвозмездной передаче долей участия в казахстанском юридическом лице или акций казахстанского АО подлежат регулированию законодательством Республики Казахстан.³⁰ В дополнение к ранее опубликованным аргументам следует добавить, что любая передача акций или долей участия означает не просто смену собственника в отношении объекта гражданских прав, но также и изменение по отношению к субъекту права (соответствующему юридическому лицу), чей правовой статус определяется, а деятельность регулируется правом страны учреждения этого юридического лица. В том числе обязательно применяются положения о праве преимущественной покупки, уведомлениях о намерении и осуществлении отчуждения либо приобретения крупного пакета акций, обязательных предложениях оставшимся акционерам, урегулированию вопросов об уплате дивидендов, созыве общих собраний и другие нормы.

Как отмечено выше, это классический подход, принятый в международном частном праве, что во избежание правовой неопределенности применению подлежат правила только одного правопорядка, а попытка объединить два права для регулирования одной и той же компании не допускается.³¹ В связи с этим, рассматривая возможности для частных лиц проявить автономию воли при заключении, например, акционерных соглашений, договоров по отчуждению акций и иных договоров, направленных на урегулирование корпоративных правоотношений или относящихся к юридическим лицам, следует помнить, что применение этого принципа может иметь определенные исключения.

В частности, применение автономии воли в трансграничных сделках ограничивается для того, чтобы не допустить оговорки в договоре условий в обход законодательных требований национально-публичного порядка. Кроме того, автономия воли не должна применяться для того, чтобы выбирать для включения в договор положения из разных законодательных систем для регулирования одного

²⁸ Гражданский кодекс Республики Казахстан (Особенная часть). Комментарий (постатейный): в двух книгах. Книга 2. Ответственные редакторы Сулейменов, Басин. Алматы, 2006. — 800 с.

²⁹ Братусь. Комментарий к статье 1114 Гражданского кодекса Республики Казахстан. http://online.zakon.kz/document/?doc_id=33033027#pos=5;-163 (26 марта 2017 г.)

³⁰ Карагусов. О применимом праве в трансграничных договорах купли-продажи акций казахстанских компаний. http://online.zakon.kz/Document/?doc_id=37693184#pos=0;0 (24 апреля 2017 г.)

³¹ Weller and Thomale. Companies. P.p. 409 - 410

правоотношения.³²

10. Также следует иметь в виду, что и Гагские принципы выбора применимого права в международных контрактах не регулируют выбор применимого права применительно к компаниям (п. 3 ст. 1).³³ В комментарии к этому положению указывается, что такое исключение сделано в связи с тем, что по данному вопросу нет консенсуса либо относительно квалификации соответствующих отношений в качестве договорных, либо относительно того, применима ли автономия воли к этим отношениям вообще. Причем, это не означает того, что в отношении этих исключенных аспектов автономия воли не применима: Гагские принципы нейтральны в этом вопросе, и они не препятствуют законодателю или иным субъектам в том, чтобы распространить применение автономии воли в отношении любого исключенного аспекта.

Что касается исключения компаний их-под сферы действия указанных Гагских принципов о применимом праве к договорам, то это исключение действует применительно к таким вопросам, как создание и организация компаний, иных коллективных образований и трастов, участие / членство в них, правоспособность, внутренняя организация, процедуры принятия решений, прекращение и ликвидация компаний и иных организаций. В упомянутом комментарии указывается, что во многих государствах эти вопросы регулируются специальными положениями международного частного права о компаниях (как правило, это – право страны учреждения или нахождения органа управления). При этом Гагские принципы применимы к договорам самих компаний с третьими лицами, а также к коммерческим контрактам между участниками компаний (акционерные соглашения).

11. Последняя оговорка, однако, не позволяет выбор иного права, кроме казахстанского, применительно к акционерным соглашениям. Как указано выше, в соответствии с п. 2 ст. 1114 ГК любые «отношения между участниками юридического лица, связанные с их взаимными правами и обязанностями», если это юридическое лицо учреждено в соответствии с законодательством Республики Казахстан, подлежат регулированию казахстанским правом.

Такой подход, отраженный в казахстанском праве, представляется обоснованным. Как в гражданском праве особо выделяется корпоративное право, так и в международном частном праве выделяется международное право компаний. Во многих случаях основаниями для возникновения, изменения или прекращения корпоративных отношений является не сделка, а иные юридические факты или события (наиболее распространенными и важными, но не единственными, из которых являются решения собраний). В связи с этим большая часть корпоративных отношений не является договорными, но регулируются нормами императивного свойства.

Это замечание касается и так называемых корпоративных договоров, понятие и классификацию которых в настоящее время предполагается включить в состав казахстанского законодательства. К категории таких корпоративных договоров относятся не только соглашения акционеров и учредительные договоры. В частности, устав юридического лица также является своеобразным корпоративным договором. Однако, если изначально он принимается единогласно, то в последующем при внесении в него изменений и дополнений его действие в полной мере распространяется даже в отношении тех, кто голосовал против этих изменений и дополнений либо по каким-то причинам не участвовал в принятии соответствующего корпоративного решения. Такая двойственная природа устава признается и в иностранном праве.³⁴

Такой же двойственной природой обладают и другие корпоративные акты, как, например, кодекс корпоративного управления, методика выкупа компанией собственных ценных бумаг и другие. Решения собраний являются основаниями для возникновения и иных видов корпоративных отношений, как избрание директоров, реорганизация и ликвидация компании, выпуск или выкуп ценных бумаг, и многое другое. Эти отношения не являются договорными по своей правовой природе, и подле-

³² Watt. Party autonomy. In: Encyclopedia of Private International Law. Basedow, Rühl, Ferrari and Asensio (eds.). Cheltenham, Northampton: Edward Elgar, 2017. Volume 1. P.p. 1336 – 1338.

³³ См. Principles On Choice of Law in International Commercial Contracts (approved on 19 March 2015). <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=135#text> (14 октября 2018 г.)

³⁴ Шмидт-Тренц, Плате, Пашке и др. Цит. соч. С. 318.

жат регламентации преимущественно императивными нормами корпоративного права, в отношении которых свобода договора или автономия воли не применяется.

Вышеизложенное выявляет вопросы, уточнение которых в законодательстве Казахстана представляется целесообразным. Желательным является то, чтобы проводимая в настоящее время деятельность Министерства юстиции по вопросам совершенствования корпоративного законодательства включала и переосмысление вопросов применимого права в правоотношениях, связанных с учреждением и существованием юридических лиц с иностранным участием.

გარიგების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება სანივთო გარიგების მეშვეობით

I. შესავალი

მოცემული სტატიის თემას წარმოადგენს გამიჯვნის პრინციპის როლი გარიგების შინაარსის თავისუფლებისას, ანუ საკითხი, შეიძლება თუ არა ჰქონდეს ამ პრინციპს რაიმე თავისთავადი მნიშვნელობა სხვა პრინციპებისაგან დამოუკიდებლად და შეიძლება თუ არა მოიტანოს რაიმე სარგებელი სამართლის სისტემაში, რომელშიც აბსტრაქციის პრინციპი ცალსახად უკუგდებულია. სწორედ ასეთ სისტემას წარმოადგენს ქართული სანივთო სამართალი. გერმანული სანივთო სამართლის რეცეფციისას ქართულმა საკანონმდებლო კომისიამ და მისმა *spiritus rector*-მა გერმანულმა პროფესორმა როლფ კნიპერმა ცალსახად უკუაგდო აბსტრაქციის პრინციპი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში ცალსახადაა გამყარებული ვალდებულებითი მოთხოვნის აუცილებლობა (კაუზალური გარიგება) მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლისათვის, ისევე როგორც თავად ნივთის გადაცემა (*traditio*). ამით აბსტრაქციის პრინციპის მოქმედება თავიდანვე გამორიცხულია. ასე ცალსახა არ არის გამიჯვნის პრინციპის საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები ორად იყოფა,¹ ხოლო სასამართლო პრაქტიკა ძირითადად აღიარებს მას.² გამიჯვნის პრინციპი, პირველ ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ განკარგვა წარმოადგენს დამოუკიდებელ გარიგებას, რომელიც ფაქტობრივად შეიძლება ემთხვეოდეს მავალდებულებელ შეთანხმებას, თუმცა სამართლებრივად როგორც დამოუკიდებელი გარიგება, ისე უნდა შეფასდეს.³

სამართლის თანამედროვე დოგმატიკაში გამიჯვნის პრინციპი აბსტრაქციის პრინციპთან ერთად ფრიდრიხ კარლ ფონ სავინის ცნებათა სამყაროდან წარმოდგება.⁴ თუმცა მასაც, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ფიგურას, აქვს თავისი წინამორბედი რომის სამართალში. რომის სამართლიდან ორივე ცნობილი ფრაგმენტი, რომლებსაც *სავინიმ* აბსტრაქციის პრინციპი დააფუძნა,⁵ თავდაპირველად ჯერ გამიჯვნის პრინციპის დასასაბუთებ-

* გიორგი რუსიაშვილი LL. M (Saarland Univ.) არის სამართლის დოქტორი, თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი და თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

¹ ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი 2003, მე-9 და მომდევნო გვერდები; ზურაბ ჭეჭელაშვილი, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა, ქართული კერძო სამართლის კრებული I, თბილისი 2004, 90-ე და მომდევნო გვერდები; გიორგი მარიამიძე, კაუზულები სანივთო სამართალში I, თბილისი 2014; გიორგი რუსიაშვილი, კაუზულები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 257-ე და მომდევნო გვერდი; დანელია, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოცემა (2008), 31, 64-ე და მომდევნო გვერდი; ბეგიაშვილი, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (2013), 53, 61; იხ. გამიჯვნის პრინციპის საწინააღმდეგოდ ლადო ჭანტურია, უძრავ ნივთებზე საკუთრება, თბილისი 2003, 183; იგივე, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2013, 137; ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხ. 186 30-ე და მომდევნო ველები.

² შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-1283-1538-09, 25/06/2010; საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-221-213-2012 24/07/2012; საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-483-457-2012, 20/09/2012; საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-304-289-2013, 25/10/2013; საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-1147-1094-2013, 14/07/2014; საქართველოს უზენაესი სასამართლო № ას-1504-1424-2017, 9/02/2018.

³ Astrid Stadler, *Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion*, Tübingen 1996, 7.

⁴ Friedrich Carl v. Savigny, *System des heutigen Römischen Rechts*, Band III, Berlin 1840, 312 f., Wilhelm Felgentraeger, *Friedrich Carl v. Savignys Einfluß auf die Übereignungslehre*, Leipzig 1927, 31 ff.

⁵ Friedrich Carl v. Savigny, *Das Obligationenrecht als Theil des heutigen Römischen Rechts*, Band II, Berlin 1854, 257; Felgentraeger, Friedrich Carl v. Savignys Einfluß auf die Übereignungslehre, ზემოთ სქ.4, 33 f.; Dieter Haag Molkennteller, *Die These vom dinglichen Vertrag*, Frankfurt a. M. 1991, 86 f.; Jens T. Füller, *Eigenständiges Sachenrecht?* Tübingen 2006, 121.

ლად გამოიყენა. ესენია ფრაგმენტი ინსტიტუციებიდან,⁶ სადაც საკუთრების გადაცემის ნებაზე კეთდება აქცენტი და იულიანეს ფრაგმენტი,⁷ სადაც ის აღწერს შემთხვევას, როდესაც ნივთის გადაცემა ხდება საკუთრების გადასვლის მიზნით, თუმცა გამცემსა და შემძენს შორის წარმოიშვება დისენსუსი საკუთრების მოპოვების საფუძველთან დაკავშირებით. იულიანეს მიხედვით, საკუთრება ამ შემთხვევაშიც გადადის შემძენზე, რასაც საინი აბსტრაქტული სანივთო გარიგების კონცეფციის გასამყარებლად იყენებს.

მიუხედავად მისა, თანამედროვე გერმანულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის თავისთავადი მნიშვნელობა ძირითადად ყურადღების მიღმაა დატოვებული. თითქმის ყოველთვის, როდესაც მის აუცილებლობაზე მიდგება საქმე, დისკუსია აბსტრაქციის პრინციპის საჭიროებისაკენ წარიმართება ხოლმე, ანუ საბოლოოდ სწორედ აბსტრაქციის პრინციპით მართლდება ასევე გამიჯვნის პრინციპიც.⁸ ამიტომაც, ჩვეულებრივ, გამიჯვნის პრინციპს აბსტრაქციის „წინარე საფეხურად“ მოიხსენიებენ.⁹ გერმანული პერსპექტივიდან ეს სრულებით გამართლებულია— გერმანელი იურისტისათვის, რა თქმა უნდა, არანაირი აზრი არ აქვს ჰიპოთეზურ მსჯელობას გამიჯვნის პრინციპის მოქმედების შესახებ კაუზალობის პრინციპის პირობებში, მაშინ როდესაც კაუზალობის პრინციპი გერმანიაში არ მოქმედებს. გამომდინარე აქედან, გერმანული დისკურსიდან მოპოვებული არგუმენტების გამოყენება ქართულ სამართალში მხოლოდ შერჩევითად არის შესაძლებელი. თუმცა აქვეა უკუსაგდები ის მოსაზრება, რომ გამიჯვნის პრინციპის მოქმედება აბსტრაქციის პრინციპის გარეშე ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ამის დასტურს წარმოადგენენ ის ქვეყნები, სადაც გამიჯვნის პრინციპი კაუზალობის პრინციპთან ერთად თანაარსებობს. ეს არის, მაგალითად, შვეიცარია, ავსტრია, საბერძნეთი და ა.შ.

II. გამიჯვნის პრინციპის მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმგვარად არის კონცეპირებული, რომ არ ტოვებს ადგილს გამიჯვნის პრინციპის მოქმედებისათვის. ამ მოსაზრების მიმდევრები, პირველ ყოვლისა, უთითებენ სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლზე— მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის შემადგენლობა — სადაც მართლაც არ არის საუბარი სანივთო გარიგების შესახებ. ამ დანაწესის თანახმად, საკუთრების გადაცემისათვის, კაუზალური გარიგების გარდა, აუცილებელია მხოლოდ *traditio*— მფლობელობის მინიჭების რეალაქტი. ეს მნიშვნელოვანი არგუმენტია გამიჯვნის წინააღმდეგ. მაგრამ მის საპირისპიროდ შესაძლებელია შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 714-ე მუხლზე მითითება, საიდანაც ასევე არ იკითხება გამიჯვნის პრინციპი, თუმცა ის შვეიცარიაში ცალსახად აღიარებულია. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმის ფორმულირება და კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფიგურები ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებენ გამიჯვნაზე სანივთო და ვალდებულებით გარიგებებს შორის.¹⁰ 1. პირველ ყოვლისა, ეს არის სსკ-ის 477-ე მუხლი, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების ტიპურ ვალდებულებებს განსაზღვრავს: აქაც, ისევე როგორც გსკ-ის 433-ე პარაგრაფის შემთხვევაში, ერთმანეთისაგან გამიჯნულია მფლობელობის მინიჭებისა და საკუთრების გადაცემის ვალდებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ ნასყიდობის დადება და მის შესასრულებლად მფლო-

⁶ Inst. 2.1.40.

⁷ D. 41.1.36.

⁸ შდრ. Hans Brox, Allgemeiner Teil, 36. Aufl., München 2012, Rn. 117; Hans-Martin Pawlowski, Allgemeiner Teil, 7. Aufl., Heidelberg 2003, Rn. 591; Bernd Rütters, Allgemeiner Teil, 9. Aufl., München 1993, Rn. 285; Karl Larenz, Schuldrecht Besonderer Teil, 13. Aufl. München 1986, § 39 II d (19). Vgl. auch Claude Witz, Analyse critique des règles régissant le transfert de propriété, Festschrift für Günther Jahr (1993), 533.

⁹ Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ.3,114, 277, 732; in dieser Richtung auch Heinrich Honsell, Tradition und Zession – kausal oder abstrakt? FS Wiegand, Bern-München 2005, 357 ff.

¹⁰ პანდექტური აგებულება, რომელიც საფუძვლად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, აუცილებლობის ძალით მიანიშნებს გამიჯვნის პრინციპზე და ზოგადად სუვერენული სანივთო სამართალი წარმოუდგენელია სანივთო გარიგების გარეშე, იხ. ამასთან დაკავშირებით Jakob Fortunat Stagl, Eigentumsübertragung beim Kauf beweglicher Sachen im DCFR und CESL, RabelsZ 79 (2015), 388 f.; Horst Heinrich Jakobs, Gibt es den dinglichen Vertrag? ZRG RA 119 (2002), 287 ff.; Hans Brandt, Eigentumserwerb und Austauschgeschäft, Leipzig 1940, 66 f.; Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, hrsg. von Benno Mugdan, Band III, Berlin-Leipzig 1899, 2, 5.

ბელობის გადაცემა არ არის საკმარისი საკუთრების გადაცემისათვის, არამედ ეს საკუთრების გადაცემა დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტით, კერძოდ სანივთო გარიგებით, უნდა მოხდეს.

2. სანივთო სამართალში მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის შემადგენლობის გვერდით, სსკ-ის 188-ე მუხლში, მონესრიგებულია პირობადებული საკუთრება, რომლის არსისა და მექანიზმის გაგება შეუძლებელია სანივთო გარიგების გარეშე. გადადების პირობით შეიძლება დაიდოს მხოლოდ გარიგება და არა მფლობელობის გადაცემის რეალაქტი—*traditio*.¹¹ შესაბამისად, თუ არ არსებობს სანივთო ხელშეკრულება, მაშინ პირობადებული შეიძლება იყოს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება.¹² ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომ არის მონესრიგებული პირობადებული საკუთრება სანივთო სამართალში. გარდა ამისა, თუ ნასყიდობაა პირობადებული, ეს ნიშნავს იმას, რომ ის სრულად არის პირობადებული, ანუ ორივე მხარისათვის—პირობის დადგომამდე მყიდველი არ ხდება მესაკუთრე და არც გამყიდველს აქვს მის წინააღმდეგ ფასის გადახდის მოთხოვნა.¹³ პირობადებული ნასყიდობის ამ მოუქნელი შედეგის თავიდან აცილებას ფრანგების ხვდასხვა კონსტრუქციის მეშვეობით ცდილობენ, თუმცა ამ კონსტრუქციითა დოგმატურად გამართვა უკვე შეუძლებელია.¹⁴ ამიტომაც უპირობოდ დადებული ნასყიდობა და პირობადებული სანივთო გარიგება წარმოადგენს პირობადებული საკუთრების ოპტიმალურ კონსტრუქციას, თუმცა ამისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია, რომ ეს სანივთო გარიგება საერთოდ არსებობდეს.

3. გამიჯვნის პრინციპის გარეშე შეუძლებელია იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს სსკ-ის 102-ე მუხლში მონესრიგებული „განკარგვის გარიგება“. განკარგვის, როგორც გარიგების აღიარება, სწორედ რომ გამიჯვნის პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს¹⁵ და ის ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუ, ნასყიდობის გარდა, აუცილებელია სხვა გარიგებაც საკუთრების გადაცემისათვის, მაშინ ქონებრივი სიკეთეების ტრანსფერის უფრო მრავალფეროვანი შინაარსობრივი გამართვა შესაძლებელი, ვიდრე მხოლოდ ერთი გარიგების პირობებში.

ამ კონტექსტშივე სახსენებელი მოთხოვნის დათმობის გარიგება, რომელიც საქართველოში სანივთო სამართალშია მონესრიგებული. ამ ინსტიტუტის სისტემური ადგილიდან და მისი შემადგენელი დანაწესების შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს მოთხოვნის მიყიდვის ან მოთხოვნის ჩუქებისაგან გასამიჯნ დამოუკიდებელ განკარგვით გარიგებას.¹⁶ მაშინ საკმაოდ გაურკვეველია, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს სწორედ საკუთრების გადაცემა მხოლოდ რეალაქტად.

4. გამიჯვნის პრინციპის შემდეგი მტკიცებულებაა სსკ-ის 324-ე მუხლში მონესრიგებული „გასხვისების გარიგება“, რომელსაც კანონმდებელი მიჯნავს ამ გასხვისების მავალდებულებული გარიგებისაგან. აქვეა სახსენებელი სსკ-ის 114-ე მუხლი, რომელიც გსკ-ის 181-ე პარაგრაფის კალკს წარმოადგენს და „შესრულების გარიგების“ შესახებ საუბრობს, ანუ ისეთი გარიგების შესახებ, რომლის დადების შედეგადაც სრულდება სხვა გარიგება. ამგვარი მიმართება კი, ჩვეულებრივ, ვალდებულებით კაუზალურ და სანივთო შესრულების გარიგებებს შორის წარმოიშობა.

5. თუ ქართული სამართალი არ აღიარებს სანივთო გარიგებას, მაშინ გაუგებარია, თუ რას წარმოადგენს სანივთო სამართალში მონესრიგებული დერელიქცია (სსკ-ის 184-ე მუხლი), უარი იპოთეკაზე (სსკ-ის 299-ე მუხლი), გირავნობაზე (სსკ-ის 272-ე მუხლი) ან ნებისმიერ სხვა სანივთო უფლებაზე (მაგ. სსკ-ის 238 I მუხლი). ესენი, ყველანი, ცალმხრივი გარიგებებია და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ რეალაქტები. მათი შედგომისთვის აუცილებელია გარიგებისმიერი ნების გამოხატვა.¹⁷ მაგრამ თუ ეს აქტები გარიგებებია, მაშინ ისინი სანივთო გარიგებების რიცხვს უნდა

¹¹ Honsell, FS Wiegand, ზემოთ სქ.9, 353; ders., Honsell, Schweizerisches Obligationenrecht, Besonderer Teil, 7. Aufl., Bern 2003, § 14.

¹² Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ.3, 278 ff.

¹³ Honsell, FS Wiegand, ზემოთ სქ.9, 353; ders., Honsell, Schweizerisches Obligationenrecht, Besonderer Teil, 7. Aufl., Bern 2003, § 14.

¹⁴ Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ. 3, 279.

¹⁵ Larenz, Schuldrecht Besonderer Teil, ზემოთ სქ.8, § 39 II d (16), Stefan Habermeier, Das Trennungsdenken, AcP 195 (1995), 288 Anm. 1; Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ. 3, 7.

¹⁶ შდრ. ამასთან დაკავშირებით Honsell, FS Wiegand, ზემოთ სქ.9, 366 ff.

¹⁷ შდრ. Enneccerus/Wolff/Raiser, Sachenrecht, 10. Aufl., Tübingen 1957, § 78 II 1 b (290); Kohler, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 875 Rn. 1 ff.; Damrau, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 1255 Rn. 1.

მივაკუთვნოთ, რადგან არანაირი ვალდებულებითი ეფექტი მათ არა ქვთ. ამ შემთხვევაში კი საკმაოდ გაუგებარი რჩება, თუ რატომ აღიარებს ქართული სანივთო სამართალი მხოლოდ ცალმხრივ სანივთო გარიგებებს და არ აღიარებს ორმხრივს, როგორც არის, მაგალითად, საკუთრების გადაცემა.

გარდა ამისა, ქართულ სამართალში არსებობს მთელი რიგი დანაწესებისა, რომლებიც იძლევა სანივთო უფლების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, დატვირთული ნივთის საკუთრებაში გადაცემის დათქმა გირავნობის ან იპოთეკის სამართალში. თუ სანივთო გარიგება არ არსებობს, ყველა ეს დანაწესი მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივ შეთანხმებას ეხება და მათი ადგილი ვალდებულებით სამართალშია შესაბამისი ქვეთავის – „გირავნობის ხელშეკრულების“ ან „იპოთეკის ხელშეკრულების“ – ქვეშ.

თუმცა მოცემულ დანაწესებზე მითითებით, ისევე როგორც ზოგადი შენიშვნით, რომ სამართლებრივ სიკეთეთა გადაცემის გერმანული მოდელის რეცეფცია არსად არ მომხდარა გამიჯვნის პრინციპის გარეშე, ქართველ სექსტიკოსთა დარწმუნება შეუძლებელია; ასევე იმ არგუმენტით, რომ, განსხვავებით ინსტიტუციების სისტემისაგან, პანდექტური აგებულება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსს უდევს საფუძველად, პირდაპირ მიანიშნებს გამიჯვნის პრინციპის არსებობაზე და ზოგადად სანივთო გარიგებას უვერენული სანივთო სამართლის კორელატს წარმოადგენს.¹⁸ სანივთო გარიგების გარეშე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული ტრადიციის პრინციპით ქართული მართლწესრიგი ესპანურ პარადიგმას გაიმეორებს, ანუ რომანული მართლწესრიგის ე.წ. კომპრომისულ გადაწყვეტას, სადაც ერთიანობის პრინციპს ტრადიციის პრინციპი ავსებს. საკმაოდ უცნაური შედეგი იმ წამოწყებისა, რომელსაც გერმანული სამართლის რეცეფცია ერქვა. ესპანურ მართლწესრიგში, ისევე როგორც ფრანგულში ამოსავალ წანამძღვრად მიჩნეულია ის დათქმა, რომ ვალდებულებითი გარიგება საკუთარ თავში მოიცავს განკარგვის მომენტს, თუმცა საფრანგეთისაგან განსხვავებით, საკუთრების გადაცემისათვის დამატებით აუცილებელია ასევე მფლობელობის გადაცემა. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ასევე ესპანელთათვის ამოსავალ წერტილს ერთიანობის პრინციპი წარმოადგენს, საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღება მივაპყროთ იმ მართლწესრიგს, რომელიც ამ თვალსაზრისით პარადიგმატულ ხასიათს ატარებს, კერძოდ, ფრანგულ სამართალს.

III. გამიჯვნის პრინციპი ფრანგულ სამართალში

გამიჯვნის პრინციპი ფრანგულ სამართალში ცალსახად უკუგდებულია.¹⁹ თუმცა, მიუხედავად ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, ფრანგულ კერძო სამართალში გვხვდება ცალკეული შემთხვევა და გადაწყვეტა, რომელთა ახსნაც მოცემული პრინციპის გარეშე შეუძლებელია²⁰ მაშინაც კი, როდესაც მისი მოქმედება ცნებებისა და კანონის სისტემატიკის დონეზე არსად არის კონსტატირებული.²¹ ფრანგულ სამართალშიც არსებობს შემთხვევები, როდესაც საკუთრება მყიდველზე ვერ გადავა ნასყიდობის დადებასთან ერთად.²² მაგალითად, გერმანულის დარად, ფრანგული სამართალიც იცნობს ჯერ არ არსებული ნივთების ნასყიდობას, გვაროვნული ნივთის ნასყიდობას²³ და პირობადებულ საკუთრებას. ყველა ამ შემთხვევაში ნასყიდობის დადებასთან ერთად საკუთრების მყიდველზე გადასვლა ან არ არის ნასურვები მხარეთა მიერ, ან ფაქტობრივად გამორიცხულია.²⁴ გვაროვნული ვალდებულების სპეციფიკაციასთან ერთად—იგივე ეხება მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდას—ნასყიდობის შემადგენლობას უნდა დამატოს დამატებითი ქმედება, რათა საკუთრება შემძენზე გადავიდეს. ამგვარი შემთხვევების მაგალითები ამით არ ამოიწურება: მოთხოვნის დათმობის ნამდვილობა

¹⁸ Larenz, Schuldrecht Besonderer Teil, ზემოთ სქ.8, § 39 II c (16); Konrad Zweigert/Hein Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, Band I, Tübingen 1971, §15 (213 ff.); Witz, FS Jahr, ზემოთ სქ. 8, 547.

¹⁹ Larenz, Schuldrecht Besonderer Teil, ზემოთ სქ.8, § 39 II c (16); Konrad Zweigert/Hein Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, Band I, Tübingen 1971, §15 (213 ff.); Witz, FS Jahr, ზემოთ სქ. 8, 547.

²⁰ Habermeier, AcP 195 (1995), ზემოთ სქ.15, 287.

²¹ შდრ. საკმარისია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1138-ე და 1583-ე მუხლები.

²² Habermeier, AcP 195 (1995), ზემოთ სქ.15, 287.

²³ Witz, FS Jahr, ზემოთ სქ. 8, 538 ff.

²⁴ შდრ. Witz, FS Jahr, ზემოთ სქ. 15, 543.

მოთხოვნის ნასყიდობის გარდა მოითხოვს ასევე ამ დათმობის შეტყობინებას მოვალისათვის.²⁵ აქ მხარეები ვერ ასცდებიან რამდენიმე სამართლებრივი აქტის განხორციელების უცილებლობას, თუ დადებული გარიგების სრულად შესრულება სურთ. ამ გაგებით, ფრანგული სამართალი მოთხოვნის ცესიისას მეტწილად შეესატყვისება გერმანული სანივთო სამართლის გადაწყვეტას მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებით.²⁶ იგივე წესი მოქმედებს საორდერო ფასიანი ქაღალდის გადაცემისას: აქაც, მართალია, ნასყიდობის წინაპირობას მხოლოდ მხარეთა შორის კონსენსუსი წარმოადგენს, თუმცა უფლების გადაცემა ვერ მოხდება დამატებითი აქტის, კერძოდ, ინდოსამენტი (და დოკუმენტის გადაცემის) გარეშე.²⁷

ამგვარად, ფრანგული სამართალი იცნობს შემთხვევებს, როდესაც, ვალდებულებითი გარიგების გარდა, აუცილებელია კიდევ დამატებითი სამართლებრივი აქტი საკუთრების გადაცემისათვის, თუმცა არ აქვს ამ აქტის კლასიფიკაციისათვის რაიმე გამზადებული სამართლებრივი ფიგურა თავის არსენალში. მაშინ იბადება კითხვა, თუ რატომ აწყდება ამ სამართლებრივი ფიგურის, კერძოდ კი, გამიჯვნის პრინციპის აღიარება ასეთ მძაფრ ოპოზიციას.

IV. გამიჯვნის პრინციპის კრიტიკა

გამიჯვნის პრინციპის კრიტიკას გრძელი ისტორი აქვს. ჯერ კიდევ ოტო ფონ გირკე მოიხსენიებდა გადაწყვეტას, რომლის მიხედვითაც წყვილი ხელთათმანის ნასყიდობისას სამი გარიგება უნდა დაიდოს, „დოქტრინალურ ძალადობად რეალურ ცხოვრებაზე“. ეს არგუმენტი დღემდე ხშირად გამოიყენება ხოლმე. თუმცა მისი გაქარწყლება საკმაოდ მარტივია. გამიჯვნის პრინციპი აღიარებს სამართლებრივ შემადგენლობათა და არა ფაქტობრივ ხდომილებათა სიმრავლეს. მართალია, ის ამით არ გვთავაზობს სანივთო განკარგვის გარიგების ნამდვილობად დატოვების შესაძლებლობას, როდესაც კაუზალური გარიგება ჩაიშლება, თუმცა მისი წყალობით შესაძლებელია სულ მცირე საპირისპირო შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღება—კერძოდ, კაუზალური ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობა მაშინაც კი, როდესაც სანივთო არანამდვილად უნდა გამოცხადდეს. საკუთრების გადაცემის ეს დანაწევრება ორ სამართლებრივ შემადგენლობად, რომლებიც განსხვავებულ წინაპირობებზეა დამოკიდებული, იძლევა საკუთრების გადასვლის ჩაშლის შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვალდებულებითი გარიგება ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი. გამიჯვნის პრინციპის გარეშე ეს შედეგი საკმაოდ რთულად მისაღწევია, რადგან თუ არარსებობს სანივთო გარიგება, მაშინ ვალდებულებითი გარიგება ყველა მის შედეგს საკუთარ თავში მოიცავს. ანუ მავალდებულებელი გარიგების შინაარსის ნებისმიერი ტიპის გამართვა ავტომატურად აისახება სანივთო სიბრტყეში და ამის გამო ყოველთვის არ ხერხდება საკუთრების გადასვლის უარყოფა, იმავდროულად, მავალდებულებელი გარიგების გაბათილების გარეშე. თუმცა ეს შედეგი ყოველთვის არარის ნასურვები და ხანდახან კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მხარეთა ინტერესებს.

მიუხედავად ამისა, ამ ტიპის ზოგადი მოსაზრებებით ქართველ სკეპტიკოსთა დარწმუნება შეუძლებელია. რადგან ისინი საერთოდ არ შედიან დოგმატურ დისკუსიაში, არამედ მხოლოდ ერთ კონტრარგუმენტზე აპელირებენ:²⁸ „რა სარგებელი მოაქვს ამას პრაქტიკაში?“. ამ არგუმენტის უკუგდება კი კონკრეტული კაზუსტიკის გარეშე შეუძლებელია.

V. არასრულწლოვანი ან ფსიქიკური აშლილობის მქონე შემძენი

თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევებზე მითითება არც თუ ისე რთულია. რეალურად ქართულ სამართალშიც არსებობს მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც პირმა არ უნდა მოიპოვოს საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ნამდვილი ვალდებულებითი კაუზალური გარიგება და ნივთი გადაეცა შემძენს. გამიჯვნის პრინციპის გარეშე, ჩვეულებრივ, შეუძლებელია საკუთრების

²⁵ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი.

²⁶ *Habermeier*, AcP 195 (1995), ზემოთ სქ. 15, 289.

²⁷ *Habermeier*, AcP 195 (1995), ზემოთ სქ. 15, 289 და იქ მითითებული ლიტერატურა.

²⁸ გარდა იმ არგუმენტისა, რომ ეს პრინციპი კანონში არსად არ არის მოწესრიგებული, რაც, როგორც ზევით იქნა აღნიშნული, სიმართლეს არ შეესატყვისება.

გადაცემის ჩაშლა კაუზალური გარიგების გაბათილების გარეშე, რასაც არასასურველ შედეგებამდე მიყვავართ.

1. არასრულწლოვანი/ფსიქიკური აშლილობის მქონე შემძენი

ამის მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვანი შემძენის შემთხვევა: მშობლები დებენ თავიანთი ათი წლის შვილის სახელით ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლიდანაც ბავშვი საკუთრების გადაცემის ნამდვილ მოთხოვნას მოიპოვებს. სამი დღის შემდეგ, როდესაც გამყიდველი საკუთრების გადასაცემად მიაშურებს მყიდველის, სახლში მას მხოლოდ ბავშვი დახვდება და სწორედ მას გადასცემს ნივთს. გადავიდა თუ არა აქ საკუთრება? წესით, აქ ამისთვის ყველა წინაპირობა სახეზეა—ნამდვილი კაუზა და შესრულების მიზნით მომხდარი გადაცემა გამყიდველის მხრიდან. გადაცემის რეალაქტის შედგომისათვის—მფლობელობის მოპოვება, საჭიროა მხოლოდ ნატურალური ნება, რაც არასრულწლოვანს აქ ყოველ მიზეზგარეშე გააჩნია. მიუხედავად ამისა, აქ საკმაოდ ცალსახაა, რომ არასრულწლოვანმა კრედიტორმა საკუთრება არ უნდა მოიპოვოს, რადგან ამით ის კარგავს თავის მოთხოვნას ნასყიდობის ხელშეკრულებიდან—არასარგებლიანი გარიგება. თუ არასრულწლოვანი ნივთს გადაცემისთანავე ფანჯრიდან მოისვრის, მას უნდა ჰქონდეს სხვა ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება და ეს მოცულია არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით.²⁹ გერმანულმა სამართალმა ამ შემთხვევების გადანყვეტის საკმაოდ დახვეწილი გზა შეიმუშავა—არასრულწლოვანი მოიპოვებს საკუთრებას, თუმცა ეს არ ითვლება შესრულებად, რადგან მას აკლია შესრულების მიღების კომპეტენცია.³⁰ ეს გამიჯვნა საკუთრების მოპოვებასა და შესრულების ეფექტს შორის თავის წინაპირობად მიითვლის არა მხოლოდ გამიჯვნის პრინციპს, არამედ შინაგან აბსტრაქციასაც კაუზალურ გარიგებასა და საკუთრების გადაცემას შორის, რომლის განხორციელებაც ქართულ სამართალში შეუძლებელია. ამიტომაც ერთადერთ გამართლებულ გადანყვეტას საკუთრების გადაცემის სრულად უარყოფა წარმოადგენს, რათა იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ნივთს ფანჯრიდან მოისვრის, ამით მან სხვისი და არა საკუთარი ნივთი გაანადგუროს. მაგრამ რამ შეიძლება ჩაშალოს აქ საკუთრების გადასვლა? ერთადერთ გარიგებისმიერ ნებელობით მომენტს შეიცავს სანივთო გარიგება და მხოლოდ სანივთო შეთანხმების სიბრტყეშია შესაძლებელი არასრულწლოვანის ნების ნაკლის გამო საკუთრების გადასვლის უარყოფა. თუმცა ამისათვის აუცილებელია სანივთო გარიგების არსებობა, რომელიც ამ ნების ნაკლის გამო არანამდვილი იქნებოდა და ჩაშლიდა საკუთრების გადაცემას.

იგივე პრობლემა წარმოიშობა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისათვის ან ამ პირის მიერ გადაცემული ნივთის შემთხვევაშიც და ზოგადად ყოველთვის, როდესაც საკუთრების გადასვლა უნდა გამოირიცხოს ნების ნაკლის ან კანონისმიერი აკრძალვის მიზეზით, მიუხედავად კაუზალური გარიგების ნამდვილობისა. დამატებითი მაგალითის სახით შესაძლებელია შეძენის აკრძალვაზე მითითება.³¹

2. სანივთო გარიგების საცილობა

სანივთო გარიგების დამოუკიდებლად შეცილების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც ეს სანივთო გარიგება საერთოდ არსებობს. შეცილების ეს შესაძლებლობა არც თუ ისე უმნიშვნელო როლს ასრულებს პრაქტიკულ ცხოვრებაში, რადგან ყოველთვის არ არის ხოლმე საკუთრების გადაცემასთან ერთად ასევე მის საფუძვლად მდებარე კაუზალური გარიგება იმავე ან სხვა მიზეზით საცილო.³² ქართული რეალობისათვის საკმაოდ უცხო შემთხვე-

²⁹ Helmut Kohler/Heinrich Lange, BGB Allgemeiner Teil, 42. Aufl., München 2018, § 10 Rn. 18; vgl. dagegen Manfred Harder, Die Erfüllungsnahme durch den Minderjährigen, lediglich ein rechtlicher Vorteil, JuS 1977, 151.

³⁰ Andreas Wacke, Nochmals - Die Erfüllungsnahme durch den Minderjährigen - lediglich ein rechtlicher Vorteil? JuS 1978, 83.

³¹ შდრ. მაგალითისათვის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები.

³² იხ. სანივთო გარიგების დამოუკიდებლად საცილობასთან დაკავშირებით *TheoMayer-Maly*, in Münchener Kommentar zum BGB, 3. Aufl. 1993, § 142 Rdn. 19; *Stefan Grundmann*, Zur Anfechtbarkeit des Verfügungsgeschäfts, JA 1985, 82; OLG Hamm VersR 1975, 814 f.; *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014, § 142 Rn. 4; Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, hrsg. von Benno Mugdan, Band I, 473; *Horst Heinrich Jakobs/Werner Schubert*, Die Beratung des Bürgerlichen Gesetzbuches in systematischer Zusammenstellung unveröffentlichter Quellen, Berlin-New York 1985, 738 ff., 77; *Hans-Peter Haferkamp*, Anfechtung von Grund- und Erfüllungsgeschäft, Jura 1988, 512.

ვა, ხამანკაში მარგალიტის აღმოჩენისა,³³ გვერდზე რომ გადავდოთ, საქართველოშიც სრულებით შესაძლებელია ნასყიდობა დაიდოს შეცდომის, მოტყუების ან იძულების გარეშე, თუმცა საკუთრების გადაცემა მაინც შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით მოხდეს. სანივთო გარიგების დამოუკიდებელი საცილოობა წარმოადგენს შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვას. მაგალიტის სახით შესაძლებელია გვაროვნული ნივთის ნასყიდობის მოყვანა, რომლიდანაც გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს საშუალო ხარისხის ნივთი, მაგრამ გადაცემისას მას მოსდის შეცდომა და იმავე გვარის ნივთს გადასცემს, თუმცა საშუალოსთან შედარებით სამმაგი ღირებულების მქონეს. ან გამყიდველი ცდება მყიდველის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით და უარს ამბობს საკუთრებისათვის პირობის დადებაზე³⁴—შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში. ორივე შემთხვევაში გამყიდველს მოსდის შეცდომა არა ნასყიდობის დადებისას ან ვალის დაფარვის მიზნის განსაზღვრისას, არამედ სანივთო შეთანხმების შემადგენლობაში, ამიტომაც სანივთო გარიგების დამოუკიდებელი საცილოობის გარეშე დამდგარი შედეგი სრულებით გაუმართლებელია—გამყიდველისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, შეცდომით გაყიდის ნივთს თუ შეცდომით გადასცემს საკუთრებას.³⁵ ამ შემთხვევაში საკუთრების სამუდამოდ გადასვლის დაშვება შეუთავსებელია კერძო ავტონომიის პრინციპებთან. თუმცა გამიჯვნის პრინციპის გარეშე ამ შედეგს უნდა შევეგუოთ, რადგან რეალაქტის საცილოობა შეუძლებელია.

3. შინაარსის გამართვის თავისუფლება გამიჯვნის პრინციპის მეშვეობით

საერთო სურათის შექმნისათვის აუცილებელია იმ შემთხვევებზე მითითებაც, რომლებიც ნათელყოფენ, რომ მხოლოდ გამიჯვნის პრინციპის მეშვეობითაა შესაძლებელი კაუზალური გარიგებისა და მისი შესრულების აქტის შინაარსობრივად დამაკმაყოფილებლად გამართვა. ის გარემოება, რომ პირობადებული საკუთრების დოგმატურად გამართული კონსტრუქციის აგებამ მხოლოდ სანივთო გარიგების დაშვების გზით ხერხდება, ზემოთ უკვე ვახსენეთ.

გარდა ამისა, ქართულ პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული ახალი ავტომანქანის ნასყიდობისას სახელშეკრულებო ფორმულარში ავტომანქანის სერიული ნომრის მითითება—კონკრეტული მანქანის იდენტიფიცირების საშუალება. გამიჯვნის პრინციპის მოქმედების შემთხვევაში ეს არანაირი პრობლემა არ იქნება — სახეზეა გვაროვნული ნივთის ნასყიდობა და სერიული ნომრით განსაზღვრულ კონკრეტულ მანქანაზე საკუთრების გადაცემა. მაგრამ ამგვარი დანაწევრების გარეშე ამ შემთხვევაში ინდივიდუალური ნივთის — კონკრეტული ავტომანქანის—ნასყიდობა სახეზე. სანივთო გარიგების გარეშე ყველაფერი ის, რაც ხელშეკრულებაში წერია, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს. თუმცა ამ შემთხვევაში მყიდველის მდგომარეობა საკმაოდ პრობლემურია, რადგან ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობისას არ იცნობს ჩამნაცვლებელი ნივთის მოთხოვნას (სსკ-ის 490 I მუხლი). თუ ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობა სახეზე და ნაყიდი ნივთი განადგურდება, ან უკვე მანამდე განადგურებული, მაშინ დგება შეუძლებლობა და მყიდველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ გასვლა ან ზიანის ანაზღაურება. გამიჯვნის პრინციპის გარეშე ეს გადაწყვეტა სავალდებულოა, თუმცა ეს ახალი ავტომანქანის ნასყიდობის შინაარსის გამართვის გონივრულ ვარიანტს ნამდვილად არ წარმოადგენს. მყიდველს, რომელიც ახალ ავტომანქანას ყიდულობს, რა თქმა უნდა, სურს შეინარჩუნოს ჩამნაცვლებელი ნივთის მოთხოვნის უფლება.

ამ კონტექსტშივე სახსენებელი რეგისტრაციის უძრავ ნივთზე უფლების წარმოშობისა და გაუქმების საკითხები, რომლებიც სცდება მხოლოდ რეგისტრაციის პროცედურის ფარგლებს. ქართულ საჯარო რეესტრის სამართალში არ მოქმედებს ე.წ. „თანხმობის პრინციპი“. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია რეესტრის სამსახურის წინაშე ხელშეკრულების წარდგენა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველს. რეგისტრაციის გაუქმებაც იმავე წესით ხდება: რეესტრის მიერ დაშვებული ტექნიკურ შეცდომას თუ არ გავითვალისწინებთ, ყველა სხვა

³³ Michael Martinek, Die Perle in der Auster, JuS 1991, 710 ff.

³⁴ Haferkamp, Jura 1998, ზემოთ სქ. 31, 513; Harm Peter Westermann in Westermann/Eickmann, Sachenrecht, 7. Aufl., Heidelberg 1998, § 4 IV 1; RGZ 66, S. 385 ff.

³⁵ შდრ. Grundmann, JA 1985, ზემოთ სქ. 31, 84; Achim Lindemann, Die Durchbrechungen des Abstraktionsprinzips durch die höchststrichterliche Rechtsprechung seit 1900, Konstanz 1989, 53; Füller, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ. 5, 144 mit weiteren Literaturnachweisen.

შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, სასამართლოს მიერ უნდა გაუქმდეს რეგისტრაციის საფუძველად მდებარეხე ლშეკრულება. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობის მიუხედავად, რეგისტრაცია მაინც უნდა გაუქმდეს, თუ რა წარმოადგენს ამ გაუქმების საფუძველს, სრულებით გაუგებარია. ეს ეხება, მაგალითად, შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთის გამყიდველს ნამდვილი ხელშეკრულების დადების შემდეგ ფსიქიკური აშლილობა ემართება და რეგისტრაციას ამ მდგომარეობაში ახორციელებს. აქ სახეზეა ნების ნაკლი, თუმცა მისი გათვალისწინება მხოლოდ გარიგების სიბრტყეშია შესაძლებელი. მაგრამ თუ, ნასყიდობის გარდა, არ არსებობს სხვა გარიგების მიერი სიბრტყე, მაშინ რეგისტრაცია ნამდვილი უნდა დარჩეს, რადგან ნასყიდობის დადება ნების ნაკლის გარეშე მოხდა. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია.

შინაარსის გამართვის თემის ნაწილს წამოადგენს ასევე ე.წ. „გასხვისების აკრძალვის“ საკითხი, რადგან მხოლოდ გამიჯვნის პრინციპის მეშვეობითაა შესაძლებელია, ამ აკრძალვას წაერთვას სანივთო მოქმედება, თუმცა ფარდობითი ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში (*inter partes*) ის ძალაში დარჩეს.³⁶ გასხვისების აკრძალვის ფრანგული კონსტრუქცია ნაკლებ სახარბიელოა.³⁷

4. წარმომადგენლის მეშვეობით საკუთრების გადაცემა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

გამიჯვნის პრინციპის მეშვეობით გარიგების შინაარსის გამართვის შემთხვევების შესავსებად გამოდგება საკუთრების გადაცემა წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც დგას განმსხვიებლის ან შემძენის მხარეზე. დაშვება იმისა, რომ ერთი პირისათვის, კერძოდ, წარმომადგენლისათვის, ნივთის რეალურად ჩაბარება უნდა ჩაითვალოს სხვა პირისათვის – წარმომადგენლისათვის – ამ ნივთზე მფლობელობის გადაცემად, მოითხოვს შეთანხმებას ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ რეალაქტი ამის გამოსახატავად უძღურია.³⁸ იმავეს თქმა შეიძლება ე.წ. „ბრძანებას დაქვემდებარებული პირის“ მიერ საკუთრების გადაცემაზეც ყველა მის ვარიაციაში,³⁹ რომლის კონსტრუირებაც სანივთო გარიგების გარეშე უძღვებელია.

ასევე მესამე პირის სასარგებლო დადებული გარიგებაც გამიჯვნის პრინციპის გარეშე საკმაოდ უცნაურ კონსტრუქციად წარმოგვიდგება. თუ არარსებობს სანივთო გარიგება, მაშინ მესამე პირი შემპირებლისაგან საკუთრებას მოიპოვებს საკუთარი გარიგებისმიერი თანაქმედების გარეშე,⁴⁰ მხოლოდ რეალაქტის საფუძველზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა მესამე პირის სასარგებლოდ განკარგვა, ეს კი დაუშვებელია. იგივე პრობლემები წარმოიშობა საანდერძო დანაკისრისა და ბევრ სხვა შემთხვევებში.

აქვე უნდა ვახსენოთ შემთხვევა, როდესაც სანივთო გარიგების არ არსებობას არა მხოლოდ უსამართლო შედეგამდე მივყავართ, არამედ სანივთო ვაკუუმთან, როდესაც შეუძლებელია იმის დადგენა, რა დაემართა საკუთრებას – გადავიდა თუ არ გადავიდა.

³⁶ Jörg Maurer, Die Prinzipien der Abstraktion, Kausalität und Trennung, insbesondere bei Verfügungen, Frankfurt a. M. 2003, 54; Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ.3, 251 f.

³⁷ Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ.3, 252 ff.

³⁸ ეს წარმოადგენს გარკვეული ტიპის ფიქციას, რომლის შექმნაც ხდება გარიგებისმიერი შეთანხმებით. თუმცა რეალაქტი ამ ფიქციას ვერ გამოხატავს. ეს შეთანხმება ვერ იქნება ვერც ვალდებულებითი გარიგების ნაწილი, რადგან ეს არის შეთანხმება სანივთო სამართლებრივი განკარგვის მოდუსთან დაკავშირებით, რომელიც საკუთარ თავში არ შეიცავს არანაირ ვალდებულებით მომენტს. შდრ. ამასთან დაკავშირებით Jan Wilhelm, Sachenrecht, 4. Aufl., Berlin-New York 2010, Rn. 896 ff.

³⁹ იხ. ზოგადად ნაბრძანები პირის მეშვეობით მოპოვებასთან დაკავშირებით Oechsler in Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl. 2012, § 929 Rn. 2; Dieter Medicus, Bürgerliches Recht, 21. Aufl., München 2007, Rn. 563, Wilhelm, Sachenrecht, ზემოთ სქ.4, Rn. 893.

⁴⁰ Gottwald, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 328 Rn. 33; BGH NJW 1995, 520; Grüneberg, in Palandt BGB Komm., 77. Aufl. 2017, § 333 Rn. 1.

VI. რეალაქტის დიქტატი

შეჯამების სახით შესაძლებელია საკუთრების გადასვლის ქართული სისტემის, მთელი თავისი ზემოთ აღწერილი აპორიებით, „რეალაქტის დიქტატად“ მოხსენიება. ეს ნიშნავს იმას, რომ სწორედ მფლობელობის გადაცემის რეალაქტია ის, რაც სულ მცირე ცალკეულ შემთხვევებში ნყვეტს საკუთრების გადასვლის ბედს. რა მოიაზრება ამის ქვეშ? თუ კიდევ ერთხელ მივაპყრობთ ყურადღებას საკუთრების გადაცემის ფრანგულ მოდელს, ცხადი ხდება, რომ აქ სანივთო ურთიერთობების მაკონსტრუირებელ ძალა ნებას აქვს მინიჭებული, მავალდებულებელი ნების სახით. სწორედ ეს გადაწყვეტილებაა უფრო მეტად დამაჯერებელი და თანმიმდევრული, კერძოდ, სანივთო უფლების თავისთავადი ხასიათის სრულად უარყოფა და იმის თქმა, რომ ის არ საჭიროებს წარმოშობისათვის დამოუკიდებელ გარიგებისმიერ აქტს, ვიდრე ამ ფუნქციის რეალაქტისათვის მინიჭება. რადგან ამ შემთხვევაში ეს რეალაქტი მართლაც ცდილობს სანივთო ურთიერთობის წარმომშობი ფუნქციის მორგებას და თუ რამდენად დამაჯერებლად უმკლავდება ის ამ ამოცანას, ზემოთ უკვე ვიხილეთ: მცირეწლოვნის მიერ საკუთრების მოპოვების მაგალითზე, რომელიც გაუმართლებელია და ახალი ავტომანქანის ნასყიდობის მაგალითზე, როდესაც გაურკვეველი რჩება, ინდივიდუალური ნივთი იყიდა მყიდველმა თუ გვაროვნული.

რეალაქტს ზოგადად არ შესწევს ძალა ცალსახა სანივთო-სამართლებრივი მიკუთვნებადი ნესრიგის დამყარებისა,⁴¹ არც ვალდებულებითნებლობით კომპონენტთან ერთად ურთიერთკავშირში. ეს ნათელი ხდება ქვემოთ მოყვანილი სამი კაზუსის მაგალითზე. ამ შემთხვევებში პრობლემურია არა მხოლოდის, შემძენზე საკუთრება გადავიდეს თუ არა და არის თუ არა ეს შედეგი ჯერ კიდევ გამართლებული, არამედ საერთოდ დადგენადია თუ არა საკუთრების ბედი:

1. მყიდველი და გამყიდველი დებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას. ამის შემდეგ გამყიდველი მას გადასცემს შეპირებულ ნივთს, თუმცა უცხადებს, რომ მას ამ ქმედებით საკუთრების გადაცემა არ სურს. როგორ უნდა შეფასდეს ეს ქმედება სამართლებრივად? ერთი მხრივ, საკმაოდ ნათელია, რომ აქ საკუთრება ვერ გადავიდოდა, თუმცა, მეორე მხრივ, საკითხავია, თუ რა არის ამის მიზეზი. საკუთრების გადაცემის კანონისმიერი შემადგენლობა აქ ერთმნიშვნელოვნად სახეზეა—ნასყიდობა დადებულია და ნივთიც გადაეცა შემძენს. აქ შეიძლება ჯერ კიდევ ითქვას, რომ გადაცემა არ მომხდარა შესრულების ეფექტის გამოწვევის მიზნით, თუმცა შესრულების ეფექტის ცნება, თავის მხრივ, კამათის საგანს წარმოადგენს. მის განსაზღვრად სამი ალტერნატიული თეორიაა შემოთავაზებული: 1. „შესრულების რეალური ეფექტის თეორია“;⁴² 2. „შესრულების მიზნობრივი ეფექტის თეორია“;⁴³ 3. „შესრულების სახელშეკრულებო ეფექტის თეორია“⁴⁴ (ანუ ხელშეკრულების თეორია). ამათგან გაბატონებულია პირველი, რეალური ეფექტის თეორია, რომლის მიხედვითაც შესრულების ეფექტი განპირობებულია შესრულების შედეგის რეალური გამოწვევით,⁴⁵ ანუ ნასყიდობის შემთხვევაში: მფლობელობისა და საკუთრების გადაცემით, მომსახურების ხელშეკრულებისას—სამუშაოს შესრულებით და ა.შ. შესრულების რეალური ეფექტის თეორია ემყარება სანივთო-სამართლებრივ ხდომილებას, კერძოდ კი იმას, რომ შესრულდა ის, რაც შეპირებული იყო. თუ შეპირებული იყო საკუთრების გადაცემა და ის ფაქტობრივად გადავიდა, მაშინ შესრულების ეფექტი სახეზეა, თუმცა არა პირიქით. საპირისპირო თანმიმდევრობის დადგენა, ანუ შესრულების ეფექტიდან გამომდინარე სანივთო ხდომილების განსაზღვრა, საკმაოდ აბსურდულია, რადგან, ხომ არ შეიძლება იმის თქმა: „რომ როდესაც საკუთრების გადაცემა იყო შეპირებული და შესრულების ეს ეფექტი რეალურად დადგა, მაშინ ის გადაცემულად ჩაითვლება“? მაგრამ მოცემული შემთხვევის გადაწყვეტა ამ თეორიის საფუძველზე სწორედ ამას ნიშნავს: შესრულების ეფექტიდან გამომდინარე სანივთო ხდომილების დადგენას, ანუ იმის თქმას, რომ საკუთრება იმიტომ არ გადავიდა, რადგან აქ შესრულების ეფექტი სახეზე არ არის. ეს არასწორი

⁴¹ Hans Josef Wieling, Sachenrecht, Band 1, 2. Aufl., Heidelberg 2006, § 1 III 1 b (29).

⁴² BGH NJW 1991, 1295; BGH NJW 1992, 2699; BGH, NJW-RR 2008, 109.

⁴³ Heinrichs, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014 § 362 Rn. 5; OLG Hamm, NJW-RR 1989, 700; Dennhardt, in Bamberger/RothKommentar zum BGB, 3. Aufl. 2012, § 362 Rn. 21; Wenzel, in Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl. 2007, § 362 Rn. 14; Schwab, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 812 Rn. 49.

⁴⁴ Larenz, Schuldrecht AT, ზემოთ სქ. 8, § 18 I 1.

⁴⁵ BGH NJW 1991, 1295.

და არაფრისმომცემი ფორმულაა და ნიშნავს იმას, რომ გერმანიაში გაბატონებული და ყველაზე პრაქტიკული შესრულების რეალური ეფექტის თეორია საქართველოში სრულებით უსარგებლოა: მოცემულ შემთხვევაში მის საფუძველზე შეუძლებელია ახსნა იმისა, თუ რატომ არ გადავიდა საკუთრება. თუმცა შესაძლებელია მოცემულ შემთხვევაში მეორე, ალტერნატიული, თეორიის მეშვეობით იყოს შესაძლებელი იმის ერთ მნიშვნელოვნად დადგენა, თუ რა მოხდა რეალურად, კერძოდ, შესრულების მიზნობრივი ეფექტის თეორიის საფუძველზე, რომელიც შესრულების ეფექტს აღარ განმარტავს, როგორც რეალაქტს. ამ თეორიის თანახმად, შესრულების ეფექტის გამონკვევისათვის აუცილებელია, შესრულების ფაქტობრივად განხორციელების გარდა, მოვალის მიერ ამ შესრულების კონკრეტული ვალდებულებისათვის მიეკუთვნება ნებელობითი ელემენტის საფუძველზე. თუმცა ეს მიდგომაც არასწორია მეთოდური კუთხით, გამომდინარე იქიდან, რომ ეს თეორია არ არის შექმნილი ამ მარტივი შემთხვევის გადასაწყვეტად და ზოგადად სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობებში სიცხადის შემოსატანად. ანუ იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომელიც აკისრიათ სანივთო სამართლის პრინციპებსა და მის ინსტიტუტებს. ეს თეორია შექმნილია, რათა რამდენიმე იდენტური შინაარსის ვალდებულებისას გამოარკვიოს, რომელს განეკუთვნება კონკრეტული შესრულება (სსკ-ის 387 I 1 მუხლი)⁴⁶ და არა ის საკითხი, საერთოდ გადავიდა თუ არა საკუთრება. მიუხედავად ამისა, ეს თეორია მაინც ახერხებს მოცემულ შემთხვევაში საკუთრების გადასვლის საკითხის ცალსახად დადგენას—მყიდველს არ მოუპოვებია საკუთრება, რადგან გამყიდველის მხრიდან სახეზე არ არის ვალის დაფარვის მიზნით განხორციელებული შესრულება.

2. თუმცა მოცემული თეორია ვერ დაგვეხმარება იმ შემთხვევაში—და სწორედ აქ ხდება საგრძნობი ზემოთ გამოთქმული მეთოდოლოგიური შეცდომა—თუ გამყიდველი ვალის დაფარვის მიზნით გადასცემს ნივთს, თუმცა მყიდველი, რომელიც იღებს მას, აცხადებს, რომ მას ნივთზე მხოლოდ მფლობელობისა და არა საკუთრების მოპოვება სურს. აქ, რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად იმის მტკიცება, რომ შემძენმა შეიძლება მოიპოვოს საკუთრება მისი ნების საწინააღმდეგოდ. სწორედ ამიტომაც ეს თეორია ვერ აღწევს აქ საკუთარ მიზანს—„ვალის დაფარვის მიზანი“ ცალმხრივი გარიგების დარი მოქმედებაა, რომელიც სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს დამოუკიდებლად მიმღების თანხმობისგან. მაშინ გაურკვეველია, რატომ არ უნდა გადავიდეს შემძენზე საკუთრება, როდესაც ამისათვის სახეზეა კანონით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა (კაუზალური გარიგება, მფლობელობის გადაცემა შესრულების ეფექტის გამონკვევის მიზნით). თუმცა ბოლოსკენ შესაძლებელია, უკანასკნელი გამოსავლის სახით, მესამე და გერმანიაში უკვე დიდი ხნის წინ გადალახული შესრულების ეფექტის განმსაზღვრელი თეორიის, კერძოდ, „ხელშეკრულების თეორიის“⁴⁷ მოშველიება. ამ თეორიის მიხედვით, შესრულების ეფექტი ემყარება მხარეთა შორის გარიგებისმიერ შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულებამ უნდა გამოიწვიოს ვალის დაფარვა და ამ შესრულებისაკენ მიმართული მოთხოვნის გაუქმება.⁴⁸ ანუ შესრულების ეფექტი ემყარება ხელშეკრულებას. თუმცა ქართულ სამართალში ამ თეორიის განხილვა, წესით, აქვე უნდა დასრულდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს კონსტრუქცია შესრულების ეფექტს აღიქვამს, როგორც შეთანხმებას, რომ შესრულებას უნდა მოჰყვეს ამ შესრულების მოთხოვნის გაუქმება და ამგვარად წარმოადგენს მოთხოვნის განკარგვას, რომელიც, მართალია, არ არის სანივთო გარიგება, თუმცა არის ვალდებულებითი გარიგებისგან გასამიჯნი განკარგვითი გარიგება, რომლის კონსტრუირებისათვისაც გამიჯვნის პრინციპია საჭირო. თუმცა შეიძლება დოგმატური კონტრარგუმენტები გვერდზე გადავდოთ და შევხედოთ იმას, საერთოდ დასაშვებია თუ არა ამ ხელშეკრულების თეორიის მეშვეობით იმ შემთხვევის ცალსახად გადაწყვეტა, როდესაც მყიდველი უარს ამბობს, ნივთზე მფლობელობის მოპოვებასთან ერთად მოიპოვოს მასზე საკუთრება. ეს მოცემული თეორიის მეშვეობით მიღწევად შედეგს წარმოადგენს. ცალსახაა, რომ მყიდველი არ მოიპოვებს საკუთრებას, რადგან ის არშეუთანხმდა გამყიდველს შესრულების ეფექტთან დაკავშირებით.

3. თუმცა „ხელშეკრულების თეორია“ ვერ წყვეტს დამაკმაყოფილებლად იმ შემთხვევას, რომელიც სახეზე გვექნება დასაწყისში მოყვანილი იულიანეს კაზუსის შეტრიალებით და დაფარული

⁴⁶ *Dennhardt*, in *Bamberger/RothKommentar zum BGB*, 3. Aufl. 2012, § 362 Rn. 21.

⁴⁷ *Larenz, Schuldrecht AT*, ზემოთ სქ. 8, § 18 I 1.

⁴⁸ *Larenz, Schuldrecht AT*, ზემოთ სქ. 8, § 18 I 1.

დისენსუსის გაცხადებულად ქცევით. მაგალითად, ა და ბ დებენ ნასყიდობას გვაროვნულ ნივთზე და, იმავდროულად, ქირავნობას იმავე გვარის ნივთზე. ორივე ნივთი მოვალემ კრედიტორს მეორე დღეს უნდა ჩააბაროს. თუმცა ამ მეორე დღეს მოვალემ ხოლოდ ერთი ნივთით გამოჩნდება და მას უსიტყვოდ გადასცემს კრედიტორს. კრედიტორი ასევე უსიტყვოდ ჩაიბარებს ამ ნივთს. რა შესრულდა აქ, ქირავნობა თუ ნასყიდობა და ვინ არის გადაცემული ნივთის მესაკუთრე? რადგან თუ გადაცემის შემდეგ ნივთი განადგურდა, მოვალე, რა თქმა უნდა, დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მან ნივთი ნასყიდობის შესრულების ეფექტის გამოსაწვევად გადასცა და რისკს უკვე მეორე მხარე ატარებს, ხოლო კრედიტორი ზუსტად საპირისპიროს დაიწინებს. გერმანულ სამართალში აღიარებული შესრულების თეორიები, კერძოდ: შესრულების რეალური ეფექტის თეორია, შესრულების ფინალური ეფექტის თეორია, შესრულების სახელშეკრულებო ეფექტის თეორია, ამ შემთხვევას ვერ წყვეტენ. ეფექტის განმსაზღვრელი საპირისპირო შესრულების თეორია აქ ამასთან დაკავშირებულ ცალსახად ვერ გვპასუხობს.

ეს თეორიები შექმნილია, რათა უზრუნველყონ რამდენიმე ერთგვარი შესრულების შემთხვევაში ამ შესრულების ცალსახა მიკუთვნება შესაბამისი ხელშეკრულებისადმი, მაგრამ არა იმის დასადგენად, თუ რისი გადაცემა მოხდა შესრულების სახით, მხოლოდ მფლობელობის თუ ასევე—საკუთრების. რადგან ეს განეკუთვნება შესრულების შინაარსს. რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება იმის თქმა, რომ მხარეები შესრულების ეფექტთან დაკავშირებით არ შეთანხმებულან, სწორედ რომ საპირისპირო შემთხვევა გვაქვს სახეზე: მხარეები, რა თქმა უნდა, შეთანხმდნენ ამ ეფექტთან დაკავშირებით, მაგრამ რომელი ხელშეკრულების შესრულებას წარმოადგენს ეს? ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ შესრულების ეფექტის განმსაზღვრელ თეორიას არ ძალუძს. თუ საქმე ეხება რამდენიმე იდენტიური შინაარსის მქონე შესრულებას, მაშინ ეს თეორია ახერხებს თითოეულის შესაბამისი ხელშეკრულებისათვის მიკუთვნებას, მაგრამ ვერ ახერხებს იმის იდენტიფიცირებას, თუ რაშინაარსი აქვს ხელშეკრულებას—მხოლოდ მფლობელობის თუ ასევე საკუთრების გადაცემა. რადგან შეუძლებელია საკუთრების გადასვლის შემდეგი არგუმენტით მტკიცება: „საკუთრება გადავიდა იმიტომ, რომ აქ არ შესრულებულა ქირავნობა“ ან პირიქით. რეალურად, პირიქით, მხოლოდ სანივთო სამართლებრივი აქტით შეიძლება დადგინდეს შესრულების შინაარსი, ანუ სწორედ სანივთო გარიგებაა ის, რასაც ემყარება შესრულების ეფექტის ცნება, ამიტომაც მასზე მსჯელობას უნდა უძღოდეს სანივთო სამართლებრივი მდგომარეობის გამოკვლევა.⁴⁹ შესრულების შინაარსის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სანივთო სამართლებრივი აქტის მეშვეობით, რის გამოც ეს სანივთო გარიგება ასევე მინიმალურ კონსენსუსად⁵⁰ მოიხსენიება და სწორედ მას იყენებენ ნანამძღვრის სახით შესრულების თეორიები. თუ ჯერ საერთოდ გაურკვეველია, რისი გადაცემა მოხდა შესრულების ფარგლებში — მხოლოდ მფლობელობის თუ ასევე საკუთრების—შეუძლებელია შესრულების ეფექტზე საუბარი. ამიტომაც მხოლოდ მინიმალური კონსენსუსიდან გამომდინარე შესაძლებელი აქ მწყობრი არგუმენტაციის განვითარება: ნასყიდობა არ შესრულდა, რადგან არ მომხდარა საკუთრების გადაცემა, ხოლო საკუთრების გადაცემა კი არ მოხდა იმიტომ, რომ ამისათვის სანივთო გარიგება იყო აუცილებელი, რომელიც აქ არ დადებულა. შესრულების სამართლის პერსპექტივა უუნაროა იმის დასადგენად, გადავიდა თუ არა საკუთრება, რადგან ამ ორ ხდომილებას შორის საპირისპირო კავშირია გაბმული, თავდაპირველად უნდა დადგინდეს, რა მოხდა სანივთო სამართლებრივად, რათა საერთოდ შევძლოთ შესრულების ეფექტზე საუბარი. ამ მწყობრ არგუმენტაციას სანივთო გარიგების აღიარების გარეშე ვერ გამოვიყენებთ და ეს ნამდვილად არ წარმოადგენს ქონებრივი სიკეთეების გადაცემის რამენაირად მისაღებ მოდელს.

⁴⁹ ის, რომ ერთმა პირმა მეორეს გადასცა ასი ლარი, შეიძლება ნიშნავდეს, როგორც ნასყიდობის ფასის გადახდას, ისე ამ ასი ლარის შესანახად მიბარებს. ამიტომაც მანამ, სანამ არ დადგინდება, ამ ას ლარზე საკუთრება გადასცა თუ მხოლოდ — მფლობელობა 763-ე მუხლის ფარგლებში, სსკ-ის 387 I 1 მუხლზე აპელირება ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

⁵⁰ *Oechsler* in *Münchener Kommentar zum BGB*, 6. Aufl. 2012, § 929 Rn. 24; *Fritz Baur/F. Baur*, *Sachenrecht*, 18. Aufl., München 2009, § 5 IV; *Hans Christoph Grigoleit*, *Abstraktion und Willensmängel - Die Anfechtbarkeit des Verfügungsgeschäfts*, AcP 199 (1999), 380.

VII. შეჯამება

შეჯამების სახით შესაძლებელია შემდეგის თქმა: *სავინის* ვალდებულებითი ხელშეკრულება და საკუთრების გადასვლას შორის ჩაჩრილი რეალაქტმა შეიძლება განაპირობოს ის, რომ არ ფუნქციონირებს არც ვალდებულებითი და არც სანივთო-სამართლებრივი გადანყვეტა. იგულისხმება ის ფაქტი, რომ ზემოთ მოყვანილი სამი შემთხვევა საფრანგეთშიც კი არ იქნებოდა პრობლემური.⁵¹ გერმანიაში კი საერთოდ მარტივად იქნებოდა გადანყვეტადი გამიჯვნის პრინციპის მეშვეობით. მაგრამ ერთიანობა-ტრადიციის პრინციპების ქართული კომბინაციის წყალობით, შეუძლებელია, ამ შემთხვევათაგან რომელიმეს დამაკმაყოფილებლად ამოხსნა. ამიტომაც მართალია ვიტცი,⁵² როდესაც ამბობს, რომ ტრადიციის პრინციპს გამიჯვნის პრინციპის გარეშე დიდი აზრი არ აქვს.⁵³ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ეს კომბინაცია საბოლოოდ საზიანოც კი არის.

მიღებულ დასკვნას, რომლის მიხედვითაც, გამიჯვნის პრინციპის გარეშე ტრადიციის პრინციპით საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობის დამაკმაყოფილებლად მონესრიგება შეუძლებელია, ერთი სუსტი მხარე აქვს. ისტორიულად არსებობდა სამართლებრივი სისტემა, რომელიც სანივთო უფლების გადასვლის „ამ მოდელს“ იყენებდა და დღემდე არსებობს ამ მოდელის მიმდევარი მართლწესრიგები. სამართლის ეს სისტემა იყო კლასიკური რომის სამართალი.

1. Traditio რომის სამართალში

კლასიკური რომის სამართალი სანივთო გარიგებას არ იცნობდა; *traditio* იყო მხოლოდ მფლობელობის გადაცემის აქტი, რომელსაც მხოლოდ მის საფუძვლად მდებარე *causa* ანიჭებდა საკუთრების გადაცემის მნიშვნელობას.⁵⁴ *Causa*, თავის მხრივ, იყო ტიპური, მართლწესრიგის მიერ საკუთრების მოპოვების საფუძვლად აღიარებული გარიგებისმიერი შემადგენლობა, რომლის თანამედროვე კაუზალურვალდებულებით გარიგებასთან გათანაბრება არასწორია.⁵⁵ რეალური გარიგებების შეთხვევაში (მაგ. *donatio, dotisdatio*) *causa* მდგომარეობდა ფაქტობრივი გადაცემის მომენტისათვის არსებულ შეთანხმებაში გადაცემის მიზანთან დაკავშირებით (*causa donationis, dotis*); ნასყიდობისას—თავად ნასყიდობის ხელშეკრულებაში;⁵⁶ ხოლო სტიპულაციისა და საანდერძო დანაკისრის შესრულებისას არა თავად ვალდებულების წარმომშობ გარიგებაში (*stipulatio, legatum per damnationem*), არამედ შესრულების ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელ ხასიათთან დაკავშირებით შეთანხმებაში (*causa solvendi*).⁵⁷

რეალური გარიგებების მარტივ შემადგენლობებს თუ არ გავითვალისწინებთ, სამართლებრივი საფუძვლების ამ სისტემაში ნათლად ჩანს დიქტომია ნასყიდობის საფუძველზე შექმნასა და სტიპულაციისა თუ საანდერძო დანაკისრის საფუძველზე შექმნას შორის.⁵⁸ პირველისათვის იყო მთლიანი საბაზისო შემადგენლობა, ხოლო მეორისათვის უშუალოდ *traditio*-ს დროს გაცხადებული შესრულების დათქმა; ამიტომაც პირველი იყო კაუზალური, ხოლო მეორე არა ნაკლებ აბსტრაქტული, ვიდრე თანამედროვე გერმანული სამართლის მიხედვით საკუთრების გადაცემა. ამის საფუძველი ისტორიულ განვითარებაში უნდა ვეძებოთ: კლასიკური რომის სამართალში ნასყიდობის ხელშეკრულება ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდა არქაული წარმოდგენისაგან, რომელიც

⁵¹ ფრანგულ სამართალში მოქმედი „სუფთა“ ვალდებულებითი გადანყვეტის თანახმად, საკუთრება გადავიდოდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტშივე, ან უკანასკნელ შემთხვევაში – ნაყიდი ნივთის დანარჩენი ნივთებისაგან გამოცალკევების მომენტში. ეს მომენტი, მართალია, მყიდველისათვის შეუმჩნეველია, თუმცა ამ შემთხვევის გადანყვეტა დოგმატურად მაინც ცალსახაა.

⁵² Witz, FS Jahr, ზემოთ სქ. 8, 533.

⁵³ თუმცა ამ ორ პრინციპს შორის ზოგადად ტოლობის ნიშნის დასმა, როგორც ამას აკეთებს ვიტცი, უკვე გაუმართლებელია, შდრ. ამასთან დაკავშირებით *Habermeier*, AcP 195 (1995), ზემოთ სქ. 15, 285.

⁵⁴ იხ. უპირველეს ყოვლისა *Paul Jörs, Wolfgang Kunkel, Leopold Wenger, Römisches Privatrecht*, 3. Aufl., Heidelberg 1949, 127; *Max Kaser, Das Römische Privatrecht*, 2. Aufl., München 1971, 417 ff.

⁵⁵ *Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht*, ზემოთ სქ.52, 127.

⁵⁶ *Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht*, ზემოთ სქ.52, 127.

⁵⁷ *Paul. D. 6.2.4*; *Hermog. D. 41.3.46*; *Heinrich Lange, Das kausale Element im Tatbestand der klassischen Eigentumstradition*, Leipzig 1930, 44 ff.

⁵⁸ შდრ. მაგალითისათვის *Paul. D. 41, 4, 2 pr. und 41,3,48*; *Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht*, ზემოთ სქ. 52, 128.

მას მხოლოდ ერთიანი რეალური გარიგების სახით იცნობდა.⁵⁹ *solutio*-ს როგორც საკუთრების მოპოვების კაუზას როლი განპირობებულია ძველრომაული პასუხისმგებლობის სამართლის თავისებურებებით. არქაული ფორმალური გარიგების ფარგლებში თავის დავალდებულება მოვალისათვის წარმოშობდა ბოჭვის მდგომარეობას, რომლისგანაც გათავისუფლებაც მხოლოდ განსაკუთრებული გამათავისუფლებელი გარიგების (*solutio*) მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამ გადაწყვეტის გათვალისწინებით, რომელიც *solutio*-ს მავალდებულებელ გარიგებასთან შედარებით მაღალი ხარისხის ავტონომიას ანიჭებდა, გასაგები ხდება, თუ რატომ გვევლინებას წორედ ის და არა მავალდებულებელი გარიგება საკუთრების მოპოვების *causa*-დ.⁶⁰ თანამედროვე დამკვირვებლისათვის *causae traditionis* რთულად აღსაქმელი სისტემა უფრო რთული ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კლასიკური პერიოდის იურისტები ცალკეულ სპეციალურ შემთხვევაში ზღუდავდნენ ზემოთ მოყვანილ პრინციპებს.⁶¹

რომაული სამართლის ეს მოდელი წარმოადგენს საკმაოდ დახვეწილ გადაწყვეტას, რომელიც ემყარება რეალაქტისა და შესრულების ეფექტის ელემენტების ზუსტ შერევას, კაუზალური გარიგების ტიპისდა მიხედვით. ამავე გზას ადგანან ესპანელები, როდესაც ჩუქებას სუფთა სახით განკარგვის გარიგებად აღიქვამენ.⁶² *სავინი*მაც თავდაპირველად გამიჯვნის პრინციპის კონტურები ჩუქების მაგალითზე გამოკვეთა.⁶³ ამიტომაც კოლექტიური არაცნობიერის ამოხეტევად უნდა შეფასდეს, ან *თეო მაიერ-მალის*⁶⁴ ხატოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „სამართლებრივი ფიგურების დაბრუნებად“, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლო *სავინისა* და ესპანურ სამართალზე ყოველგვარი მითითების გარეშე ჩუქების ხელშეკრულებას, როგორც სანივთო გარიგებას, ისე განმარტავს. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ქართველი მოსამართლეები სრულეზბით სწორად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თუ ნასყიდობისას განკარგვის გარიგება საერთოდ არარსებობს და კაუზალური გარიგება განკარგვას არა თავისთავადი ელემენტის სახით საკუთარ თავში აერთიანებს, მაშინ ჩუქებისას საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. აქ სწორედ კაუზალური გარიგების ფორმირება ხდება განკარგვის გარშემო და ამ უკანასკნელმა უნდა შთანთქოს მავალდებულებელი ელემენტი, როგორც დაქვემდებარებული „რაიმე“.⁶⁵ მაშინ ჩუქებისა და ნასყიდობის ერთ რიგში დაყენება უკვე შეუძლებელია. მაგრამ ამის დაშვება ნიშნავს გერმანული სამართლის სისტემასთან საბოლოო გამომშვიდობებას. გარდა იმისა, ჩუქება ქართული სამართლის სისტემაში ჩვეულებრივ მავალდებულებელ გარიგებას წარმოადგენს, თავისი ვალდებულებათა პროგრამითა და ა.შ., რომაული მოდელი უბრალოდ არ ჯდება სამოქალაქო კოდექსის ამჟამინდელ სისტემატიკაში. ის საკმაოდ რთულია გააზრებისათვის და ძალზე მოცულობითი ქართულ სამართალში სრულად რეცეფციისათვის. თავად გვიანი კლასიკური პერიოდის რომაელები იხრებოდნენ *traditio*-ს აბსტრაქტულ გარიგებად გააზრებისაკენ⁶⁶ და სწორედ ამიტომაც მოახდინა *სავინი* მისი გამარტივებული ფორმით რეცეფცია სანივთო გარიგების სახით.⁶⁷ ისეთი რთული გადაწყვეტა, როგორსაც წარმოადგენდა რომაული, უბრალოდ არ შეესაბამება თანამედროვე მართივ დოგმატურ აზროვნებას.

⁵⁹ Ernst Rabel, Grundzüge des Römischen Privatrechts, München-Leipzig-Berlin 1915, 440; Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Recht, ზემოთ სქ.52, 128.

⁶⁰ Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht, ზემოთ სქ.52, 128.

⁶¹ Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht, ზემოთ სქ.52, 128

⁶² Michael Rainer, Europäisches Privatrecht, Die Rechtsvergleichung, 2. Aufl., Frankfurt a. M. 2007, 339.

⁶³ Savigny, Obligationenrecht, II, ზემოთ სქ. 4, 257; Felgentraeger, Savignys Einfluß auf die Übereignungslehre, ზემოთ სქ.4, 33 f.; Haag Molkenteller, Die These vom dinglichen Vertrag, ზემოთ სქ.5, 86 f.; Füller, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ.5, 121.

⁶⁴ Theo Mayer-Maly, Die Wiederkehr von Rechtsfiguren, JZ 1971, 1 ff.

⁶⁵ გამიჯვნის პრინციპის წინაპირობას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ ორი გარიგების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ასევე გარეგნულადაც შეცნობადია (Füller, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ. 5, 115), მაგრამ, თუ ხელშეკრულების გარეგან გამოვლინებას მივენდობით, მაშინ ჩუქება მხოლოდ სუფთა სახით განკარგვას წარმოადგენს.

⁶⁶ Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht, ზემოთ სქ.52, 129.

⁶⁷ Jörs/Kunkel/Wenger, Römisches Privatrecht, ზემოთ სქ.52, 29 და იქ მითითებული ლიტერატურა.

2. საბოლოო შედეგი

დამოუკიდებელი სანივთო სამართლის იდეა, სანივთო უფლების კონცეპტთან ერთად შეუძლებელია არსებობდეს გამიჯვნის პრინციპის გარეშე. სწორედ გამიჯვნისა და არა აბსტრაქციის პრინციპი იძენს აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან სწორედ მის მიხედვით ხდება იმის განსაზღვრა, ექნება თუ არა სანივთო უფლებას დამოუკიდებელი სახე. აბსტრაქციის პრინციპი მხოლოდ მის შედეგებს აწესრიგებს. გერმანული სამართალი იცნობს კაუზალური განკარგვის შემთხვევებს. მაგალითად, გაქვითვა (გსკ-ის 389-ე პარაგრაფი),⁶⁸ რომლის წინაპირობასაც ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების არსებობა წარმოადგენს. გარდა ამისა, აბსტრაქციის პრინციპიდან გამონაკლისი დაიშვება საავტორო და საპატენტო სამართალშიც.⁶⁹ მაგრამ გამიჯვნის პრინციპიდან გამონაკლისის დაშვება, ანუ განკარგვის გარიგების უარყოფა, გერმანულ სამართალში სრულებით წარმოუდგენელია, რადგან სწორედ ის არის მთავარი საყრდენი, რომელსაც ემყარება დამოუკიდებელი სანივთო სამართალი.⁷⁰ სამართლებრივ სიკეთეთა გადაცემის ურთიერთობის ერთადერთ შემოქმედ და გამაფორმებელ ძალას პირის ნება წარმოადგენს. მაგრამ თუ ამ ნებას მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის სიბრტყეში გავიაზრებთ, მაშინ სანივთო სამართალი ვალდებულებითის არათავისთავად დანამატად დეგრადირდება, ხოლო სანივთო უფლება კი ვალდებულებითი უფლების არათავისთავად გაფორმებად.

ნების თეორიის თანახმად, უფლება ეს არის ძალმოსილება, საკუთარი ნებისგან ხორციელებსა.⁷¹ ეს ნება ზღვარდადებულია მხოლოდ კანონისმიერი აკრძალვებით, რომელთა მიღმაც პირს ნებისმიერი სამართლებრივი შედეგების გამოწვევა ძალუძს. ამ წინამძღვრიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, გამართლებული იყო *სავინის* მიერ ვალდებულებით და სანივთო უფლების დიქტომიაზე დამყარებული გამიჯვნა სანივთო და ვალდებულებით სამართალს შორის. პირს შეუძლია ისარგებლოს პირადი ან სანივთო უფლებით. შესაბამისად, უნდა გაიმიჯნოს ორ განსხვავებულ ნებას შორის, ერთი მათგანი წარმოშობს ვალდებულებით, ხოლო მეორე-სანივთო უფლებას.⁷²

ფრანგები შეგნებულად უარყოფენ სანივთო სამართლის ამ დამოუკიდებელ ღირებულებას და სრულებით გაცნობიერებულად აგებენ სისტემას ვალდებულებითი კაუზის გარშემო. ეს არის სამართლის ალტერნატიული ხედვა, რომელიც შეიძლება მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს. გერმანული პერსპექტივიდან სავარაუდოდ ალბათ უფრო-არა. მაგრამ ის, რაც ცალსახად არასწორია, ეს არის ამ ორი სიტემის შერევა, უფრო ზუსტად კი ამ გერმანულ და ფრანგულ გადაწყვეტას შორის მერყეობა არის ის, როგორაც შეიძლება დახასიათდეს დღესდღეობით ქართული სამართალი-ბოლომდე გაუაზრებელი პრინციპებისა და ამოუხსნელი კაუზების ერთიანობა. მხოლოდ ამ გამიჯვნას დაფუძნებული სანივთო გარიგების კონცეპტი უზრუნველყოფს გარიგების შინაარსის განსაზღვრის ნამდვილ თავისუფლებას.

⁶⁸ *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ. 3, 16 და იქ მითითებული ლიტერატურა.

⁶⁹ *Füller*, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ. 5, 113.

⁷⁰ *Savigny*, System des heutigen römischen Rechtes, III, ზემოთ სქ. 4, 312 ff.; *Füller*, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ. 5, 120.

⁷¹ *Füller*, Eigenständiges Sachenrecht? Oben სქ. 5, 120.

⁷² *Füller*, Eigenständiges Sachenrecht? Oben სქ. 5, 121; *Molkensteller*, Die These vom dinglichen Vertrag, oben სქ. 4, 106 f.; *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, oben სქ. 3, 49.

Gestaltungsfreiheit durch dingliches Geschäft**

I. Einleitung

Das Thema des vorliegenden Aufsatzes bildet das Trennungsprinzip bei der Gewährleistung von Gestaltungsfreiheit, d. h. die Frage, ob es losgelöst von andere Prinzipien eine eigenständige Bedeutung haben und von Nutzen sein kann in einem System, in dem das Abstraktionsprinzip ganz eindeutig zurückgewiesen wird. Das georgische Sachenrecht ist so ein System. Bei der Rezeption des deutschen Sachenrechts hat die georgische Gesetzgebungskommission und deren *spiritus rector* deutscher Professor *Rolf Knieper* das Abstraktionsprinzip ausdrücklich verworfen. So steht im Art. 186 des georgischen ZGB, dass es für die Übereignung von beweglichen Sachen nur eines gültigen Anspruches auf Übereignung (Kausalgeschäft) und der Übergabe (*traditio*) bedarf. Damit ist die Geltung des Abstraktionsprinzips von vorne herein ausgeschlossen. Nicht so eindeutig ist die Lage mit dem Trennungsprinzip. Die Literaturlauffassungen sind diesbezüglich zweigeteilt,¹ die Rechtsprechung² spricht meistens für das Trennungsprinzip. Das Trennungsprinzip an sich bedeutet zunächst nichts anderes, als dass das Verfügungsgeschäft einen selbständigen Vertrag darstellt, der zwar rein tatsächlich mit der verpflichtenden Einigung zusammenfallen kann, rechtlich aber als selbständiges Rechtsgeschäft zu werten ist.³

Wesentlich für die moderne Rechtsdogmatik war, wie das Trennungsprinzip zusammen mit dem Abstraktionsprinzip in Begriffswelt von *Friedrich Carl von Savigny* auftauchte.⁴ Dieses Auftauchen hat wie fast alle zivilrechtlichen Rechtsfiguren seinen Vorläufer im Römischen Recht. Die beiden berühmten Stellen aus dem römischen Recht, aus denen *Savigny* das Abstraktionsprinzip ableitet,⁵ hat er zunächst benutzt, um das Trennungsprinzip zu untermauern. Zum einen ist das ein Fragment aus den Institutionen,⁶ wo die Anerkennung des Willens des Übereignenden gefordert wird, zum anderen eine Stelle Julians,⁷ in der Julian den Fall beschreibt, dass eine Sache zu Übereignungszwecken übergeben wird, aber Dissens zwischen Empfänger und Geber über den Rechtsgrund besteht. Nach Julian geht in diesem Fall das Eigentum über, was *Savigny* zur Stützung seiner Konzeption des abstrakten dinglichen Geschäfts anführt.

* Dr. Giorgi Rusiashvili, LL. M. (Saarland Univ.) ist Assistent Professor an der Staatlichen Universität Tbilisi und wissenschaftlicher Mitarbeiter des Tinatin-Tsereteli- Instituts für Staat und Recht

** Ein ganz herzlicher Dank des Verfassers gebührt dem Herrn Rechtsanwalt Dr. Max Gutbrod für die sprachliche Korrektur des Textes und wichtige inhaltliche Hinweise.

¹ *Zurab Chechelashvili*, Eigentumsübertragung an beweglichen Sachen, in von der Migriauli/Zoidze/Chechelashvili, Hrsg., Collected Articles in the Georgian Private Law, Band I, Tbilisi 2004, 90 ff.; *Giorgi Mariamidze*, Fallbuch zum Sachenrecht, Band I, Tbilisi 2014 (Auf Georgisch); *Ekaterine Danelia*, Trennungsprinzip auf dem Beispiel des Schenkungsvertrages, Georgian Law Review – Special Edition 2008, 31 ff. (Auf Georgisch); *Nino Begishvili*, Eigentumsübertragung – Trennungs- oder Einheitsprinzip? Studentischer Rechts-Zeitschrift (2013), 53 ff. (Auf Georgisch); vgl. gegen Trennungsprinzip *Lado Chaturia*, Eigentum an unbeweglichen Sachen, Tbilisi 2003, 183 ff. (Auf Georgisch); *Ders.*, Kreditsicherungsrecht, Tbilisi 2013, 137 (Auf Georgisch); ohne jegliche Argumentation *Levan Totladze*, in von dem Chaturia, Hrsg., Kommentar zum georgischen ZGB, Sachenrecht, Band II, Tbilisi 2017, Art. 186 Rn. 30 ff. (Auf Georgisch).

² Vgl. Supreme Court of Georgia, № as-1283-1538-09, Mai 25, 2010; Supreme Court of Georgia, № as-221-213-2012, Juli 24, 2012; Supreme Court of Georgia, № as-483-457-2012, September 20, 2012; Supreme Court of Georgia, № as-304-289-2013, Oktober 25, 2013; Supreme Court of Georgia, № as-1147-1094-2013, Juli 14, 2014; Supreme Court of Georgia, № as-1504-1424-2017, Februar 9, 2018.

³ *Astrid Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, Tübingen 1996, 7.

⁴ *Friedrich Carl v. Savigny*, System des heutigen Römischen Rechts, Band III, Berlin 1840, 312 f.; *Wilhelm Felgentraeger*, Friedrich Carl v. Savignys Einfluß auf die Übereignungslehre, Leipzig 1927, 31 ff.

⁵ *Friedrich Carl v. Savigny*, Das Obligationenrecht als Theil des heutigen Römischen Rechts, Band II, Berlin 1854, 257; *Felgentraeger*, Friedrich Carl v. Savignys Einfluß auf die Übereignungslehre, oben Fn. 4, 33 f.; *Dieter Haag Molkenteller*, Die These vom dinglichen Vertrag, Frankfurt a. M. 1991, 86 f.; *Jens T. Füller*, Eigenständiges Sachenrecht? Tübingen 2006, 121.

⁶ Inst. 2.1.40.

⁷ D. 41.1.36.

Im modernen deutschen Recht wird der eigenständige Wert des Trennungsprinzips in rechtspolitischer Hinsicht wenig beachtet. Fast immer wenn seine Notwendigkeit diskutiert wird geht es darum, ob das Abstraktionsprinzip notwendig ist bzw. mit dem Abstraktionsprinzip auch das Trennungsprinzip gerechtfertigt.⁸ Deswegen wird meistens das Trennungsprinzip nur als Vorstufe der abstrakten Gestaltung bezeichnet.⁹ Aus deutscher Perspektive mag das auch richtig sein – ja, es macht nicht viel Sinn für den deutschen Juristen, sich mit der hypothetischen Geltung des Trennungsprinzips als Teil des Kausalitätsprinzips zu beschäftigen, wenn dieses Kausalitätsprinzip in Deutschland gar nicht gibt. Aber eben deswegen können die Argumente aus dem deutschen Diskurs für das georgische Recht nicht immer fruchtbar gemacht werden.

II. Anhaltspunkte für das Trennungsprinzip im ZGB

Nach einer Auffassung sei das georgische ZGB so konzipiert, dass es keine Trennung zum Ausdruck bringen soll. Das Gesetz sieht jedoch tatsächlich anders aus. Abgesehen von der generellen Systematik¹⁰ verweisen die Formulierungen einiger gesetzlicher Vorschriften und gesetzlich geregelter Rechtsfiguren eindeutig auf den Trennungsgedanken:

1. Zunächst ist das Art. 477 ZGB,¹¹ der die vertragstypischen Pflichten des Kaufvertrages bestimmt: Hier ist, genauso wie in § 433 BGB, von der Verpflichtung zur Besitzverschaffung und Verpflichtung zur Eigentumsübertragung gesondert die Rede. Das bedeutet, dass nur aus dem Abschluss des Kaufvertrages und der Besitzübergabe für seine Erfüllung kein automatischer Eigentumsübergang folgt, sondern diese Übergabe des Eigentums durch einen separaten Rechtsakt erfolgen soll. Dieser separate Rechtsakt kann aber nur das Verfügungsgeschäft in Form des dinglichen Vertrages sein.

2. Im Sachenrecht ist, neben den Eigentumsübergangstatbestand, der Tatbestand des Eigentumsvorbehalts geregelt, nämlich in Art. 188 ZGB,¹² dessen Wesen und Mechanismus ohne dinglichen Vertrag nicht zu erklären sind. Aufschiebend bedingt kann nur der Vertrag und nicht der Realakt der *traditio*, Besitzübergabe, sein.¹³ Wenn es aber keinen dinglichen Vertrag gibt, dann könnte nur der Kaufvertrag bedingt geschlossen werden.¹⁴ Dann ist unverständlich warum der Eigentumsvorbehalt im Sachenrecht geregelt ist. Wenn der Kaufvertrag bedingt ist, dann ist er wirklich bedingt, d. h. für beide Seiten – bis zum Eintritt der aufschiebenden Bedingung wird der Käufer nicht Eigentümer, aber auch der Verkäufer hat keinen Anspruch auf die Zahlung des Kaufpreises.¹⁵ Diese ungewollte Folge des bedingten Kaufvertrages versuchen die Französer mit verschiedenen Konstruktionen zu überwinden, dogmatisch sauber scheinen diese aber nicht.¹⁶ Insoweit stellt unbedingt geschlossener Kaufvertrag

⁸ Für die Gleichsetzung von diesen zwei Prinzipien *Hans Brox*, Allgemeiner Teil, 36. Aufl., München 2012, Rn. 117; *Hans-Martin Pawlowski*, Allgemeiner Teil, 7. Aufl., Heidelberg 2003, Rn. 591; *Bernd Rütters*, Allgemeiner Teil, 9. Aufl., München 1993, Rn. 285; *Karl Larenz*, Schuldrecht Besonderer Teil, 13. Aufl. München 1986, § 39 II d (19). Vgl. auch *Claude Witz*, Analyse critique des règles régissant le transfert de propriété, Festschrift für Günther Jahr (1993), 533.

⁹ *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, oben Fn. 3, 114, 277, 732; in dieser Richtung auch *Heinrich Honsell*, Tradition und Zession – kausal oder abstrakt? FS Wiegand, Bern-München 2005, 357 ff.

¹⁰ Etwa, dass dem georgischen ZGB zugrunde liegende Pandektensystem notwendigerweise auf die Existenz von Trennungsprinzip hindeutet und das souveräne Sachenrecht ohne dingliches Geschäft undenkbar ist, dazu *Jakob Fortunat Stagl*, Eigentumsübertragung beim Kauf beweglicher Sachen im DCFR und CESL, *RabelsZ* 79 (2015), 388 f.; *Horst Heinrich Jakobs*, Gibt es den dinglichen Vertrag? *ZRG RA* 119 (2002), 287 ff.; *Hans Brandt*, Eigentumserwerb und Austauschgeschäft, Leipzig 1940, 66 f.; Die gesamten Materialien zum Bürgerlichen Gesetzbuch für das Deutsche Reich, hrsg. von Benno Mugdan, Band III, Berlin-Leipzig 1899, 2, 5.

¹¹ Art. 477 Begriff. Inhalt. (1) *Durch den Kaufvertrag wird der Verkäufer verpflichtet, dem Käufer das Eigentum an der Sache zu verschaffen sowie die damit verbundenen Dokumente und die Ware zu übergeben. ...*

¹² Art. 188 Eigentumsvorbehalt. (1) *Hat der Veräußerer sich vorbehalten, dass die Übertragung des Eigentums auf den Erwerber nur nach der Zahlung des Kaufpreises der Sache erfolgen kann, so wird vermutet, dass die Übertragung des Eigentums auf den Erwerber nach der vollständigen Zahlung des Kaufpreises erfolgt. Gerät der Erwerber mit der Zahlung in Verzug und erklärt der Veräußerer den Rücktritt, so müssen die wechselseitig bereits erbrachten Leistungen zurückerstattet werden. ...*

¹³ *Honsell*, FS Wiegand, oben Fn. 9, 353; *ders.*, *Honsell*, Schweizerisches Obligationenrecht, Besonderer Teil, 7. Aufl., Bern 2003, § 14.

¹⁴ *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, oben Fn. 3, 278 ff.

¹⁵ *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, oben Fn. 3, 280.

¹⁶ *Stadler*, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, oben Fn. 3, 279.

und das bedingte Übereignungsgeschäft den bestmöglichen Ausgleich von der gegenseitigen Interessen dar, dafür aber muss aber ist zunächst der dingliche Vertrag anerkannt werden.

3. Ohne Trennungsprinzip ist nicht zu erklären, was das in Art. 102 ZGB¹⁷ (fast wortgleich zu § 185 BGB) geregeltes „Verfügungsgeschäft“ bedeutet. Die Anerkennung der Verfügung, die als Oberbegriff sowohl den dinglichen Vertrag als auch die Forderungsabtretung und generell die Rechtsübertragung erfasst, ist eben die direkte Anerkennung des Trennungsprinzips.¹⁸ Das eigenständige Verfügungsgeschäft ist ein wichtiges Glied der Gestaltungsfreiheit. Wenn man neben den Kaufvertrag für die Eigentumsüberübertragung noch ein anderes Rechtsgeschäft braucht, dann kann man dieses andere Geschäft auch anders gestalten (vgl. dazu unten).

